

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის
ინსტიტუტი

სოლომონ ყუბანეიშვილი

ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიიდან

(X X საუკ.)

II

ნაკვეთი მეორე



გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი

1975

871+002 (C41)

899.962.1.C92 [რუსთაველი]+655.1(47.922) (09)

ყ 862

ნაშრომში წარმოდგენილია ცნობები ვეფხისტყაოსნის ბექდესის ისტორიიდან მეოცე საუკუნის 40-იანი წლებიდან — 60-იანი წლების პირველი ნახევრის ჩათვლით. მასში განხილულია თითოეული გამოცემის ტექსტოლოგიური საკითხები, დაზუსტებულია თარიღები და ტირაჟი, მოცემულია ამ გამოცემათა პოლიგრაფიული აღწერილობანი და ნაჩვენებია რა საზოგადოებრივი რეზონანსი ჰქონდა ამა თუ იმ გამოცემას.

წინასწარმოცხადება

წინამდებარე ნაშრომის მეორე ნაკვეთი მექანიკურად არის გამოყოფილი პირველი ნაკვეთიდან, რაც გამოწვეულია ტექნიკური მიზეზებით. ამავე მიზეზით ამ ნაკვეთშიც ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორია მხოლოდ 1953 წლამდეა.

ვცდილობდით მოგვეცა სრული სურათი პოემის ამა თუ იმ გამოცემაზე. ამ მიზნით მოცემული გვაქვს თითოეული გამოცემის როგორც პოლიგრაფიული აღწერილობა (შრიფტების შერჩევაში კონსულტაციას მიწევდა ასოთაძწყობი ა. თოდუა), ისე გამოცემაში შეტანილი ტექსტუალური სწორებანი. აღნიშნული გვაქვს აგრეთვე ისიც, თუ როგორი გამოხმაურება ჰპოვა საზოგადოებაში ამა თუ იმ გამოცემამ. გამოცემებზე დაწერილ რეცენზიებიდან მოყვანილია მხოლოდ ის ცნობები, რომლებიც ტექსტის სწორების საკითხს ეხება, რითაც დაინტერესებულ პირს საშუალება ეძლევა წარმოდგენა იქონიოს ამა თუ იმ ჩასწორების ავკარგიანობაზე.

ნაშრომში რუსთველოლოგიის საკითხებზე საინტერესო დოკუმენტებია გამოვლენილი. მათი უმრავლესობა პირველად ხდება ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის.

მადლობას მოვუხსენებ აკად. აღ. ბარამიძეს, რომელმაც პირადი არქივიდან მომაწოდა დოკუმენტები ვეფხისტყაოსნის 1951 წ. გამოცემასთან დაკავშირებით. მადლობას ვწირავ აგრეთვე პროფ. სარგ. ცაიშვილს, რომელმაც საშუალება მოგვცა გვესარგებლა სოლ. იორდანიშვილის პირადი არქივით, სადაც დაცულია ვეფხისტყაოსნის 1937 წლის საიუბილეო გამოცემის მასალების ნაწილი*.

სოლ. ყუბანიშვილი

* ვეფხისტყაოსნის 1937 წ. საიუბილეო გამოცემის არქივის დიდი ნაწილი დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში, ნაწილი კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქივშია. დოკუმენტების მცირე რაოდენობა მოიპოვება საიუბილეო გამოცემის ტექსტის დამდგენ კომისიის ყოფ. მდივნის სოლ. იორდანიშვილის პირად არქივში, რომელიც მისმა მემკვიდრეებმა გადასცეს „ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიას“. რამდენიმე დოკუმენტი მოიპოვება საქართველოს სახელმწიფო არქივშიც.

* * *

შოთა რუსთაველის დაბადების 750 წლისთავის¹ აღსანიშნავ იუბილესთან დაკავშირებით, განზრახული იყო გამოცემულიყო ვეფხისტყაოსნის კრიტიკულად დადგენილი ტექსტი. ამისათვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან შეიქმნა ტექსტის დამდგენი კომისია. მათ შორის მუშაობას ეწეოდა მხოლოდ რვა კაცი: იუსტ. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი (მდივანი), ს. კაკაბაძე, კ. ქველიძე, (I თავმჯდომარე), ა. შანიძე (II თავმჯდომარე) და კ. ჭიჭინაძე².

კომისიამ დაიწყო მუშაობა 1935 წ. 15 მაისს (ოქმი № 24) და იმავე წლის 23 ნოემბრამდე განიხილა და დაადგინა პოემის, ს. კაკაბაძის პირველი (1914 წ.) გამოცემის მიხედვით, 731 ძირითადი და 295 ჩანართი სტროფი (ოქმი № 122)³.

ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენი კომისიის მორიგი სხდომა შედგა 1935 წ. 23 ნოემბერს. დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი და ა. შანიძე (თ-რე). განხილულ და დადგენილ იქნა 732—739 სტროფები.

732-ე სტროფი: შესთვალა თუ, რაცა გამართებს... ძირითადად მიიჩნიეს. მეოთხე ტაეპში: შეგიცვალო, გასწორდა: შეგიცალო.

733-ე სტროფი: მე ვითა ვთქვა უებრობა... ძირითადად ცნეს. ვ. ბერიძე აყენებს კითხვას, ხომ არ არის ამ სტროფში ავთანდილის სიტყვები ტარიელის შესახებ? ავთანდილი იგონებს რა ტარიელს,

¹ 750 წელს ზოგი მკვლევარი ვეფხისტყაოსნის დაწერის თარიღად თვლის.

² ქვემოთ სხდომებზე კომისიის შემადგენლობის ჩამოთვლისას, როდესაც თავმჯდომარე და მდივანი დასახელებული არაა, თავმჯდომარედ იგულისხმება კ. ქველიძე, მდივანად — სოლ. იორდანიშვილი.

³ კომისიის ამ პერიოდში ჩატარებული მუშაობის შესახებ ვრცლად იხ. სოლ. ყუბანეიშვილის — ვეფხისტყაოსნის ბექლვის ისტორიიდან, ტ. II, ნაკვეთი, I, 1973 გვ. 89—293.

ქება-დიდებას ასწამს მას. ავთანდილმა იცის, რომ ის გასაჭირშია და დაასკვნის, მას მოხმარება უნდა. ა. ბარამიძე აღნიშნავს, რომ ამ სტროფში მოცემულია ავტორის სიტყვები, როგორც ერთგვარი დაბოლოება მთელ ამ თავში მოყვანილი თხრობისა, სადაც არის ავთანდილის საუბარი მეფის ვეზირთან. ამ ვეზირს შესახებ არის ნათქვამი, რომ კაცი იყო საქმისადა შესაფერი, შესატყვისი. ავტორის მიერ მოწონებულია ის დანმარება, რომელიც მან გაუწია ავთანდილს და დაასკვნის: ოდეს კაცსა დაეჭიროს, მაშინ უნდა ძმა და თვისიო. ავთანდილს სიტყვები თავდება წინა სტროფში. იქ ბრჭყალები უნდა დაისვას. ეს სტროფი კი ავტორის სიტყვებიაო. ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ მისი აზრით სტროფში მოცემული სიტყვები ავთანდილისა უნდა იყოს და ტარიელს უნდა შეეხებოდეს. ვეზირს იანეთი არა ჩაუდენია რა, რომ ავტორს მისი უებრობის, სიკეთისა და ქების თქმა გაძნელებოდა. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ სტროფში ნათქვამი: კაცი იყო საქმისადა შესაფერი, შესატყვისი — ვეზირის მიერ შესრულებულ საქმეს უნდა გულისხმობდეს და ტარიელის შესახებ ამის თქმა არ შეიძლება. ამიტომ სტროფს ავთანდილის სიტყვებად ვერ მივიჩნევთ. კომისიამ სტროფი ავტორის სიტყვებად იცნო. მესამე ტაეპში: მართებს, გასწორდა — უნდა; გავილოდეს დაიწერა — ჰგავილოდეს.

734-ე სტროფი: შერმანდინს ეტყვის, უბრძანებს... ძირითადად მიიჩნიეს. მეოთხე ტაეპში გასწორდა: ამბვისა — ამბისა; ჰხამს — ხამს.

735-ე სტროფი: იტყვის როსტან არ გამიშვა... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: სულდგმული ვისგან ვინა, გასწორდა — სულდგმული ვარ ვისგან ვინა. მეოთხე ტაეპში: ნუ გარედა, ნურცა შინა, გასწორდა — ნუცა გარე, ნუცა შინა; მეოთხე ტაეპის — „რაცა საქმე. უსამართლოს“ შესახებ ვ. ბერიძე ასეთ წაკითხვას აყენებდა: რაცა საქმე. კომისიამ მიიღო: რაცა საქმე უსამართლო...

736-ე სტროფი: თუცა მისი არ გაწირვა... ძირითადად მიიჩნიეს. მესამე ტაეპში ტირის, სულ თქვამს, გასწორდა — ტირს და სულთქვამს. მეოთხე ტაეპი იწვევს კამათს. ვ. ბერიძემ წამოაყენა ერთ-ერთ ხელნაწერში მოცემული წაკითხვა: ლხინსა არას არ იახლებს, ჰკრთების, კუშტებს, ვაებს, უშობს. ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ მეოთხე ტაეპში სარიტმოდ სიტყვა უშობს არ გამოდგება, რად-

გან რითმა უობს არის ყველგან. შესაძლოა აქ იყო ქსუობს, რად-
გან არის: არავის არ იახლებს, ერიდება და კრთებაო. ა. შანიძე აღ-
ნიშნავს, რომ მართალია უობს მოცემულია ორ ხელნაწერში, და
ქსუობს კი ერთში, მაგრამ აზრით ქსუობს უფრო უდგება და მეც
ქსუობას დავუჭერდი მხარსაო, სტროფის სადავო ტაეპი ასე იქნა
მიღებული: არას კაცსა არ იახლებს, ერიდებას, კრთების, ქსუობს.

1736-ე სტროფი: ოდეს ბრძენთა გავიგონითო... ჩანართად ცნეს.
მესამე ტაეპში გასწორდა: ერთგან—ერთად; გავაშორით—გავაორით.
1737-ე სტროფი: საში არის მოყვრისაგან... ძირითადად იქნა
ცნობილი. ცვლილებები არ შეტანილა.

1737-ე სტროფი: მან გამისრულა ყოველი... ჩანართად მიიჩნიეს.
მეორე ტაეპში გასწორდა. მიგები — შიგ ები. მეოთხე ტაეპში: სო-
ფელი, დაიწერა — სოფელო.

1736-ე სტროფი: რადლა ვაგრძელებ სიტყვასა... ძირითადად
ცნეს. მეორე ტაეპში: ამ გულის დაწყლულებისა, გასწორდა —ამა
გულისა ლებისა. მეოთხე ტაეპში: ნასწრაფებისა დაიწერა — ნასწავ-
ლებისა.

1739-ე სტროფი: აწ მეფეთა სამსახურად... ძირითადად მიიჩნიეს.
პირველ ტაეპში უკლებრობა, დაიწერა — უკლებლობა. მეოთხე ტა-
ეპში: აქამდისი, გასწორდა — აქანამდისი.

კომისიის მორიგ სხდომას (1935, 25, XI) დაესწრნენ: ი. აბულა-
ძე, ა. ბარამიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძე და ა. შა-
ნიძე (თ-რე) განხილულ და დადგენილ იქნა 740—751 სტროფები.

740-ე სტროფი: მტერთა ჩემთა ენაპირე... ძირითადად ცნეს.
წაკითხვათა ცვლილებანი არ შეტანილა.

741-ე სტროფი: ესე ესმა, ცრემლი ცხელი... ძირითადად მიიჩ-
ნიეს. მეორე ტაეპში: შეუშინდა, დაიწერა — შეეუშინდი. მეოთხე
ტაეპში გასწორდა: მოგეხმარე — მოგეხმარო, რადაც — რადცა.

742-ე სტროფი: ვის ასმია მარტოსაგან... ძირითადად მიიჩნიეს.
არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

743-ე სტროფი: შენგან ჩემი სიყვარული... ძირითადად იქნა
ცნობილი. მეოთხე ტაეპში: გული დასდევ, გასწორდა — გული და-
დევ.

744-ე სტროფი: თუ მიჯნური ვარ... ძირითადად ცნეს. გასწორ-
და—პირველ ტაეპში: მარებლად—მე რებად. მეორე ტაეპში: სისხ-
ლისა ცრემლთა — ცრემლისა სისხლსა; ფერებლად — ფერებად.
მესამე ტაეპში: არა სცალს თავის — რად სცალს თავისა; ბრალებად

— ბერებად. მეოთხე ტაეპში: შესჯერდი-ს დაწერას ი. აბულაძე მოითხოვდა უსანოდ

745-ე სტროფი: რა მოვშორდე, მახსენებდი... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: რომ კაცსა, გასწორდა — რა კაცსა,

746-ე სტროფი: მე იგი ვარ... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: არა მოკრებს კიტრად ბერად, ი. აბულაძის წინადადების თანახმად, გასწორდა: არ ამოვკრებ კიტრად ბერად. მეოთხე ტაეპში: მას თუ დავსთმობ სახლსა ჩემსა, ველარ დავსთმობ ვისსა ვერად? კ. კეკელიძის წინადადების თანახმად ასე შეიცვალა: მას თუ დავსთმობ, სახლსა ჩემსა ვერდა დავსთმობ ვისსა ვერად? ე. ი. ავთანდილი ამბობს, ჩემს მზეს თინათინს თუ დავთმობ, ჩემ სახლს ველარ დავუტოვებ ვისმეო? ი. აბულაძე ამ აზრს არ იზიარებს და შემდეგ წაკითხვას აყენებს: მაშ თუ დავსთმობ სახლსა ჩემსა, ველარ დავსთმობ ვის სადვერად?

747-ე სტროფი: აწ ანდერძსა ჩემსა მოვცემ... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: დაიდენდი, დაიწერა — დაიდებდი.

748-ე სტროფი: დაჯდა წერად ანდერძისად... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: გავიპარვი, გასწორდა — გავიპარე.

749-ე სტროფი: ვიცი, ბოლოდ არ დამიგდებ... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: გაზრახულსა, დაიწერა — განზრახულსა.

750-ე სტროფი: რათგან თავია სიცრუე... ძირითადად მიიჩნიეს. მესამე ტაეპში: ფილასოფოსთა, გასწორდა — ფილოსოფოსთა. ფილასოფოსთა-ს მხარს უჭერდნენ ა. შანიძე და ი. აბულაძე, მეოთხე ტაეპში: ზე წესთა მწყობრისა, გასწორდა — ზესთ მწყობრთა წყობისა.

751-ე სტროფი: წავიკითხავ, სიყვარულსა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: წავიკითხავ, გასწორდა — წავიკითხავს. მესამე ტაეპში: აგვამალლებს, დაიწერა — აღგვამალლებს; ევეანი, გასწორდა — ევეანნი.

ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენ კომისიის მორიგ სხდომას (1935, 26, XI) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძე და ა. შანიძე (თ-რე). განხილულ და დადგენილ იქნა 752—753 სტროფები.

752-ე სტროფი: ვინ დამბადა, შეძლებაცა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: ძლევა, მტერთად, გასწორდა — ძლევად მტერთად: ს. კაკაბაძე მოითხოვდა: ძლევა მტერთად. მეორე ტაეპში გასწორდა: ძალთა მეცნიერი — ძალი უხილავი; შემწე — შემწედ.

753-ე სტროფი: -რაცა ღმერთსა არა სწადდეს... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: რამე, დაიწერა — რადმე.

მორიგ სხდომას (1935, X, 27) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი და კ. კეკელიძე. გაზხილულ და დადგენილ იქნა 754-768¹ სტროფები.

754-ე სტროფი: რაზომცა სწყურები... ძირითადად მიიჩნიეს. მეოთხე ტაეპში, ი. აბულაძის წინადადების თანახმად, ნაცვლად — ყოფაცა მქონდეს ნებისა, მიღებულ იქნა: ყოფამცა მქონდა ნებისა.

755-ე სტროფი: არას გარგებს სამძიმარი... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: სამძიმარი, დაიწერა—სიმძიმელი.

756-ე სტროფი: რაცა ღმერთსა გაუგია... ძირითადად მიიჩნიეს. მესამე ტაეპში: გნახო, დაიწერა—გნახნე.

757-ე სტროფი: მეფეო, ესე თათბირი... ძირითადად ცნეს. არსებითა ცვლილებები არ შეტანილა.

758-ე სტროფი: არ დავიწყება მოყვრისა... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: უაუგოსა, გასწორდა — აუგიანსა. მესამე ტაეპში: სვიანსა, გასწორდა—მზიანსა. მეოთხე ტაეპში: სულ გრძელსა, გასწორდა--სულდიდსა. სტროფის ძირითად ტექსტში შეტანის წინააღმდეგი იყო ი. აბულაძე. მასში წინა სტროფში გამოთქმულ აზრების გამეორებას ვხედავო. სტროფი სტილის მხრივაც იწვევს ექვსაო.

759-ე სტროფი: რა უარეა მამაცსა... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: შედრეკით შეშინებულსა, გასწორდა — შედრეკილ-შეშინებულსა.

760-სტროფი: ვერ დაიჭირავს სიკვდილსა... ძირითადად იქნა ცნობილი. მეოთხე ტაეპში ნაძრახსა, დაიწერა ნაზრახსა.

761-ე სტროფი: მერმე ვიშიშვი, მეფეო... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: სცდების, გასწორდა—ცთების. მეოთხე ტაეპში: გნახენ, დაიწერა გნახნე; ყოფაცა, გასწორდა — ყოფამცა.

762-ე სტროფი: თუ საწუთრომან დამამხოს... ძირითადად მიიჩნიეს. მესამე ტაეპში: მოყვასთა, გასწორდა — დაზრდილთა. მეოთხე ტაეპში: მოწყალედ მღმობელმან, გასწორდა — მოწყალე-მღმობელმან.

763-ე სტროფი: მაქვს საქონელი... ძირითადად მიიჩნიეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

763¹-ე სტროფი: ღმერთს შემვედრებენ... ჩანართად ცნეს. მეოთხე ტაეპში: მამეც, დაიწერა—მომცეს.

763²-ე სტროფი: დამხსნას ბნელსა... ჩანართად მიიჩნიეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

764-ე სტროფი: რაცა თქვენთვის... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: ხანავთა და, გასწორდა—ხანავათა. მესამე ტაეპში: წასაგებლად, დაიწერა—წარსაგებლად.

765-ე სტროფი: ამას იქით... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: გარგებს, დაიწერა—მარგებს.

766-ე სტროფი: გვედრებ, მეფეო... ძირითადად ცნეს. არსებითი ცვლილებანი არ შეტანილა.

767-ე სტროფი: დასრულდა ჩემი ანდერძი... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: დასრულდა, გასწორდა—გასრულდა. მესამე ტაეპში: მოსილი, დაიწერა—მოსილნი. მეოთხე ტაეპში: სუფევეითამც დაიწერა—სუფევეითმცა.

768-ე სტროფი: მისცა ანდერძი... ძირითადად იქნა ცნობილი. მესამე ტაეპში: სამსახურითა, გასწორდა—მსახურებითა.

768¹-ე სტროფი: ყმა შეეკაზმა... ჩანართად ცნეს. მესამე ტაეპში: შეპოვება, დაიწერა—შეპოვნება; მოვლი, გასწორდა—მოველი.

შემდეგ სხდომას (1935, XI, 28) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე და კ. ქვეკელიძე. განხილულ და დადგენილ იქნა 769—789 სტროფები.

769-ე სტროფი: ილოცავს, იტყვის... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: ზღვათაო, გასწორდა—ცათაო.

770-ე სტროფი: ღმერთო, ღმერთო გეაჯები... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: ქვეყნად დაიწერა—ქვენათ.

771-ე სტროფი: ღმერთო, ღმერთო მოწყალეო... ძირითადად მიიჩნიეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

772-ე სტროფი: რა იცოდა, ცხენსა შეჭდა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: რა იცოდა, გასწორდა—რა ილოცა. მეორე ტაეპში: თუცა ვამნი აღიადნა, გასწორდა—საბრალომან ცრემლნი ღვარნა. მესამე ტაეპში: საბრალომან ცრემლნი ღვარნა, გასწორდა—სისხლმან მისმან კლდენი ღარნა.

772¹-ე სტროფი: მოსთქვამს და იტყვის... ჩანართად ცნეს. წინა-აღმდეგა იყო ს. კაკაბაძე, მეორე ტაეპში: აროდეს, დაიწერა—აღარა. მეოთხე ტაეპში: მდინდების, გასწორდა—მილდების.

773-ე სტროფი: აწ ამბავი... ძირითადად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

774-ე სტროფი: რა ვაზირი... ძირითადად მიიჩნიეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

775-ე სტროფი: თუ რად მახსოვს... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: თუ რად მახსოვს, გასწორდა—თულა გახსოვს; რა, დაიწერა — რად; წინააღმდეგი იყო ა. ბარამიძე. მეოთხე ტაეპი: მართლა, გასწორდა—თქვი და.

776-ე სტროფი: კვლავ მოახსენა... ძირითადად მიიჩნიეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

777-ე სტროფი: რა გამოვიდა, ვაზირი... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: ვაზირი, დაიწერა—ვაზირმან.

778-ე სტროფი: რა ვაზირი... ძირითადად მიიჩნიეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

779-ე სტროფი: თავ დადრეკით... ძირითადად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

780-ე სტროფი: კვლავ შევა დარბაზს... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: წასულა, გასწორდა—წასრულა.

781-ე სტროფი: რა შეფეშან მოსმინა... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: წახველ, გასწორდა — წაჰხე; დაკარგე, დაიწერა — დაჰკარგენ.

782-ე სტროფი: თუ თავი შენი შენ გახლავს... ძირითადად მიიჩნიეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

782¹-ე სტროფი: გაზრდილო, ცეცხლი მედეგის... ჩანართად ცნეს.

783-ე სტროფი: ოდეს განახავ... ძირითადად მიიჩნიეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

784-ე სტროფი: ვიცი, არ მოგკლავს... ძირითადად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

785-ე სტროფი: ზარი გაისმა... ძირითადად მიიჩნიეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

786-ე სტროფი: რა შეფეშან დიდებულნი... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: ნახა, დაიწერა—ნახნა. მესამე ტაეპში: გაგყვარნა, გასწორდა—დაგყვარნა.

787-ე სტროფი: ყოვლნი ტიროდეს... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: დადუმდეს, გასწორდა—დაწყენარდეს, მეოთხე ტაეპში: მეფესა, გასწორდა—ატირდა.

788-ე სტროფი: მოახსენა, საწოლს ვპოვე... ძირითადად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

789-ე სტროფი: რა ანდერძი წაიკითხეს... ძირითადად მიიჩნიეს. მესამე ტაეპში: ვამლოცვინოთ, გასწორდა—ვამლოცველნეთ. მე-

ოთხე ტაეპში: ნუთუ ღმერთმან მშვიდობისა, გასწორდა—მშვიდობისა. ნუთუ ღმერთმან.

29 ნოემბრის სხდომას დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე (მღ.), ვ. ბერიძე, ს. კაკაბაძე და კ. კეკელიძე. კომისიამ განიხილა და დაადგინა 790—794 სტროფები.

790-ე სტროფი: მთვარე მზესა მოეშოროს... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: მოშორებება, — იწვევს ვ. ბერიძის შენიშვნას. იგი მომხრეა მიღებულ იქნეს გამარტივებული წაკითხვა: მოშორებება (როგორათაც ხმარობენ მ. ბროსე და დ. ჩუბინიშვილი). ასეთი შესწორება კომისიამ არ გაიზიარა: მეორე ტაეპში, ვ. ბერიძის წინადადებით, იხილოს, გასწორდა—ეახლოს. ს. კაკაბაძე კი თხოულობს ხელნაწერთა ტრადიციის, იხილოს, შეუცვლელად დატოვებას.

791-ე სტროფი: აწყა დავიწყებ ამბავსა... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: აწყა—იწვევს აზრთა სხვაობას: ი. აბულაძის აზრით, აწყას ნაცვლად უნდა მივიღოთ: აწლა (უკანასკნელი ფორმა მოიპოვება: მხოლოდ ორ ხელნაწერში). კ. კეკელიძის აზრით, აწყა იმიტომაც არის საჭირო, რომ ტაეპში გარკვეული აქცენტუაციაა ყარებზე: აწყა... დავიწყებ... ყმისა. კ. კეკელიძეს მხარს უჭერენ ა. ბარამიძე, ს. კაკაბაძე და ვ. ბერიძე. წინააღმდეგია მხოლოდ ი. აბულაძე. მეორე ტაეპში: მივა, მისტირის, გასწორდა — მივა და მისტირის. ვ. ბერიძე და ა. ბარამიძე იცავენ ფორმას: მიტირის (плачет, а не оплакивает). მესამე ტაეპში: დაბრუნდის, გასწორდა — დაბრუნდის; იაჯის — იაჯდის. მეოთხე ტაეპში: მოხსნის, იწვევს კამათს: ვ. ბერიძის აზრით, თუმცა გრამატიკულად საჭიროა მოჰხსნის (თვალნი), მაგრამ ეს ლექსს ამძიმებს, თანაც არც ერთი ხელნაწერი არ იძლევა მსგავს წაკითხვას, ამიტომ სათანადო შენიშვნით მივიღოთ: მოჰხსნის. ს. კაკაბაძეც იცავს — მოჰხსნის, როგორც ხელნაწერებით დადასტურებულ ფორმას. კ. კეკელიძის აზრით, სრულიად არ არის საჭირო ხელნაწერების მცდარი წაკითხვის გამოცემაში შეტანა, რადგან „თვალნი“ მრავლობით რიცხვშია, ზმნაც უნდა ჰქონდეს შეთანხმებული, თორემ სრულ შეუსაბამობას მივიღებდით. კენჭის ყრით მიღებულ იქნა: მოჰხსნის, წინააღმდეგი იყვნენ ვ. ბერიძე და ს. კაკაბაძე.

792-ე სტროფი: რა მიეახლის დაბნედად... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში გასწორდა: მიეახლის — მიეახლის; გაძვრად — დაძვრად. ვ. ბერიძე წინააღმდეგია მეორე ტაეპში დილაჯის დიჯლისად გასწორებისა. მისი აზრით, რუსთველის დროისათვის უჩვეულოა მსგავსი რედუქცია. მაშინ იხმარებოდა: ქვეყანის, ანალოგი-

ჟურია: დილაჯის. ხელნაწერთა უმრავლესობის ჩვენებაზე დაყრდნობით კომისია ლებულობს ფორმას: დიჯლისა. აზრთა სხვაობას იწვევს მესამე ტაეპი: ხელნაწერთა უმრავლესობა და ვახტანგისეული განოცემა იაჯდის ნაცვლად იძლევა წაქითხვას იჭვრეტდის. ი. აბულაძის განმარტებით, იჭვრეტდის ნიშნავს განსჭვრეტდის, მოისაზრებდის (პატიჟთა დათმენისათვის საჭირო ღონეს). ამ განმარტებას მხარს უჭერენ კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე და ს. კაკაბაძე, მით უმეტეს რომ იაჯდის უკვე ნახმარია 791-ე სტროფის მესამე ტაეპში. (ა. ბარამიძე) ვ. ბერიძის აზრით, როდესაც ვეფხისტყაოსნის გმირი რაიმეს ითხოვს განგებისაგან, მაშინ იხმარება ფორმა იაჯდის. ესევე ფორმა უნდა დარჩეს აქაც, თუმცა ის წინა სტროფშიც იხმარება. კომისია ვ. ბერიძის წინააღმდეგ ლებულობს: იჭვრეტდის.

793-ე სტროფი: თქუა, მზეო... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: მზეო, გასწორდა. ჩემო მესამე ტაეპში: სჭირდეს, შეიცვალა — სწადდეს.

794-ე სტროფი: მე რა ვქნა... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: თუმცა, გასწორდა — თუცა. მეოთხე ტაეპში: მივსცეთ, გასწორდა — მივსცნე.

794¹-ე სტროფი: ტირს იტყვის... იწვევს კამათს: ი. აბულაძე ამ სტროფს თვლის უწმაწურად და უმგვანოდ, მაგალითად ფორმა კეშანი, ტეური ვთხზა და სხვ. სტროფი ყოველ შიზეზ გარეშე ყალბიაო. ა. ბარამიძეს ეს სტროფი ფორმის მხრით უხეიროდ მიაჩნია, ხოლო აზრით არაფერს საყურადღებოს არ იძლევა. კ. კეკელიძემ განაცხადა — სტროფი არც აზრით ვარგა და არც ფორმითო. ვ. ბერიძე — საშინელიაო. ს. კაკაბაძის შეხედულებით, თუმცა საცილობელი სტროფი აზრის მხრით არაა საჭირო, მაგრამ უნდა დარჩეს, რადგან ყველა ხელნაწერი იცავს. კომისიამ სტროფი ჩანართად მიიჩნია. წინააღმდეგი იყო ს. კაკაბაძე. პირველ ტაეპში: დავდვა, დაიწერა — დადვა. მეოთხე ტაეპში: პატიჟსა, გასწორდა — პატიჟთა.

შემდეგ სხდომას (1935, XII, I) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე და ა. შანიძე, კომისიამ 795-ე სტროფის: იტყვის ჰე, მზეო... განხილვა გადასდო მორიგი სხდომისათვის, ამ სხდომაზე კი განხილულ და დადგენილ იქნა 796—809 სტროფები.

796-ე სტროფი: ვის ხატად ღმრთისად... ძირითადად მიიჩნიეს. გასწორდა — პირველ ტაეპში: ფილასოფოსნი — ფილოსოფოსნი. მეორე ტაეპში: მაზია—მაზიან. მესამე ტაეპში: ბროლ—ბალახშისა — ბროლ—ბადახშისა; დავკარგე — დავკარგენ.

797-ე სტროფი: ამას მოსთქმიდის, იწოდის... ძირითადად ცნეს, პირველ ტაეპში: იწოდის, დაიწერა — იწვოდის. მესამე ტაეპში: იამებოდის, გასწორდა — ეამებოდის; წინააღმდეგნი იყვნენ ი. აბულაძე და ს. კაკაბაძე.

798-ე სტროფი: მთვარესა ეტყვის, იფიცე... ძირითადად მიიჩინეს. მეორე ტაეპში: მამცემი, დაიწერა — მიმცემი.

799-ე სტროფი: ღამე აღზენდის... ძირითადად ცნეს. გასწორდა — პირველ ტაეპში: რჯიდის — სჯიდის; ჩასვლასა — ჩასლვასა. მესამე ტაეპში: რთევდის — რთვიდის. მეოთხე ტაეპში: მასვე — მისვე.

მე-800 სტროფი: მარტო მოსთქმიდის... ძირითადად მიიჩინეს. მეოთხე ტაეპში: ვაგლახიანი, დაიწერა — ვაგლახ, იანი. შესწორებულ წინააღმდეგნი იყვნენ ა. ბარამიძე, ს. იორდანიშვილი და ს. კაკაბაძე.

801-ე სტროფი: აწ ვერ ვიტყვი... ძირითადად იქნა ცნობილი. მეოთხე ტაეპში: ნახა, დაიწერა — ნახნა.

802-ე სტროფი: რა ასმათმან დაინახა... ძირითადად მიიჩინეს.

მეორე ტაეპში: იამა, დაიწერა — ეამა; წინააღმდეგი იყო ი. აბულაძე. მესამე ტაეპში: აკოცა, გასწორდა — აკოცებს. მეოთხე ტაეპში: იამების, გასწორდა — ეამების; წინააღმდეგი იყო ი. აბულაძე.

803-ე სტროფი: ყმა ქალსა ეტყვის... ძირითადად ცნეს. გასწორდა — მესამე ტაეპი: იტყვის — ეტყვის, მეოთხე ტაეპში: არც — არ.

804-ე სტროფი: ყმა დაჰმუნდა... ძირითადად იქნა ცნობილი. მეორე ტაეპში: აგეთმცა, გასწორდა — ეგეთმცა. მესამე ტაეპში: რად, დაიწერა ვით.

804¹-ე სტროფი: თუ უმისოდ... იწვევს კამათს. ი. აბულაძე აღნიშნავს, რომ ეს სტროფი აზრის მხრივ წინა სტროფის გამეორებაა. მისი ტექსტიდან განდევნით მოთხრობის ბუნებრივ მსვლელობას არა აკლდება რა. ამასთან, ამ სტროფს არ იცნობს ხელნაწერი S2829. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ სტროფი ყალბიაო. კომისიამ სტროფი ძირითადად იცნო. წინააღმდეგი იყო ი. აბულაძე. პირველ ტაეპში: თუ, გასწორდა — მე; ჰირად, დაიწერა — ჩირად. მეორე ტაეპში: დავიწყდი, გასწორდა — დავვიწყდი; მოვსცილდი, დაიწერა — მივსცილდი.

805-ე სტროფი: კვლა ქალი ეტყვის... ძირითადად მიიჩინეს. პირველ ტაეპში გასწორდა: მაგისა — მაგისა. მეორე ტაეპში: გაბრჭო, გასწორდა — გავბრჭო. მესამე ტაეპში: ფიცისა პირისა, გასწორდა — ფიცის და პირისა.

806-ე სტროფი: გული, ცნობა და გონება... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: მივლენ, გასწორდა — წაეღენ. მეოთხე ტაეპში: ცეცხლი, დაიწერა — ცეცხლნი.

807-ე სტროფი: შენ უმართლე ხარ... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: ვით გეამბობის, გასწორდა — ვითა გეამბო; წინააღმდეგი იყო ს. იორდანიშვილი.

808-ე სტროფი: ჭერდ მისი მგზავსი... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: ჭერდ, დაიწერა — ჭერთ; მგზავსი, გასწორდა — მსგავსი; ამბვალ, დაიწერა — ამბალ. მეორე ტაეპში: თუ არა, გასწორდა — არა თუ; შენაძრწენია, გასწორდა — შესაძრწენია. მესამე ტაეპში: დილჯადცა, დაიწერა — დიჯლადცა.

809-ე, სტროფი: მას წამავეალსა ვკითხვედნი... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: მისგანვე დავედრებულსა, გასწორდა — მისსა დამვედრე დებულსა. მეოთხე ტაეპში: ამა არეთა არ დაეყრი, გასწორდა — ამათ არ დაეყრი არეთა.

შემდეგ სხდომას (1935, XII, 2) დაესწრნენ ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძე და ა. შანიძე (თ-რე). კომისია შეუდგა 795-ე სტროფის: იტყვის, ჰე, მზეო... განხილვას. მოხსენებას ამ სტროფის შესახებ კითხულობს კ. კეკელიძე. „როგორც იცით, ამბობს მომხსენებელი, როდესაც რუსთველის სარწმუნოებრივ მსოფლმხედველობას ეხებიან და ცდილობენ უჩვენონ, რომ იგი არ იყო ქრისტიანი, — ამის ერთ-ერთ მთავარ საბუთად იმას ასახელებენ, რომ პოემის ავტორი სამებას არ არ ახსენებსო. ასე მაგალითად, სულ უკანასკნელ ხაზს ასეთი აზრი გაიმეორა მ. ტორთქელიძემ ქართული ლიტერატურის მიმოხილვაში. ერთი სიტყვით, ისე გამოდის, რომ ჩვენი მეცნიერები თხოულობენ პოეტისაგან, რომ მან სამებისა, ღვთიშობელსა და ანგელოზებზე ილაპარაკოს. მათ ერთხელაც არ დაუსვამთ საკითხი იმის შესახებ, ეწინააღმდეგება თუ არა სამების საკითხს ის, რასაც ვეფხისტყაოსნის ავტორი გარკვევით ამბობს. ამ გარემოებისათვის მეტად საყუარადღებოა ის სტროფი, სადაც ნახმარია ტერმინი „ერთ არსება“. მზე აქ წარმოდგენილია ხატად, სახედ „ერთარსებისა ერთისა, მის უყამოსა უამისად“. ამ ტერმინის ამგვარად ხმარების გამო შემიძლია ვთქვა, რომ ამის დამწერი უსათუოდ აღიარებს სამებას, რადგან ერთარსება *implicite* გულისხმობს სამებას. ეს გარემოება მაფიქრებინებს, რომ ჩვენ ამ სტროფის პირველ ტაეპში „ჰე, მზეო, ვინ ხატად გოქვეს მზიანისა დამისად“ უნდა გვქონდეს შეგნებული თუ შეუგნებელი დამანიხლება, რომელიც საფიქრებელია აღრე-

ვე მოჰსდარა. მართლაც, რა აზრია ამ სიტყვებში: „ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა ღამისად“ — აქ მზიანისა ღამისად — სრული წინააღმდეგობაა მსაზღვრელისა და სასაზღვრს შორის — *contradictio in adjecto* მზიანი ღამე მაშინ, როდესაც იგივე მზე მიჩნეულია ხატად, სახედ ერთ არსებისა. ეს გარემოება მაფიქრებინებს რომ მზიანისა ღამისად უნდა იყოს დამახინჯება და მის ალაგას აქ უნდა იკითხებოდეს ზენაისა სამისა. მაშინ აზრი ასეთი იქნება: ჰე, მზეო, ვისაც გთვლიან სახედ, ხატად ზენაისა სამისა, ერთარსებისა ერთისა“. ასეთი გაგება შესაძლებელია მით უმეტეს, რომ შემდეგ სტროფში ვკითხულობთ: ვის ხატად ღმრთისად გიტყვიან ფილოსოფოსნი წინანი. მაშასადამე, მზე არის ხატი ღმრთისა. ე. ი. ზენაისა სამისა. აღსანიშნავია, რომ მის უქამოსა უამისა სხვათა შორის გაფრცელებული ტერმინია ღვთაების აღსანიშნავად. ესეთი გამოთქმა ძალიან ხშირია პ. ინგოროყვას მიერ გამოცემულ სასულიერო პოეზიაშიც. ამგვარად ეს ტაეპი ასე უნდა შესწორდეს: ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვეს ზენაისა სამისად. აღსანიშნავია, რომ ვეფხისტყაოსნის გამოცემლებს ამ ტაეპისათვის ყურადღება არ მიუქცევიათ და ყველა ბეჭდავს — მზიანისა ღამისად. ერთადერთ ზ. ავალიშვილს მოჰყავს თავის წიგნში ეს ტაეპი კითხვის ნიშნით; როგორც ჩანს, დამახინჯებულად მიიჩნევს ტაეპს, ხელნაწერებიც სხვა წაკითხვას არ გვაძლევენო.

ი. აბულაძე არ იზიარებს წარმოდგენილ შესწორებას და აღნიშნავს, რომ ერთარსებას ისლამიც აღიარებს და ერთარსების ხსენებით არ იგულისხმება უსათუოდ ქრისტიანობა, ქრისტიანული ღვთაება. ამასთან შესაძლებელია იყოს რაიმე მოძღვრება, თუნდაც ნეო-პლატონიზმის ნიადაგზე, რომლისათვის არ იყოს უჩვეულო ასეთი გამოთქმა, როგორცაა მზიანისა ღამისად, რაც შეეხება ფორმას ზენაისა-ს ასეთი რამ რუსთველისათვის არ არის დამახასიათებელი და სხვაგან არსად აქვს ნახმარიო.

ვ. ბერიძის აზრით, მეორე ტაეპი „ერთარსებისა ერთსა, მის უქამოსა უამისად“. პირდაპირი გაგრძელებაა პირველ ტაეპისა. ერთარსება კი არ შეიძლება იყოს მზიანი ღამის ატრიბუტი. ეს უაზრობაა. წამოყენებული შესწორება კი აზრიანია და სრულიად მისაღებო.

ა. ბარამიძეს წარმოდგენილი შენიშვნა მოულოდნელად მიაჩნდა, თუმცა სთვლის მას მეტად მახვილგონივრულ შენიშვნად. მისი აზრით, შესწორება გასაზიარებელია, მაგრამ რადგან შესწორება რადიკალურად ცვლის არსებულ წაკითხვას და აზრს, ამიტომ ასე სასწრაფოდ ნუ გადავწყვეტთ ამ მნიშვნელოვან საკითხს და ნება მიე-

ეს ყველა ჩვენგანს კიდევ დაუკვირდეს ამ საკითხს და შემდეგ ვიქონიოთ საბოლოო მსჯელობა და მას შემდეგ მივიღოთ რაიმე გადაწყვეტილება.

ა. წინაიძე აღნიშნავს, რომ უსათუოდ გონებაშეცვლილი შესწორებაა, როგორც აქ თქვესო, მაგრამ მას ყოველმხრივ უნდა მივეუდგეთო, რადგან ამის გასწორება ნიშნავს სულ შეცვლას ტაეპის აზრისა და ძალიან საპასუხისმგებლო ცვლილება არისო. რადგან „ერთარსება“ ამავე დროს არის დოგმა მაჰმადიანობისა, შესაძლოა ავტორს იგი არაქრისტიანულ გაგებითაც ეხმარა. ამ შესწორებით კი, თუ მივიღებთ ზ ე ნ ა ი ს ა სამისა — ქრისტიანული დოგმა გამოდის, მაშინ როდესაც შესაძლოა სიტყვებში: მ ზ ი ა ნ ი ს ა ლ ა მ ი ს ა დ სხვაგვარი დამახინჩება იყოს. ამიტომ ჩემი წინადადებაა კორნელის მოხსენება დაიბეჭდოს რუსთველის კრებულში¹ და გაგრძელდეს მის შესახებ კვლევები. აქ კი დარჩეს ისე, როგორც ყველა ხელნაწერშია და ყველა გამომცემლობას აქვთ.

ვ. ბერიძე მოითხოვს, რომ დღესვე გადაწყდეს შესწორების შილება — მიუღებლობის საკითხი.

ა. კაკაბაძე აღნიშნავს, რომ ჩვენამდის მოღწეული ხელნაწერები უნდა მომდინარეობდნენ ერთ ავტოგრაფიდან და რადგან ყველა ხელნაწერში ასეთი წაკითხვაა მ ზ ი ა ნ ი ს ა ლ ა მ ი ს ა დ, ამიტომ, თუ ჩვენ მას შევასწორებთ, უნდა დავუშვათ, რომ ხელნაწერები მომდინარეობენ დამახინჩებულ პირიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა ხელნაწერში ერთი და იგივე დამახინჩება არ იქნებოდა. რაც შეეხება „მზიანისა ლამისად“ შესაძლოა იყოს მ ზ ი ა ნ ი ს ა — ლ ა მ ი ს ა დ — ამის ანალოგია გვაქვს ვეფხისტყაოსანში „ამბავი ჩემი სალხინო მითხარო ვისმან-და დამან“ (1197).

ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ ვინაიდან ამ დამახინჩებულ ადგილის სხვა დამაჯერებელი შესწორება, კორნელის მიერ წარმოდგენილის გარდა, დღესდღეობით არა გვაქვს, ამიტომ ეს შესწორება მივიღოთ. თუ შემდეგში ვისმე ექნება რაიმე მოსახსენებელი ამ სტროფის შესახებ, ჩვენ მიერ მიღებული მსჯელობის წესი ასეთ შესაძლებლობას არ გამოორიცხავს და შეიძლება ჩვენ კიდევ დავუბრუნდეთ მას და სათანადო გადაწყვეტილება მივიღოთ. კენჭის ყრიჯ წარმოდგენილი შესწორება პირობითად იქნა მიღებული და საბო-

¹ თავისი მოხსენება კეკელიძემ წერილობით წარმოუდგინა კომისიას. ეს მოხსენება ავტორმა შევსებული სახით პირველად დაბეჭდა 1960 წ. სსსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივი მეცნიერებათა განყოფილების მოამბის II ტომში, გვ. 208—214; მეორედ 1962 წ., „ეტიუდების“ VIII ტომში (გვ. 163—168).

ლო დადგენილების მიღებამდის კომისია კვლავ დაუბრუნდება ამ საკითხს. ამ წინადადებას მომხრენი იყვნენ ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე. წინააღმდეგნი იყვნენ ი. აბულაძე, შანიძე და მოითხოვდნენ ტრადიციულ წაკითხვის დატოვებას.

1936 წ. 10 მაისს (ახლომას დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, პ. ინგოროყვა, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე, და კ. ჭიჭინაძე) კომისია კვლავ დაუბრუნდა დასახელებული ტაეპის გასწორების საკითხს. კ. ჭიჭინაძემ კ. კეკელიძის შესწორება არ გაიზიარა. მისი აზრით, აქ მზიან ღამედ წარმოდგენილია საიქიო, მუღმივ განთენებული. ა. ბარამიძე რჩება თავის ძველ აზრზე. მზიან ღამის მსგავსი მცნება მოცემულია ნესტანის წერილში ქაჯეთის ციხიდან: დღისით და ღამით ვხედვიდე შხისა ელვათა კრთომა-სა. კ. კეკელიძე უპასუხებს კ. ჭიჭინაძეს, რომ საიქიოს წარმოდგენა მზიან ღამედ მიუღებელია და რელიგიის ისტორიამ ასეთი რამ არ იცისო. წარმოდგენილ გასწორების წინააღმდეგნი იყვნენ ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, პ. ინგოროყვა და კ. ჭიჭინაძე. მომხრენი: ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე. ამრიგად, ძალაში დარჩა ტრადიციული წაკითხვა.

კომისიის მორიგი სხდომა შედგა 1935 წ. 3 დეკემბერს. დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე და ა. შანიძე. განხილულ და დადგენილ იქნა 810 — 817 სტროფები:

810-ე სტროფი: მას ზენარსა არ გაუტეხს... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: ზენარსა, გასწორდა — ზენაარსა; გაუტეხს, დაიწერა გავტეხს. მეორე ტაეპში: პაემანსა, გასწორდა — პაემანმდის.

811-ე სტროფი: ჩემთვის გარდახდა... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: აქეთ, დაიწერა — აქათ. მესამე ტაეპში: მრჯის, გასწორდა — მსჯის. მეოთხე ტაეპში: დავიწყებვივარ, გასწორდა — დავიწყებვივარ; შესწორების წინააღმდეგი იყო ი. აბულაძე.

812-ე სტროფი: ესე ამბავი მართალი... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: ამბავი, გასწორდა — არაკი; ჩინეთს ქვას, გასწორდა — ჩინს ქვასა. მესამე ტაეპში: ზაფრანაა, გასწორდა — ზაფრანი; წინა, დაიწერა — წინას.

813-ე სტროფი: ყმაძან უთზრა... ძირითადად მიიჩნიეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

813¹-ე სტროფი: გამოჭრილვარ საძებარად... ჩანართად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

813²-ე სტროფი: ვიარები, ღმერთსა სადა.. ჩანართად მიიჩნიეს. მესამე ტაეპში: ვენუკევ, გასწორდა ვენუკვი.

814-ე სტროფი: ბროლ-სადაფნი მარგალიტსა... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: ცათა სწორი, გასწორდა—ღმერთისა სწორნი.

815-ე სტროფი: პატრონი ჩემი გამზრდელი... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: მორკმული, გასწორდა—მშობლური.

816-ე სტროფი: ესე ყველაი ასრე მჭირს... ძირითადად მიიჩნიეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

817-ე სტროფი: დაო, მეტსა, საუბარსა... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: გავადრო, გასწორდა—დავადრო. მესამე ტაეპში: ვეძებ, გასწორდა—ვეძენი.

1936 წ., V, 10 სხდომაზე კ. ჭიჭინაძემ ამ სტროფის მეორე ტაეპის „გავადროს“ ნაცვლად წარმოადგინა „გავაყადრო“, გავუღაროს მნიშვნელობით. კომისიამ შესწორება არ გაიზიარა.

შემდეგ სხდომას (1935, XII, 4) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძე და შანიძე. განხილულ და დადგენილ იქნა 218 — 833 სტროფები.

818-ე სტროფი: ამის მეტი აღარა თქვა... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: წყალს გავიდა, გასწორდა—წყალსა გახდა.

819-ე სტროფი: იტყვის, ღმერთო... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: საყვარელსა, გასწორდა მოყვარეთა.

820-ე სტროფი: მოყვარემან ვარდის კონა... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: თვალთა ჩემთა, გასწორდა—თვალსა ჩემსა.

821-ე სტროფი: კვლავ იტყვის... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: რომ, გასწორდა—რა.

822-ე სტროფი: ყმა გაემართა საქებრად... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: უძახის, დაწერა — უზახის. მეოთხე ტაეპში ვერა ამბვისა, გასწორდა—ვერას ამბისა.

823-ე სტროფი: იტყვის, ღმერთო... 824-ე სტროფი: მივიღოდა, მიუბნობდა... და 825-ე სტროფი: რა შეხედნა, ყმასა... ძირითადად მიიჩნიეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

826-ე სტროფი: რა ტარიელ დანახა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: გაღანამცა, გასწორდა—განალამცა.

826¹-ე სტროფი: აქ დაბნედილი ტარიელ... და 826²-ე სტროფი: დაწვნი შექმნია ზაფრანად... ჩანართად მიიჩნიეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

827-ე სტროფი: ერთკერძ უც... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: კვლავ ერთ კერძ, გასწორდა—კვლა სხვაგან.

828-ე სტროფი: თვალთა ახვმადცა... ძირითადად მიიჩნეის. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

829-ე სტროფი: ხელითა ცრემლსა უწურავს... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: უძახის, გასწორდა—უზახის.

830-ე სტროფი: ესე ყველაი... ძირითადად მიიჩნეის. მეოთხე ტაეპში: ყოფილა, გასწორდა—შობილა.

831-ე სტროფი: უთხრა ძმაო... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: გაუყრელად, გასწორდა გაუყრელმან. მეოთხე ტაეპში: არა მიმცე, გასწორდა—არ მივიცე.

832-ე სტროფი: ყმამან უთხრა... ძირითადად მიიჩნეის. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

833-ე სტროფი: თუ ბრძენი ხარ... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: ყოვლი ბრძენი აპირობენ, გასწორდა—ყოვლნი ბრძენნი აპირობენ. მეორე ტაეპში: მამაცურად, გასწორდა—მამაცური. მესამე ტაეპში: ასე, დაიწერა—ასრე.

მორიგ სხდომას (1935, XII, 5) დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, კ. კაკაბაძე, კ. კეკელიძე და ა. შანიძე. განხილულ და დადგენილ იქნა 834—843 სტროფები.

834-ე სტროფი: ბრძენი ხარ და გამორჩევა...-იწვევს კამათს.

შანიძე აღნიშნავს, რომ სარიტმო სიტყვები ამ სტროფში მეტად თავისუფლად არის ნახმარი. პირველ ტაეპში მოსალოდნელი იყო: თქმულებრ, მაგრამ რადგან მეორე ტაეპში ზმნაა: აისრულებდა რ არ უნდა, აქაც რ-აე აკლია. ასევე მესამე ტაეპში: მოიძულებ-ის ნაცვლად უნდა იყოს მოიძულეებ. ამის გამო სტროფი ცოტა ეჭვს იწვევს ჩემში, თუმცა მისი ამოღება შეუძლებელიაო. სტროფი ძირითადად იქნა ცნობილი. მესამე ტაეპში: სოფელსაცა, გასწორდა — თუ სოფელსა.

835-ე სტროფი: ვინ არ ყოფილა მიჯნური... ძირითადად მიიჩნეის. პირველ ტაეპში: სახმილი, გასწორდა—სახმილნი. მეორე ტაეპში: უნახავს, გასწორდა—უნახვან. მესამე ტაეპში: ვარდი, დაიწერა—ვარდნი.

836-ე სტროფი: ვარდსა ჰკითხეს... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: აღარ ღირდეს, გასწორდა—არღარა ღირს.

837-ე სტროფი: რადგან ვარდი... ძირითადად მიიჩნეის. მესამე ტაეპში: ვისა სმია რაცა არის, გასწორდა — ვის ასმია, რაცა საქმე.

838-ე სტროფი: ისმინე ჩემი თხრობილი... ძირითადად იქნა ცნობილი. მეოთხე ტაეპში: რად, დაიწერა—არ.

839-ე სტროფი: მან უთხრა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: ძალ შაქეს, გასწორდა—ძალ-მიც. მეორე ტაეპში: ტყვე ქნილსა, გასწორდა—ხელ-ქმნილსა. მეოთხე ტაეპში: მიწურვილვარ, გასწორდა—მივსწურვილვარ.

840-ე სტროფი: ამას მოკვლავი... ძირითადად მიიჩნიეს. მესამე ტაეპში: ვნახოთ, გასწორდა — ვნახნეთ. მეოთხე ტაეპში: მოყვარენო, გასწორდა — მოყვარეთა.

841-ე სტროფი: საყვარელმან სიყვარული... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში თუ, დაიწერა—ვით. მეორე ტაეპში: იგი, გასწორდა—მანცა.

842-ე სტროფი: მართ გარდაწყვეტით... ძირითადად მიიჩნიეს. მესამე ტაეპში: რომ, დაიწერა — არ. მეოთხე ტაეპში: შერთვიან, გასწორდა—შევრთვივარ.

843-ე სტროფი: რა სთქვი... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: სოფელი, გასწორდა — სიცოცხლე. მეოთხე ტაეპში: გადის ლამისად, გასწორდა—გამოდის ლამი სად.

844-ე სტროფზე (ბრძენი, ვინ ბრძენი...) ოქმში არაფერია აღნიშნული. კომისიას ის, ეტყობა, ძირითადად მიუჩინევია და კიდევაც დაუბეჭდავს 1987 წ. საიუბილეო გამოცემაში (სტ. 886-ე). შეტანილია შემდეგი შესწორებები: პირველ ტაეპში: იქს, გასწორებულია — იქმს, მეოთხე ტაეპში; არცა ლა, დაბეჭდილია: არცალა:

7. დეკემბრის (1935 წ.) სხდომას დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე და კ. კეკელიძე. განხილულ და დადგენილ იქნა 845—863 სტროფები.

845-ე სტროფი: კვლავ ეუბნების... ძირითადად მიიჩნიეს. მესამე ტაეპში: საქნელად არა სჯობს, გასწორდა—არა სჯობს საქმითა. ა. ბარამიძე წინადადებას იძლევა პირველი და მეორე ტაეპის წაკითხვა მიღებულიყო მთლიანად S4499 ხელნაწერის მიხედვით. ი. აბულაძე მხარს უჭერს მეორე ტაეპის ვახტანგისებურ წაკითხვას: ეტყვის, რა მოჰკვდევ გერგების სიტყვათა რა ოხერთა“.

846-ე სტროფი: მერმე უთხრა... და 847-ე სტროფი: სადა ინდონი ბროლ-ვარდსა... ძირითადად მიიჩნიეს. არსებითი ცვლილებები არ, შეტანილა.

848-ე სტროფი: ნუ გამგზავნი... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში მდგმელი, გასწორდა—შხდელი, მეოთხე ტაეპში: საწადელი, გასწორდა—საქადელი.

849-ე სტროფი: ეხვეწებოდა, შეჯეო... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში არ ებდა, დაიწერა—არეებდა. მეოთხე ტაეპში: იამა,

დაიწერა — ეამა. პირველი ტაეპის ეხეწებოდა, „შეჯეო“, აჯა ხეწე-
ნითა არებდა-ს ნაცვლად კ. ჰიკინაძეს (1936, V, 19) შემოაქვს ასეთი
შესწორება: აჯას ხეწენითა არებდა. კომისიამ შესწორება გაიზიარა.

850-ე სტროფი: ცხადად უთხრა... ძირითადად ცნეს. მეოთხე
ტაეპში: ცოტა წავლეს, გასწორდა → ხანი წარვლეს.

851-ე სტროფი: შეაქცევს და ეუბნების... და 852-ე სტროფი: რა
შეატყო მოჰობება... ძირითადად მიიჩნიეს, არსებითი ცვლილებები
არ შეტანილა.

853-ე სტროფი: შერასმეყვეს საუბარსა... ძირითადად ცნეს.
მეოთხე ტაეპში: დაიღე, გასწორდა — დავიღო.

854-ე სტროფი: მან უთხრა... ძირითადად იქნა ცნობილი. არსე-
ბითი ცვლილებები არ შეტანილა.

855-ე სტროფი: ავთანდილ უთხრა... ძირითადად მიიჩნიეს.
მეოთხე ტაეპში: გირჩევ საქმესა, შესწორდა — გიქებ საქმისა.

856-ე სტროფი: სამხრე გაბია ოქროსა... ძირითადად ცნეს. მე-
სამე ტაეპში: ბჰობილი, გასწორდა — ბრჰობილი. მეოთხე ტაეპში
ვამზრდელი და, გასწორდა — ნაჰვრეტი, თვით.

857-ე სტროფი: თქვენ შუა შქნელი... და 858-ე სტროფი: მან
უბრძანა... ძირითადად მიიჩნიეს. არსებითი ცვლილებები არ შეტა-
ნილა.

859-ე სტროფი: დამორჩილდა, გაემართნეს.. ძირითადად ცნეს.
მეორე ტაეპში: მიქია, დაიწერა — მიგია; შესაფერად, გასწორდა —
ვერა ქება. მესამე ტაეპში: მარგალიტი, გასწორდა: მარგალიტნი.

860-ე სტროფი ამას ეტყვის... ძირითადად მიიჩნიეს. არსებითი
ცვლილებები არ შეტანილა.

861-ე სტროფი: არას გარგებს შეჰირვება... ძირითადად ცნეს.
პირველ ტაეპში: სჰმუნევედე, გასწორდა — სჰმუნვიდე. მეორე ტაეპ-
ში; თურ, დაიწერა — თუ. მესამე ტაეპში: სამს დღეს, გასწორდა — სამ
დღე.

862-ე სტროფი: მოაზსენა, ეგე... ძირითადად მიიჩნიეს. მეოთხე
ტაეპში: რას მიკვირდეს, დაიწერა — არ მიკვირდეს.

863-ე სტროფი: ცვილსა ცეცხლის სიმზურვალე... ძირითადად
ცნეს. მესამე ტაეპში: ვის რა, გასწორდა — ვისცა; ეკარგები, დაიწე-
რა — ევარგების. მეოთხე ტაეპში: იტყვი, გასწორდა — იცი.

ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენ კომისიის მორიგ სხდომას
(1935, XII, 6) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე,
ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძე და ა. შანიძე. განხილულ
და დადგენილ იქნა 864—978 სტროფები.

864-ე სტროფი: რა წამეკიდა, ყველაი... ძირითადად მიიჩნიეს. მეოთხე ტაეპში: მინდორად, გასწორდა—მინდორთა.

865 სტროფი: ამა ქედსა გარდავდეგ... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: ამა, დაიწერა — იმა. მეორე ტაეპში: ერთგან, გასწორდა—ერთად. მეოთხე ტაეპში: გამიკვირდა, გასწორდა—გამიკვირდეს.

866-ე სტროფი: ქედსა გარდავდეგ... იწვევს კამათს. ს. კაკაბაძე აღნიშნავს, რომ რაჟდენადაც ვეფხისტყაოსნის ხელნაწერების შედარებით შესწავლამ დაგვარწმუნა, შეიძლება ითქვას, რომ პოემის ძირითად ტექსტის დაახლოებით შუა ადგილას ზდება გარდატეხა. მაშინ როდესაც პირველ ჯგუფის ხელნაწერებში პოემის პირველი ნახევარი თითქმის შეურყეველად არის წარმოდგენილი, მეორე ნახევარში გვხვდება ნართაული სტროფები. ერთ ასეთ ნართაულ სტროფთაგანი არის, ჩემის აზრით, ეს 866: ქედსა გარდავდეგ... აზრითაც ეს სრული გამეორებაა წინა სტროფისა. მართალია სტროფი ვახტანგსაც აქვს შეტანილი, მაგრამ ყალბი უნდა იყოსო. ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ შესაძლებელია ს. კაკაბაძის შეხედულება ხელნაწერების ერთგვარ გარდატეხაზე, ნართაულ სტროფების ძირითად ტექსტში ჩამატების მხრივ გამართლდეს, მაგრამ ეს სტროფი მთლად გამეორება არ არის. აქ პირველად ვგებულობთ, რომ ლომ-ვეფხტი შეიყარნეს და შეიბნეს, იბრძოდეს გამწარებულნი. შემდეგ სტროფში სწორედ ეს ბრძოლაა აღწერილი და გადასვლა ამ სტროფის ძირითად ტექსტში დატოვებით უფრო ბუნებრივია. სტროფი ჩანართად იქნა ცნობილი: წინააღმდეგნი იყვნენ ი. აბულაძე, ს. იორდანიშვილი და ა. შანიძე. პირველ ტაეპში: ერთად, გასწორდა—ერთგან. მეორე ტაეპში: ცეცხლი, დაიწერა—ცეცხლნი; გზებულნი გასწორდა — დებულნი. მეოთხე ტაეპში: არ იყვნეს, გასწორდა—იყვნეს არ.

ეს სტროფი ხელმეორედ იქნა ფანხილული ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენ კომისიის 1936 წ. 7 მაისის სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდა კომისიის სრული (9 კაცი) შემადგენლობა, და იგი ძირითადად იქნა მიღებული.

867-ე სტროფი: პირველ ამოდ ილალობეს... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: გამოირინა, გასწორდა—გამოჰკრიდა; განარინდნეს, დაიწერა—გამოჰკრიდნეს. მეოთხე ტაეპში: წაეკიდა, გასწორდა—გაეკიდა.

868-ე სტროფი: ლომსა დაუგმე. ნაქმარი... და 869-ე სტროფი: ხრმალი გავსტყორცე... ძირითადად მიიჩნიეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

870-ე სტროფი: რაზმოსაცა ვამშვიდებდი... ძირითადად ცნეს. პირველი ტაეპში: დავაწყვიტე, გასწორდა—დავაწყვიდე. მეოთხე ტაეპში ამომხდა, გასწორდა—ამომხდეს.

871-ე სტროფი: აჰა, ძმაო, მითხრობია... ძირითადად მიიჩნიეს. გასწორდა — პირველ ტაეპში მჭირდეს — მჭირდა. მეორე ტაეპში: გიკვირდეს—გიკვირდა. მესამე ტაეპში: დამიძვირდეს—დამიძვირდა. მეოთხე ტაეპში: აცასტირდეს—აცატირდა.

872-ე სტროფი: ავთანდილცა მასთანავე... ძირითადად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

873-ე სტროფი: სდევს მიჯნურსა ფათერაკი... ძირითადად მიიჩნიეს. მესამე ტაეპში: მიგვიახლებს, გასწორდა — მიგვაახლებს. მეოთხე ტაეპში გასწავლილსა, გასწორდა — გასწავლულსა.

874-ე სტროფი: იტირეს და გაემართნეს... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: ვალანამცა, გასწორდა—განალამცა. მესამე ტაეპში: ქვანი, დააწერა—კლდენი:

875-ე სტროფი: ასმათ თქვა... ძირითადად მიიჩნიეს. მესამე ტაეპში: ძნელად სათქმელო, გასწორდა — არ საქებელო.

876-ე სტროფი. ტარიელ ეტყვის... ძირითადად ცნეს. გასწორდა—პირველ ტაეპში: მდენია—მდინია; წინააღმდეგი იყო ვ. ბერიძე. მესამე ტაეპში: მოსასმენია—მოსასმინია.

877-ე სტროფი: სწყუროდეს, წყალსა... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: ვით გასწორდა: მით; მეოთხე ტაეპში: წახდა—წარხდა.

878-ე სტროფი: ავთანდილსაც მოეგონა... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: მე უშენოდ, გასწორდა — რა მჭირს.

შემდეგ სხდომას (1935, XII, 9) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე და ა. შანიძე განხილულ და დადგენილ იქნა 1879—890 სტროფები:

879-ე სტროფი: ვარდი ამას ვით იაზრებს... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: გამაგრება, გასწორდა—გაუმაგრდე.

880-ე სტროფი: სული დაიღეს დადუმდეს... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: ასმათ შეყვა და შევიდეს მათებრვე ცეცხლი გზნებოდა, გასწორდა — ასმათი შეჰყვა შევიდა მათებრ სახმილი ჰგზნებოდა.

881-ე სტროფი: მწვადი შეწვეს... იწვევს კამათს. ი. აბულაძე აღნიშნავს, რომ 881-ე სტროფი ხელოვნურად არის ჩართული 880-ე და 882-ე შორის და მოთხრობის ბუნებრივ მსვლელობას ხელს უშლის. 880-ე სტროფით ტარიელ და ავთანდილ ქვაბში დასხდნენ. ასნათმა ტყავი დაუგო... ორნივე დასხდეს, უბნობდეს, რაცა მათ იამებოდა... ამას უშუალოდ მისდევს 882-ე სტროფის „ამოა, რომ კაცი კაცსა ამოსა ეუბნებოდეს... დიდი ლხინია ჳირთა თქმა, თუ კაცსა მოუხდებოდეს“. ამ გვარად, ამ სტროფებს შორის ბუნებრივი კავშირი არსებობს. 881-ე სტროფის დამწერს კი უფიქრია, რომ რაკი ტარიელი და ავთანდილი დასხდნენ, ასე საუბარი არ ივარგებს, თუ მწვადი არ შეწვესო და მთელი ყურადღება ამაზეა მიქცეული: „მწვადი შეწვეს და შეიქმნა პურობა მსგავსი ჟამისა. მუნ უპურობა პურობა, არ სილიადე ჟამისა“... სტილი მეტის მეტი სუსტია და ამიტომ სტროფის ძირითად ტექსტში დატოვებას მხარს ვერ დაუჭერო. ა. ბარამიძე აღნიშნავს, რომ ი. აბულაძის შენიშვნა ერთში უსათუოდ სწორია, რომ გადასვლას სტროფიდან სტროფზე. ცოტა აფერხებს ეს სტროფი, მაგრამ სტილის მხრივ სტროფი იმდენად დასაწუნი არ არის და მე მომბრე ვარ დარჩეს ძირითად ტექსტში. ვ. ბერიძე აღნიშნავს, რომ სტროფის ამოვლებას ისიც ვერ დაუჭერს მხარს, თუმცა, უეჭველია; გადასვლა 880-ე სტროფის მეოთხე ტაეპიდან: ორნივე დასხდეს, უბნობდეს, რაცა მათ ეამებოდა—უფრო ბუნებრივი გვეჩვენება 882-ე სტროფის მიყოლება: ამოა, რომ კაცი კაცსა ამოსა ეუბნებოდეს. მომხრე ვიქნებოდი პეტიტით აწყობილიყო, თუ გნებავთ და დაგვეტოვებინა. ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ თუ ვავიხსენებთ რა სულიერი განცდებით დაბრუნდა ტარიელი ქვაბში ავთანდილთან ერთად (874-ე სტროფი: იტირეს და გაემართნეს...) ამ სტროფში გამოხატული მისი მწუხარება, რომ ჳამის თავიც აღარა ჳქონდა („მას შეეხვეწნეს: „სჳამეო“, ძალი არ ჳქონდა ჳამისა, გაცოხნის ლუკმა გასტყორცის, წონა ძლივ ჩანთქის დრამისა“) ბუნებრივად უნდა მოგვეჩვენოს. ასევე არაფერი არაბუნებრივი არაა იმაში, რომ ქვაბში დაბრუნებულებმა მწვადი შეწვეს და შეიქმნა პურობა მსგავსი ჟამისა. სტროფი უნდა დარჩეს. იგი ვახტანგს აქვს და ყველა ხელნაწერში არისო. ა. შანიძე მხარს უჭერს სტროფის ძირითადობას. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ გადასვლის თვალსაზრისით აქ თითქმის ყველა აღნიშნავდა, რომ სტროფი ძალიან თვალში გვეჩხირება და უღალაგო ალაგას არისო. ჩემი აზრითაც საბოლოო ანგარიშში სტროფი შეიძლება ჩატანილ იქნესო. სტროფი ძირითადად

იქნა ცნობილი; წინააღმდეგნი იყვნენ ი. აბულაძე, ვ. ბერიძე და კ. კეკელიძე. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

882-ე სტროფი: ამაო, რომ კაცი... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: რომ კაცი კაცსა, გასწორდა—რომე კაცი კაცს.

883-ე სტროფი: მას ღამესა ერთგან იყვნეს... ძირითადად მიიჩნის. გასწორდა: პირველ ტაეპში — ერთად — ერთგან. მეორე ტაეპში: გააცხადეს—გააცხადნეს. მეოთხე ტაეპში: გაუგონეს ფიცი — გაუგონნეს ფიცნი.

884-ე სტროფი: ტარიელ უთხრა... ძირითადად ცნეს. გასწორდა—პირველ ტაეპში: უთხრა—ეტყვის. მესამე ტაეპში: ნათქვამია—ნაქმარია; მთვრალისა—მთრვალისა, მეოთხე ტაეპში: წამაველისა—წარმაველისა; წინააღმდეგი იყო ი. აბულაძე.

885-ე სტროფი: აწ შემიწყალე... ძირითადად მიიჩნის. პირველ ტაეპში შემიწყალე, გასწორდა—შემიხვეწე. მეორე ტაეპში: გულსა, გასწორდა—რომე.

886-ე სტროფი: ვინ დამბადა... ძირითადად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

887-ე სტროფი: ავთანდილ უთხრა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: უთხრა, გასწორდა—ეტყვის

888-ე სტროფი: ღმერთსამცა ესე... ძირითადად მიიჩნის. მეორე ტაეპში: აღარ, დაიწერა — არღა; წინააღმდეგი იყო ი. აბულაძე. ცრემლისა, გასწორდა—გქმნა ცრემლთა. მესამე ტაეპში გასკვრეტდით, გასწორდა—განსკვრიტეთ. მეოთხე ტაეპში: ერთმანერთი, გასწორდა—ერთმანერთსა.

889-ე სტროფი: ნეტარ მამაცი სხვა რაა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: რა არის, გასწორდა—სხვა რაა. მეოთხე ტაეპში: მიწვრთნია, გასწორდა — მიწვრთი ხარ.

890-ე სტროფი: თუ რა გესმის... ძირითადად მიიჩნის. გასწორდა—მეორე ტაეპში: თქვენსა წინა—თქვენს წინაშე, მესამე ტაეპში: რადგან ჩემებრ — რათგან ჩემი.

კომისიის მორიგ სხდომას (1935, XII, 10) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი და კ. კეკელიძე. განხილულ და დადგენილ იქნა 891—894¹ სტროფები.

891-ე სტროფი: მან მიბრძანა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: მადრიელ ვარ, გასწორდა—მადლიერ ვარ. მეოთხე ტაეპში სარითმო სიტყვა „ჯაბან ხრდლურად“ იწვევს კამათს. ვ. ბერიძე აღნიშნავს, რომ აქ უნდა დარჩეს ჯაბან-ხრდლურად ე. ი. ჯაბან-დედლურად — ჰაკურად. ს. იორდანიშვილი მხარს უჭერს: ჯაბან-მხრდლურად

რად, ე. ი. მხდალის, მშიშარის მნიშვნელობით ზმარებულს. კომისია ამ დატოვა—ჯაბან-ხრდლურად.

892-ე სტროფი: მაგ საუბარსა ესე სჯობს... ძირითადად მიიჩნის. გასწორდა — პირველ ტაეპში: ეგე — ესე. მეორე ტაეპში: კაციმცა იყოს — კაციმცა იყო. მეოთხე ტაეპში: მე მარგებ — მე ვარგებ.

893-ე სტროფი: სადაცა გწადდეს... ძირითადად მიიჩნის. მეორე ტაეპში: თუ გინდ, გასწორდა—გწადდეს. მეოთხე ტაეპში: არ მოკვდე, არ დადნე, გასწორდა—არ მოჰკვდე, არ დასდნე.

894-ე სტროფი: ამის მეტსა არას გნუკვე... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: მგზეფსა, გასწორდა—მსგეფსა.

894¹-ე სტროფი: ვირ ვარდი იყოს... იწვევს კამათს. ა: ბარამიძე აღნიშნავს, რომ ეს არის ისეთი ტიპის სტროფი, რომელიც ყველა ხელნაწერში არის, მაგრამ, რასაკვირველია, ჩვენ ამას ვერ შევიტანთ ძირითად ტექსტში, რადგან იმგვარად ჩანს, რომ სტროფი სადაც ასეთი სტრიქონი გვხვდება „უაქაოდ არ დაკვდები, ერანს ვარ თუ ზავლისტანსა“—დაწერილი უნდა იყოს მას შემდეგ, რაც შაჰ-ნამე ჩამოყალიბდა. მე სპეციალურ ნაშრომში, ვეფხისტყაოსნის პლასტების შესახებ, აღვნიშნე, რომ ვეფხისტყაოსნის გაგრძელება ჩვენში შაჰ-ნამეს ჩამოყალიბების შემდეგ უნდა დაწერილიყო, ასე, მე-15 საუკ. გასულს და მე-16 საუკ. დასაწყისს, ყოველ შემთხვევაში არა უადრეს. ეს სტროფი, მიუხედავად იმისა რომ ყველა ხელნაწერშია, არც კ. ჰიქინაძეს და არც ს. კაკაბაძეს თავიანთ გამოცემებში არ შეუტანიათ. თუ ისინი იზიარებენ ყველა ხელნაწერის პრინციპს, მათ ეს სტროფი უნდა შეეტანათ, რადგან იგი დამახინჯებული არ არის. მაგრამ რადგან მათ მაინც ეს ა ტიპის სტროფი არ შეუტანიათ, ამით ისინი უკვე არღვევენ თავიანთ პრინციპს. ჩვენ კი ჩვენი პრინციპი არ დაგვირღვევა, რადგან ჩვენთვის ყველა ხელნაწერის მოწმობა კიდევ არ არის გადამწყვეტი მნიშვნელობისა სტროფის ძირითად ტექსტში შეტანისათვის, როგორც ეს ნათლად ჩანს ამ სტროფზე.

კომისიამ გაიზიარა ა. ბარამიძის მოსაზრებანი და სტროფი ჩანართად იცნო. პირველ ტაეპში: სარო ტანსა; გასწორდა — სარატანსა. მეორე ტაეპში: მამნახედი, გასწორდა — მამნახვიდე. მეოთხე ტაეპში: ზაულისტანსა, დაიწერა — ზავლისტანსა.

1935 წ. 11 დეკემბრის სხდომას დაესწრნენ: ი: აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე და ა. შანიძე. განხილულ და დადგენილ იქნა 895—908 სტროფები:

895. სტროფი: ამა დროსა გარდავცილდე... ძირითადად ცნეს. გასწორდა — პირველ ტაეპში: აქავ ქვაბსა — აქა ქვაბსავ. მეორე ტაეპში: სცან — ცან. მესამე ტაეპში: ესე მისად — ეს ამისად.

896-ე სტროფი: აწ რაცა გკადრე... ძირითადად მიიჩნიეს. არსებითი ცვლილება არ შეტანილა.

897-ე სტროფი: მან უბრძანა, აღარ გაწყენ... ძირითადად ცნეს. გასწორდა—პირველ ტაეპში: გამიმეტდეს — გამეტადდეს. მეოთხე ტაეპში: აღრე — ცხადად.

898-ე სტროფი: რა დაიჭრო... ძირითადად მიიჩნიეს. გასწორდა—პირველ ტაეპში: გრძელობა—ძნელობა. მეორე ტაეპში: სწორია ყველაი — ყველაი სწორია

899-ე სტროფი: საუბარი გადასწყვიტეს... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: გადასწყვიტეს, გასწორდა — გადაწყვიდეს.

მე-900 სტროფი: ლექსთა მკითხველნო... იწვევს კამათს... ა. შანიძეს სტროფი საექვოდ მიაჩნია, ლექსიც უხეირო არისო... ამასთან პირველ ტაეპში უნდა იყოს: თქვენნიმცა თვალნი ცრემლისა მღვრელნია — რაც რითმას აღარ უდგება, რადგან რითმა ელია — არის... ნ- არს არ ჩაირთავს. ი. აბულაძე სტროფს საექვოდ მიიჩნევს, მაგრამ რადგან საბუთი არა მაქვს, ვტოვებ ძირითადშიო. ა. ბარაშიძეს სტროფი რუსთველურად მიაჩნია: გულმან, გლახ, რა ქმნას უგულოდ, თუ გული გულსა ელია—ნამდვილი რუსთველური თქმა არისო. ვ. ბერიძეს სტროფი მიაჩნია თავის დაბოლოვებად და წინადადებას იძლევა შემდეგი სტროფი ახალი თავის დასაწყისად იყოს ცნობილიო. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ სტროფი ძირითადად უნდა იქნეს ცნობილი. ასეთი მიმართვები მკითხველისადმი სხვაგანაც გვხვდება. რაც შეეხება თავის დათავება-დაწყებას — ჟერ ამ საკითხს, სათაურების საკითხს, არა ვწყვეტ და მათ გადაწყვეტისა მხედველობაში მივიღებთ შემოსულ წინადადებასო. სტროფი ძირითადად იქნა ცნობილი. მესამე ტაეპში: ვაი მოშორება მოყვრისა, გასწორდა—მოშორება და მოყვრისა.

901-ე სტროფი: დილა გათენდა, შესხდეს... ძირითადად მიიჩნიეს. სტროფი საექვოდ მიიჩნია ა. შანიძემ, თუმცა მის ამოღებას ძირითად ტექსტიდან არ მოითხოვდა. მეორე ტაეპში: ცრემლი, დაიწერა — ცრემლნი.

902-ე სტროფი: ქვაბნი ჩავლნეს... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: ქვაბნი ჩავლნეს, გასწორდა—ქვაბი ჩავლეს. მესამე ტაეპში: დაგვწენა და დაგვდაგნა, გასწორდა—დაგწენა და დაგდაგნა.

903-ე სტროფი: მათ ყმათა მუნით წასულთა... ძირითადად მიიჩნეეს. პირველ ტაეპში: წასულთა, გასწორდა—წასრულთა. ვ. ბერიძე მოითხოვდა, რომ წასრულა, მისრულა და მისთანა ზმნებში რაე გამოვტოვოთ, რომ ნამეტანი ჯრქაიზაცია არ მივიღოთო. ი. აბულაძეს რაეს დატოვება ამ ზმნებში საჭიროდ მიაჩნდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს რითმისთვის არის აუცილებელი. დანარჩენ შემთხვევებში კი ამ ზმნების ურაეოდ მიღებას ამჯობინებს. კომისიამ რაე დატოვა. იმავე ტაეპში ერთად, გასწორდა—ერთგან.

904-ე სტროფი: ტარიელ ეტყვის ავთანდილ... ძირითადად ცნეს. გასწორდა—პირველ ტაეპში: ამა—მაგა. მესამე ტაეპში: მშვეენისა—ლხენისა. ა. ბარამიძე და ი. აბულაძე მხარს უჭერდნენ ასეთ წაკითხვას: „მუნით იცნობის ამბავი, ღონე მის მზისა მშვეენისა“.

905-ე სტროფი: ტარიელ სიტყვით ასწავლის... და 906-ე სტროფი: თხა მოკლეს და მიითრიეს... ძირითადად მიიჩნეეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

907-ე სტროფი: ცისკრად აღგეს... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: იღგენ, გასწორდა—იღგეს.

908-ე სტროფი: გაიყარნეს ტირილითა... ძირითადად მიიჩნეეს. მეოთხე ტაეპში: ნახეს დაღრეჯილი, შესწორდა—ნახნეს დაღრეჯილი.

შემდეგ სხდომას (1935, XII, 14) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე და ა. შანიძე (თ-რე).

კომისიის წევრებს ხშირად უხდებოდათ სხდომების გაცდენა მიუღიანებში ყოფნის მიზეზით ანდა ქუთაისის და ბათუმის პედინსტიტუტებში ლექციების წასაკითხად, რისთვისაც ზოგჯერ, წევრთა სიმცირის გამო, სხდომების ჩატარება არ ხერხდებოდა. ასეთი შემთხვევა მოსალოდნელი იყო შემდეგშიც, ამიტომ კომისიამ იმსჯელა შექმნილ მდგომარეობაზე და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ დაადგინა: „კომისიამ, თუნდა სამი წევრის მეტი არ ესწრებოდეს სხდომას, მაინც განაგრძოს მუშაობა. ხოლო შემდეგ ამა თუ იმ წევრს, რომელიც საპატიო მიზეზით მონაწილეობას არ იღებდა, შენაძლებლობა მიეცეს წარმოადგინოს თავისი აზრი და მას ანგარიში გაეწიოს. თუ შესასწორებელი იქნება რამე, კვლავ შესწორდეს“.

ამ დადგენილების მიღების შემდეგ კომისია შეუდგა მორიგი სტროფების განხილვა-დადგენას. განხილულ და დადგენილ იქნა 909—914 სტროფები.

909-ე სტროფი: ვა, სოფელო, რაშიგან ხარ.. ძირითადად მიიჩნეის. გასწორდა — პირველ ტაქტში: გაბრუნებ — გეაბრუნებ. მეორე ტაქტში: ყოვლიმც — ყოვლი. მეოთხე ტაქტში: სადაურსა სად წაიყვან — სად წაიყვან სადაურსა.

910-ე სტროფი: ავთანდილ მისი გაყრილი... ძირითადად ცნეს. მეორე ტაქტში: ცრემლისა, გასწორდა — სისხლისა, მესამე ტაქტში: ასრე, დაიწერა — აგრე. მესამე ტაქტის მეორე ნახევარი: „ვით მაშინ შეყრა ცათამდის“ იწვევს კამათს. ა. ბარამიძე აღნიშნავს, რომ რადგან პირველ ტაქტის სარითმო სიტყვა უკვე იყო ცათამდის, ამიტომ აქ, მესამე ტაქტში, „შეყრა ცათამდის“ ისე უნდა იყოს გააზრინებული, რომ მეორე ნაწილის სარითმო სიტყვაა: ამდის, ამო იყო; მაშინ შეხვედრა ისე, როგორც ახლა გაყრაა ძნელიო. ვ. ბერიძე არ იზიარებს ასეთ წაკითხვას, რადგან „შეყრა ცათამდის“ რომ ყოფილიყო, მაშინ თ აღარ გაჩნდებოდა. აქ სხვა რამეს უნდა ჰქონოდა ადგილიო. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ H 2074 და H 461, ხელნაწერებში წარმოდგენილია შეყრა დაცამდის ე. ი. შეყრაც დაამდის. ეს წაკითხვა უფრო აზრიანია და ის უნდა მივიღოთო. ი. აბულაძეს დაუშვებლად მიაჩნია, რომ რუსთველის სტილს ეს სტროფი მიეწეროს. სტროფი ყოვლად უხეშია, როგორც რითმის, ისე სტილის მხრივ. ის შემდეგი დროის ჩანართად უნდა იქნას ცნობილიო. კომისიამ სტროფი ძირითადად იცნო. მესამე ტაქტში: ცათამდის, გასწორდა — დაცამდის. მეოთხე ტაქტში: კაცის კაცამდის გასწორდა — კაცით კაცამდის.

911-ე სტროფი: ველს მაშინ მხეცნი... ძირითადად ცნეს. ს. იორდანიშვილი პირველი ტაქტის შესახებ აღნიშნავს, რომ წინა სტროფში რაკი მივიღეთ: ღვარი სისხლისა, აქაც სისხლითა უნდა მივიღოთ და არა ცრემლითაო — მხეცნი ავთანდილის სისხლით ძღებოდნენო. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ ასეთი წაკითხვა არის S 4499 და ქუთ. 205 ხელნაწერებში. წინადადება მიღებული იქნა. ცრემლითა, გასწორდა — სისხლითა. მეორე ტაქტში: ცრემლითა, შეიცვალა — ცეცხლითა, მეოთხე ტაქტში: ბაგეთა ვარდი, გასწორდა — ბაგეთათ ვარდსა. ვ. ბერიძის წინადადებით — ანათებს, გასწორდა — ანათობს.

912-ე სტროფი: ვარდი ჰქნებოდა, ღვრებოდა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაქტში: ჰქნებოდა ღვრებოდა, გასწორდა — ჰქნებოდა ღვრებოდა. მესამე ტაქტში: უმზნეოდა, დაიწერა — უმზნეოდ ა, მეოთხე ტაქტში: რად, გასწორდა — რას.

913-ე სტროფი: მზესა ეტყვის... ძირითადად მიიჩნიეს. გასწორდა პირველ ტაეპში: გეტყვი — გიტყვი. მესამე ტაეპში: ნამცლარად — დამცლარად.

914-ე სტროფი: თვე ერთისა მოშორვება... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: გაგვიცივნებს, გასწორდა — გაგვიმცივნებს. მესამე ტაეპში: ატკივნებს, გასწორდა — იმტკივნებს. ი. აბულაძეს ჩანართად მიაჩნია 910, 911, 912, 913, 914 სტროფები. იგი აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნის 22-ე გამოცემაში იგი მოიქცა მეტად თავაზიანად და ეს სტროფები ზღუდვებლად დასტოვა, მაგრამ შემდეგმა დაკვირვებამ დაგვანახვა, რომ ეს სტროფები, რომლებიც ერთი ზღუნაწერი-თაც უარყოფილია, ძირითად ტექსტიდან ამოსაღებია. ისინი სტილითაც უგვანია და შინაარსითაც ზედმეტი. 908-ე სტროფში ნათქვამია, რომ „გაიყარნეს ტირილითა“... აქედან პირდაპირი გადასვლაა 915-ე სტროფზე: „მიმავალი ცასა შესტირს“. ამათ შორის მოქცეული სტროფები აზრის მხრივ სრულიად ზედმეტია, ხშირად გაუგებარი და ერთი ერთმანეთში კავშირის არ მქონე. ასე მაგალითად, ვერავითარ კავშირს ვერ ვხედავ 910-ე სტროფის პირველ სამ ტაეპსა და მეოთხე ტაეპს შორის: კაცი არ ყველა სწორია, დიდის ძეს კაცით კაცამდის. 912-ე სტროფი: ვარდი ქნებოდა... ფშავურ ხალხურ ლექსებს უფრო ჰგავს, ვიდრე-მოთას ლექსს. 913-ე სტროფში ნათქვამია: მზესა ეტყვის: „მზეო, გეტყვი“ და შემდეგ ძირითად 915-ე კიდევ: „ეუბნების, ეტყვის მზესა“. ამგვარად, თუ ჩვენ გვინდა მივიღოთ რუსთაველის ნამდვილი ნაწერები, ჩვენ უნდა გავწმინდოთ მისი ნაწარმოები ასეთ ადგილებიდან, რომლებიც ამახიჩვებენ მას. კომისიამ ზემოხსენებულ სტროფების ჩანართობა არ გაიზიარა.

მორიგ სხდომას (1935, XII, 15) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ს. იორდანიშვილი, და ა. შანიძე (თ-რე). განხილულ და დადგენილ იქნა 914¹—921 სტროფები.

914¹-ე სტროფი: იტყვის თუ... ჩანართად ცნეს. მეორე ტაეპში: შეაცადარი, გასწორდა — შეცადარი.

914²-ე სტროფი: მისსა მზესა... ჩანართად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: მოწმორე, შენ გიჰირავს სევდა ასად, გასწორდა — მიაშურე, გაგვიპირავს შენ აწა სად. მეოთხე ტაეპში: ჩემი, გასწორდა — ჩემნი.

915-ე სტროფი: მიმავალი ცასა... ძირითადად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

916-ე სტროფი: მოი, ზუალო... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: მოი, გასწორდა — მო.

917-ე სტროფი: ჰე, მუშთარო... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპ-

ში: სრულსა, გასწორდა ღმრთულსა; ა. შანიძის წინადადების თანახმად და ხელნაწერებზე დაყრდნობით. შესწორების წინააღმდეგნი იყვნენ ი. აბულაძე, და ა. ბარამიძე.

918-ე სტროფი: მოდი, მარიხო... ძირითადად მიიჩნიეს. მესამე ტაეპში: გააგონე. გასწორდა — გააგონენ. მეოთხე ტაეპში: აღარას, დაიწერა — არღა არს.

919-ე სტროფი: მოდი, ასპიროზ... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: დაშვენებათა, გასწორდა — დაშვენებითა. მეოთხე ტაეპში: გახდი, გასწორდა — გააზხდი.

920-ე სტროფი: ჰე ოტრიდო... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: ჰე, ოტრიდო, გასწორდა. — ოტარიდო. მეოთხე ტაეპში: ვით ლერწამსა, გასწორდა — ტანსა ჩემსა, ვითა თმასა.

921-ე სტროფი: მოი, მთვარეო... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: ვშვლდები, გასწორდა — ვწვლდები. მესამე ტაეპში: უაბზე, გასწორდა — უამბენ.

ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენ კომისიის მორიგ სხდომას (1935, XI, 16) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე, და ა. შანიძე (თ-რე). განხილულ და დადგენილ იქნა 922 — 927¹ სტროფები.

922-ე სტროფი: აჰა, მმოწმობენ... იწვევს კამათს. ი. აბულაძე აღნიშნავს, რომ სტროფი მეტად უადგილოდ არის ჩართული. აქ ჩამოთვლილია შვიდი ვარსკვლავი, რომელიც მოწმედ ჰყვებიან ავთანდილს და მერე ნათქვამია: მას გააგონე, რამიცა ცეცხლი უშრეტნი მდებნიან — რაც გაუგებარია. არ ჩანს ვის მიმართავს ავთანდილი. თვით გადასვლაც შემდეგ სტროფზე: აწ გულსა ეტყვის... უფრო ბუნებრივია, მორჩა მნათობების მიმართვას და აწ გულსა უთხრა.... ასე რომ სტროფი: „აჰა მმოწმობენ“ ექვს იწვევს და შეიძლება ჩანართად იქნეს მიჩნეული. სტროფი ყალბად მიიჩნია თავის დროს განსვენებულმა ა. სარაჯიშვილმაც. ა. ბარამიძე არ იზიარებს სტროფის ჩანართობას. სტროფი კარგად არის გაკეთებული და აზრის მსრივ წინააღმდეგობა არ არისო. ა. შანიძე შესაძლებლად მიიჩნევს სტროფის ძირითად ტექსტში დატოვებას. სტროფი ძირითადად იქნა ცნობილი. წინააღმდეგი იყო ი. აბულაძე. სტროფში არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

923-ე სტროფი: აწ გულსა ეტყვის... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: თურნე, გასწორდა — თურე.

924-ე სტროფი: თუ დავჩიეო, ესე მიჯობს... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში; სიცოცხლესა, გასწორდა — სიცოცხლისა;

წინააღმდეგი იყვნენ ი. აბულაძე და ს. იორდანიშვილი. მესამე ტა-
ეპში: დასაწყვეტდის; გასწორდა — დასაწყვედდის.

925-ე სტროფი: რა ესმოდის მღერა ყმისა... ძირითადად მიიჩ-
ნის. მეოთხე ტაეპში: ცრემლი, გასწორდა — ცრემლნი.

925¹-ე სტროფი: მოვიდიან. შესამკობლად... იწვევს კამათს.
ა. ბარამიძე აღნიშნავს, რომ სტროფი ყალბია. მართალია ვახტანგს
შეტანილი აქვს, რაც სცემს მის გამოცემის პრესტიჟს, მაგრამ მთელ
რიგ ხელნაწერებში არ არის. ავთანდილს გზაში არავინ შეხვედრია.
აქ კი მთელი ქვეყნის წარმომადგენლებია გამოყვანილნი: მოფრან-
გენი და მისრეთით მეგვიპტელნი. სტროფი ჩანართად იქნა ცნობი-
ლი. მესამე ტაეპში: ინლოთ, არაბთ, დაიწერა — ინდო-არაბთ.

926-ე სტროფი: ყმა ზტერალი... ძირითადად ცნეს. პირველ ტა-
ეპში: სამოცდათ, გასწორდა — სამოცათ. მეორე ტაეპში: ნახა მენა-
ვენი მოდიოდენ, გასწორდა: ნახნა მენავენი, მოდიოდეს. მეოთხე
ტაეპში: ხრამლსა, გასწორდა — ხმაჟა.

927-ე სტროფი: მათ მოახსენეს... ძირითადად მიიჩნის. მესამე
ტაეპში: აქამდინ, გასწორდა აქამდის; მოსამზღვრე, გასწორდა —
მოზღვრეა.

927¹-ე სტროფი: ნერადინ ფრიდონ მეფეა... ძირითადად ცნეს.
მეოთხე ტაეპში: ფენისა, შესწორდა — მფენისა.

კომისიის მორიგ სხდომას (1935, XII, 17) დაესწრნენ: ი. აბუ-
ლაძე, ა. ბარამიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე და ა. შანიძე
(თ-რე). განხილულ და დადგენილ იქნა 928 — 932 სტროფები.

928-ე სტროფი: ყმამან უთხრა, ძმანო... ძირითადად მიიჩნის.
წაკითხვათა ცვლილებანი არ მომხდარა.

929-ე სტროფი: მოახსენეს, ესე გზა... ძირითადად ცნეს. მესა-
მე ტაეპში: აქადაღმე. გასწორდა — აქადაღმა. მეოთხე ტაეპში:
უცხოს, შესწორდა — უცხომ.

930-ე სტროფი: ყმამან უთხრა, მიკვირს... ძირითადად მიიჩნის.
მეორე ტაეპში: ეგრედ, გასწორდა — ეგრე. მეოთხე ტაეპში, დავაშ-
ვენათ, გასწორდა — დავაშვენთ.

931-ე სტროფი: კაცნი წავიდეს, დაბრუნდა... ძირითადად ცნეს.
მესამე ტაეპში: მიაცურებებს, გასწორდა — მიაცორებებს; მისთავე,
გასწორდა — მისსავე, მეოთხე ტაეპში: ბროლსა წვიმს, გასწორდა —
ცრემლსა წვიმს.

932-ე სტროფი: ვინცა გზას ნახნეს... ძირითადად იქნა ცნობი-
ლი. პირველ ტაეპში: ნახეს, გასწორდა — ნახნის; მსახურებდიან,
ყმობდიან, გასწორდა — კმსახურებდიან, ჰყმობდიან. მეორე ტაეპ-

ში: ტრფიალობდიან, გასწორდა — სტრფიალობდიან. ი. აბულაძეს სტროფი ძირითადად არ მიაჩნია. მისი აზრით, სტროფის კონსტრუქცია, სტილი სრულიადაც არ გვაგონებს რუსთველის სტროფებს. კომისიის წევრებმა ეს შეხედულება არ გაიზიარეს.

შემდეგ სხდომას (1935, XII, 19) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე და ა. შანიძე (თ-რე). განხილულ და დადგენილ იქნა 933—942 სტროფები.

933-ე სტროფი: მულღაზანზარს მიიახლა... ძირითადად მიიჩნეის. პირველ ტაეპში: მიიახლა, გასწორდა — მიეახლა. მეორე ტაეპში: გვანდეს, გასწორდა — ჰგვანდეს. მეოთხე ტაეპში: ისვრიან. იწვევს კამათს. ა. შანიძე მოითხოვდა ფორმას ისრიან. ი. აბულაძე აღნიშნავდა, რომ ისრიან სწორი ფორმაა, მაგრამ რაკი ყველა ხელნაწერში უფრო გასაგები ფორმითაა მოცემული ისვრიან, ამიტომ ის მომხრეა დარჩეს ისვრიან. კომისიამ მიიღო: ისვრიან.

934-ე სტროფი: კაცი ემთხვია... იწვევს კამათს. ი. აბულაძე მოითხოვდა 933-ე სტროფიდან პირდაპირი გადასვლას 935-ე სტროფზე. მინდორს ნახა, რომ ლაშქარი ნადირობდა და მათ ლაშქართაყენ წავიდა. აი ამ ორი სტროფის აზრი. 934-ე სტროფი კი უადგილოდ არის აქ შეტანილი. ა. ბარამიძეს სტროფი ზედმეტად არ მიაჩნია, პირიქით იგი სიუჟეტურად სტროფს აუცილებლად სთვლის. 935-ე სტროფში ვკითხულობთ, რომ [ავთანდილ] გამზიარულდა. რა ქონდა ავთანდილს გასამზიარულებელი? საქმე ის არის, რომ მხოლოდ 934-ე სტროფით ვიგებთ ავთანდილის გამზიარულების მიზეზს — სახელდობრ: გზაში შეხვედრილ კაცის საშუალებით ის გაიგებს, რომ აქ ფრიდონ ნადირობს და ეს არის ავთანდილის სიმზიარულის მიზეზი. ასე, რომ 934-ე სტროფი ძირითადად და უნდა დარჩეს. სტროფი ძირითადად იქნა მიჩნეული გასწორდა — მეორე ტაეპში: იგი ვინ არის — ისი ვისია. მესამე ტაეპში: მეფეა — მეფე.

935-ე სტროფი: მათ ლაშქარსაყენ წავიდა... ძირითადად ცნეს. შესწორებულია — პირველ ტაეპში: ლაშქართაყენ — ლაშქართაყე. მეორე ტაეპში: ვთქვამცა — ვთქვიმცა. მეოთხე ტაეპში: ხე ვითა — რხევითა.

936-ე სტროფი: მათ ლაშქართა ყოლბსა შუა... ძირითადად მიიჩნეის. შესწორებანი — პირველ ტაეპში: გაღმოფრინდა — გარღმოფრინდა. მეორე ტაეპში: შეუტია — შეუტივა. მეოთხე ტაეპში: დასჭრა — დასჭრნა.

937-ე სტროფი: იგი რა ნახეს მესროლთა... ძირითადად ჩანს მიჩნეული. შესწორებანი — მესამე ტაეპში: ყვებოდეს — ჰყვებოდეს. მეოთხე ტაეპში: კადრებდეს — ჰკადრებდეს.

938-ე სტროფი: მინდორსა შიგან გორი დგა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: დგას, დაიწერა — დგა.

939-ე სტროფი: ფრიდონ მონა გამოგზავნა... ძირითადად მიიჩნის. მესამე ტაეპში: ნორჩი, გასწორდა — მორჩი. მეოთხე ტაეპში: გაურეტდა, დაავიწყდა, გასწორდა — გაურეტდეს, დაავიწყდეს.

940-ე სტროფი: ავთანდილ ცნა... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: წაკადრე. გასწორდა — წა, ჰკადრე. ი. აბულაძე და ა. ბარამიძე წინააღმდეგნი იყვნენ და მოითხოვნენ: ასეთ წაკითხვას: უთხრა: ჰრქვი.

941-ე სტროფი: მონა წავიდა... ძირითადად მიიჩნის. მეოთხე ტაეპში: ტარიელისა, გასწორდა — ტარიელისი.

942-ე სტროფი: რა ტარიელ მოისმინა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: ჰირნი, შესწორდა — ჰირი. მეორე ტაეპში: ცრემლი გარდროცვიდა, გასწორდა — ცრემლნი გარდმოსცვიდეს.

20, X 11, სხლომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე და ა. შანიძე (თ-რე). განხილულ და დადგენილ იქნა 943 — 952 სტროფები:

943-ე სტროფი: ფიცხლად ჩავლო იგი ქელი... ძირითადად მიიჩნის. გასწორდა — პირველ ტაეპში: ფიცხლავ — ფიცხლად. მეორე ტაეპში: ვინა — ვინ ა, მეოთხე ტაეპში: აფრქვევინა — აფრქვევინა.

944-ე სტროფი: მოეხვივნეს ერთმანეთსა... ძირითადად ცნეს. ს. კაკაბაძე აღნიშნავს, რომ ეს სტროფი მას მეორე გამოცემაში არ შეუტანია, რადგან მეოთხე ტაეპი მეტის მეტად უხამსი შედარების შემცველია: მამკალ, ბაზარს სხვა მათებრი ივაჭრონ რა, ან გაყიდონ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ხელნაწერშია და ვახტანგსაც აქვს შეტანილი თავის გამოცემაში. კომისიამ სტროფი სიუჟეტურად ზედმეტად არ მიიჩნია. სტროფი ძირითადად დარჩა. წაკითხვების ცვლილებანი არ შეტანილა.

945-ე სტროფი: ფრიდონისებრი მოყმენი... ჩანართად იქნა ცნობილი. პირველ ტაეპში: ფრიდონისებრი, გასწორდა — ფრიდონისებრნი: ვინმცა ვინ, გასწორდა — ვინა ვინ; შესწორება წარმოადგინა ა. შანიძემ. ს. იორდანიშვილი მხარს უჭერდა ასეთ წაკითხვას: ვინცა ვი. მესამე ტაეპში: უჩინოდ, გასწორდა — უჩინო.

946-ე სტროფი: ცხენთა შესხდეს... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: ფრიდონისა, გასწორდა — ფრიდონისსა. მეორე ტაეპში:

სრვასა, გასწორდა — სვრასა. მესამე ტაეპში: იქით-აქეთ, გასწორდა — იქით-აქათ.

947-ე სტროფი: ყმა ფრიდონს ეტყვის... ძირითადად მიიჩნის. მეორე ტაეპში: ვინადგან ლამი, გასწორდა — ვინათგან ჰლამი.

948-ე სტროფი: მე ვარ ყმა... ძირითადად ცნეს. წაკითხვების ცვლილებანი არ შეტანილა.

949-ე სტროფი: დღესა ერთსა... ძირითადად მიიჩნის. მეოთხე ტაეპში: როგორ, გასწორდა — რაგვარ.

950-ე სტროფი: მეფემან სპანი შეპყრობად... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: დალეწა, გასწორდა — დაჰლეწა; ხდებოდა, გასწორდა — ჰხდებოდა.

951-ე სტროფი: მათ სპათაგან... ძირითადად მიიჩნის. მეორე ტაეპში: შეუტიეს, გასწორდა — შეუტივეს, მესამე ტაეპში: დაკრთა. გასწორდა — დაჰკრთა.

952-ე სტროფი: ვძებნეთ კვალი და... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: ვძებნეთ კვალი და, გასწორდა — ვძებნეთ და კვალი. მეორე ტაეპში: ველარ, გასწორდა — ვერდა. მეოთხე ტაეპში: გამოვეპარე, გასწორდა — გამოვიპარე.

შემდეგ ზნდომას (1935, XI, 21) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. პერიძე, ს. იორდანიშვილი და ა. შანიძე (თ-რე). განხილულ და დადგენილ იქნა 953—962 სტროფები:

953-ე სტროფი: იგი ვძებნე წელსა სამსა... ძირითადად მიიჩნის. ი. აბულაძე მეორე ტაეპის წაკითხვას „მათ მასწავლეს, ხატაელნი ვნახე მისგან დაკოდილი“ — ასეთი რედაქციით მოითხოვდა: მათ მასწავლნეს ხატაელნი ვნახე მისგან დაკოდილი. ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ ამ სტროფის აზრი ასეთია: მათ, ხატაელები რომ ვნახე, დაკოდილნი იმათ მასწავლესო. ამ აზრის ჩატევა მოცემულ წაკითხვებში კი მხოლოდ ასეა მოსახერხებელი: მათ მასწავლეს, ხატაელნი ვნახენ, მისგან დაკოდილი. ყოველივე გაიზიარა ეს უკანასკნელი წაკითხვა.

954-ე სტროფი: ქვაბნი წაუხვამს დევთათვის... ძირითადად მიიჩნის. პირველ ტაეპში: წაუხვამს, გასწორდა — წაუხვამან.

955-ე სტროფი: ქალი მარტო ქვაბსა შიგან... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: მოუტანს, გასწორდა — მიართმევს. მეოთხე ტაეპში: არვინ, გასწორდა — არა.

956-ე სტროფი: მე უცხოს უცხო... ძირითადად მიიჩნის. ი. აბულაძე მოითხოვდა პირველი ტაეპის „მე უცხოს უცხო მანატრა მოსმენა სანატრელისა“ ასეთს წაკითხვას: მე უცხოს უცხომ მა-

ნატრა მოსმენა სანატრელისა. კომისიამ მიიღო: მე უცხო ს. ჟეცხომ
მანატრა მოსმენა სანატრელისა. მეორე ტაეპში: საყვარელისა, გას-
წორდა — სასურველისა. მესამე ტაეპში: ჰირი, გასწორდა — ჰირნი.
მეოთხე ტაეპში: სასურველისა, გასწორდა — დამმარხველისა.

957-ე სტროფი: ვითა მთვარე დაუდგომლად... ძირითადად
ცნეს. პირველ ტაეპში: დაუდგომლად, გასწორდა — დაუდგომ-
ლად.

958-ე სტროფი: მის ყმისა ცეცხლი მედების... ძირითადად მი-
იჩნიეს. მეოთხე ტაეპში: ვნახე, გასწორდა — ვნახენ.

958¹-ე სტროფი: პირველად ძებნად წამოსვლა... ჩანართად
ცნეს მეოთხე ტაეპში გასწორდა: გაიყაროსა — გარდიყაროსა.

958²-ე სტროფი: მივბრუნდი, ვკადრე... და 958³-ე სტროფი: მე-
ფეთა და ეამა... ჩანართად მიიჩნიეს. წაკითხვათა არსებითი ცვლი-
ლებები არ შეტანილა.

959-ე სტროფი: დავეთხოვე და გამიწყრა... ძირითადად ცნეს.
გასწორდა პირველ ტაეპში: დავეთხოვე — დავეთხოვე. მეორე ტაეპ-
ში: დავყარე ჩემი ლაშქარი — დავყარე ჩემნი ლაშქარნი, მეოთხე
ტაეპში: იქით-აქეთ — იქით-აქათ.

960-ე სტროფი: შენ მან მითხრა ამბავი... ძირითადად მიიჩნიეს.
მესამე ტაეპში: მშვენიისა, გასწორდა — ზენისა.

961-ე სტროფი: ან ფრიდონ იწვის... ძირითადად ცნეს. ი. აბუ-
ლაძე სტროფის პირველ ტაეპს ასეთი რედაქციით წარმოუდგენს
კომისიას: ან ფრიდონ იტყვის სიტყვითა მის ყმისა ნაუბარისა. კო-
მისიამ ასეთა წაკითხვა არ გაიზიარა. კამათს იწვევს აგრეთვე მეოთ-
ხე ტაეპი: „მუნ ვარდის წყლისა ცრემლითა რწყვენ ტევრსა საგუბა-
რისა“. ი. აბულაძე მხარს უჭერდა ასეთს წაკითხვას: მუნ ვარდთა
წყლითა ცრემლითა პრწყვენ, ტევრთა საგუბარითა. ა. შანიძე უპი-
რატესობას აძლევდა ასეთს წაკითხვას: მუნ ვარდსა წყლითა ცხე-
ლითა რწყვენ, ტევრთა საგუბარითა. კომისიამ ორივე წაკითხვა უარ-
ყო და მიიღო ვახტანგის რედაქცია: მუნ ვარდსა წყლითა ცრემლი-
თა პრწყვენ ტევრთა საგუბარითა.

962-ე სტროფი: ლაშქართა შიგან შეიქნა... ძირითადად იქნა
ცნობილი. მეოთხე ტაეპში: სიცრუე, გასწორდა — სიცრუე.

მორიგ ხსლომას (1935, XII, 22) დავსწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბა-
რამიძე, ე. ბერიძე, ს. იორდანიშვილი და ა. შანიძე (თ-რე). განი-
ლულ და დადგენილ იქნა 963-970¹ სტროფები.

963-ე სტროფი: ფრიდონ მოსთქვამს... ძირითადად მიიჩნიეს.
გასწორდა მეორე ტაეპში: გარდამხველო — გარდამხველო, მესამე

ტაეპში: მდგმელო — მდგმელო. მეოთხე ტაეპში: ღამამტქმელო — ღამანტქმელო.

964-ე სტროფი: რა მოგეშორე, მას აქათ... ძირითადად ცნეს. გასწორდა — პირველ ტაეპში: მოგეშორე — მოგეშორევე. მეორე ტაეპში: ჩემთვის — ჩემად. მესამე ტაეპში: გჩანს — გჩხს.

965-ე სტროფი: ფრიდონ თქვა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: თქვა, გასწორდა — თქვნა.

966-ე სტროფი: ქალაქს შევიდეს... ძირითადად მიიჩნიეს. მესამე ტაეპში: სრულთა, ი. აბულაძის წინადადებით, შესწორდა — რულითა. მეოთხე ტაეპში: შეფრფინვიდიან, გასწორდა — შე-
ჭფრფინვიდიან; წასულითა — წასრულითა.

967-ე სტროფი: შევიდეს და დიდი შექმნეს... ძირითადად მიიჩნიეს. მესამე ტაეპში: ვინცა ვინ თქვას, გასწორდა — ვინცა ვით თქვა. მეოთხე ტაეპში: ბალახშსა, გასწორდა — ბადახშსა.

968-ე სტროფი: დასხდეს, შეიქმნა პურობა... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: მკვრეტელსა, გასწორდა — მკვრეტელთა.

969-ე სტროფი: მას დღეს სვეს... ძირითადად მიიჩნიეს. გასწორდა — პირველ ტაეპში: დღეს — დღე; ჯარისა — დასისა. მეოთხე ტაეპში: თქვეს უთქმელია — დაუღებელი.

970-ე სტროფი: ყმანან დაყვნა დღენი რამე... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: ყვალაკასა, გასწორდა — ყველაკასა.

970¹-ე სტროფი: ქალაქს შევიდეს... ძირითადად ცნეს. გასწორდა — პირველ ტაეპში: ზათქი იქებოდიან — ზათქნი იქნებოდიან, მეორე ტაეპში: დაჯრილნი — დაჯარვით. მესამე ტაეპში: უღირსნი — უღირსთა.

კომისიის მორიგ სხდომას (XII, 29) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ს. იორდანიშვილი და ა. შანიძე (თ-რე). განხილულ და დადგენილ იქნა (971—974) სტროფები.

971-ე სტროფი: ყმა ფრიდონს ეტყვის... ძირითადად მიიჩნიეს, თუმცა აღნიშნულ იქნა სტროფის ძალიან წარყვნილება. ი. აბულაძე იძლევა სტროფის ასეთ შესწორებას:

ყმა ფრიდონს ეტყვის: გესმოდეს ჩემი, აწ მოგესაუბრებინს,
მე თქვენი გაყრა სიკვდილად მიჩნს და მით თაქსა ევენებინს,
მაგრა არა მცალს დღე-კრულსა, ცეცხლი მე სხვადა მეგზვნების
და გზა გრძელი, საქმე სასწრაფო მიც ღია დამეყოვნების.

კომისიამ შესწორება არ გაიზიარა, რადგან არცერთ ხელნაწერში სარიტმუ სიტყვები ასეთი დაბოლოებით არ გვხვდება. მეორე ტა-

ეპში: მჩანს, გასწორდა — მიჩს, მეოთხე ტაეპში: დიდი დასაყრენე-
ბი, გასწორდა — დია დავეყენები.

972-ე სტროფი: მართალარს შენი გამყრელი... ძირითადად ცნეს.
პირველ ტაეპში: თვალი, გასწორდა — თვალთათ.

973-ე სტროფი: ფრიდონ უთხრა:... ძირითადად მიიჩნიეს. პირ-
ველ ტაეპში: რა, გასწორდა — არ.

974-ე სტროფი: ამას გკადრებ.. ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპ-
ში: იმსახურე, გასწორდა — იმსახურენ.

შემდეგ სხდომას (XII, 25) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამი-
ძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე, და ა. შანიძე (თ-რე). განხილულ
და დადგენილ იქნა 975 — 984 სტროფები.

975-ე სტროფი: მოასხნა ოთხნი მონანი... ძირითადად მიიჩნი-
ეს. წაკითხვათა ცვლილებანი არ შეტანილა.

976-ე სტროფი: ერთა ჯორსა წვიგ-მაგარსა... ძირითადად ცნეს.
პირველ ტაეპში: ერთა ჯორსა, გასწორდა — ერთსა-ჯორსა. ს. კაკა-
ბაძე მხარს უჭერდა ერთა ჯორსა-ს. მისი აზრით, ერთა ჯორსა
უეჭველია პროვინციალური გამოთქმა და რადგან ხელნაწერების
უმრავლესობა ამ ფორმით წარმოგვიდგენს ამ ორ სიტყვას, ამიტომ
ასე უნდა დარჩესო. კომისიამ ეს აზრი არ გაიზიარა. მეოთხე ტა-
ეპში: გვიახლა, გასწორდა — გვეახლა.

976¹-ე სტროფი, ფრიდონ მიუძღვა მას გორსა... ჩანართად მიიჩ-
ნიეს. მეოთხე ტაეპში: რად დამქოლაჲ, გასწორდა — რად არ დამ-
ქოლაჲ.

976²-ე სტროფი: ავთანდილ უთხრა... ჩანართად ცნეს. მეოთხე
ტაეპში: რაცა არ, გასწორდა — რაცარა.

977-ე სტროფი: ზარი მის ყმისა გაყრისა... ძირითადად მიიჩ-
ნიეს. პირველ ტაეპში: სწავლისა, გასწორდა — გაყრისა. მეოთხე ტა-
ეპში: მივსცეთ, გასწორდა — მივსცნეთ.

978-ე სტროფი: ქალაქი გავლეს, მივიდეს... ძირითადად ცნეს.
წაკითხვებში ცვლილებები არ შეტანილა.

979-ე სტროფი: აქა მათ ზანგთა... ძირითადად მიიჩნიეს. მეო-
რე ტაეპში: ბავე ზალაზში, გასწორდა — ბაგე-ზალაზში; ტან ალვა,
თმითა, გასწორდა — სახედავითა; ს. იორდანიშვილი მხარს უჭერდა
ასეთ წაკითხვას: ტან-ალვა, თმითა შავითა. მესამე ტაეპში:
ზრღმითა, გასწორდა — ზრმლითა.

980-ე სტროფი: მოეხვივნეს ერთმანეთსა... ძირითადად ცნეს.
პირველ ტაეპში: გაამრავლეს, გასწორდა — გაამრავლენს.

980¹-ე სტროფი: გამოესალმნეს, აკოცეს... ჩანართად მიიჩნიეს. მეორე ტაქში. ყმამამ, გასწორდა — ყმამან; მართოდენ, დაიწერა — მართოდენ. მესამე ტაქში: არად, გასწორდა არას.

981-ე სტროფი: ყმა მიმავალი მიუბნობს... იწვევს კამათს. ი. აბულაძეს სტროფი ზედმეტად მიაჩნია. მისი აზრით, ზედმეტია აგრეთვე 982-ე სტროფიც, როგორც სრულიად შეუფერებელი რუსთველის კალმისათვის. ახალი თავის (წასვლა ავთანდილისაგან ნესტან-დარეჯანის საძებრად და ქარავანთა შეყრა) დასაწყისად უნდა მიჩნეულ აქნას 983-ე სტროფი: ავთანდილ მართო ზღვის პირსა მივა ოთხითა მონითა — და არა „ყმა მიმავალი მიუბნობს“ და მისი მომდევნო სტროფი, სადაც ავთანდილის მოთქმაა გადმოცემული ვეფხისტყაოსნის პირველი რესტავრატორის მიერ ჩამატებული. თუ ჩვენ გვინდა მივიღოთ ანტიკა, მაშინ ეს სტროფები არ უნდა შევიტანოთ ძირითად ტექსტში. ს. იორდანიშვილი არ იზიარებს ი. აბულაძის შეხედულებას 981-ე სტროფის ზედმეტობის შესახებ. მისი აზრით, 980-ე სტროფს, სადაც ვკითხულობთ: „გაიყარნეს გაუყრელნი ძმად-ფიცნი და ვითა ძმანი. და ფრიდონ დადგა, ყმა წავიდა, შემხედველთა მკვლელი — ტანი“ — უშუალოდ ებმის: „ყმა მიმავალი მიუბნობს, მსგავსი მთვარისა სრულისა“⁵. ყმა წავიდა და მიუბნობს. თინათინის მოგონება ავთანდილისათვის სრულიად ბუნებრივია და არც სოფელზე სამღერავის თქმა ეწინააღმდეგება ავთანდილის ბუნებას. სტროფი უნდა დარჩეს ძირითადთა შორის. ა. ბარამიძე აღნიშნავს, რომ მასაც საჭიროდ მიაჩნია სტროფის დარჩენა ძირითად ტექსტში. როგორც სპარსულ პოეზიაში, ისე რუსთველის ვეფხისტყაოსანში ხშირია შემთხვევა, როცა ახალი თავი იწყება ლირიკული გადახვევით. ამ შემთხვევაში ასეთ გადახვევასთან გვაქვს საქმე. თინათინს მოშორებული ავთანდილი ერთხელ იტყვის სოფლის საყვედურს და ვანაგრობს ნესტანის ძებნას. ს. კაკაბაძე მხარს უჭერს სტროფის ძირითადობას. ა. შანიძე წინააღმდეგია სტროფის დატოვებისა. ჭერ ერთი, მისი აზრით, შეუთანხმებლობაა მეორე ტაქში: „მისად სალხენად გულისა“. უნდა ყოფილიყო: მისად სალხენად გულისად. მაგრამ სტროფის დანარჩენი სარითმო სიტყვები დას არ იგუებენ. შეიძლება ამიტომ იყოს ლიცენცია დაშვებული. ამას გარდა, აქ წყლული ნახმარია უახლეს გაგებით, რაც შემდეგ დროის ამბავი უნდა იყოს. ამასთან, ფრიდონს გაყრილი ავთანდილი ეძებს ტარიელს და ახლა თინათინზე ფიქრი და ლაპარაკი უადგილოა. ყო-

⁵ დნ.: ყმა მიმავალი მიუბნობს, მსგავსი მზისა და მთვარისა.

ველივე ამ ნიშნების გამო, სტროფი შეიძლება ჩანართად იქნას ცნობილი. კომისიამ სტროფი ძირითადად მიიჩნია; წინააღმდეგნი იყვნენ ი. აბულაძე და ა. შანიძე. წაკითხვების არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

982-ე სტროფი: რად სიცხე გულსა... ჩანართად ცნეს. პირველ ტაეპში: სამსალებისა — ა. ბარამიძეს მიაჩნდა: სამ სალებისა. სპარსული სალი — წელიწადის გაგებით, სამი წელიწადიო; ნიადაგ მწვავს გმირსა სამ სალებისა. ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ ახლა უადგილოა იმ სამი წლის გახსენება, რომელიც უკვე გავიდა ტარაელს ძებნაზე პირველ პოვნამდის. კომისია გაეცნო კ. ჭიჭინაძის მოსაზრებებს ამ სტროფის შესახებ და არ გაიზიარა სტროფის პირველი ტაეპის ჭიჭინაძისებური გაგება. (სამს ალებისა). კომისიის აზრით, სამსალებისა-ში ერთი სიტყვა უნდა იყოს აზრით და არა „სამს ალებისა“. სტროფში წაკითხვათა ცვლილებანი არ შეტანილან.

983-ე სტროფი: ავთანდილ მარტო ზღვის პირსა... ძირითადად მიიჩნიეს. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

984-ე სტროფი: სადაცა ნახის, ეუბნის... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: ნახის, გასწორდა — ნახნის.

შემდეგი სხლომა შედგა 1935, XII, 26. დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე (თ-რე), ს. იორდანიშვილი და ს. კაკაბაძე. განხილულ და დადგენილ იქნა 985—996 სტროფები.

985-ე სტროფი: მუნ ქარავანი ურიცხვი... ძირითადად მიიჩნიეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

986-ე სტროფი: უსამ იყო ქარავნისა... ძირითადად მიიჩნიეს. ი. აბულაძე: მხარს უჭერდა მესამე ტაეპის: კადრეს, ხმელთა სინათლეო, შენ ამოხველ ჩვენი მლხენი — ასე წაკითხვას: ჰკადრეს: „მზე, საცოცხლე და შენ ამოხვე ჩვენი მლხენი“. კომისიამ მიიღო ხელნაწერთა უმრავლესობაში წარმოდგენილი შემდეგი წაკითხვა: ჰკადრეს: ხმელთა სინათლეო, შენ ამოხვე ჩვენი მლხენი.

987-ე სტროფი: გარდახდა, ჰკადრეს... ძირითადად იქნა ცნობილი. მეორე ტაეპში: რჯულის, გასწორდა — სჯულის; წინააღმდეგი იყო ს. კაკაბაძე. მესამე ტაეპში: გამონაჭარნი, გასწორდა — გარდმონაჭარნი. მეოთხე ტაეპში: ლარი, გასწორდა — ლარნი.

⁶ ჩანართად მიჩნეული სტროფების განხილვას კომისია დაუბრუნდა 1936 წ. 7 მაისის სხლომაზე, რომელსაც ესწრებოდა ტექსტის დამდგენი კომისიის სრული (9 კაცი) შემადგენლობა.

988-ე სტროფი: ჩვენ აქა ვპოვეთ... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: უშველეთ, გასწორდა — ვუშველეთ. მესამე ტაეპში: მღებარე, გასწორდა — მძებარე.

989-ე სტროფი: თქვა, ქარავანი... ძირითადად მიიჩნიეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

990-ე სტროფი: ლომო და მზეო... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: ვაი თუ დაგვხოცონ, გასწორდა — ვა თუ დაგვხოცენ. მეოთხე ტაეპში: ვერც ვდგაეართ, გასწორდა — ვერცა ვდგათ.

991-ე სტროფი: ყმაშან უთხრა, ვინცა... ძირითადად მიიჩნიეს. გასწორდა — პირველ ტაეპში: სცდების — ცთების. მეორე ტაეპში: აგცდების — აგვცთების. მესამე ტაეპში: სისხლსა — სისხლთა; დაცამწვთდების — დაცამწვთების. მეოთხე ტაეპში: ხმალი — ხრმალი; დააცვდების — დააცვთების.

992-ე სტროფი: მოქარავენნი აივსნეს... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: არ ჩვენებრივე, გასწორდა — არა ჩვენებრვე; წინააღმდეგა იყვნენ ი. აბულაძე და ვ. ბერიძე.

993-ე სტროფი: სიამოვნისა დართა... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: ბადარვა, გასწორდა — ბადრაგა.

994-ე სტროფი: ჰკიოდეს და მოდიოდეს... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: მათსა ეგრე, გასწორდა — მათ ლაშქართა; მეოთხე ტაეპში: დღესა. დაიწერა — დღეს ა; წინააღმდეგი იყო ი. აბულაძე.

995-ე სტროფი: უგანგებოდ ვერას მიზმენ... ძირითადად მიიჩნიეს. გასწორდა — პირველ ტაეპში. შეცამებნეს — შეცამებნენ. მეორე ტაეპში: დღესცა მამკლავს — არ დავრჩები. მესამე ტაეპში: მოყმენი. გასწორდა — მოყვასნი.

996-ე სტროფი: თქვენ ვაჭარნი... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: დაგხოცონ, გასწორდა — დაგვხოცენ. მესამე ტაეპში; ვინმარო, შესწორდა — ვინმარნე. მეოთხე ტაეპში: ღმერთა უნდეს, მეკობრეთა სისხლნი ნახოთ მონაღვარნი, გასწორდა — მეკობრისა ნავისანი სისხლნი ჰნახნეთ მონაღვარნი. შესწორების წინააღმდეგნი იყვნენ ვ. ბერიძე და ს. კაკაბაძე.

მორიგ სხდომას (XII, 27) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ვ. ბერიძე (თ-რე), ა. ბარამიძე და ს. იორდანიშვილი. განხილულ და დადგენილ იქნა 997.—1008 სტროფები.

997-ე სტროფი: ჩაიცვა ტანთა აბჯარი... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: ტანთა, გასწორდა — ტანთსა.

998-ე სტროფი: კიოდეს იგი ლაშქარნი... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: სწევთ არად არ მოსტყუდებოდა, გასწორდა — ლომს მკლავი არ უდრკებოდა.

998¹-ე სტროფი: ძელი მოსტეხა ავთანდილ... იწვევს კამათს. ი. აბულაძე აღნიშნავს, რომ სტროფი მეტის მეტად ახალი ენით არის დაწერილი და ახალს არაფერს გვეუბნება. სტროფს უარყოფს H 46: ზელნაწერი და მე ჩანართად მიმაჩნიაო. ვ. ბერიძე აღნიშნავს, რომ სტროფში თითქმის მართლაც არის ერთგვარი წინააღმდეგობა. „არ დარჩა კაცი ცოცხალი, მაშვიგან დაულეწელი“, თითქმის ყველა დახოცაო და 1000 სტროფით კი ვიცით, რომ ყველა არ დაუხოცია: „არ დახოცნა, დაიმონნა, დარჩომოდა რაცა წყლულსა“. ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ ამ სტროფის მეოთხე ტაეპი — არ დარჩა კაცი ცოცხალი, მუნ მისგან დაუფრეწელი — ისე კი არუნდა გავიგოთ, რომ ყველანი დახოცა, არამედ მას (ავთანდილს) არავინ სულიერი (ცოცხალი) არ გადაურჩა დაუზიანებელი. თუ ასე გავიგებთ, არავითარი წინააღმდეგობა არ არის და სტროფი ძირითადად უნდა დარჩეს. ა. ბარამიძე სტროფს ჩანართად მიიჩნევს და იზიარებს ი. აბულაძის მოსაზრებებს სტროფის შესახებ. კომისიამ სტროფი ჩანართად მიიჩნია. მეოთხე ტაეპში: მაშვიგან დაულეწელი, გასწორდა — მუნ მისგან დაუფრეწელი.

999-ე სტროფი: მათ ლაშქართა... ძირითადად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

მე-1000 სტროფი: გაუმარჯვდა ომი მათი... ძირითადად იქნა ცნობილი. მეორე ტაეპში: რჯულსა, გასწორდა — სჯულსა. მესამე ტაეპში — დაიმონნა. გასწორდა — დაიმონნა. მეოთხე ტაეპში უთქვამს მოციქულთა, გასწორდა — იტყვის მოციქული.

1001-ე სტროფი: კაცო, ძალსა ნუ იქადი... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: მთვრალი, გასწორდა — მთრვალი.

1002-ე სტროფი: მუნ ავთანდილ... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: მათეული საქურჭლენი, გასწორდა — საქურჭლენი მათეულნი.

1002¹-ე სტროფი: ავთანდილის მაქებელთა... იწვევს კამათს. ი. აბულაძე აღნიშნავს, რომ სტროფი სტილის სიახლით სრულიად შეუფერებელია პოემის ენისათვის. სტროფი უარყოფილია S 2829 ზელნაწერით და იგი ჩანართად უნდა ვიცნოთ. ა. ბარამიძემ გაიზიარა ი. აბულაძის მოსაზრებანი სტროფის ჩანართობის შესახებ.

¹ დნ.: მუნშიგან დაუფრეწელი.

ვ. ბერიძე და ს. იორდანიშვილი სტროფს ძირითადად მიიჩნევენ. გადაწყდა საკითხის განხილვა კომისიის სრულ შემადგენლობაში დასმულიყო. პირველ ტაეპში: მაქებელთა, გასწორდა—მაქებელად; უნდა, გასწორდა — ენდა. ეს სტროფი კომისიამ განიხილა 1936 წ. 7 მაისის სხდომაზე (დაესწრო კომისიის სრული (9 კაცი) შემადგენლობა) და იგი ძირითადად იქნა ცნობილი.

1003-ე სტროფი: მოეგებნეს, აყოცებდეს... ძირითადად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

1004-ე სტროფი: ყმამან უთხრა... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: მხელსა, გასწორდა — მხაღსა. მეორე ტაეპში: ქნელსა, გასწორდა — ქმნაღსა.

1005-ე სტროფი: ღმერთმან სულსა ეგოდენსა... ძირითადად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

1006-ე სტროფი: ამოა, კარგსა მოყმესა... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: ამხანაგთაგან, გასწორდა — ამხანაგთათვის.

1007-ე სტროფი: იგი ნავი მეკობრეთა და 1008-ე სტროფი: ავთანდილს უსამ მოართვა... ძირითადად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა. მიღებულ 1008-ე სტროფის მეორე ტაეპის: ჩვენ ვიცით ჩვენი ფლიდობა-ს ნაცვლად კ. ჭიჭინაძემ 1936, V, 10 კომისიას წარუდგინა, ასეთი წაკითხვა: ჩვენ ვიცით ჩვენი ცვლილობა. ი. აბულაძემ ეს შესწორება გაიზიარა. კ. კეკელიძე ადგენს ახალ შესწორებას: ჩვენ ვიცით ჩვენი ცვილობა. კომისიამ მიიღო კ. კეკელიძის შესწორება.

1935, XII, 28-ის სხდომას დაესწრნენ: ი. აბულაძე, ვ. ბერიძე (ბ-რე) და ს. იორდანიშვილი. განხილულ და დადგენილ იქნა 1009—1023 სტროფები.

1009-ე სტროფი: ყმამან შესთვალა... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: დაგარჩინა, გასწორდა — დაგარჩინა.

1010-ე სტროფი: მე თუცა რაცა... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: თუცა რაცა, გასწორდა — თუმცა რამცა.

1011-ე სტროფი: აწ რაცა აქა... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: გინდათ აიღეთ, გასწორდა — გინდა, წაიღეთ. მეოთხე ტაეპში: თქვენშია, გასწორდა — თქვენ შიგა.

1012-ე სტროფი: ჟამამდის ჩემსა ნუ იტყვი... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: თქო, გასწორდა — თქვით.

1013-ე სტროფი: ესე საქმე ქარაუანსა... ძირითადად მიიჩნიეს. მესამე ტაეპში: გიაჯია, გასწორდა — გიაჯლია.

1014-ე სტროფი: მუნით წავიდეს, იარეს... ძირითადად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

1015-ე სტროფი: ზღვა გაიარა ავთანდილ... ძირითადად მიიჩნის. მეოთხე ტაეპში, ი. აბულაძის წინადადების თანახმად, შენ რითა, გასწორდა — მევე, რითა!

1016-ე სტროფი: მათ ბალთა პირსა... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში ჩაიცვა, გასწორდა — ჩაიცვნა. მეოთხე ტაეპში: მოასხეს, გასწორდა — მოასხნეს. კ. კეკელიძემ მესამე ტაეპის შესახებ: მოასხნეს. კაცნი მზიდავნი, დამზადებულნი დრამითა — კომისიას (1936, V, 10) მოახსენა, რომ „დამზადებულნი დრამითა“ აქ სრული უზრობაა; თუ გავითვალისწინებთ ამ ეპოქის სასულიერო მწერლობის ზოგიერთ ძეგლს, მათში ხშირია ასეთი თქმა: „დამიზღებულნი დრამითა“. აქაც უეჭველად უნდა გვკონდეს: „დამიზღებულნი“, ე. ი. დაქირავებულნი დრამით, როგორც ეს არის ზოგ ხელნაწერში. კომისიამ შესწორება მიიღო.

1017-ე სტროფი: მოვიდა მისი მებაღე... და 1018-ე სტროფი: წკრილად შითხარ ყველაკაი... ძირითადად მიიჩნის. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

1019-ე სტროფი: ესეა ზღვათა სამეფო... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: აქ ძეს, გასწორდა — აქ მოდის; მრავალი, გასწორდა — ყველაი. მეოთხე ტაეპში: სავსე, გასწორდა — სრული.

1020-ე სტროფი: აქა მოსვლითა... იწვევს კამათს. ი. აბულაძე აღნიშნავს, რომ ესე და მისი მომდევნო 1021-ე სტროფი ყურადღებას იქცევს სტილისა და ენის სიახლით. ამასთან ამ სტროფებში არ არის მოცემული პასუხი ავთანდილის შეკითხვაზე: „რა ლარია უფრო ძვირად, ან იაფად რა ხსენების?“ ამიტომ ეს სტროფები ჩემში ექვს იწვევენ და ჩატანილი მაქვს სქოლიოში. ვ. ბერიძე აღნიშნავს, რომ ავთანდილმა მას კაცს სთხოვა: „წერილად შითხრა ყველაკაი“ და მომდევნო სტროფებში სწორედ მოთხრობილია ზღვათა სამეფოს და გულანშაროს ქალაქის სიტურფე, ბუნება და ვაჭრული წესები: დიდვაჭარნი და პატარა ვაჭარნი, როგორ იქცევიან ან ერთნი, ან მეორენი. სტროფები აუცილებლივ საჭირონი არიან და სტილითაც დასაწუნი არა აქვთ რაო. სტროფი ძირითადად იქნა ცნობილი, წინააღმდეგი. იყო ი. აბულაძე. პირველ ტაეპში: კაცი თუც იყოს ბერები, გასწორდა — კაციმცა იყო ბერები. მეორე ტაეპში: არს, გასწორდა — არს.

1021-ე სტროფი: დიდ-ვაჭარნი სარგებელსა... ძირითადად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

1022-ე სტროფი: მე ვარ მებაღე უსენის... ძირითადად მიიჩნის. მესამე სტროფში: დღეს ისა, დაიწერა — დღეს ისა.

1023-ე სტროფი: რა შემოვლენ დიდვაქარნი... ძირითადად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

შემდეგ სხდომას (XII, 29) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი და ა. შანიძე (თ-რე). განხილულ და დადგენილ იქნა 1024—1038 სტროფები.

1024-ე სტროფი: თქვენებრთა საბატითა... ძირითადად მიიჩნის. პირველ ტაეპში: მას, გასწორდა მათ. მესამე ტაეპში: შინა, გასწორდა — აქა.

1025-ე სტროფი: ფატმან ხათუნ... და 1026-ე სტროფი: ავთანდილ უთხრა... ძირითადად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

1027-ე სტროფი: ვაჰარი ვინმე... ძირითადად მიიჩნის. მეორე ტაეპში: მთვარეა, გასწორდა — და მთვარე. მესამე ტაეპში: ოქროვანისა, გასწორდა — ძოწეულისა.

1028-ე სტროფი: ფატმან ხათუნს... ძირითადად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

1029-ე სტროფი: ზარი გახდა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: შემოაყრდა, გასწორდა — შემოაყრფეს. მეორე ტაეპში: სრულად, გასწორდა — რულად, ი. აბულაძის წინადადების თანახმად. მესამე ტაეპში: დარჩეს, გასწორდა — იყვნეს.

1030-ე სტროფი: ფატმან, ცოლი უსენისა... ძირითადად მიიჩნის. პირველ ტაეპში უსენისა, გასწორდა — უსენისი.

1031-ე სტროფი: ფატმან ხათუნ... ძირითადად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

1032-ე სტროფი: მას ლამესა... ძირითადად მიიჩნის. მეოთხე ტაეპში: გარგა, დაიწერა — გარ, გა.

1033-ე სტროფი: დილასა ლარი ყველაი... ძირითადად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

1034-ე სტროფი: ყმა ვაჰრულად... ძირითადად მიიჩნის. მეოთხე ტაეპში: კლევდა, გასწორდა — ჰკლვიდა.

1035-ე სტროფი: სჯობს სიშორე დიაცისა... ძირითადად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

1036-ე სტროფი: ფატმან ხათუნს... ძირითადად მიიჩნის. მეოთხე ტაეპში: თვალსა, გასწორდა თვალთა.

1037-ე სტროფი: მიღმა უთხრა... ძირითადად იქნა ცნობილი. გასწორდა — პირველ ტაეპში: უთხრა — ვუთხრა. მეორე და მეოთხე ტაეპებში როგორ — რაგვარ.

1038-ე სტროფი: დაწერა წიგნი... ძირითადად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

კომისიის შემდეგ სხდომას (XII, 30) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი და ა. შანიძე (თ-რე). განხილულ და დადგენილ იქნა 1039—1048 სტროფები.

1039-ე სტროფი: ჰე მზეო... ძირითადად მიიჩნიეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

1040-ე სტროფი: შენ გტრფიალობენ მჭკრეტელნი... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: ჩემიც, გასწორდა — ჩემნიც.

1041-ე სტროფი: ღმერთი მყავს შოწმად... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: ამისა, გასწორდა — ამისა. მეორე ტაეპში: მიხდილვარ ცნობასა, გასწორდა — გავცყრილვარ თმობასა. მეოთხე ტაეპში: მიხდილვარ, გასწორდა — მივჭხდები.

1042-ე სტროფი: მე ვირე ამა წიგნისა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: რამ გავიდოდეს, გასწორდა — რა გგავიდოდეს.

1043-ე სტროფი: ფატმან ზათუნ... ძირითადად მიიჩნიეს. მესამე ტაეპში: ვის, გასწორდა — ვინ; წინააღმდეგნი იყვნენ ა. შანიძე და ს. იორდანიშვილი. მეოთხე ტაეპში: მიმჩანს, გასწორდა — მიმიჩნს.

1044-ე სტროფი: თქვა, ყვავი..., 1045-ე სტროფი: ესე გვარი საზრახავი... და 1046-ე სტროფი: ისი დიაცი აქა ზის... ძირითადად მიიჩნიეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

1047-ე სტროფი: თქვა, დიაცსა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: გაექვისის, გასწორდა — გაექისვის. მეოთხე ტაეპში: განაღ, გასწორდა — განლა; დაფარულსა, გასწორდა — დამალულსა, წინააღმდეგი იყო ა. ბარამიძე.

1048-ე სტროფი: კვლა იტყვის... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: ბინდის ფერია, გასწორდა — ბინდის გვარია; ბინდების, გასწორდა — ბინდების. ვ. ბერიძე და ა. შანიძე მზარს უჭერდნენ: ბინდების-ს, ასე ბინდების, ე. ი. ასეა დაწესებულიო.

1935 წლის 31 დეკემბრის სხდომას დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე და ა. შანიძე (თ-რე). განხილულ და დადგენილ იქნა 1049—1054 სტროფები.

1049-ე სტროფი: მიუწერა, წავიკითხე... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: გაუწყვეტლად, გასწორდა — გაუწყვედლად.

1050-ე სტროფი: ფატმანისას ვერ გიამბობ... ძირითადად მიიჩნის. პირველ ტაეპში: ფატმანისას, გასწორდა — ფატმანისასა. მესამე ტაეპში: მარტო მპოვე აქა სამე, გასწორდა — აქა მპოვებ მარტოსა მე. შესწორების წინააღმდეგი იყო ვ. ბერიძე. მისი აზრით, უმჯობესია დარჩეს წაკითხვა „მარტო მპოვებ აქა სამე“, რადგან სამე ნიშნავს გარკვეულ პუნქტს, ადგილს. ფატმანი სწერს, რომ აქ გარკვეულ ადგილას მპოვებო. კომისიამ ტაეპის ასეთი გააზრება არ მიიღო.

1051-ე სტროფი: მას ღამესა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: ღამესა, გასწორდა — ღამითვე. მესამე ტაეპში: ამაზ ღამე, გასწორდა — ამას ღამე.

1052-ე სტროფი: წვეული ადარ დაბრუნდა... ძირითადად მიიჩნის. მესამე ტაეპში: შევითა, დიწერა — შე, ვითა.

1053-ე სტროფი: ერთგან დასხდეს... ძირითადად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

1054-ე სტროფი: ფატმან რა ნახა... ძირითადად მიიჩნის. მესამე ტაეპში: კრთომასა, გასწორდა — კრთოლასა; წინააღმდეგი იყო ს. კაკაბაძე.

მორიგ სხდომას (1936, I, 2) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი და ა. შანიძე (თ-რე). განხილულ და დადგენილ იქნა 1055—1062 სტროფები.

1055-ე სტროფი: გამყიციზე, ბოზო დიაცო... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: დასაჭმეველად, გასწორდა — დამაჭმეველად.

1056-ე სტროფი: ესე თქვა და... ძირითადად მიიჩნის. მესამე ტაეპში: წყაროსებრი, გასწორდა — წყაროსებრნი. მეოთხე ტაეპში სარითმო სიტყვა „მამაკარნი“ იწვევს კამათს. ი. აბულაძე სარითმო სიტყვას ასე კითხულობს: მო, მაკარნი. ს. იორდანიშვილი: მო, მაკარნი, რადგან რითმა არის კარნი — და მაკარნი — ქვის მკვრელნი იგულისხმებო. ა. შანიძეს სარითმო სიტყვად მიაჩნია მო მაკარნი ერთად დაწერილი, როგორც ეს მოცემულია უმეტეს ხელნაწერებში. კომისიამ გაიზიარა ეს უკანასკნელი წაკითხვა.

1057-ე სტროფი: მოსთქვამს, მოვკალ... ძირითადად ცნეს. გასწორდა — პირველ ტაეპში: თავი — ჰაი; ამოვსწყვიტენ — ამოვწყვიდენ⁸. მეორე ტაეპში: საქონელნი — საქონელი. მესამე ტაეპში: ვაი, გამზრდელი, ვაი გაზრდილნი — ვა გამზრდელნი, ვა გაზრდილნი.

⁸ დნ.: ამოვსწყვიდინ.

1058-ე სტროფი: ამას ყველასა ავთანდილ... და 1059-ე სტროფი: დიაცმან უთხრა... ძირითადად მიიჩნიეს. არსებობთი ცკლილებანი არ შეტანილა.

1060-ე სტროფი: ესე გვარი დია მიხვდა... ძირითადად მიიჩნიეს. გასწორდა—პირველ ტაეპში: ესე გვარი—ესეგვარი; მიხვდა—მოხვდეს. მეორე ტაეპში: ხვაშიადსა ვერა მალავს — ხვაშიადის ვერ მმალავსა. მეოთხე ტაეპში: სისხლთა—სისხლის.

1061-ე სტროფი: ორისგან ერთი... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: ლამით, გასწორდა — ჰლამით. მეორე ტაეპში: მოვითმოკლავე, გასწორდა — მოვითაჰკლავე.

1062-ე სტროფი: თვარემ ლამითვე... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: თვარემ, გასწორდა — თვარა. მეორე ტაეპში: სხვაგან, გასწორდა — სრულად; მირითა, დაიწერა — მი რითა; მეოთხე ტაეპში: კბილთა, გასწორდა — პირითა.

1936 წ. 3 იანვრის სხდომას დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი და ა. შანიძე (თ-რე). განხილულ და დადგენილ იქნა 1063—1072 სტროფები.

1063-ე სტროფი: რა ესე ესმა... ძირითადად ცნეს. პირველი ტაეპის წაკითხვა, ბუნება-ზიარსა — იწვევს კამათს. ი. აბულაძე ამ სიტყვებს ასე კითხულობს: ბუნება-ზეარსა; ე. ი. ზეარსების, ზე არსის ბუნების მქონე ავთანდილს რა ესმაო, რადგან რითმაც ვარსა — არისო. ა. შანიძე არ იზიარებს ასეთს წაკითხვას, მით უმეტეს, რომ მას არც ხელნაწერები ადასტურებენ. მისი აზრით, ბუნება-ზიარი უფრო მისაღებია. ბუნებაზიარი ნიშნავს ბუნებასთან გაზიარებულს, ბუნებასთან გაერთიანებულს. კომისიამ ეს უკანასკნელი წაკითხვა ბუნება-ზიარი მიიღო.

1064-ე სტროფი: ფატმანს უთხრა, კაცი მომეც... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: თვარ მეშველად, გასწორდა—თვარა მეშველად⁹. მეოთხე ტაეპში: უყო, გასწორდა — ვუყო

1065-ე სტროფი: მას მისცა მონა... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: და მასწავლელად, გასწორდა — წაცამყვანელად. მესამე ტაეპში: თუ ვითა მოკლა; გასწორდა — თუ მოვითაჰკლა.

1066-ე სტროფი: ავთანდილ გავლო ქალაქი... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: ქვეშეთკენ, გასწორდა — ქვეშეთკე; და ზედათ, გასწორდა — კვლა ზედათ.

1067-ე სტროფი: მუნ მიჰყავს პირ მზე... ძირითადად მიიჩნიეს. მესამე ტაეპში: ბანზედა ქვემო მღვომელსა, ა. შანიძის წინადადების

⁹ დნ.: მეშველად.

თანახმად, ასე შესწორდა: ბანსა ზედა-ქვე მდვომელსა. მისი გან-
მარტებით, ზედა-ქვე მთიულურში დღესაც ცოცხალია და ნიშნავს
ორ სართულიან სახლს.

1068-ე სტროფი: კარსა წინა დარაჯანი... ძირითადად ცნეს. მე-
ორე ტაეპში: ვირემ, გასწორდა — ვირე.

1069-ე სტროფი: იგი ყმა მარტო საწოლს... ძირითადად მიიჩ-
ნის. პირველ ტაეპში: მარტო საწოლს, გასწორდა — საწოლს მარ-
ტო. მეორე ტაეპში: თვალსისხლიანი, გასწორდა — ხელ-სისხლიანი.
მესამე ტაეპში: ველარ, გასწორდა — ვერლა.

1070-ე სტროფი: მკვრეტელთა მზე... ძირითადად ცნეს. მე-
სამე ტაეპში: ზღვათაქენ, გასწორდა — ზღვათაქე; ქვიშასა გარია,
გასწორდა — ქვიშათა დარია. ი. აბულაძე მზარს უკერდა ვახტან-
გის წაკითხვას: ქვიშასა გარია. მეოთხე ტაეპში: არცა და, გასწორ-
და — არცა სად; არცა და სათხრად ბარია, გასწორდა — არცა სათ-
ხარად ბარია.

1070¹-ე სტროფი: უყურეთ ბოზსა დიაცსა... ჩანართად მიიჩნი-
ეს. წაკითხვათა ცვლილებანი არ შეტანილა.

1071-ე სტროფი: ხმა მათისა დაზოცისა... ძირითადად ცნეს.
მესამე და მეოთხე ტაეპები კომისიამ ასეთი თანამიმდევრობით მი-
იღო:

3. ესე მიკვირს, სისხლი მისი ასრე ვითა მოიპარა. 4. და რომე
პირველ წამოველო, გზა იგივე წაიარა.

1072-ე სტროფი: რა ფატმანისას შევიდა... ძირითადად მიიჩნი-
ეს. გასწორდა — პირველ ტაეპში: ფატმანისას — ფატმანისსა. მე-
ორე ტაეპში: მოვკალო, უთხრა — უბრძანა: მოვკალ. მეოთხე ტა-
ეპში: დანა მაქვს შე სისხლიანი — და დანა მაქვს სისხლიანი.

1072¹-ე სტროფი: ესე ფატმან მოისმინა... ჩანართად ცნეს. მეო-
რე ტაეპში: ეხვევოდა, გასწორდა — უხვევოდა.

1936 წ. 4 იანვრის სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე,
ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე და ა. შანიძე (თ-რე). განხილულ და
დადგენილ იქნა 1073-1083 სტროფები.

1073-ე სტროფი: აწ მითხარ, თუ რას იტყოდი... ძირითადად
მიიჩნის. ა. შანიძე მოითხოვდა პირველ ტაეპში: გაშმაგდი, დაწე-
რილიყო ჰაეთი, მეორე პირის სუბიექტურ პრეფიქსით. კომისიამ
ჰაე ზედმეტად სცნო. პირველ ტაეპში: რად, გასწორდა — რას, მე-
სამე ტაეპში: არ ღირს ვარო, გასწორდა — არა ღირს ვარ.

1074-ე სტროფი: მე და უსენი შვილითურთ... ძირითადად ცნეს.
გასწორდა — პირველ ტაეპში: ახლა — ახლად. მეორე ტაეპში: შე-

ნიმცა — შენნიმცა. მესამე ტაეპში: ვინადგან სისხლთა მისთაგან — ვინათგან სისხლთა იმისთა. მეოთხე ტაეპში: თავიდგან — თავითგან.

1074¹-ე სტროფი: ჩვენთვის მოიღე ანაზღადა... ჩანართად მიიჩნეის. პირველ ტაეპში: მღრთულები, გასწორდა — ღმრთულები. მესამე ტაეპში: ეგრე, დაიწერა — ეგე. მეოთხე ტაეპში: კადრო, გასწორდა — გკადრო.

1075-ე სტროფი: წესია ამა ქალაქსა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: წესია ამა ქალაქსა, გასწორდა — ამა ქალაქსა წესია. მესამე ტაეპში: ყველაი, გასწორდა — ყოველნი.

1076-ე სტროფი: ჩვენ, დიდ-ვაჭართა... ძირითადად მიიჩნეის. მეოთხე ტაეპში: დრგიალი, გასწორდა — დგრიალი.

1077-ე სტროფი: ქმარი ჩემი დიდ-ვაჭართა... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: უძღვნით, გასწორდა — ვუძღვნით.

1078-ე სტროფი: დღე მოვიდა ნავროზობა... ძირითადად მიიჩნეის. მეორე ტაეპში: ავაკსეთ, გასწორდა — ავაკსენით. მეოთხე ტაეპში: მუნებურნი, გასწორდა — უნებურნი.

1079-ე სტროფი: ბალსა შიგან თამაშობდა... ძირითადად ცნეს. გასწორდა — პირველ ტაეპში: საღამო ჟამ — საღამოსა. მეოთხე ტაეპში: ვთამაშობდი — ვყმაწვილობდი.

1080-ე სტროფი: იქ ბალსა შიგან... ძირითადად მიიჩნეის. მეორე ტაეპში: ზღვაზედან, გასწორდა — ზღვად ზედა.

1081-ე სტროფი: ვაქრის ცოლთა ვუმასპინძლე... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: ყველაკაი გაიყარა სხლომილ იყვენეს, გასწორდა — რა შემატყვეს, სხლომილ იყო.

1082-ე სტროფი: უკმოვახვენ სარკმელი და... ძირითადად მიიჩნეის. ს. იორდანიშვილი შენიშნავს, რომ პირველ ტაეპში სარითმოს სიტყვა უნდა შეიცვალოს, თანახმად ზოგიერთი ხელნაწერისა, და უნდა მიღებულ იქნეს გზასა, ზღვასა მაგიერ. ამით ჯერ ერთი აცილებულ იქნება ორჯერ ზღვასა-ს გამეორება სარითმოს სიტყვებად ერთ და იმავე მნიშვნელობით. მეორეც — ზღვასა რომ დავტოვოთ პირველ ტაეპში, უაზრობა გამოდის, რადგან ფატმანს რომ ზღვისთვის შეეჭკვივნა პირი, მაშინ ნავს ვეღარც დაინახავდაო. ა. ბარანიძე იზიარებს ასეთ წაკითხვას და შენიშნავს, რომ კ. ჭიჭინაძე ამ ადგილს იმოწმებდა ხოლმე იმის დასამტკიცებლად, რომ ვეფხისტყაოსანში ერთსა და იმავე მნიშვნელობით ხმარებული სიტყვები სარითმოს სიტყვებად გვხვდებო. ახლა ამ შესწორებით ასეთი მტკიცება უნდა უარყოფილ იქნასო. კომისიამ მიიღო ზღვასა-ს მაგიერ გზასა. მეორე ტაეპში: კაეშანსა, გასწორდა — კაეშნისა.

1083-ე სტროფი: მე შორიღამ ვერად ვიცან... ძირითადად მიიჩნიეს. ს. იორდანიშვილი შენიშნავს, რომ პირველ ტაეპში: მე შორიღამ, შეცვლილიყო ზოგიერთ ბელნაწერში შემონახული წაკითხვით: მაშორვიდა, რომელიც უფრო მისაღებია მთელი ტაეპის აგებულობით: მაშორვიდა ვერად ვიცან, მომეახლა, იყო ნავი. კომისიამ შესწორება გაიზიარა. მეორე ტაეპში: ჰქონდა, გასწორდა — ედგა. მესამე ტაეპში: იქით აქეთ, გასწორდა — იქით-აქათ.

მორიგ სხდომას (I, 5) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე და ა. შანიძე (თ-რე). განხილულ და დადგენილ იქნა 1084—1089 სტროფები.

1084-ე სტროფი: გამოზიდნეს იგი ნავი... ძირითადად ცნეს. გასწორდა — პირველ ტაეპში: გამოზიდნეს — გამოზიდეს, წინააღმდეგი იყო ი. აბულაძე. ბალთა — ბალსა.

1084¹-ე სტროფი: უსენ წასულა ქალაქად... ჩანართად მიიჩნიეს. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1085-ე სტროფი: მით ნავიდაღმან მათ რომე... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: ნავიდაღმან, გასწორდა — ნავიდაღმა. მეორე ტაეპში: ახადეს, გასწორდა — აჰხადეს.

1085¹-ე სტროფი: ავთანდილს გული შეეძრა... ჩანართად მიიჩნიეს. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1085²-ე სტროფი: ამოძვრეს ორნი მონანი... იგივეა, რაც ძირითად ტექსტის 589-ე სტროფი. ამიტომ კომისიამ ამ ადგილს სტროფი ჩანართად მიიჩნია.

1086-ე სტროფი: რა მობრუნდა ქალი ჩემკენ... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: ჩემკენ შემოადგა, გასწორდა—ჩემკე, შემოადგეს. მეორე ტაეპში: ელვარება ელვარებდა ზესთა ზესას ნაცვლად ი. აბულაძე მხარს უჭერდა ასეთ წაკითხვას: ელვარება ელვარებდა ხმელთ და ზესა. ელვარება ელვარებდა—ნამდვილი რუსთველური გამოთქმაა. ამასთან ნათქვამია, რომ ეს ელვარება იყო ხმელეთსა და ზეცასო. უნდა დარჩეს: ხმელთ და ზესა. ვ. ბერიძე აღნიშნავს, რომ მართალია „ელვარება ელვარებდა“. რუსთველურია, მაგრამ „ზესთა ზესაც“ რუსთველურია და აზრის მხრივ უკეთესია, ვიდრე ხმელთა ზესა. ტაეპის აზრი ის არის, რომ ნესტანის შუქთა ელვარება ზეცას სწვდებოდაო. ამიტომ აქ უნდა დარჩეს „ზესთა ზესა“. ს. იორდანიშვილი იზიარებს ასეთ წაკითხვას და ამ პიპერბოლის პარალელად მიაჩნია კომისიის მიერ უკვე მიღებული 589-ე სტროფის მესამე და მეოთხე ტაეპის წაკითხვა: მას რომე ელვა ჰქრთებოდა, ფერნიმცა ჰგვანდეს რისანი, მან გაანათლოს

ს ა მ ც ა რ ო, გაცუდდეს შუქნი მზისანი. კომისიამ მიიღო ტაეპის ასეთი წაკითხვა: დაწვთა მისთა ელვარება ელვარებდა ზესთა ზესა. მესამე ტაეპში: დაიხუქენ, გასწორდა — დავიწუხენ. მეოთხე ტაეპში: უკმოვიხშევ, იწვევს კამათს. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ თუმცა მრავალ ხელნაწერშია: უკმოვიხარჩ, მაგრამ ამ ეპოქისათვის ერთადერთი სწორი ფორმა არის უ კ მ ო ვ ი ხ ა შ და იგი ამ ფორმას დაუკერს მხარს. ვ. ბერიძე აღნიშნავს, რომ ჩვენ უნდა აღვადგინოთ კლასიკური ნორმა და ფორმა. ასეთად მას მიაჩნია ხმ კომპლექსი და არა ხჩ, რადგან ჩვენ გვაქვს მრავალი შემთხვევა ხშ-ს ხჩ-დ გადაქცევისა, პირუკუ კი არ გვხვდება, ჩვენ უნდა ამოვირჩიოთ გრამატიკულად სწორი და ენის ისტორიის განვითარებისადმი შესატყვისი ფორმა. ამიტომ ამ თვალსაზრისით მისაღებად მიმაჩნია ფორმა უკმოვიხშევ. უკმოვიხაშ მეტისმეტად ძველი ფორმაა. ი. აბულაძეს სრულიად შესაფერისად მიაჩნია უმეტეს ხელნაწერებში შემონახული ფორმა: უკმოვიხარჩ, ისევე, როგორც ეს აქვს ვახტანგს თავის გამოცემაში. კენჭის ყრით ა. ბარამიძის, ვ. ბერიძისა და ს. კაკაბაძის ხმით მიღებულ იქნა ფორმა — უკმოვიხშევ. ა. შანიძემ ხმა მისცა უკმოვიხაშ-ს. ი. აბულაძემ და ს. იორდანიშვილმა მხარი დაუჭირეს უ კ მ ო ვ ი მ ო რ ჩ — ფორმას. ჩემკენ, გასწორდა — ჩემცე.

1087-ე სტროფი: მოვიხმენ ოთხნი მონანი... ძირითადად მიიჩნეეს. გასწორდა — მესამე ტაეპში: ჩადითო — ჩაედით. მეოთხე ტაეპში: იყენეს — იყენენ.

1087¹-ე სტროფი: კვლავცა დავვედრე... ჩანართად ცნეს. მეოთხე ტაეპში: მოფინოთ, გასწორდა — მოჰფინოთ.

1088-ე სტროფი: თუ არ მოგცენ... ძირითადად მიიჩნეეს. გასწორდა — პირველ ტაეპში: ნულარ — ნულა. მესამე ტაეპში: ზედადალმან — ზედადალმა. მეოთხე ტაეპში: დაევაჰრეს — დაევაჰენეს; ვნახე — ვნახენ.

1089-ე სტროფი: მე სარკმელთა გარდავადეგ... ძირითადად ცნეს. გასწორდა — მეორე ტაეპში: შეიპყრეს — დაიპყრენეს. მესამე ტაეპში: შეასრივეს — შეასრივენეს.

შემდეგი სტროფების (1090 — 1100) განხილვა და დადგენა გაგრძელდა 1936 წ. 7 ნაწილს. სხდომას დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე და ა. შანიძე (თ-რე).

1090-ე სტროფი: რა გიამბო ქება მისი... ძირითადად მიიჩნეეს. გასწორდა — მესამე ტაეპში: ვინცა ვით ქნას — ვინმცა ვით ქნა. მეოთხე ტაეპში: არა — არლა.

1090¹-ე სტროფი: წაართვეს ნესტან-დარეჯან... ჩანართად ცნეს. მესამე ტაეპში: მხედარნი, გასწორდა — მხედარი.

1091-ე სტროფი: ესე სიტყვა დაასრულა... ძირითადად მიიჩნიეს. გასწორდა მეორე ტაეპში: ავთანდილსაც — ავთანდილსაც; გარდმოსცვივდეს — გარდმოყარნა, მესამე ტაეპში: დაავიწყდა ერთმანერთი — ერთმანერთი დაავიწყდა, მეოთხე ტაეპში: გააწყალა — გააწყალნა.

1091¹-ე სტროფი: ფატმან რა ნახა... ჩანართად ცნეს. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1091²-ე სტროფი: ჰკითხავს, გინახავს იგი მზე... ჩანართად მიიჩნიეს. გასწორდა — მესამე ტაეპში: სრულმქენ — სრულ ქმენ. მეოთხე ტაეპში: დანაჭერობა — დანაჯერობა.

1092-ე სტროფი: შოტირეს, ყმამან უთხრა... ძირითადად ცნეს. გასწორდა — ძირველ ტაეპში: გასწყვეტ — გასწყვედ. შესამე. ტაეპში: გარდუკონენ — გარდუკონენ. მეოთხე ტაეპში: ზედან — ზედა; გავესრულე — გავესულე.

1093-ე სტროფი: ვკადრე, მითხარ, ვინ ბარ... ძირითადად მიიჩნიეს. ა. ბარამიძე ყურადღებას მიაქცევს იმ ერთგვარ შეუსაბამობას, რომელიც გვხვდება ფატმანის თხრობაში, სახელდობრ 1087-ე სტროფში ნესტანის ორი მცველი მოწა ინდოელებად არის მიჩნეულნი: ვუჩვენე, ხედავთ ინდოთა... ახლა კი ამ 1093-ე სტროფში ისინი ზანგებად იხსენიებიან: იმა ზანგთა სით მოჰყვანდი. ტექსტში დატოვებულია „ზანგთა“. სტროფში გასწორდა — მეორე ტაეპში: ამა — იმა. მესამე ტაეპში: ამა — ესე.

1094-ე სტროფი: რა მოვაჭირვე კითხვათა... ძირითადად ცნეს. ს. იორდანიშვილი შენიშნავს, რომ მეორე ტაეპის, დასაწყისი: გულამოხრჩვინეთ უნდა შეიცვალოს მსგავსი. გამოთქმით, რომელიც უკვე მიღებული გვაქვს 227-ე სტროფში, სახელდობრ: „გულამოხვინჩვით დაიწყო ასეცად ცრემლთა ღინება“. კომისიამ ეს შენიშვნა გაიზიარა.

1095-ე სტროფი: მითხრა შენ ჩემთვის... ძირითადად მიიჩნიეს. წაკითხვათა ცვლილებანი არ შეტანილა.

1095¹-ე სტროფი: ვთქვი, უეამოდ არ წესია... იწვევს კამათს. ი. აბულაძეს ეს სტროფი სტილისა და ენის მხრითაც ახლად მიაჩნია და შინაარსითაც ზედმეტად სთვლის. იგი აღნიშნავს, რომ ეს სტროფი სამართლიანად არის უარყოფილი S 2829 ხელნაწერის მიერ, სტროფი მას ჩანართად მიაჩნია. ს. კაკაბაძეს სტროფი სიუჟეტურად საჭიროდ მიაჩნია. კომისიამ გაიზიარა ი. აბულაძის მოსაზ-

რება ამ სტროფის ჩანართობის შესახებ. მეორე ტაეპში: წაუა, გასწორდა — წაუვა.

1096-ე სტროფი: ავიყვანე იგი პირმზე... ძირითადად ცნეს. წა-კითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1097-ე სტროფი: მოვიყვანე ჩემსა შინა... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: მოვიყვანე ჩემსა შინა, გასწორდა — მოვიყვანე შინა ჩემსა.

1098-ე სტროფი: ვით გაიმბო საკვირველი... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: გაუწყვეტლად, გასწორდა — გაუწყვედლად. მეოთხე ტაეპში: ჰაი ჰაი ჩემთვის ვაგლახ, მე ვა! გასწორდა — ჰაი ჩემთვის, ვაგლახ მე, ვა! ი. აბულაძე მოითხოვდა ვაგლახ მე ვა-ს ერთად დაწერას.

1099-ე სტროფი: შინა შევიდი, მას წინა... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: ეყარის გიშრის შუბები-ს ნაცვლად ა. შანიძე და ს. კაკაბაძე მოითხოვდნენ ასეთ წაკითხვას: ეყარდნის გიშრისა შუბები. ეს შესწორება კომისიამ არ მიიღო.

1100-ე სტროფი: უამი გერ ვბოვე კითხვისა... ძირითადად ცნეს. გასწორდა — მეორე ტაეპში: თუმცა — თუცა; ვინ ხარო — ვინა ხარ; აგრე — ეგრე.

კომისიის შემდეგ სხდომას (1936, I, 9) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. პარამიძე, ს. იორდანიშვილი და ა. შანიძე (თ-რე). განხილულ და დადგენილ იქნა 1101—1119 სტროფები.

1101-ე სტროფი: არად უნდის საბურავი... ძირითადად მიიჩნიეს. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1102-ე სტროფი: სხვა გაიმბო საკვირველი... იწვევს კამათს. ი. აბულაძეს სტროფი ჩანართად მიაჩნია. მისი აზრით, ლექსი სრულებითაც არ ჰგავს რუსთველის ლექსს, ამასთან არ არის მოხდენილი რითმა. თვით სტროფის დასაწყისი ისეთია, რომ აშკარა ჩანართობის ნიშანს ატარებს: სხვა გაიმბო საკვირველი. რომ მას რიდე და ყაბაჩა ჰქონდა, ეს ვიციტ წინა სტროფით. ახლა აქ ხელახლა გაჩერება მანვე სრულიად ზედმეტია და არაფერს ახალს არ ჰმატებსო. ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ მართალია წინა სტროფში ნახსენებია, რიდე და ყაბაჩა, რომლებიც ნუსტანს ჰქონდა და რომლის მიხედვით ავთანდილმა იგი უნდა გამოიცნოს ტარიელის სატროფოდ, მაგრამ წინა სტროფში დიდი ყურადღება ექცევა მის ხულიერ განწყობილებას, მის ქცევას, ამიტომ არაფერი არაბუნებრივი და ზედმეტი არ არის, როდესაც ამ სტროფში ფატმანი კვლავ უბრუნდება და ხაზგასმით აღნიშნავს მის საკვირველ რიდესა და

ყაბაჩას. რაც შეეხება რითმას, ორ მარცვლოვანი რითმა რუსთველს აქვს სხვა ძირითად სტროფებშიაც. „სილბო ჰქონდა ნაქსოვისა და სიმტკიცე ნაჭედისა“ რუსთველურია და ამგვარადვე ახასიათებს რიდეს ტარიელი: სიმტკიცე ჰგვანდა ნაჭედსა. სტროფი ძირითადად უნდა იქნეს ცნობილი. ა. ბარამიძე აღნიშნავს, რომ მასშიაც ერთგვარ ექვს ბადებს ფატმანის მიერ რიდისადმი საგანგებოდ დაბრუნება. ისე გამოდის, თითქოს ფატმანმა იცოდა, რომ იგი ავთანდილისათვის შეტად საინტერესო იყო, მაგრამ მანც ეს დაექვევება იმდენად ძლიერი არ არის, რომ სტროფის სიყალბეს მხარი დავუჭუროო. ა. შანიძე — აღნიშნავს, რომ სრულიად ბუნებრივია ფატმანის მიერ განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა რიდისადმი. მას ყოველივე უცხო და ძვირფასი უნახავს, მაგრამ მისი (რძლის) მსგავსი არა უნახავს რა. ამ მხრივ სტროფი ექვს არ უნდა იწვევდეს. ცოტა რამ საექვო წინა სტროფში უფრო გვხვდება — სახელდობრ: მიწყვი იტყვის რიდიტა და მით ერთთა ყაბაჩიტა. რატომ არის აქ განსაზღვრებითი ნაწევარი მით? ისეთი შთაბეჭდილება თითქოს ეს ყაბაჩა ფატმანს უკვე დაესახელებინოს სადმე. ეს კი ასე არ არის, ამისდამიუხედავად სტროფებს მანც ვერ ამოვიღებთ. სტროფის ძირითად ტექსტში დატოვების წინააღმდეგი იყო ი. აბულაძე, მესამე ტაეპში: როგორ, გასწორდა — რაგვარ.

1103-ე სტროფი: მან ტურფამან სახლსა ჩემსა... ძირითადად ცნეს. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა. მეოთხე ტაეპის (ესე მეყო საგონებლად, შევიდი, თუ გამოვიდი) წაკითხვას ი. აბულაძე და ს. იორდანიშვილი ასე მოითხოვდნენ: ესე მეყო საგინებლად, კვლა შევიდი, კვლა გავიდი.

1104-ე სტროფი: ვთქვი, თუ არ ვუთხრა... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: ველარა, გასწორდა — ვერლარა.

1105-ე სტროფი: მე, გლახ, მარტომან... ძირითადად მიიჩნიეს. გასწორდა — მესამე ტაეპში: გამამკლავნებს — გამამკლავნოს. მეოთხე ტაეპში: წასწყმენდს — წასწყმელს.

1106-ე სტროფი: მიველ მარტო, ქმარსა ჩემსა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: მიველ, გასწორდა — მივე, ი. აბულაძე მხარს უჭერდა მიველ ფორმას, რადგან მივე შეიძლება მიცემაში აირიოსო.

1107-ე სტროფი: რაცა მითხრა სიკვდილამდის... ძირითადად მიიჩნიეს. წაკითხვათა ცვლილებანი არ შეტანილა. ი. აბულაძე შენიშნავს, რომ მეორე ტაეპში მოყვარესა — ეს წინ უარყოფა არ

არის მაშინ, როდესაც საჭიროა. ამიტომ — არა ყმასა მოყვარესა — უკეთესი იქნებოდა დეფიზით დაგვეწერათ.

1108-ე სტროფი: ადგა წამომყვა, წავედით... ძირითადად ცნეს. გასწორდა — პირველ ტაეპში: წამომყვა — ამყვა, და. მეორე ტაეპში: ნახა — ნახნა. მეოთხე ტაეპში: არისმცა — არისცა; რისხვენ — მრისხვენ.

1109-ე სტროფი: ვთქვი თუ, არცა რა... ძირითადად მიიჩნიეს. მეოთხე ტაეპში: ვიაჯენით, გასწორდა — ვეაჯენით.

1110-ე სტროფი: შევედით, გვექონდა ორთავე... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: შევედით, გასწორდა — შივედით; კრძალვინა — კრძალისა.

1111-ე სტროფი: რაცა ვკითხეთ, არა ვიცოი... ძირითადად მიიჩნიეს. მეოთხე ტაეპში: ზედან, გასწორდა — ზედა.

1112-ე სტროფი: ვერა დავყარეთ პასუხი... ძირითადად იქნა ცნობილი. ი. აბულაძე აღნიშნავს, რომ ვეფხი ავაზა ერთი ცნებაა და დეფიზით უნდა დაიწეროს. შენიშვნა კომისიამ გაიზიარა. მესამე ტაეპში: კვლავცა, გასწორდა — კვლაცა; მწარედ, გასწორდა — მჩქეფრად.

1113-ე სტროფი: დავსხედით და მას თანავე... ძირითადად მიიჩნიეს. მესამე ტაეპში: ვიაჯეთ, გასწორდა — ვეაჯეთ. ი. აბულაძე მოითხოვდა ვიაჯეთ ფორმას.

1114-ე სტროფი: უსენ იტყვის, ბევრ ათასნი... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: ვერა მჰყვრეტმან, გასწორდა — ვერ-მჰყვრეტულმან.

1115-ე სტროფი: მას ვუტყვრიტეთ დიდი ხანი... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: გვიჩნდა, გასწორდა გვიჩნდის. მეოთხე ტაეპში: დაეტყვივნეს მისთა, გასწორდა — დაეტყვივნეს მისით.

1116-ე სტროფი: რა გამოხდა ხანი რამე... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: ძოლანიდგან, გასწორდა — ძოლანითგან. მეოთხე ტაეპში: მოვიხსენე, გასწორდა — მოვახსენე.

1116¹-ე დეფექტური სტროფი ჩანართად ცნეს.

1117-ე სტროფი: უსენ ტაბაცსა დაწყო... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: დარბაისელნი, გასწორდა — დარბაზის ერი. ა. ბარამიძე მხარს უჭერდა დარბაისელნი-ს ფორმას.

1118-ე სტროფი: უსენ მოვიდა, ხელმწიფე... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: უწფელი, გასწორდა — უწრფელი.

1119-ე სტროფი: რა მეფემან უსენს წინა... ძირითადად მიიჩნიეს. ი. აბულაძე მოითხოვდა მეორე ტაეპის ცვლავ შესვებს და

კვლავ აივსენ სხვა ფარჩნი და სხვა კიქანი) ამ სახით მიღებას: კვლავ შესვენეს და კვლავ ივსნეს სხვა ფარჩნი და სხვა კიქანი. ასეთ წაკითხვას მხარი დაუჭირა ს. იორდანიშვილმა. წინააღმდეგნი იყვნენ ა. შანიძე და ა. ბარამიძე. მიღებულ იქნა: კვლავ შესვენეს და კვლავ ივსნეს სხვა ფარჩნი და სხვა კიქანი. მესამე ტაეპში: დაავიწყდა, გასწორდა — დაავიწყდეს.

შემდეგ სხდომას (1936, I, 9) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ს. იორდანიშვილი და ა. შანიძე (თ-რე). განხილულ და დადგენილ იქნა 1120—1135 სტროფები.

1120-ე სტროფი: უთხრა დიდმან ხელმწიფემან... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: მთვალსა, გასწორდა — მთვალსა.

1121-ე სტროფი: თაყვანი სცა უსენ... ძირითადად მიიჩნიეს. მესამე ტაეპში: ანუ, გასწორდა — თუნდა.

1122-ე სტროფი: ამას გუარებ, თავმან თქვენმან... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: მყავს სასძლოდ თქვენთვის, გასწორდა — მითქს: სასძლო თქვენი.

1123-ე სტროფი: რას ვაგრძელებდე... ძირითადად მიიჩნიეს. ი. აბულაძე მოითხოვდა — „რას ვაგრძელებდე“-ს შემდეგ მძიმის დაწერას. ა. ბარამიძე მხარს უჭერდა წერტილს. კომისიამ მიიღო განცვიფრების ნიშანი (!): პირველ ტაეპში: რჯულისა, გასწორდა — სჯულისა. მესამე ტაეპში: იამა, გასწორდა — ეამა.

1124-ე სტროფი: მე აქა ჩემსა ამოდ ვქე... ძირითადად მიიჩნიეს. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1125-ე სტროფი: მისალამეს, „ფატმან“, მითხრეს... ძირითადად ცნეს. ა. ბარამიძე შენიშნავს, რომ პირველ ტაეპში სხვადასხვა წაკითხვათა შორის, უფრო მისაღებია: ბრძანებაა ღმრთისა სწორთა — რადგან იგი მოგვგონებს ჩვენ მიერ უკვე მიღებულ 814-ე სტროფს, სადაც ასეთი ტაეპი გვხვდება: „გამოპარვით წამოსვლითა ღმრთისა სწორნი მოვიმღურვენ.“ მიღებულ იქნა: ბრძანებაა ღმრთისა სწორთა. სხვა წაკითხვათა შესწორებები არ შეტანილა.

1126-ე სტროფი: მე ვაკვირვებით კვლავ ვაკითხე... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: შესძღვნაო, გასწორდა — შემოსძღვნა.

1127-ე სტროფი: შეველ, ვნახე იგი ტურფა... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: ხედავ სრულად, გასწორდა — ჰხედავ რულად. მესამე ტაეპში: ჩემკენ, გასწორდა — ჩემკე.

1128-ე სტროფი: მან მითხრა, დაო... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: რად, გასწორდა — ნუ.

1129-ე სტროფი: თვალთა ვითა მარგალიტი... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: თვალთა, გასწორდა — თვალთათ. ო. შანიძე აღნიშნავს, რომ მეორე ტაეპის სარითმო სიტყვა მხოლოდ H 451 ხელნაწერშია მოცემული შირი-ს სახით. ყველა დანარჩენ ხელნაწერში კი გშირი იკითხება. ი. აბულაძეს ფრიად საგულისხმოდ მიაჩნია ის გარემოება, რომ H 461 ხელნაწერი გშირის მაგიერ შირს იძლევა. მისი აზრით, კონტექსტით აქ შირი ე. ი. ლომი უფრო გამართლებულია, რადგან ნესტანი შედარებულია ვეფხთან და შემდეგ ლომთან (შირიან). ამიტომ მე შირის სასარგებლოდ ვიზრებო. ა. ბარამიძე იზიარებს ი. აბულაძის აზრს. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ შირი აქ შედარებისათვის არ გამოდგება, რადგან იგი რძეს აღნიშნავს. ლომი იმ დროს სპარსულში (12—13 საუკ.) შერ-ად იწოდება. ასე, რომ მე ამგვარ წაკითხვას: ვეფხი იყო ანუ შირი — მზარს ვერ დავუჭერ, რადგანაც შირი — ლომისათვის შედარებით გვიანდელი ამბავია სპარსულში. ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ ნესტანის გულუშიშრობის გამოსახატავად ფატმანს მისი გშირთან შედარებაც თამამად შეეძლო. ამიტომ მართო ერთი ხელნაწერის ასეთ საექვო ჩვენებას (—ანუ შირი) უპირატესობას ნუ მივანიჭებთო. მიღებულ იქნა: ვეფხი იყო, ანუ გშირი. მესამე ტაეპში: უჩინდის, გასწორდა — უჩინდა.

1130-ე სტროფი: შეველ საჭურჭლეს... ძირითადად მიიჩნიეს. გასწორდა პირველ ტაეპში: შეველ — შევე. მეოთხე ტაეპში: მიველ — მივე.

1131-ე სტროფი: ვარქვი, ჩემო, განალ სადმე... ძირითადად ცნეს. ი. აბულაძე შენიშნავს პირველ ტაეპის სარითმო სიტყვის (გუარი), შესახებ, რომ აქ არის გუპარი — მარგალიტის მნიშვნელობით. ის ვინც შეიტანა აჯაბი და დავალი, ის შეიტანდა შირსა და გუპარსო. ა. ბარამიძე მზარს უჭერს ასეთ გაგებას, როგორსაც ი. აბულაძე მხოლოდ მას შესაძლებლად მიაჩნია დაწერილობით „ესე გვარი“ დაიწეროს. მიღებულ იქნა: ესე გვარი. პირველ ტაეპში: განალ სადმე, გასწორდა — განალა სადმე.

1132-ე სტროფი: ზედა მოატყდა მჭვრეტელი... ძირითადად მიიჩნიეს. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა. ი. აბულაძე მოითხოვდა პირველ ტაეპში „გახდა, გასწორებულიყო: გახდეს.

1133-ე სტროფი: ვით მზემან, მისნი მჭვრეტელნი... და 1134-ე სტროფი: გვერდსა დაისვა, ეუბნა... ძირითადად ცნეს, წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1135-ე სტროფი: არ ისმენდა მეფისასა... ძირითადად მიიჩნის. მესამე ტაეპში: ვარდნი ერთგან შეეწებნა, გასწორდა — ვარდი ერთგან შეეწება; მარგალიტთა, გასწორდა — მარგალიტსა.

კომისიის შემდეგ სხდომას (1936, I, 10) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე და ა. შანიძე (თ-რე). განხილულ და დადგენილ იქნა 1136—1150 სტროფები.

1136-ე სტროფი: მეფე ბრძანებს რა შევივნათ... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: სიყვარული, გასწორდა — საყვარელი. ა. ბარამიძე აღნიშნავს, რომ სტროფის მეოთხე ტაეპით აზრი არ არის დასრულებული და შემდეგი სტროფი მიებმის, რაც იშვიათია ვეფხისტყაოსანში. ი. აბულაძე მეოთხე ტაეპის შემდეგ წერტილს მოითხოვდა, და არა წერტილმძიმეს. საიუბილეო გამოცემაში წერტილია დასმული.

1137-ე სტროფი: ანუ არის ბრძენი ვინმე... ძირითადად მიიჩნის. მესამე ტაეპში: ისრე, გასწორდა — ასრე.

1138-ე სტროფი: ღმერთმან კმნას შინა მოვიდეს... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: მე დავახვედრო ესე მზე იმისთვის დამზადებული — ასე შეიცვალა: მე დავახვედრო იგი მზე, და—, მისთვის დამზადებული.

1139-ე სტროფი: ხელმწიფისა შევილსა გითხრობ... ძირითადად ცნეს: მეოთხე ტაეპში: მნათობსა, გასწორდა — მნათობთა.

1140-ე სტროფი: მოიღეს, ტანსა ჩააცვეს... და 1141-ე სტროფი: მეფემან ბრძანა, მოკვაზმეთ... ძირითადად მიიჩნის. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა. 1141-ე სტროფის პირველ ტაეპში: უფლის წულისა, დაიწერა დეფიზით. ა. შანიძე მოითხოვდა ცალკე დაწერას.

1142-ე სტროფი: უბრძანა ცხრათა ხადუმთა... ძირითადად ცნეს. ცვლილებები არ შეტანილა.

1143-ე სტროფი: გააგრძელეს ნადიმობა... ძირითადად მიიჩნის. მეორე ტაეპში: მრჯელი, გასწორდა — მკლველი.

1144-ე სტროფი: კვლავცა იტყვის... ძირითადად ცნეს. გასწორდა — პირველ ტაეპში: ვარდის ფერსა — ვარდთა ფერსა. მეორე ტაეპში: მე მაშრიოს — მომარიოს. მეოთხე ტაეპში: უნდა — უნდან; წინააღმდეგი იყვნენ ა. ბარამიძე და ი. აბულაძე.

1145-ე სტროფი: ხადუმნი იხმნა... ძირითადად მიიჩნის. გასწორდა — პირველ ტაეპში: იხმნა — უხმნა. მეორე ტაეპში: დამცდარხართ — დამცთარხართ. მესამე ტაეპში: დამცდარა — დამცთა-

რა; რძლობასა — სძლობასა. ი. აბულაძე და ს. იორდანიშვილი მხარს უჭერდნენ დამცდარხართ, დამცდარა — ფორმებს.

1146-ე სტროფი: არ ვარგვარ თქვენად დედოფლად... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: ჩემი, გასწორდა — ჩემნი.

1147-ე სტროფი: უცილოდ თავსა მოვიკლავ..., 1148-ე სტროფი: შემოიხსნა მარგალიტი... და 1149-ე სტროფი: მონათა მიჰხვდა სიხარბე... ძირითადად მიიჩნიეს. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1150-ე სტროფი: რა ოქრო მისთა მოყვასთა... იწვევს კამათს. ა. ბარამიძე აღნიშნავს, რომ აქ გამოთქმული აზრები სავსებით შეეფერება რუსთველის იდეებს და დაასკვნის, რომ სტროფი ძირითადად უნდა იქნას ცნობილი. უკეთესი იქნება მხოლოდ პირველ ტაეპის დასაწყისი რა შევცვალოთ, ზოგიერთ ხელნაწერის მიხედვით, ვა-თი. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ შესაძლოა აზრები შეეფერებოდეს რუსთველს, მაგრამ ისე უხეიროდ და შეუწყობლად არის გამოთქმული, რომ ვეფხისტყაოსნის სტილს ეწინააღმდეგება. ასეთია მაგალითად: ეტლთა რბენა. 1149-ე სტროფის მეოთხე ტაეპის (ნახე, თუ ოქრო რასა იქმს, კვერთხი ეშმაკთა ძირისა) — შემდეგ ეს სტროფი სრულიად ზედმეტად უნდა იქნას მიჩნეული. ი. აბულაძეს სტროფი ძირითადად მიაჩნია, მით უმეტეს, რომ იგი ყველა ხელნაწერში მოიპოვება და აზრით ზედმეტი არ არისო. სტროფი ძირითადად იქნა ცნობილი. წინააღმდეგი იყვნენ ა. შანიძე და ს. კაცაბაძე.

1936 წ. 11 იანვრის სხდომას დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ს. იორდანიშვილი და ა. შანიძე (თ-რე). განხილულ და დადგენილ იქნა 1151—1163 სტროფები.

1151-ე სტროფი: რა ხადუმთა აუსრულეს... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: მსუმელი, გასწორდა — მსმელი.

1152-ე სტროფი: მოწანაცა გარდხვეწნეს..., 1153-ე სტროფი: მიბრძანა, თავი ვიყიდე..., 1154-ე სტროფი: შეველ ფიცხლად საჯინობის... და 1155-ე სტროფი: დღე მიიყარა, სმა გახდა... ძირითადად მიიჩნიეს. ცვლილებები არ შეტანილა.

კ. ჭიჭინაძე 1154-ე სტროფის მესამე ტაეპის: მზე, მნათობთა უკეთესი-ს ნაცვლად კომისიას უდგენს (1936, V, 10) ასეთ წაკითხვას: მზე მნათობთა უტურფესი. კომისიამ ეს შესწორება არ გააზარა და მის ნაცვლად H 461 ხელნაწერის მიხედვით მიიღო: მზე მნათობთა უზეშეთესი. წინააღმდეგი იყო კ. ჭიჭინაძე.

1156-ე სტროფი: მონახეს, ვერა შეიგნეს... ძირითადად ცნეს. გასწორდა — მეორე ტაეპში: ყოვლი — ყოვლნი. მესამე ტაეპში: დარბაისელთა — დარბაისი ერთა; ის ფრითა — ისფრითა.

1157-ე სტროფი: მის მთვარისა სადა ყოფნა... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: სადა ყოფნა, გასწორდა — სადაობა.

1158-ე სტროფი: მით არ ჯერ ვარ... ძირითადად ცნეს. ცვლილებები არ შეტანილა. ა. შანიძე და ი. აბულაძე მხარს უჭერდნენ ჭაშნავიძის ნაცვლად ჩაჩნავიძის.

1159-ე სტროფი: ეს ამბავი მას თანა... ძირითადად მიიჩნიეს. მესამე ტაეპში: მექაღდის, გასწორდა — მექაღდა.

1160-ე სტროფი: დამექაღდის, რაზომჭერცა... ძირითადად ცნეს. ცვლილებები არ შეტანილა. ს. იორდანიშვილი მოითხოვდა პირველ ტაეპში „თავის წინა“-ს ერთად დაწერას.

1161-ე სტროფი: აღარ დაბრუნდით, მოხვედით... ძირითადად ცნეს.. ცვლილებები არ შეტანილა.

1162-ე სტროფი: თუმცა ისი არ მოგეკლა... ძირითადად მიიჩნიეს. გასწორდა — პირველ ტაეპში: მითა — ვითა. მესამე ტაეპში: გარდასწმენდდა — გარდასწმენდა. მეოთხე ტაეპში: დამქოლევდა — დამქოლვიდა.

1163-ე სტროფი: მუქაფა ღმერთმან შემოგზლოს... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: ამა, გასწორდა — იმა. მეოთხე ტაეპში: ვე-შეშვი — ვიშიშვი. კ. კვიციანიძემ მიღებული მეოთხე ტაეპის: ჰი, ჰი, ჩავიჭერ მე რასა-ს ნაცვლად 1936, V, 10 ასეთი წაკითხვა წარმოადგინა: ჰი, ჰი, ჩავიჭერ ვერსა. კომისიამ შესწორება არ გაიზიარა.

მორიგ სხდომას (1936, 1, 13) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ს. იორდანიშვილი და ა. შანიძე (თ-რე). განხილულ და დადგენილ იქნა 1164 — 1169 სტროფები.

1164-ე სტროფი: ავთანდილ უთხრა, ნუ გეშის... ძირითადად მიიჩნიეს. ა. ბარამიძემ აღნიშნა, რომ პირველ ტაეპში: „ავთანდილ უთხრა, 'ნუგეშის: წიგნსაცა აგრე სწერია“. დასახელებული უნდა იყოს რაღაც ნუგეშის წიგნიო. მეორე ტაეპში: მოყვრისა მტრის-განაც, გასწორდა: ყოვლისა მტრისაგან. ა. შანიძე მხარს უჭერდა მეორე ტაეპის ასეთ წაკითხვას: მოყვარე მტერი მოყვრისა, მტრისა-განც უფრო მტერია.

1165-ე სტროფი: იგივე მითხარ... ძირითადად მიიჩნიეს. მეოთხე ტაეპში: ვაი წახდა, დაიწერა — ვა წახდეს.

1166-ე სტროფი: ვაი, საწუთროლო... იწვევს კამათს. ა. შანიძე და ვ. ბერიძე სტროფს საექვოდ მიიჩნევენ. ი. აბულაძესა და

ს. იორდანიშვილს სტროფი ძირითადად მიაჩნიათ. კომისიამ სტროფი ძირითადად მიიჩნია. პირველ ტაეპში: ვაი, გასწორდა — ვა; სიმუხთლით, გასწორდა — სიცრუვით. მეორე ტაეპში: სცნა, გასწორდა — ცნას.

1167-ე სტროფი: ფატმან იტყვის... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: გაუწყვეტლად, გასწორდა — გაუწყვეტლად. მეოთხე ტაეპში: მონადენთა, გასწორდა — გადმომღვრელთა.

1168-ე სტროფი: სახლი და შვილი მომძულდა... ძირითადად მიიჩნიეს. ა. შანიძე მხარს უჭერდა პირველ ტაეპში მამძულდა-ს გასწორებას — მომძულდეს... მიღებულ იქნა — მომძულდა. მესამე ტაეპში: მიჩნს, გასწორდა მიჩს. ი. აბულაძე მხარს უჭერდა მიჩნს. ურჯულოთა რჯულითა, გასწორდა — უსჯულოთა სჯულითა.

1169-ე სტროფი: დღესა ერთსა, საღამო ყამს... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: საღამო ყამს, გასწორდა — საღამო ყამ. მეორე ტაეპში: მიჩნდა, გასწორდა — მიჩნდა. მესამე ტაეპში: შკვლიდა, გასწორდა — შკვლიდა.

შემდეგი სტროფების (1170—1186) განხილვა და დადგენა გარკვეულა 1936 წ. 1 თებერვალს. დაესწრნენ: კომისიის წევრები: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე და კ. ჭიჭინაძე.

1170-ე სტროფი: მისით მოვიდა ღარიბი მონა... ძირითადად ცნეს. კამათს იწვევს პირველი ტაეპის დასაწყისი. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ ხელნაწერების ერთი რიგი ასეთ წაკითხვას იძლევა: მისითშე ვიდა ღარიბი მონა... რაც უფრო რუსთველურია, შევავთვატყე, მოცავინმკლავს, შერამენდა და სხვა მისნი მსგავსნი. ამიტომ მე უმჯობესად მიმაჩნია ასეთი წაკითხვაო. კომისიის უმრავლესობამ ეს აზრი არ გაიზიარა და მიიღო მეორე წაკითხვა, რომელსაც ვახტანგიც უჭერს მხარს, სახელდობრ: მოვიდა სითმე. წინააღმდეგენა იყენენ ა. ბარამიძე, ს. იორდანიშვილი და ა. შანიძე. პირველ ტაეპში: მისით მოვიდა, გასწორდა — მოვიდა სითმე. მესამე ტაეპში: წაყიდი, გასწორდა — ნასყიდი.

1171-ე სტროფი: მე ვუყურებდი, ვუჭკრეტდი... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: არა არ ვიცით, გასწორდა — არც არა. ი. აბულაძე და კ. ჭიჭინაძე ასეთ წაკითხვას უჭერდნენ მხარს: არც არა ვიცით, ვინ ვინა, ანუ სით მოვიარენით.

1172-ე სტროფი: მათ სხვათა მათი ამბავი... ძირითადად მიიჩნიეს. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1173-ე სტროფი: მე ვარო მონა მეფისა... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: უკეთესად, გასწორდა — უკეთესი.

1174-ე სტროფი: დულარდუხტ არის დიაცი... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: ვისაც, გასწორდა — ვისცა. მესამე ტაეპში: ორნი, გასწორდა — წვრილნი. მეოთხე ტაეპის სარიტმო სიტყვის წოდია-ს შესახებ ი. აბულაძე იძლევა განმარტებას, რომ აქ შემოკლებულად წარმოდგენილია: წოდებული, ხმობილი. სიტყვა შემოკლებულია, თუმცა ნიუანსი შერჩენილი აქვსო.

1175-ე სტროფი: გვესმა ამბავი, ზღვაჲ იქით... ძირითადად ცნეს. ი. აბულაძე, ხელნაწერებზე დაყრდნობით, ბზარს უქერდა — ზღვათ იქათ-ს. ხელნაწერის შემოწმებამ აღმოაჩინა: იქით. კომისიამ მაილო: ზღვათ იქით. მეორე ტაეპში: დაშლა ქნეს მათ, გასწორდა — დაშალეს ქმნა.

1176-ე სტროფი: როშაქ ბრძანა მოცავინმკლავს... ძირითადად მიიჩნიეს. მესამე ტაეპში: შოვებული, გასწორდა — შოებული.

1177-ე სტროფი: გვითხრა მისთა ხელისათა... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: დამითაცა, ვიყავით, გასწორდა — დამეთაცა ვიყავინით. მეოთხე ტაეპში: ჩვენ კერძ, გასწორდა — ჩვენკე. ი. აბულაძე მზარს უქერდა: ჩვენკერძ.

1178-ე სტროფი: მინდორ — მინდორ - მივედიოდით... ძირითადად ცნეს. გასწორდა — მეორე ტაეპში: დადი — დიდნი; გამოგვიჩნდა — გამოგვიჩნდეს. მეოთხე ტაეპში: დაბნეული — დაბნეულნი; მრგელსა — მსჯელსა.

1179-ე სტროფი: ზოგთა თქვეს არის ცისკარი... ძირითადად მიიჩნიეს. კ. ჭიჭინაძე მზარს უქერს პირველი ტაეპის ასეთ წაკითხვას: „ზოგთა თქვეს: „არის ცისკარი“, ზოგთა თქვეს: „არის მთვარეო“. ს. იორდანიშვილს უკეთეს წაკითხვად მიაჩნია: ზოგთა ვთქვით: „არის ცისკარი“, და „ზოგთა — არის მთვარეო“, რადგან წინა სტროფიცა და შემდგომიც ისეა მოთხრობილი, რომ მთქმელი მონაწილეობს: მაგ. 1178-ე სტროფში: მოვიდოდით, გამოგვიჩნდა, ვთქვით თუ, მივეცენით. ასევეა 1179-ე სტროფშიც: მივმართეთ, ვნახეთ, მოვუარეთ, მივედით, შემოვადეგით და სხვა. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ წინადადებების და კავშირით შეერთება ჩვეულებრივად არ ახასიათებს რუსთველურს, მას თანაბარ წინადადებების გაკეთება უფრო სჩვევია, ვიდრე დაქვემდებარება. ამიტომ ტაეპის დასაწყისი სჯობს ასე მივიღოთ: ზოგთა ვთქვით¹⁰, ხოლო „ზოგთა

¹⁰ დნ.: ვთქვათ.

არის“ — ნაცვლად — ზოგთა თქვეს. კომისიამ ასეთი წაკითხვა გაიზიარა. წინააღმდეგნი იყვნენ კ. ჭიჭინაძე და ი. აბულაძე. მეოთხე ტაეპში: ნათლიდაღმე, გასწორდა — ნათლიდაღმა.

1180-ე სტროფი: გვითხრა, ვინ ხართ, ცხენოსანო?... ძირითადად ცნეს. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა:

1181-ე სტროფი: ვუქვერითე პირსა მნათობსა... ძირითადად მიიჩნიეს. მეოთხე ტაეპში: შეადგის, გასწორდა — შეადგა.

1182-ე სტროფი: კვლა ვეუბენით მას მზესა... ძირითადად ცნეს. წაკითხვათა ცვლილებანი არ შეტანილა.

1183-ე სტროფი: კვლა ვკითხეთ, გვითხარ... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: საქმე მზებრ სანათელისა, გასწორდა — საქმე შენ. მზებრ ნათელისა.

1184-ე სტროფი: არცა რა ცხადი ამბავი... ძირითადად მიიჩნიეს. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა:

1185-ე სტროფი: როშაქ გვიბრძანა, ნუ ჰკითხავთ... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: იმისი, გასწორდა — ამისი.

1186-ე სტროფი. ესე ღმრთისა მოსაგვრელად... ძირითადად მიიჩნიეს. წაკითხვათა ცვლილებანი არ შეტანილა.

მორიგ სხდომას (1936, 11, 2) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძე და ა. შანიძე. განხილულ და დადგენილ იქნა 1187—1208 სტროფები.

1187-ე სტროფი: მივემოწმენით, თათბირსა... ძირითადად ცნეს. გასწორდა — პირველ ტაეპში: თათბირსა არ კიდე გავაკიდენით — თათბირნი არ კიდე გავაკიდენით. შესაძენ ტაეპში: ხელის ხელ — ხელდახელ. მეოთხე ტაეპში: მიდენით — კიდენით.

1188-ე სტროფი: შე როშაქს ვკადრე... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: ადრე ვარ — კვლა ადრე.

1189-ე სტროფი: მათ კაცთა დიდად... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: შემაშრა, გასწორდა — შერეშშრა. მეოთხე ტაეპში: ცოტა რამ, გასწორდა — ცოტაი.

1190-ე სტროფი: მოვიყვანე იგი შინა... ძირითადად მიიჩნიეს. მესამე ტაეპში: პირველ, გასწორდა მუნით. მეოთხე ტაეპში: დამიჩინა, გასწორდა — დამარჩინა.

1191-ე სტროფი: მე ორნი შავნი მონანი... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში; მოვასხნენ, გასწორდა — მოვასხენ; უთხარ, გასწორდა — ვარქვი.

1192-ე სტროფი: სამ დღე მოვიდეს... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: მეფესა, გასწორდა — მკეთისა, მესამე ტაეპში: შეუდგამს, გასწორდა — შეუდგამან.

1193-ე სტროფი: როსანს შევრთოთო... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: საქორწინლოდ, გასწორდა — ქორწინება.

1194-ე სტროფი: ყოვლნი მცოდნელი გრძნებისა... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: ყოვლნი, გასწორდა — ყოვლი. მეოთხე ტაეპში: ჯერედ, დაიწერა — ჯერეთ.

1195-ე სტროფი: ქაჯთა ქალაქი აქამდის... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში ა. შანიძე მოითხოვდა უბრძოლველია დაწერილიყო — უბრძოლველია. ი. აბულაძეს წინადადების თანახმად, მიღებულ იქნა: უბრძოლველია. მეორე ტაეპში: შუა გასწორდა — შიგან.

1196-ე სტროფი: გვირაბის კარსა ნიადაგ... ძირითადად მიიჩნიეს. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1197-ე სტროფი: ესე ამბავი ავთანდილ... ძირითადად ცნეს. კამათს იწვევს პირველ ტაეპში: პირ მზემან, მაგრამ ვადამან. ვ. ბერიძე აღნიშნავს, რომ აზრით უფრო მისაღებია ზოგიერთ ხელნაწერით შემონახული: პირმზემან ია ვ ა რ დ მ ა ნ, რადგან აქ ავთანდილის სილამაზის ეპითეტებია და ი. აბულაძის წაკითხვა — მაგრამ ავადამან — მიუღებელია. ავადმყოფობაზე ლაპარაკი აქ სულ ზედმეტია. ს. იორდანიშვილი კითხულობს ამ ტაეპის შესახებ კ. ჭიჭინაძის გასწორებას: პირმზემან არ ავადამან. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ აქ შესაძლებელია ყოფილიყო: პირმზემან მაგარ ვადამან. ე. ი. ავთანდილი მეორე შემთხვევაში შედარებულია ხმლის მაგარ ვადასთან. მაგარ ადვილად მოგვეცემა მაგრა-ს, რომელიც უმრავლეს ხელნაწერშია. ვ. ბერიძე აღნიშნავს, რომ მაგარ. ვადამან-ს თუ მივიღებთ, ის უპირატესობა ექნება, რომ რითმა იქნება უფრო გამართული, მაგრამ ვარდამან-ში რაე ისეთი ბგერაა, რომ სრულყოფილად არ უშლის რითმას. გარდა ამისა „მაგარ ვადამან“ ასეთი ეპითეტი არ გვხვდება ვეფხისტყაოსანში. ს. იორდანიშვილს შესწორება — მაგარ ვადა — მიუღებლად მიაჩნია. მაგარ ვადიანი შეიძლება იყოს ხმალი, ხანჯალი, მაგრამ ავთანდილის ეპითეტად ასეთი რამ არ უნდა იყოს საფიქრებელი მით უმეტეს, რომ ვადა ვეფხისტყაოსანში არ გვხვდებაო. ს. კაკაბაძე აღნიშნავს, რომ მარტო ხელნაწერების ჩვენება არ არის საკმარისი ასეთ შესწორების მისაღებადო. კ. კეკელიძეს შესწორება — მაგარ ვადამან — მისაღებად მიაჩნია და წინადადებას იძლევა პირობითად იქნეს იგი მიღებული. კომისიამ პი-
5. ს. ყუბანეიშვილი

რობითად მიიღო პირველი ტაეპის დაბოლოების ასეთი წაკითხვა: პირმზემან, მაგარ ვადამან¹¹.

1198-ე სტროფი: ფატმანს, უთხრა, საყვარელო... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: შეენიერი, გასწორდა — სანატრელი.

1199-ე სტროფი: მის ქალისა სიბრალული... ძირითადად ცნეს. წაკითხვათა ცვლილებანი არ შეტანილა.

1200-ე სტროფი: ქაჯნი სახელად მით ჰქეიან... ძირითადად მაიჩნიეს. მეორე ტაეპში: მაზედ, გასწორდა — ზედა. ვ. ბერიძე — ზედა გახელოვნებულნი-ს ნაცვლად მხარს უქერდა ასეთ წაკითხვას: ზედა გახელოვნებული.

1201-ე სტროფი: იქმენ რასმე საკვირველსა... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: წმინდად გასწორდა წმიდად.

1202-ე სტროფი: ამისთვის ქაჯად უხმობენ... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: თვარემ იგინიც, დაიწერა — თვარა იგიცა. მესამე ტაეპში: დამივსე ცეცხლი, გასწორდა — ცეცხლნი დამივსენ.

1203-ე სტროფი: გულითა ღმერთსა აღიდებს... ძირითადად ცნეს. კ. კეკელიძის წინადადების თანახმად, მეოთხე ტაეპის საართომო სიტყვა: გარდმომფენელი — შესწორდა: გარ მომფენელი.

1204-ე სტროფი: მის ამბისა სმენისათვის... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: სმენისათვის, გასწორდა — ცნობისათვის.

1205-ე სტროფი: მას ღამე ფატმან იამა... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპის შესახებ ს. იორდანიშვილი შენიშნავს, რომ „ეხვევის ყელსა ყელითა ბროლითა“ — დაწერილობის შეცდომით უნდა იყოს გამოწვეული, ისე მოსალოდნელი იყო: ყელსა ხელითა ბროლითა, როგორც ეს ერთ ხელნაწერშია დაცული. კომისიამ წაკითხვა, ხელნაწერების უმრავლესობის მიხედვით დასტოვა — ყელსა ყელთა ბროლითა.

1206-ე სტროფი: ავთანდილ მალეით ცრემლისა... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში ცრემლისა წვავს ღენად სისხლ ნართავისად, გასწორდა ცრემლსა სწვამს, სლის ზღვათა შესართავისად. მესამე ტაეპში: ვარდია, დაიწერა — ვარდი ა. ი. აბულაძე შენიშნავს, რომ მესამე ტაეპი: იტყვის თუ: მხანეთ, მიჯნურნო, იგი ვინ, ვარდი ა ვისად — ასე უნდა გვესმოდესო: მხანეთ მიჯნურნო ვინც ვისმესთვის გაჭრილხართო, გავარდნილხართო. ს. იორდანიშვილის აზრით ამ ტაეპში შემდეგი აზრი უნდა იყოს: მხანეთ მიჯნურნო იგი ვინ

¹¹ საიუბილეო გამოცემაში სხვა შესწორება არ შეტანილა, დაიბეჭდა პირობითად მიღებული წაკითხვა: პირ-მზემან, მაგარ-ვადამან.

(ე. ი. მე) ვარდი ა (ე. ი. ვარ) ვისად — ან უკეთ: მნახეთ მიჯნურნო მე ვარდი (ავთანდილ) ვისად შეგქმნილვარო. კომისიამ ეს უკანასკნელი აზრი გაიზიარა.

1207-ე სტროფი: მუნ ცრემლი, მისგან ნადენი... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: ცრემლი მისგან ნადენი, გასწორდა — ცრემლნი მისგან ნადენნი.

1208-ე სტროფი: გათენდა ბანად წავიდა... ძირითადად მიიჩნიეს. წაკითხვათა ცვლილებანი არ შეტანილა.

კომისიის მორიგ სხდომას (1936, II, 4) დაესწრნენ ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე და კ. ჭიჭინაძე. განხილულ და დადგენილ იქნა 1209—1215 სტროფები.

1209-ე სტროფი: ავთანდილ თქვა, საქმე ჩემი... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: სამოსლისა, გასწორდა — სამოსისა. მესამე ტაეპში: მას დღეს, გასწორდა — მას დღე.

1210-ე სტროფი: ფატმანს პური შეეკაზმა... ძირითადად მიიჩნიეს. წაკითხვათა ცვლილებანი არ შეტანილა.

1211-ე სტროფი: ფატმან მისა შევენებასა... ძირითადად ცნეს. კამათს იწვევს მესამე ტაეპი: „შეეტყვების, არ მიცნობსო, ეგრე ვითა ყოვნდებოდა“. კ. ჭიჭინაძე ამ ტაეპს ასე კითხულობს: „შეეტყვების, არ მიცნობსო“, რა რეგენადა, რაგვარ ხმობდა“. მისი აზრით. უკანასკნელი სიტყვები — რა რეგენადა, რაგვარ ხმობდა — ავტორის სიტყვებია: აი როგორ რეგენად სთვლიდა იგი (ავთანდილი) ფატმანს. ი. აბულაძეს სტროფი ზედმეტად მიაჩნია და მეტად უშნოდ, მოითხოვეს მის საქალიოში ჩატანას. ს. იორდანიშვილი სტროფს საჭიროდ სთვლის, აზრის თანდათან განვითარება მას უეჭველად მოითხოვეს. ფატმანმა ავთანდილი ნახა, რომ მას ვაჭრულად აღარ აცვია და ეუბნება: „აგრე სჯობსო შენთვის ხელთა სასურველად“, ე. ი. შენს ტრფიალებს ასე ურჩევინხართო. ეს ყველაფერი 1210-ე სტროფშია. ამაზე პასუხი ხომ საჭიროა და ეს მოცემულია სწორედ ამ 1211-ე სტროფში. ავთანდილი თავისთვის დიმიტრით ამბობს: „როგორ ეტყობა, რომ არ მიცნობს“ ე. ი. მას (ფატმანს) ჰგონია, რომ ჩემი საქმე ეს არის — სამოსის გამოცვლით ვისმე თავი ვაწონო. შემდეგ ავტორი დასძენს: ეგრე ვითა ყოვნდებოდა ასე უგვიანდებოდა, თუმცა იფერებდა მდგომარეობას, რადგან მეტი რა გაეწყობოდაო. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ მესამე ტაეპი მთლად ავთანდილის სიტყვები უნდა იყოს და ასე უნდა იკითხებოდეს: „შეეტყვების არ მიცნობსო, ეგრე ვითა ყოვნდებოდა“. ე. ი. ასე იყო-

ვნებდა¹², ირცხვენდა თავს, ფატმანიო. ა. ბარამიძე აღნიშნავს, რომ ასეთი შესწორება ექვს იწვევს გრამატიკულ შეუთანხმებლობით: არ მიცნობსო — აწყუოშია და ყოვნდებოდა — წამყოში. კომისიის უმრავლესობამ კ. კეკელიძის წინადადება გაიზიარა. წინააღმდეგი იყო კ. ჭიჭინაძე.

1212-ე სტროფი: პური ჭამეს, გაიყარნეს... ძირითადად მიიჩნიეს. გასწორდა პირველ ტაეპში: წავიდა — მივიდა. მეორე ტაეპში: დაეძინა — დაიძინა. მეოთხე ტაეპში: იხმო — უხმო. ს. იორდანიშვილი მოითხოვს მეოთხე ტაეპში „თავის წინა“-ს ერთად დაწერა, როგორც ერთ სიტყვისას, რომელიც მნიშვნელობით იგივეა, რაც მარტო. კომისიამ სიტყვა დეფიზით მიიღო. წინააღმდეგი იყო ა. შანიძე [?].

1213-ე სტროფი: ფატმან მივიდა, ავთანდილს... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: მოხისა, დაიწერა — მო, — ხისა. ი. აბულაძე მხარს უჭერდა ასეთ დაწერილობას: მო, ხოსა.

1214-ე სტროფი: ავთანდილ ბრძანა... ძირითადად ცნეს. წაკითხვათა ცვლილებანი არ შეტანილა.

1215-ე სტროფი: გგონივარ ვინმე ვაჭარი... ძირითადად მიიჩნიეს. მეოთხე ტაეპში: ზარდახშანისა, გასწორდა — ზარდახანისა.

შემდეგ სხდომას (1936, II, 5) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძე და კ. ჭიჭინაძე. განხილულ და დადგენილ იქნა 1216—1229 სტროფები.

1216-ე სტროფი: მენ გიცი კარგი მოყვარე... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: უზის, გასწორდა — უვის.

1217-ე სტროფი: რომე შენ ქალი გყოლია... ძირითადად მიიჩნიეს. წაკითხვათა ცვლილებანი არ შეტანილა.

1218-ე სტროფი: ავთანდილ ფატმანს ყველაი... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: ყველაი, გასწორდა — ყოველი.

1218¹-ე სტროფი: ფატმან უთხრა არ ვიცოდი... იწვევს კამათს. კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ ესა და შემდეგი 6 სტროფი აზრთა თანამიმდევრობისათვის მას საჭიროდ მიაჩნია, მაგრამ მან არ შეიტანა თავის გამოცემაში და არც ახლა უჭერს მხარს, მარტო იმიტომ, რომ ფიქრობს ჩვენამდის დამახინჯებულად არის მოღწეული, უნდა აღინიშნოს, რომ შიგადაშიგ არის ნამდვილი რუსთველური ტაეპები, მაგ. 1218²-ე: „ავთანდილ თავი დადრიკა სიცილით მოლიზღარემა“ და სხვ. ს. იორდანიშვილი აღნიშნავს: ესა და მომდევნო სტროფები

¹² ღნ.: იყივნებდა.

აშკარა ჩანართების ნიჟურებს ატარებენ. ამას თითოეული მათი განხილვა დაგვარწმუნებდა. ამასთან 1218-ე სტროფში ვკითხულობთ: აეთანდილ ფატმანს ყველად უთხრა ამბავი თავისა, ამბავი ტარიელისა და სხვა. ასე რომ ამის შემდეგ კვლავ გამეორება შეიძლება სტროფში თუ რა უთხრა და როგორ უთხრა სრულიად ზედმეტია. რაკი კ. ჭიჭინაძეც არ უჭერს მხარს მათ შეტანას, ყველა ეს სტროფი ჩანართად უნდა ვიცნოთ. კომისიამ ჩანართად იცნო 1218 — 1218⁷ სტროფები¹³. 1218¹—1218⁷ სტროფებში წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1218³ სტროფში: ვითაც დაედვა იმედი... მეორე ტაეპში: ამოსა, გასწორდა — აროსა.

1218⁴-ე სტროფში: უამბო ყველა არაბთა... წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1218⁵-ე სტროფში: იმა ჰირმზისა სახელი... მეორე ტაეპში: ლობილი, გასწორდა — ლობილი.

1218⁶-ე სტროფში: ქალსა შენ აქებ... და 1218⁷-ე სტროფში: ფატმან შეწუხდა მათისა... წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1219-ე სტროფი: მოდი და, ფატმან, მეწიე... ძირითადად მიიჩნეეს. მნიშვნელოვანი ცვლილებები არ შეტანილა.

1220-ე სტროფი: მომგვარე, ქაჯეთს გავგზავნო... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: გავგზავნო, გასწორდა — გავგზავნო.

1221-ე სტროფი: ფატმან თქვა, ღმერთსა დიდება... ძირითადად მიიჩნეეს. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1222-ე სტროფი: აწ გამოჩნდების... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: დამივსო გასწორდა: დამივსე.

1223-ე სტროფი: ფატმან სწერს ამა მნათობო... ძირითადად ცნეს. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1224-ე სტროფი: თუცა თუ შენი ამბავი... ძირითადად მიიჩნეეს. აბულაძე მოითხოვდა მეორე ტაეპში: მე ეგრეცა ვსცნა მართალი, გასწორებულიყო: მე ეგე ვცანი მართალი. ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ წინადადების კონსტრუქცია მოითხოვს, მე ეგრეცა ვცან მართალი-ს მიღებას. მაშინ ასეთი აზრი იქნება: თუმცა შენ შენი ამბავი არ გამაგებინე, მე ეგრეცა გავიგე მართალიო. კომისიამ ეს უკანასკნელი აზრი გაიზიარა.

1225-ე სტროფი: მოსრულა შენად საქებრად... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: შენთა ამბავთა, გასწორდა — შენსა ამბავსა.

¹³ 1218²-ე სტროფი: აეთანდილ თავი დადრკია.

1226-ე სტროფი: ჩვენ ამისთვის ესე მონა... ძირითადად მიიჩნეის. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1227-ე სტროფი: რაცა იგი მანდაური... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: იგი, გასწორდა — იცი.

1227¹-ე სტროფი: წალი უსტარო, ისწრაფე... იწვევს კამათს. ი. აბულაძეს სტროფი ჩანართად მიაჩნია. ახალი ენით დაწერილია და შინაარსით უაზროაო. ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ სტროფის მეორე და მესამე ტაეპი სრულიად არ შეეფერება ფატმანისა და ნესტანის ურთიერთობას. რატომ უნდა მიემართნა ფატმანს წერილისათვის ასე: განახვენ დამწველის თვალები? განა ნესტანი ფატმანის დამწველი იყო? ეს ტარიელს შეჰფერის და არა ფატმანს. ასევე შეუფერებელია ფატმანისათვის: შენ უკან ჩემი სიცოცხლე, თუ გესმის, არ გებრალეები? კ. ჭიჭინაძეს სტროფი მიაჩნია შესანიშნავ ლირიკულ გადახვევად, მისი აზრით, ფატმანს. შეუძლია ჩასთვალოს ნესტანი თავის დამწველად. უკანასკნელი ტაეპი მიმართვით ნესტანისადმი: თუ გესმის, რომ შენ შემდეგ ცოცხალი ვარ — არ გებრალეები? სტროფი ძირითადად უნდა დარჩესო. ს. კაკაბაძეს სტროფი ძირითადად არ მიაჩნია. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ სტროფი ადრინდელი ჩანამატი უნდა იყოს. ამასთან დასძენს, რომ ასეთი მიმართვა წერილებსადმი შემდეგში ჩვეულებრივი მოვლენაა. მის ძირითადობას მხარს ვერ დავუჭერო. სტროფი ჩანართად იქნა ცნობილი. წინააღმდეგი იყო კ. ჭიჭინაძე.

1228-ე სტროფი: ფატმან მისცა დაწერილი... ძირითადად მიიჩნეის. კ. კეკელიძე სტროფის მესამე ტაეპის (მან გრძნეულმან მოლი რამე წამოიხსნა ზედა ტანსა) შესახებ შენიშნავს, რომ იგი დღესაც იზიარებს მის მიერ ბეჭდვით გამოთქმულ აზრს. ქაჯების — მოლიდების შესახებ და მის თანახმად ამ ტაეპს ასე კითხულობს: მან გრძნეულმან მოლიდ რამე წამოიხსნა ზედა ტანსა. ი. აბულაძე არ იზიარებს კ. კეკელიძის მიერ წარმოდგენილ შესწორებას და მისი აზრით: მოლი რამე წამოიხსნა უნდა დარჩეს, რაც ნიშნავს მწვანე რამე წამოიხსნაო. კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ მოლიდ აქ ყოველად მიუღებელია, უნდა დარჩეს მოლი, რაც დაწულ ბალახის წამოიხსნამს ნიშნავსო. ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ რადგან ქვემოთ ყველგან ეს გრძნეული არსად მოლიდად არ იხსენება და ყველგან პირშავ ზანგად არის წარმოდგენილი, ამიტომ ვერც ის დაუჭერს მხარს აქ წარმოდგენილ შესწორებას. დარჩა ტრადიციული წაკითხვა. წინააღმდეგი იყო კ. კეკელიძე.

1229-ე სტროფი: წავიდა ვითა ისარი... ძირითადად მიიჩნის. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენ კომისიის მორიგ სხდომას (1936, II 7) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე და კ. ჭიჭინაძე. განხილულ და დადგენილ იქნა 1230—1256 სტროფები.

1230-ე სტროფი: ციხისა კარნი დახშულნი... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: შესცვალა, გასწორდა — შეცვალა; წინააღმდეგი იყო კ. ჭიჭინაძე. ი. აბულაძეც მხარს უჭერდა ს-ანიან ფორმას ხელნაწერების მიხედვით.

1231-ე სტროფი: ზანგმან უთხრა ვინ გგონივარ... ძირითადად მიიჩნის. კ. კეკელიძე შენიშნავს, რომ თითქმის ყველა ხელნაწერში ზანგის ნაცვლად პირველ ტაეპში ვკითხულობთ: ქაჯმან, ასევე შეუტანია იგი ზოგიერთ გამოცემელებსაც. ეს გარემოება კიდევ უფრო ამაჯრებს ჩემს მოსაზრებას ქაჯ-მოლოდის შესახებო. ი. აბულაძე შენიშნავს, რომ წინა სტროფში ზანგია და აქაც ზანგი უნდა დარჩეს, თუმცა ძალიან ცოტა ხელნაწერშიაო. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ ფატმანს ქაჯი არ ჰყოლია, მას გრძნეული ზანგი ჰყავდა და აქაც ზანგი უნდა დარჩესო. დატოვებულ იქნა: ზანგმან უთხრა... პირველ ტაეპში: ვით, გასწორდა — რად. მეოთხე ტაეპში: შუქი მოიცადე, გასწორდა — შუქნი მოიცადენ.

1231-ე სტროფი: შენ პატრონი არსთა მზე ხარ... ჩანართად მიიჩნის. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1232-ე სტროფი: პირმზე გაკვირდა... ძირითადად ცნეს. წაკითხვათა არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

1233-ე სტროფი: მონასა ჰკითხა მიაშბე... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: წამოსულხარ, გასწორდა — წამოსრულ ხარ.

1234-ე სტროფი: ფატმანის გული მას აქათ... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: დაგვლევია, გასწორდა — დაპლევია.

1235-ე სტროფი: აწ ვინმე მოყმე... ძირითადად მიიჩნის. მეორე ტაეპში: შენ ხარ, გასწორდა — თქვენ ხართ.

1236-ე სტროფი: ქალმან უთხრა, მემართლებს... ძირითადად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

1237-ე სტროფი: პირმზე სწერს აპა, ხათუნო... ძირითადად მიიჩნის. მესამე ტაეპში: მას, გასწორდა — მათ.

1238-ე სტროფი: შენ ორთა დამხსენ... ძირითადად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

1239-ე სტროფი: სხვად ამბავი აქაური... ძირითადად მიიჩნის. მეორე ტაეპში: შინ არ არის, გასწორდა — არ მოსულა, მესამე ტაეპში კამათს იწვევს სიტყვა, სიალფერეს გაგება. ი. აბულაძე აღნიშნავს, რომ აქ გვაქვს თურქ.-ოსმ. ძირი — ალფ, რაც გმირს ნიშნავს. სიალფე — ლომობა, ვაჟაკობა, ლომგულობა, რაც შეეხება რე-ს (სიალფერე), ეს რითმისათვის არის დამატებულიო. ა. შანიძე შენიშნავს, რომ შესაძლოა აქ გვქონდეს ალ-ფერეების გამომხატველი სიტყვა: სიალფერე — ტაეპის აზრი იქნება — უთვალავი სპანი მცავენ და მათი ალები და ფერებიო. ს. იორდანიშვილი არ იზიარებს სიალფერეს ასეთ გაგებას. სიალფე — ჩვენ არა ერთხელ გვხვდება ვეფხისტყაოსანში (გამიცუდდეს სიჩაუქე სიალფენი და სხვ.). აქაც სიალფე უნდა გვქონდეს — რე ნაწილაკის დართვით. კომისიას ეტყობა მიუღია: სიალფერე.

1240-ე სტროფი: ვინცალა ჩემი მძებნელი... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: ვაიმე, გასწორდა — ვამე.

1241-ე სტროფი: შენ ამბავი არ ვიამბე... ძირითადად მიიჩნის. წაკითხვათა ცვლილებანი არ შეტანილა.

1242-ე სტროფი: მე რომ მჭირს... ძირითადად მიიჩნის. პირველ ტაეპში — დაძწევას, გასწორდა — მომკლავს.

1243-ე სტროფი: გეთქვა ნიშნისა გაგზავნა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: გაამჟღავნია, გასწორდა — განამჟღავნია.

1244-ე სტროფი: აწ საყვარელსა მიუწერს... ძირითადად მიიჩნის. მეორე ტაეპში: ვინ, გასწორდა — ვის.

1245-ე სტროფი: ჰე, ჩემო, ესე უსტარი... ძირითადად ცნეს. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1246-ე სტროფი: ჰხედავცა, ჩემო, სოფელი... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: ვაიმე, გასწორდა — ვამე.

1247-ე სტროფი: ჰხედავ, ჩემო, ვით გაგვყარნა... ძირითადად ცნეს. ი. აბულაძე შენიშნავს, რომ თავის უკანასკნელ გამოცემაში სტროფი მან ჩანართად მიიღო, მაგრამ ახლა იგი მას ძირითადად მიაჩნია. მესამე ტაეპში: დალახრულმან, გასწორდა — დალახვრულმან.

1248-ე სტროფი: შენმან მზემან. ძირითადად მიიჩნის. მეორე ტაეპში: ყველა გარდამეწყვიტა, გასწორდა — მეთქვა; გარდასრულდა.

1249-ე სტროფი: შენი სიცოცხლე მეყოფის... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: დაკარგულისად, დაიწერა — დაკარგული სად. წაკი-

თხვის შესწორება წამოაყენა კ. კიკინაძემ. მეოთხე ტაეპში: მზრდელად, დაიწერა — მზრდელი.

1250-ე სტროფი: სხვად, ჩემო, ჩემი ამბავი... და 1251-ე სტროფი: აწ სოფელმან უარეჟი... ძირითადად მიიჩინეს. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1252-ე სტროფი: ციხეს ვზი ეზომ მაღალსა... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: მაზედა, გასწორდა — მუნ ზედა.

1253-ე სტროფი: ნუთუ ესენი გეგონნეს... ძირითადად მიიჩინეს. მეოთხე ტაეპში: კლდისაგანც, გასწორდა — კლდისაყა. წინააღმდეგი იყო კ. კიკინაძე.

1253'-ე სტროფი: შენ, საყვარელო, ნუ სკმუნავ... იწვევს კამათს. ი. აბულაძეს სტროფი ჩანართად მიაჩნია. სტილის მხრივ ახალია და შინაარსითაც ზედმეტყო. ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ თუ ჩვენ ამ სტროფს შევადარებთ მის შომდეგს სტროფს: შენმან მზემან, უშენოსა — აშკარად დავრწმუნდებით ამ სტროფის ზედმეტობაში. ამ სტროფის მეორე და მეოთხე ტაეპში ვკითხულობთ: „ჩემი სთქვა, სხვათა მიხედვით“. „ან თავსა კლდეთა ჩავიქცევ, ანუ მოვიკლავ დანითა“, რაც უშნო გამეორებაა ძირითადი 1254-ე სტროფის მეორე და მესამე ტაეპების: „შენმან მზემან არვის მიხედეს, მოცავიდენ სამნი მზენი.. აქა თავსა გარდავიქცევ, ახლოს მახლავს დიდი კლდენი“. ყოველივე ამის გამო სტროფი ჩანართად უნდა იქნეს ცნობილი. კ. კიკინაძე აღნიშნავს, რომ სტროფში მაინც არის სრულიად განსხვავებული ტაეპები: „შენ საყვარელო; ნუ სკმუნავ კმუნვითა ამისთანითა; არამ სიცოცხლე უშენოდ ვარ აქამდისცა ნანითა“ და სტროფი ძირითადში უნდა დარჩესო. კ. კეკელიძე შენიშნავს, რომ ექვს იწვევს მეოთხე ტაეპის წაკითხვა: ან თავსა კლდეთა ჩავიქცევ — ანუ მოვიკლავ დანითა — საფიქრებელია დანა არ ექნებოდა ნესტანს ქაჯეთის ციხეშიო. ხმის უმრავლესობით სტროფი ჩანართად იქნა ცნობილი, წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1254-ე სტროფი: შენმან მზემან, უშენოსა... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: არვის, გასწორდა — გერვის. მესამე ტაეპში. მახლავს დიდი, გასწორდა — მახლვენ დიდნი. მეოთხე ტაეპში: მამხედეს, გასწორდა — მომხვდენ.

1255-ე სტროფი: ღმერთსა შემვედრე, ნუთუ კვლა... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში ავფრინდე; გასწორდა — აღვფრინდე.

1256-ე სტროფი: მზე უშენოდ ვერ იქნების... ძირითადად ცნეს. კამათს იწვევს მესამე ტაეპში. წაკითხვა: მუნა გნახო, მადვე

გნახო. ი. აბულაძე აღნიშნავს, რომ იგი არ იზიარებს მარის აზრს ამ ტაეპის შესახებ, რომლის თანახმად მენა გნახო, მალევე გსახო — უნდა ნიშნავდეს მპპ-ს ე. ი. მთვარეს — მთვარედ გსახო. აქ უნდა იყოს მენა გნახო, მასვე გსახო — მასვე გამსგავსო. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ მასვე წაკითხვა ხელნაწერებში არ არის, უნდა დარჩეს მადვე — იბადვეს მნიშვნელობითო. კომისიამ უკანასკნელი აზრი გაიზიარა. მეოთხე ტაეპში: მქონდეს, გასწორდა — მქონდა.

მორიგ სხდომას (1936, II, 8) დაესწრო კომისიის შემდეგი წევრები: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძე და კ. ჭიჭინაძე. განხილულ და დადგენილ იქნა 1257 — 1273 სტროფები.

1257-ე სტროფი: მე სიკვდილი აღარ მიმძიმს... ძირითადად მიიჩნეის. მეოთხე ტაეპში: ვ. ბერიძის წინადადების თანახმად, მიღებულ იქნა ხელნაწერებზე დაყრდნობით ჩემსა სიყვარულსა-ს ნაცვლად: შენთვის დაკარგულსა.

1258-ე სტროფი: წადი ინდოეთს მიმართე... ძირითადად მიიჩნეის. მეორე ტაეპში: შევიწრებულსა, გასწორდა — შეიწრებულსა; ხელ-აუპყრობელსა, გასწორდა — ხელ აღუპრობელსა.

1259-ე სტროფი: რაცა ვიჩივლე ბედისა ჩემისა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: კმარს, გასწორდა — კმა. მეორე ტაეპში: სცან, გასწორდა — ცან, კ. ჭიჭინაძე წინააღმდეგი იყო ცან-ის უსაზოდ მიღებისა.

1260-ე სტროფი: აჰა, ინიშნე ნიშანი... ძირითადად ცნეს. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1261-ე სტროფი: ესე წიგნი, საყვარელსა... ძირითადად მიიჩნეის. მეორე ტაეპში: მას რიდესა, გასწორდა — მათ რიდეთა. ა. ბარამიძე და ს. იორდანიშვილი მხარს უჭერდნენ — მას რიდესა.

1261¹-ე სტროფი: ესე სიტყვა მართალია... ჩანართად ცნეს. ს. კაკაბაძე ამ სტროფის ჩანართობასთან დაკავშირებით შენიშნავს, რომ ხელნაწერების შესწავლა ცხადად ააშკარავებს ერთ გარემოებას, სახელობრ: პოემის ტექსტის პირველი ნაწილი, შეიძლება ითქვას ჩვენამდის პირვანდელ მოცულობით არის მოღწეული ხელნაწერების პირველ ჯგუფში. ამიტომ პირველ ნაწილში არ არის ნართაული ტაეპები, მეორე ნაწილში კი ხდება გარდატეხა: მეორე ნაწილში ჩვენამდის მოღწეულ ყველა ვარიანტსა და რედაქციას, გარძელება რომ არ მივიღოთ მხედველობაში, აქვს ნართაული ტაე-

პეტი. ერთ ასეთ ტაეპთაგანი არის ეს ტაეპიც, რომელიც ყველა ხელნაწერში მოიპოვება.

1261-ე სტროფი: ყმამან უთხრა... ჩანართად მიიჩნიეს. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1262-ე სტროფი: იგი მონა წამოვიდა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: მამავალი, გასწორდა — მიმავალი. ს. იორდანიშვილი მოითხოვდა მომავალის მიღებას, რაკი წინა ნაწილშია: იგი მონა წამოვიდაო. მეორე ტაეპში: მოხდა, გასწორდა — მიხდა.

1263-ე სტროფი: ფატმას უთხრა... ძირითადად მიიჩნიეს. გასწორდა პირველ ტაეპში: ჩემი — საქმე. მესამე ტაეპში: აღარა — არღარა. მეოთხე ტაეპში: ფიცხლავ — ფიცხლად; მამსპელ-ამწყვედელი — მომსპობ-ამწყვეტელი.

1264-ე სტროფი: სათუნშან უთხრა... ძირითადად ცნეს. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1264¹-ე სტროფი: კვლავ ფატმან იტყვის... ჩანართად მიიჩნიეს. კ. კიჭინაძე შენიშნავს, რომ ეს სტროფი საჭიროა თავის ალაგას და მე მას იქ დავიცავ, აქ ზედმეტია. ჩემი გამოცემით ეს არის 1452-ე სტროფი და უნდა მიჰყვეს ს. კაკაბაძის გამოცემით 1336-ე სტროფს: უთხრა თუ: ესე სიტყვაა ავისა მასპინძელისა...

1265-ე სტროფი: ყმამან ფრიდონის მონანი... ძირითადად ცნეს. გასწორდა — პირველ ტაეპში: იხმნა — უხმნა. მეორე ტაეპში: ახლა — აწლა. მეოთხე ტაეპში: სმენით ვართ — სმენითა.

1266-ე სტროფი: მოდიო და ფრიდონს უამბეთ... ძირითადად ცნეს. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1267-ე სტროფი: ჩემსა ზედა დიდი არის ვალი... ძირითადად ცნეს. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1268-ე სტროფი: სახლი არ მახლავს... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: ძალ-მიც, გასწორდა — ძალ-მაქვს. მეორე ტაეპში: ჯარისა, გასწორდა — ლარისა.

1269-ე სტროფი: დაწერა, ფრიდონ მაღალი... ძირითადად მიიჩნიეს. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1270-ე სტროფი: ჭირნი ვნახენ და... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: ვნახე, გასწორდა — ვნახენ.

1271-ე სტროფი: იგი მზე ქაჯთა მეფესა... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: მისვლა, გასწორდა — მისლვა. მეოთხე ტაეპში: ჯერ, დაიწერა — ჯერთ; ახლავს, გასწორდა — ახლვან.

1272-ე სტროფი: გულ-მხიარული ვიხარებ... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: გეწადოს, გასწორდა — მოგონდეს. მეოთხე ტაეპში:

გაგიცვილდების, გასწორდა — გაუილებილდების. ს. იორდანიშვილი მხარს უჭერდა: გაგიცვალდების.

1273-ე სტროფი: აწ შემინდევ... ძირითადად მიიჩნის. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

შემდეგი სტროფების განხილვა და დადგენა გაგრძელდა 1936 წ. 9 თებერვალს. დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე და კ. ჭიჭინაძე. განხილულ და დადგენილ იქნა 1274—1277 სტროფები.

1274-ე სტროფი: ამა მონათა ჩემზედა... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპი: მსახურეს, გასწორდა — მმსახურეს.

1275-ე სტროფი: ესე უსტარი დაწერა... ძირითადად მიიჩნის. მეორე ტაეპი: იმითა იამან — იწვევს კამათს. კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ აქ უნდა დარჩეს: თმითა იამა. იამა ფერის გამომხატველად კი არ იხმარება, არამედ სინაზის გამოსახატავად. ვ. ბერიძეს დამაჯერებლად არ მიაჩნია კ. ჭიჭინაძის განმარტება, რომ თმითა იამან — თმის სინაზის გამოსახატავად იყოს ხმარებული. მისი აზრით, აქ ავთანდილი შედარებულა ვარდსა და იასთან და უფრო მისაღებია ზღუნაწერების ასეთი წაკითხვა: ვარდმან და ვითა იამან. კომისიამ ეს აზრი გაიზიარა. თმითა, გასწორდა — ვითა. კამათს იწვევს მეორე ტაეპის დასასრული: მართ ვითა გია მან. ა. ბარამიძე აღნიშნავს, რომ აქ ჩვენ გვაქვს გ ი ა მ ა ნ, ერთი სიტყვა — მცენარის აღმნიშვნელი. ვისრამიანშიაც იხმარება გია, გული შედარებულია გიას ხესთანო. ვ. ბერიძე იზიარებს ასეთ წაკითხვას და გაგებას, მით უმეტეს, რომ არც ერთ ზღუნაწერში გია ჰაეთი არ არის დაწერილი. მაშასადამე, მას ზმნად არ მიიჩნევდნენო. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ აქ ჰგია, ზმნად გაგებული უფრო თავის ადგილზე იქნებოდა: შესთვალა ზეპირ, რაც წამდა სრულად, მართ ვითა ჰგია, მან — ე. ი. მან რაც კი წამდა ყველაფერი ზეპირად შეუთვალა, თუ როგორ იმყოფება, ჰგებეს. გია, გასწორდა — ჰგია. წინააღმდეგნი იყვნენ ა. ბარამიძე და ვ. ბერიძე. ი. აბულაძე სტროფს სთვლის მეტად გაკვიანურებულად, ვერ ჰხედავს მასში რუსთველურ ლაკონიზმს და ზედმეტად მიიჩნევს. ს. იორდანიშვილი სტროფს საჭიროდ სთვლის შინაარსის მხრივ. უმისოდ ვერ გავიგებთ, თუ როგორ გაუგზავნა ფრიდონს წიგნი ავთანდილმან. აქ პირდაპირ არის ნათქვამი: რომ წიგნი გაატანა ფრიდონის მონებს და ზეპირადაც დააბარა მათ თავისი ამბავი. კ. ჭიჭინაძე ამ სტროფს, ლირსების მხრივ, ავთანდილის წერილში ყველაზე მაღლა აყენებს და განსაკუთრებით იწონებს: მათ მარგალიტი უჩვენის ძოწისა კარმან ღიამან.

კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ სტროფის გამოგდება ძნელია, თუმცა პირველსა და მესამე ტაქტში მან-ის ერთსა და იმავე აზრით გამეორება ცოტა ეჭვს ბადებსო. კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ გამეორების გამო სტროფის ეჭვის ქვეშ დაყენება შეუძლებელია, რადგან უეჭველად ძირითად სტროფშიაც გვხვდება გამეორება. მაგ. ვითა გამეორებულია ასევე 935-ე სტროფში. ს. კაკაბაძის გამოცემით: მ ზ ე ვ ი თ ა . ს ტ რ ო ფ ი ძ ი რ ი თ ა დ ა ი ქ ნ ა ც ნ ო ბ ი ლ ი . წ ი ნ ა ლ მ დ ე გ ი ი ყ ო ი . ა ბ უ ლ ა ძ ე .

ამის შემდეგ სხდომის გაგრძელებას თავმჯდომარეობს ა. შანიძე.

1275¹-ე სტროფი: მოქარავენეთა უბრძანა... იწვევს კამათს. კ. ჭიჭინაძე სტროფს ძირითადად მიიჩნევს, იგი აღნიშნავს, რომ სტროფი ყველა ხელნაწერშია. არა აქვს მხოლოდ ვახტანგს. მისი აზრით, სტროფი დაწერილია უნაკლოდ. სიუჟეტურად სტროფს აქვს სრული გამართლება. ავთანდილი მოქარავენებთან არის ერთი წელიწადი. ახლა მათი გზები იყრება. ავთანდილი ეთხოვება მათ და მიმართავს: ახლა სხვა იშოვეთ ბაღრაგაო. წარმოუდგენელია, რომ ავთანდილი, რომელიც ფრიდონის კაცებსაც კი ეთხოვება, არ გამოსთხოვებოდა და ორიოდე სიტყვა არ ეთქვა იმ მოქარავენეთათვის, რომლებიც მეკობრეებისგან იხსნა და რომელთაც წელიწადი მეთაურობდაო. ა. ბარამიძე აღნიშნავს, რომ მართალია ეს სტროფი არის ყველა ხელნაწერში, იგი ა კატეგორიისაა. არა აქვს მხოლოდ ვახტანგს, მაგრამ ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს მსგავს შემთხვევებში, რომ ეს ბევრს არაფერს ამტკიცებს. აი მაგალითად: გუშინ ჩვენ განვიხილეთ ერთი ასეთივე ა კატეგორიის სტროფი: 1261¹-ე: .ესე სიტყვა მართალია, არ კრელად და არ ხვასრულად — მაგრამ ეს სტროფი არა აქვს შეტანილი არც კ. ჭიჭინაძეს და არც ს. კაკაბაძეს. კიდევ მეტი: ჩვენ გეჟონდა ისეთი სტროფიც, რომელიც ყველა ხელნაწერშია და ვახტანგსაც აქვს, სახელლობრ, 925¹-ე: მოვიდიან შესამკობლად ქვეყნით ყოვლნი სულიერნი — მაგრამ არა აქვს შეტანილი კ. ჭიჭინაძეს. ასევე 894¹-ე სტროფი: ვირ ვარდი იყოს ან მზე ჯდეს კირჩხიბსა და საროტანსა — არა აქვს შეტანილი კ. ჭიჭინაძეს და არც ს. კაკაბაძეს, აქედან დასკვნა, რომ კ. ჭიჭინაძე არღვევს პრინციპს, სტროფი არის ყველა ხელნაწერში და მას კი თავის გამოცემაში არ შეაქვს. ჩვენ კი თავიდანვე სწორ პრინციპს ვადექით, როდესაც ვამბობდით: ის გარემოება, რომ სტროფი ყველა ხელნაწერშია, კიდევ არ ამტკიცებს იმას, რომ ის ვეფხისტყაოსნის კუთვნილებაა. იყო ასეთი შემთხვევებიც, რო-

ცა კ. ჰიჭინაძე აცხადებდა, რომ სტროფი დამახინჯებულია და იმიტომ არ შევიტანეთ. აი დაუმახინჯებელი 894¹-ე სტროფი: ა კატეგორიისა — მაგრამ მას შეტანილი არ აქვს. მაშასადამე, ჩვენი პრინციპი სწორი იყო და კ. ჰიჭინაძე ტყუილად გვედავებოდა. კერძოდ, რაც შეეხება ამ სტროფს, იგი შეტანილია იმავე მოსაზრებით, რა მოსაზრებითაც კონსტანტინემ უნდა გაამართლოს ეს სტროფი. ერთ-ერთ ყალბის მქნელს დაჰბადებია აზრი: ავთანდილი ერთი წელიწადი იყო მოქარავენეთა შორის და ნუთუ გამოუთხოვბლოვ გამოვრდებოდით და ჩაურთავს ეს სტროფი, მაგრამ მეტად უტაქტო და უცნაური გამოთხოვნებაა და სრულიად არ არის რუსთველური. მოქარავენთ თავიანთი ფუნქცია შეასრულეს და სრულიად საჭირო არ იყო, რომ რუსთველი მათ დაბრუნებოდა. ი. აბულაძე აცხადებს, რომ ამ სტროფის ძირითადობას ის მხარს ვერ დაუჭერს, ისევე, როგორც არ შეიძლება რომ ძირითადად ვალიაროთ 925¹-ე სტროფი: მოვიდიან შესამკობლად... ა. შანიძე იხილავს სტროფს ენობრივ თვალსაზრისით და აღნიშნავს, რომ „განაო“ იმ კონტექსტში, როგორც აქ არის ხმარებული, რუსთველის კუთვნილება არ არის. სტროფი ჩანართად იქნა ცნობილი. წინააღმდეგი იყო კ. ჰიჭინაძე.

1276-ე სტროფი: მონაზა, პოვა ავთანდილ... ძირითადად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

1277-ე სტროფი: ფატმან, უსენ და შონანი... ძირითადად მიიჩნის. მეორე ტაეპში: რად, გასწორდა — რა. მესამე ტაეპში: დაგვაბნელე, გასწორდა — დაგვაბნელენ. ა. ბარამიძე და ი. აბულაძე ამ სტროფის შესახებ ეჭვს გამოსთქვამენ, მათ არ* მიაჩნიათ შესაფერისად ის გარემოება, რომ უსენი ასეთის ცხელის ცრემლით ეთხოვება ავთანდილს.

1936 წ. 10 თებერვლის სხდომას დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე, კ. ჰიჭინაძე და ა. შანიძე, განხილულ და დადგენილ იქნა 1278 — 1288¹ სტროფები.

1278-ე სტროფი: გამოვლნა ზღვანი ავთანდილ... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: ხელაპყრობილი, გასწორდა — ხელ-განაპყრობილი.

1279-ე სტროფი: მოწურვილ იყო ზაფხული... ძირითადად მიიჩნის. პირველ ტაეპში: ქვეყნად ამოსვლა, გასწორდა — ქვეყნით ამოსვლა. კამათს იწვევს მესამე ტაეპი: ეტლის ცვალება მზის და

* ღნ.: არ] ასე.

შეჯდომა საროს ტანისა. ი. აბულაძე აღნიშნავს, რომ „საროს ტანი“ აქ დამახინჯებულია და უნდა გასწორდეს: სარათანისა-დ, რადგან აქ იგულისხმება მზის ეტლი არათანი — ე. ი. კირჩხიბი. ასეთი წაკითხვა ამ სიტყვისა შემონახულია H 2829 ხელნაწერში და გარდა მაგისა ულუბეგს ყველგან თანით აქვს ეს სიტყვა ნახმარი, ასევე მუშტარის ნაცვლად იქვე გვხვდება მუშთარი. ამგვარად ეს ტაეპი ასე უნდა შესწორდეს: ეტლის ცვალება მზისაგან შეჯდომა, სარათანისა. ვ. ბერიძე აღნიშნავს, რომ ისეთი ტარო, როგორც არაბულ საროტანი-ში გვაქვს, ქართულში უპირატესად ტარით გაღმოდის და არა თანით. თვით ის გარემოება, რომ აქ სიტყვა დამახინჯებულია საროს ტანად, იმას მოწმობს, რომ საროტანი იყო და გადაწერლებმა ვერ გაიგეს. ჩვენ უნდა დაეტოვოთ მარის მიერ აღდგენილი წაკითხვა სარატანი. ი. აბულაძე შენიშნავს, რომ უცნაურად გვეჩვენება აქ დანიშნული დრო. ვარდის ფურცლება ნავროზის დროა თითქოს და აქ კი იგულისხმება ივლისი სარათანის ზოდიაკო, როცა ზაფხულის პაპანაქებაა და რაღა მაშინ არის ვარდის ფურცლობაო. ვ. ბერიძის აზრით, აბულაძე სცდება, როდესაც ამბობს: იქ ივლისი იგულისხმებაო. სარათანი არც მაისის ზოდიაკოა, როგორც ეს უწერია მას თავის გამოცემაში, და არც ივლისისა, როგორც ახლა განაცხადა, არამედ იენისის. ამის შესახებ დავით რექტორს ლექსიც კი აქვს, რომ საროტანი იენისში მიითვალავს მზესა. ამგვარად, აქ არავითარი გაუგებრობა არ არის: მოახლოებული, მიწურვილ იყო ზაფხული ვარდის ფურცლების ნიშანიო. კ. კეკელიძე შენიშნავს, რომ ზ. ავალიშვილი შეეხო თავის წიგნში „ვეფხისტყაოსნის საკითხები“ ამ სტროფს და აღნიშნა, რომ აქ მთიანი ადგილი უნდა იგულისხმებოდეს, რადგან ასე გვიან ზაფხულს არის ვარდის ფურცლებიო, მაგრამ ეს მოსაზრება ერთგვარ გაუგებრობაზეა აღმოცენებული, სახელდობრ, სტროფის დასაწყისს ის ასე კითხულობს: მიწურვილ იყო ზაფხული... მაშინ როდესაც უნდა: მოწურვალ იყო, მოახლოებული იყო და არა მიწურული. მთელი ტაეპი კომისიამ ასე მიიღო: ეტლის ცვალება მზისაგან, შეჯდომა სარატანისა. მეოთხე ტაეპში: სულ თქნის, რა ნახის, გასწორდა — სულ-თქნა, რა ნახა.

1280-ე სტროფი: აგვირგვინდა ცა და ღრუბელი... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: აგვირგვინდა, გასწორდა — აგრვინდა; ღრუბელი, გასწორდა — ღრუბელნი, მეორე ტაეპში: ვარდსა, გასწორდა — ვარდთა.

1281-ე სტროფი: რა მოეგონის მოყვარე... ძირითადად მიიჩნეის. პირველ ტაეპში: შოაგონდის, გასწორდა — მოეგონის.

1282-ე სტროფი: ქვაბნი გამოჩნდა, იამა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: გამოჩნდა, გასწორდა — გამოჩნდის. კამათს იწვევს პირველ ტაეპში: იამა. ვ. ბერიძე აღნიშნავს, რომ ენის თვალსაზრისით უნდა ეამა, მაგრამ აქ უნდა დავტოვოთ იამა, იცნათ. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ ასეთი რამ კიდევ შესაძლებელია დაუშვით რითმაში, მაგრამ ტაეპის შიგნით ეს აუცილებელი არ არის, და სწორი ფორმა ეამა უნდა მივიღოთ. კომისიამ ზელნაწერებზე დაყრდნობით დატოვა: იამა — წინააღმდეგი იყო ა. შანიძე. მეორე ტაეპში: სადა ზის ჩემი ომად-ფიცი, გასწორდა — სადაა ჩემი მოყვარე.

1283-ე სტროფი: თუ მოსრულა უღონიოდ... ძირითადად ცნეს. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1284-ე სტროფი: მიაცურვებს და იმღერის... ძირითადად იქნა ცნობილი. პირველ ტაეპში: მიაცურვებს, გასწორდა — მოაცორვებს. მეოთხე ტაეპში: ხრლმითა, გასწორდა — ხრმლითა.

1285-ე სტროფი: ტარიელს ლომი მოეკლა... ძირითადად მიიჩნეის. მეორე ტაეპში: დგას, დაიწერა — დგა. მეოთხე ტაეპში: ხლტებოდა, გასწორდა — ხლდებოდა.

1286-ე სტროფი: ზრმალი გასტყორცა ტარიელ... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: გასტყორცა, გასწორდა — გატყორცა. კ. ჭინაძე წინააღმდეგია ამ სიტყვის უსანოდ მიღებისა. მეოთხე ტაეპში: გაუხდის, გასწორდა — გაუხდა.

1287-ე სტროფი: ტარიელ მოთქვა ტირილით... ძირითადად მიიჩნეის. მესამე ტაეპში: ალვისა, გასწორდა — ალვისა. მეოთხე ტაეპში: მიღებულ იქნა ო. აბულაძის წარმოდგენილი — მერკები-ს შესწორება: მეე რები.

1288-ე სტროფი: ტარიელ ტირს და ავთანდილ... ძირითადად ცნეს. წაკითხვათა ცვლილებანი არ შეტანილა.

1288¹-ე სტროფი: ამა ამბავსა გიაგობ — იწვევს კამათს. კ. ჭინაძე აღნიშნავს, რომ სტროფი საჭიროა აზრის თანამიმდევრობისათვის. შემდეგი სტროფი (1289) შეიცავს პირდაპირ პასუხს ამ სტროფისას. 1288¹-ე სტროფში ვკითხულობთ: კვლა მასვე ჭიზამს სოფელი, ნუ სჭმუნავ რაცა ინები. — ამის პასუხია 1289-ე სტროფში ტარიელის სიტყვები: კაცამაცა სოფელს ვით პოოს, რაც არა საქმე ზენია. — ასევე 1289-ე სტროფის სიტყვები: „არცა რა მოგისმენია“, პირდაპირ ეპასუხება 1288¹-ე სტროფს: „ამა ამბავსა გიაგობ, არს ჩემგან მონასმინები. ასე რომ, თუ ამ სტროფს ამოვი-

ლებთ, შემდეგი ძირითადი სტროფი უაზრო იქნება, ველარ გავიგებთ რის პასუხია მასში მოცემულიო. ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ კ. ჭიჭინაძის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებანი არ არის საკმარისი სტროფის ძირითადობისათვის. მისი აზრით, 1289-ე სტროფი არის ტარიელის პირდაპირი პასუხი ავთანდილის სიტყვებზე, რომელიც 1288-ე სტროფშია გამოთქმული. ავთანდილი სიცილით ეუბნება მტირალ ტარიელს: გაიცინა, შევიტყე, მოვისმინე ის ამბავი, შენ რომ ვიამებო. ტარიელს არ სჯერა ეს და უპასუხებს: მეყო, ძმაო რაც დღეს მოვისმინე შენგან, ყველაფერი სალხინო მინახავს, ეს არის შენი ნახვა, სხვადა ღმერთმა ჩემი წამალი ნუ ქმნას და შენც არა მოვისმენია რაო, კაცი სოფლად ვერას ჰპოვებს, თუ ს[ა]ზეო საქმე არ არისო, ამგვარად, 1288-ე სტროფიდან 1289-ე სტროფზე ბუნებრივი გადასვლაა და პასუხიც შესაფერისი. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ სტროფი ექვს ბადებს აგრეთვე ენის სიახლის გამრ. შესაძლებელია, რომ „კიდე შემოგხსნის ჯინჯილსა, ხელობისათვის ვინები“ რუსთველის კუთვნილებად გამოვაცხადოთო. სტროფი ჩანართად იქნა ცნობილი. წინააღმდეგი იყო კ. ჭიჭინაძე.

შემდეგ სხდომას (1936, II, 11) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე და კ. ჭიჭინაძე. განხილულ და დადგენილ იქნა 1289—1301²-ე სტროფები.

1289-ე სტროფი: ტარიელ უთხრა, ჰე, ძმაო... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: მსმენია, გასწორდა — მლხენია. მეოთხე ტაეპში: კაცამცა, გასწორდა — კაცმანმცა; პოოს დაიწერა — პოვა.

1290-ე სტროფი: რა ტარიელ არ შესჯერდა... ძირითადად ცნეს. წაყითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1291-ე სტროფი: წიგნი და კიდე რიდისა... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: დაცაბნდა, გასწორდა — დაეცა. ს. იორდანიშვილი მხარს უჭერდა დაცაბნდა-ს. მესამე ტაეპში: მოდრიკნეს, გასწორდა — მოდრიკნა. მეოთხე ტაეპში: გასძლო ხსენება, გასწორდა — გასძლნეს ხსენება. ამ ტაეპის დასასრული (ვერ კაენ, ვერცა სალამან) იწვევს კამათს. ი. აბულაძე მხარს უჭერს ტაეპის ასეთ დაბოლოებებს: ვერ რამინ, ვერცა სალამან. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ რამინი ყოფილიყო, კაენ-ად ვერ გადაკეთდებოდა. ამიტომ აქ შესაძლებელია ყაის-ი იყოო. ზელნაწერებში წარმოდგენილი ყაენ, კეენ — აქედან ადვილად შეიძლებოდა გადაკეთებულიყო. კ. ჭიჭინაძე მომხრეა დარჩეს ან კაენ, ან რამინ, რჯდგან, საფიქრებელია, ბიბლია იცის რუსთველმა და აგრეთვე ვისრამიანსაც იცნობს. ყაისი

კი შეიძლება არც იცოდნო. კომისიამ დატოვა ტრადიციული წაკითხვა. ვერ კაენ, ვერცა სალამან.

1292-ე სტროფი: ავთანდილ უქვერეტს ტარიელს... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: გვანდა, გასწორდა — სრულად. მეოთხე ტაეპში: მათ მათი შიბარესა, გასწორდა — მართ მისი მიიბარესა.

1293-ე სტროფი: ავთანდილ დაჯდა ტირილად... ძირითადად მიიჩნიეს. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1293¹-ე სტროფი: ტარიელს ეგრე გასულსა... ჩანართად მიიჩნიეს. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1294-ე სტროფი: პირსა იხოკს, დაწვთა სისხლი... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: მე ვქენ, გასწორდა — ფქმენო. მესამე ტაეპში სწრაფად, დაიწერა — სწრაფით.

1295-ე სტროფი: მე მოვკალ ჩემი მოყვარე... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: ვაბრალებ, გასწორდა—ვაბრალობ. მესამე ტაეპში: კარგსა ვერას იქს, გასწორდა — კარგად ვერა იქმს.

1296-ე სტროფი: უცნობო ქმნილი ტარიელ ძეს... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: გამოვლო შამბი, გასწორდა — გამოვლნა. შამბნი.

1297-ე სტროფი: ავთანდილ მკერდსა დაახსა... ძირითადად მიიჩნიეს. მეოთხე ტაეპში: ფერ-ნაკრთობისა, გასწორდა—შუქ-ნაკრთობისა.

1298-ე სტროფი: ზამთარი ვარდსა დააზრობს... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: ვარდსა, გასწორდა — ფარდთა. მეორე ტაეპში სწავეს და, გასწორდა — დასწავეს. მესამე ტაეპში: ყივიან, დაიწერა — ჰყივიან; წინააღმდეგნი იყვნენ ა. შანიძე და ს. იორდანიშვილი.

1299-ე სტროფი: აგრევე გული კაცისა... ძირითადად ცნეს. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1300-ე სტროფი: ტარიელ ნახა ნაწერი... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: ახელებს, გასწორდა — აშეთებს.

1300¹-ე სტროფი: მიკვირს, თუ რად ნამუსად... ჩანართად მიიჩნიეს. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1301-ე სტროფი: იტყვის თუ ნაქმრად... ძირითადად ცნეს. კ. ჭიჭინაძის წინადადების თანახმად და H 599 ხელნაწერზე დაყრდნობით, სარიტმობ სიტყვებს ბოლოში დაემატა — დ. გასწორდა — პირველ ტაეპში: გასწავლულისა — გასწავლილისად. მეორე ტაეპში: ღმილისა — ღმილისად. მესამე ტაეპში: წახდომილისა — წახდომილისად. მეოთხე ტაეპში: მონდომილისა — მონდომილი სად.

1301-სტროფი: ტარიელ მითხრა სიმღერა... ჩანართად მიიჩნიეს. მეორე-მესამე ტაეპებში: მოგვრინავითა, დაიწერა — მოგვრი ნავითა.

1936 წ. 13 თებერვალი. სხდომას დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე და კ. ჭიჭინაძე. განხილულ და დადგენილ იქნა 1302 — 1326 სტროფები.

1302-ე სტროფი: ვითა გვმართებს გახარება... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: ზურგნი, გასწორდა — ზურგით.

1303-ე სტროფი: მერმე ტარიელ ამბავსა... ძირითადად მიიჩნიეს. გასწორდა — მეორე ტაეპში: აახვინს — ამართნოს. მესამე ტაეპში: ეაზრებოდა — ეზარდებოდა. მეოთხე ტაეპში: თუმცა — თუცა.

1304-ე სტროფი: ავთანდილს მადლი უბრძანა... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: დამწყვიტე, გასწორდა — დამწყვიდე.

1305-ე სტროფი: მე ვერ გარდვიხდი ნაცვალსა... ძირითადად ცნეს. ი. აბულაძის წინადადების თანახმად პირველი ტაეპი: მე ვერ გარდვიხდი ნაცვალსა, ღმერთი გარდვიხდის ციერი — ასე იქნა მიღებული: მე ვერა გიყო ნაცვალი, ღმერთი გარდვიხდის ციერი. წინააღმდეგი იყო კ. ჭიჭინაძე, რომელიც მხარს უჭერდა ასეთ წაკითხვას: მე ვერ გარდვიხდი ნაცვალსა, ღმერთი გარდვიხდის ციერი. მეორე ტაეპში: ჩემავიერი, გასწორდა — ჩემმავიერი. მეოთხე ტაეპში: აქამდის, გასწორდა — აღრითგან.

1306-ე სტროფი: ქვაბისა კარსა ასმათი... ძირითადად მიიჩნიეს. მეოთხე ტაეპში: აიჭრა, გასწორდა — ავარდა. კ. ჭიჭინაძე მეოთხე ტაეპის დასასრულს (აიჭრა, მოშლილი, პერანგოსანი) ასე მოითხოვდა: ავარდა შიშველი, პერანგოსანი. კომისიამ, ს. იორდანიშვილის წინადადების თანახმად, დატოვა: ავარდა მოშლილი, პერანგოსანი.

1307-ე სტროფი: აქამდის მიწყვი ენახა... და 1308-ე სტროფი: მათ რა ნახეს, შემოპყვილეს... ძირითადად მიიჩნიეს. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1309-ე სტროფი: ავთანდილ ცხენსა გარდახდა... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: ხელსა, დაიწერა — ყელსა.

1310-ე სტროფი: ავთანდილ ასმათს უსტარი მისცა... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: შტო დამჰქნარისა, გასწორდა — შტოდამჰქნარისა.

1311-ე სტროფი: ასმათ რა ნახა უსტარი... ძირითადად იქნა ცნობილი. მეოთხე ტაეპში: არსმცა მისი, გასწორდა — არსმცა ამისი.

1312-ე სტროფი: ავთანდილ უთხრა, ნუ გეშის..., 1313-ე სტროფი: ინდოთ მეფე მხიარული... და 1314-ე სტროფი: ღმერთსა მისცეს დიდი მადლი... ძირითადად მიიჩნიეს. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1315-ე სტროფი: ტარიელ ეტყვის ავთანდილს... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: ისმინეთ, გასწორდა — ისმინე. მესამე ტაეპში: დაეზოცენ, გასწორდა — დაეზოცე.

1316-ე სტროფი: მე ავრე არა მინახავს... ძირითადად მიიჩნიეს. მესამე ტაეპში: იამა, დაიწერა — ეამა. მეორე ტაეპში ი. აბულაძე მოითხოვდა — შევიგნეთ — ორი ნართი: შევიგნეთ.

1317-ე სტროფი: პოვეს საჭურჭლე უსახო... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: ვინცა, გასწორდა — ვინმცა.

1318-ე სტროფი: იგი სახლი ორმოცივე... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: ზარაღზმანი, გასწორდა — ზარაღზანა.

1319-ე სტროფი: ზედა ეწერა, აქა ძეს... იწვევს კამათს. ა. ბარამიძე აღნიშნავს, რომ ამ სტროფით ზღაპრული ფანტასტიური ელემენტი არის შეტანილი მაშინ, როდესაც რუსთველი ასეთ ამბებს ერიდებოდა. ამასთან 1318-ე სტროფიდან (შიგან ერთი კილობანი დაბეჭდული, არ გახსნილი) პირდაპირი გადასვლაა 1320-ე სტროფზე — კილობანი გახსნეს, პოეს მუნ აბჯარი სამი ტანი. ი. აბულაძე იზიარებს ა. ბარამიძის მიერ გამოთქმულ აზრს და ეჭვობს ამ სტროფის მიმართ. კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ ამ სტროფს უსაფუძვლოდ აყენებენ ექვის ქვეშ, ისევე, როგორც მრავალ სხვა სტროფს. ამ სტროფის ამოღება ყოველად შეუძლებელია. რუსთველი განგებ უსვამს ზაზს იმ გარემოებას, რომ მისმა გმირებმა თილისმური იარაღი ამოიღეს ამ კილობნიდან და ამიტომ არის, რომ ქაჯებზე იმარჯვებენ მცირე ჯარით. ა. ბარამიძე შენიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანი სწორედ ამით განირჩევა ვისრამიანისაგან, რომ ეს თილისმა და ჯადო არ იცისო. სტროფი ძირითადად იქნა დატოვებული. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1320-ე სტროფი: კილობანი გახსნეს... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: შეიმოსნეს, გასწორდა — შეიმოსენ. მესამე ტაეპში: მგვანი, გასწორდა — გვანი.

1321-ე სტროფი: თვითომან თვითო ჩაიცივეს... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: დაპკრიან, გასწორდა — მოპკრიან. მეოთხე ტაეპში: მართ, დაიწერა — მათ. კ. ჭიჭინაძე მხარს უჭერდა: მართ-ს.

1322-ე სტროფი: თქვეს, ესე ნიშნად გვეყოფის... ძირითადად ცნეს. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1323-ე სტროფი: ოქროც რამე წაიტანეს... ძირითადად ჩანს ცნობილი, არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

1323¹-ე სტროფი: აქა, მხატვარო, დახატე... იწვევს კამათს. კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ შართალია, ეს სტროფი რომ ამოვიღოთ სიუჟეტურად ძალიან არ იგარანობა, შავრამ ბევრი სხვა ძირითადი სტროფიც შეიძლება სრულიად ზედმეტად მოგვეჩვენოს. კერძოდ ეს სტროფი არაფრით არ ჩამოუვარდება სხვა სტროფებს, ვახტანგ-საც აქვს შეტანილი და არ არის ამოსაღებიო. ი. აბულაძე აღნიშნავს, რომ სტროფი ამბის განვითარებას არაფერს მატებს. გმირები გამზადებულნი არიან — უნდა წავიდნენ. ეს სტროფი კი შთაბეჭდილებას ასუსტებსო. ა. ბარამიძე იზიარებს აბულაძის აზრს, რომ სტროფი უსათუოდ აბრკოლებს ამბის განვითარებას. სტროფი ჩანართად იქნა ცნობილი. წინააღმდეგი იყო კ. ჭიჭინაძე. სტროფში წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1324-ე სტროფი: რა გათენდა, გაემართნეს... ძირითადად მიიჩნეის. მეოთხე ტაეპში: ყოლაუზად, გასწორდა — ყოლაოზად.

1325-ე სტროფი: იარეს და ზედან შეჰხდეს... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: ერთსა, გასწორდა — კარგთა. მეოთხე ტაეპში — ველალობნეთ-ს ნაცვლად, რომელიც კომისიამ მიიღო, ი. აბულაძე, ს. იორდანიშვილი და კ. ჭიჭინაძე მხარს უჭერდნენ გავლლობდნეთ-ს.

1326-ე სტროფი: ჯოგი წაუღოთ, მოსრულნი... ძირითადად მიიჩნეის. პირველ ტაეპში: ესმის, გასწორდა — ვესმით.

მორიგ სხდომას (1936, II, 14) დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე და კ. ჭიჭინაძე. განხილულ და დადგენილ იქნა 1327 — 1342 სტროფები.

1327-ე სტროფი: დაიწყეს ჰყრობა ტაიკთა... ძირითადად ცნეს. გასწორდა — პირველ ტაეპში: დაიწყეს — დაუწყეს. მეორე ტაეპში: ფანოზი შეეკრა — ფანოსი შეექმნა. მესამე ტაეპში: ძმანო ცინა ხართ — ვინ ხართ მოყმენო. მეოთხე ტაეპში: ხრმალსა კრავს — ჰკრავს ხმალსა.

1328-ე სტროფი: მათ მშვილდები დაიწვადეს... ძირითადად ცნეს. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1329-ე სტროფი: შეეკაზმა ფრილონ, შეჯდა... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: დაფარვიდა, გასწორდა — დაჰფარვიდა. მესამე ტაეპში: დაზვრიდა, გასწორდა — დაჰზვრიდა; ვ. ბერიძე და ს. იორდა-

ნიშვილი მხარს უჭერდნენ ასეთ ფორმებს: დაფარვიდა, დაზვრიდა. მეოთხე ტაეპში: მუზარადი, გასწორდა — ზორანდები:

1330-ე სტროფი: რა ტარიელ ფრიდონ იცნა... ძირითადად მიიჩნიეს. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1331-ე სტროფი: ფრიდონ ფიცხლად გარდაიქრა... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: აკოცესცა, გასწორდა — აკოცისცა. მეოთხე ტაეპში: დიდებული, გასწორდა — დიდებულნი.

1332-ე სტროფი: ფრიდონ უთხრა რასა სდევით... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: თუმცა, გასწორდა — თუცა.

1333-ე სტროფი: ფრიდონის სახლსა გარდახდეს... ძირითადად ცნეს. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1334-ე სტროფი: უთხრეს, ჭერ ქაშად... ძირითადად მოიჩნიეს. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1335-ე სტროფი: გამოასვენეს მას ღამით... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: აბანოს ბანეს, აავსნეს, გასწორდა — აბანოს ბანნა, აავსნა, მესამე ტაეპში: დამოსეს, გასწორდა — დამოსნა.

1336-ე სტროფი: უთხრა თუ, ესე სიტყვა... ძირითადად მოიჩნიეს. მეორე ტაეპში: მამწყენოდეს, გასწორდა — მოსწყენ[ო]დეს.

1336¹-ე სტროფი: კვლავ ფრიდონს ეტყვის... იწვევს კამათს. კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ ეს არის ერთი მის მიერ შეტანილ სტროფთაგანი. სიუჟეტურად ოგი აუცილებელია. ამას ამჟღავნებს მომდევნო სტროფი, რომელიც პირდაპირ გაგრძელებაა ამ სტროფისა. ფრიდონი ეკითხება ტარიელ-ავთანდილს: „ესე ბრძანეთ, თუ ლაშქარნი ცოტა გვინდა თუ დიდია“ და შემდეგ მომდევნო სტროფში თვითონვე უპასუხებს: დიდთა რას ვაქნევთ ლაშქართა, კარგნი გვინდა და ცოტანიო და სხვ. სტროფი შესანიშნავად არის დაწერილი და ძირითადად უნდა დარჩეს, თუმცა ყველა ხელნაწერში არ არისო. ა. ბარამიძეს სტროფი ჩანართად მიაჩნია. მისი აზრით, ფრიდონი თუ ეკითხება ტარიელსა და ავთანდილს, რამდენი ლაშქარი გვინდა, კიდევ უნდა მოეცადა პასუხისათვის, ხოლო თუ იცის, როგორც შემდეგ სტროფშია ნათქვამი, რომ დიდი ლაშქარი მათ არ სჭირდებათ (დიდსა რას ვაქნევთ ლაშქართა), მაშინ არ უნდა შეჰკითხებოდნენ. ამგვარად, სტროფს წინა და მომდევნო სტროფთან არავითარი კავშირი არ აქვსო. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ ენობრივ თვალსაზრისით იმ დროისათვის ყოვლად მიუღებელი ახალი ფორმაა: მიდია-მიღევს-ის მნიშვნელობით თუ გავიგებთ. შეიძლება ამიტომ, აქ მი დია ნიშნავდეს: მიაღეთ, დია, ასეც, რომ იყოს, უსათუოდ სწორია ა. ბარამიძის მოსაზრება, რომ თუ შეკითხვა, აქ პა-

სუხი ტარიელ-ავთანდილისაგან იყო მოსალოდნელი. ამ მოსაზრებების მიხედვით, ძნელი იქნება სტროფის ძირითადად მიჩნევაო. კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ მი დ ი ა ნიშნავს — მიდით; ორნივე მიდით და აიღეთო. მიდია — მიდი-ს მნიშვნელობით ნახმარია ჩემი გამოცემით 478-ე სტროფში: აწ ამხანაგთა არ გიგრძნან, წადი, მათთან მიდია. ვ. ბერიძე აღნიშნავს, რომ გაცილებით უკეთესი იქნებოდა, თუ ფრიდონის შეკითხვაზე პასუხს გასცემდა ავთანდილი ან ტარიელი, მაგრამ ამით არსებითი წინააღმდეგობა არ არის. დღესაც ხშირია, მაგ. სტალინის სიტყვებში კითხვაა დასმული და პასუხიც იქვეა მის მიერვე გაცემული. რატომ არ შეიძლება დაეფუშვათ, რომ ფრიდონმა დასვა კითხვა: ლაშქარნი ცოტა გვინდა, თუ დიდია და პასუხი თვითონვე გასცა: დიდთა რას გაქნევთ ლაშქართა, კარგნი გვინდა და ცოტანი. სტროფი შინაარსოს მზრივ საჭიროა, სიუჟეტურად უღდება. რაც შეეხება აკაკის განცხადებას, ახალ ფორმების ხმარების შესახებ, ჩვენ რუსთაველისაგან მეტიც ვიცით — იგი ხმარობს შედარებით ხარისხს სახელიდან: დისაგანცა უფრო დესი — და ჩვენ ეს კანონიერად მიგვაჩნიაო. ა. შანიძე შენიშნავს, რომ: „ოქრო და ლარი აიღეთ, ორნივე სალაროს მიდია“ — აქ ორნივე აუცილებლივ ეკუთვნის ოქროსა და ლარს, ასე რომ ორნივე სალაროს მიდით — არ არისო. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ აქ გამოთქმული მოსაზრებანი სტროფის ძირითადობის წინააღმდეგ უსათუოდ გასაზიარებელია, მასაც სტროფი არ მიაჩნია ძირითადად. სტროფი ჩანართად იქნა ცნობილი. წინააღმდეგნი იყვნენ ვ. ბერიძე და კ. ჭიჭინაძე. პირველ ტაეპში: კვლავ ფრიდონს, გასწორდა — კვლა ფრიდონ.

1337-ე სტროფი: დიდთა რას ვაქნევთ ლაშქართა... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: მოტანი, დაიწერა — მო-ტანი.

1338-ე სტროფი: ქაჯეთს ერთხელ მეც ვყოფილვარ... ძირითადად ცნეს. გასწორდა — პირველ ტაეპში: მეც — კვლაც. მეორე ტაეპში: ვერსით — ვერა. მესამე ტაეპში: შესვლა — შებმა.

1339-ე სტროფი: იგინიცა დაემოწმნეს... და 1340-ე სტროფი: ზღვა გაიარეს სამთავე... ძირითადად მიიჩნიეს. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1341-ე სტროფი: ამა ფრიდონის თათბირსა... ძირითადად ჩანს ცნობილი. წაკითხვათა არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

1341¹-ე სტროფი: ყოვლგნით მგრვალი, შეუვალი... იწვევს კამათს. კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ ეს სტროფი ბროსემ შეიტანა და იგი აუცილებელია, რადგან მასში მოცემულია ქაჯეთის ციხის აღწერილობა. სხვა უდავო ადგილებიდან ასე გარკვეული წარმოდგენა

არ იქმნება. ამ სტროფით ირყევება, რომ ქალაქის გარშემო მიზღულ-
დულ კლდეს მხოლოდ სამი კარი ჰქონდა სხვადასხვა ადგილას და
თითო-კარს სამ-სამი ათასი მოყმე სცივდა. შემდეგ შუა ქალაქში ცი-
ხე იყო ამართული კლდეზე, შესავალი ჰქონდა გვირაბით და აი ამ
გვირაბის კარებზე იყო ათი ათასი მცველი, როგორც შემდეგს
1342-ე სტროფშია ნათქვამი. ეს სტროფი თუ გამოაცალეთ, დაირ-
ღვევა ქაჯეთის ციხის აღწერილობაო. კ. კეკელიძე მიაჩქევს ყურად-
ღებას გვირაბის შესავლის სტვირთან შედარებას და აღნიშნავს, რომ
სტვირი ამ ხანაში არ იხმარებო. ა. ბარამიძეს საეჭვოდ შიაჩნია მე-
ტაფორა: კლდე კეკლუცი. ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ ქაჯე-
თის ციხის აღწერილობა სხვა ადგილებიდანაც ვიცით და ეს სტრო-
ფი უბრალო გამეორებას წარმოადგენს ძირითადადმო. 1252-ე სტრო-
ფით ვიცით, რომ ნესტანი თვალ გადაუწვდენელ მაღალ ციხეშია,
მასში გზა გვირაბით შედის, გვირაბზე მცველნი დგანან, რომ გვირა-
ბის მცველი ათი ათასია. ეს 1342-ე ძირითად სტროფშია ნათქვამი.
ქალაქის გარე რომ კლდეა და მცველი დაუთვლელი, ეს 1341-ე
სტროფშია ნათქვამი. ამ საკამათო (1341) სტროფში დათვლილია
მხოლოდ მცველთა რიცხვი ცხრა ათასი, რაც არ არის არსებითი. მე-
ტაფორა: კლდე კეკლუცი არ ღუხჭირი — უშნო გამეორებაა — რუს-
თველის: საუბარი კეკლუც-სიტყვა, არ ღუხჭირად. ა. შანიძე აღ-
ნიშნავს, რომ ლექსი არ არის ცუდი. სტვირი ქართულისათვის და-
მახასიათებელი სიტყვაა და თუ ამ დროის ლიტერატურაში არ შეგვ-
ხვედრია, შეიძლება აქ ყოფილიყო. ეს სტროფი რომ ამოვიღოთ,
შემდეგი სტროფის დასაწყისი: „გვირაბის კარსა ნიადაგ“, მოულოდ-
ნელი ხდება. ამიტომ მე შესაძლებლად მიმაჩნია დარჩესო. სტრო-
ფი ჩანართად იქნა ცნობილი. წინააღმდეგნი, იყვნენ ა. შანიძე და
კ. ქიქინაძე. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1342-ე სტროფი: გვირაბის კარსა ნიადაგ... ძირითადად შიიჩ-
ნიეს. პირველ ტაეპში: ნიადაგ, გასწორდა — ქაბუკი.

კომისიის მორიგ სხდომას (1936, II, 15) დაესწრნენ: ი. აბუ-
ლაძე, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე და ა. შანიძე. განხილულ და
დადგენილ იქნა 1343 — 1360-ს სტროფები.

1343-ე სტროფი: ფრიდონ თქვა, ვიტყვი სიტყვასა... ძირითადად
ცნეს. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1344-ე სტროფი: ჩემსა სიმცროსა გამზრდელნი... ძირითადად
ცნეს. პირველ ტაეპში: სამოშაითოდ, გასწორდა — სამუშაითოდ.

1345-ე სტროფი: აწ ვინცა იცით... ძირითადად მიიჩნიეს. გას-
წორდა — პირველ ტაეპში: იცით — ვიცით; უკეთა — უკეთე. შესაძე

ტაეპში: მჩანს — მიჩნს. ი. აბულაძე მესამე ტაეპის — ასრე მჩანს ვითა გარბენა ველისა — გასწორებას ასე მოითხოვდა: ადვილად მიჩანს, მართ ვითა ველისა.

1346-ე სტროფი: აძქართა გავლა არად მჩანს... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: მჩანს, დაიწერა — მიჩნს¹⁴.

1347-ე სტროფი: აეთანდილ უთხრა, ჰე, ფრიდონ... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: არა წყლული, გასწორდა — არა წყლულნი; ა. ბარამიძე მოითხოვდა: წყლულნი არა.

1348-ე სტროფი: რა განვიდოდე გუშაგათა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: ჩხარება, გასწორდა — ჩხერება.

1349-ე სტროფი: სჯობს დადგით დამალულნი... ძირითადად ცნეს. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1350-ე სტროფი: საბთავე შესვლა არ ვარგა... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: კარგად, გასწორდა — მარტო.

1351-ე სტროფი: შიგნითა მცველთა მოვიცლი... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: ნახოთ გაღება ჯარისად, გასწორდა — დამიდგამს ვერ ქვიტყირი სად.

1352-ე სტროფი: ტარიელ უთხრა, მე თქვენი... ძირითადად მიიჩნიეს. მესამე ტაეპში: გწადთ, გასწორდა — გწადს.

1353-ე სტროფი: მაგრამ იყვენით ჩემთვისცა... ძირითადად ცნეს. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1354-ე სტროფი: მაგა თათბირსა ესე, სჯობს... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში დავსწვიპოთ, გასწორდა — დავსწლიტოთ.

1354¹-ე სტროფი: ვინცა შეესწრას, ჰფარავსმცა... ჩანართად ცნეს. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1355-ე სტროფი: ფიცხლად შევებნეთ, შევსჯარნეთ... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: მოგვასწორობენ, გასწორდა — მოგვასწორებენ. მესამე ტაეპში: მივსცეთ, გასწორდა — მივსცნეთ. ა. შანიძე შენიშნავს მეორე ტაეპის მეორე ნახევრის (სხვა გარეთ ვსცემდეთ გარებსა) შესახებ, რომ აქ მოსალოდნელი იყო: სხვან გარეთ ვსცემდეთ გარებსა — რადგან ვსცემდეთ მრავლობითში. არის დასმულიო.

1356-ე სტროფი: ფრიდონ უთხრა, შემოვიავა... ძირითადად მიიჩნიეს. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1357-ე სტროფი: ფრიდონ ლალი აზხანაგებს... ძირითადად ჩანს მიღებული. წაკითხვათა არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

1358-ე სტროფი: კვლავ ერთმანეთსა მიუგეს... იწვევს კამათს.

¹⁴ დნ.: მიჩნს.

ი. აბულაძე აღნიშნავს, რომ სტროფი წარმოადგენს წინა 1357-ე სტროფის განმეორებას. აქ ნათქვამია: „გარდახდეს და დაეკაზმნეს, უკეთესთა შესხდეს ცხენთა“. ამასვე ვკითხულობთ ამ სტროფში: „ცხენებსა შესხდეს“ და სხვ. სტროფი იწყება ყალბის მქნელისათვის დამახასიათებელ კვლასით. სტროფის ამოღებით პოემას არაფერი აკლდება. ა. ბარამიძე სტროფს საჭიროდ მიიჩნევს. თუ ამ სტროფს ამოვიღებთ, დასკვნა თათბირისა არ გვექნებაო. ამ სტროფში ვკითხულობთ: „დაასკვნეს იგი თათბირი, ტარიას განაზრახები. გაიყვეს კაცი ას-ასი, ყველაფე გმირთა სახები“ და სხვ. ეს აზრი არც წინა და არც შემდეგ სტროფში არ არის გამოტყმული. ამიტომ სტროფი ძირითადად უნდა დარჩესო. კომისიამ სტროფი ძირითადად სცნო, წინააღმდეგი იყო ი. აბულაძე. სტროფში წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1359-ე სტროფი: იგი ჭაბუკნი შუქითა... ძირითადად მიიჩნის. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1360-ე სტროფი: ჩემი აწ ესე ნათქვამი... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: ღრუბელი, გასწორდა — ღრუბელნი. ი. აბულაძე სტროფს ჩანართად მიიჩნევდა, როგორც სტილის მხრივ შეუსაბამოს. სტროფს, არავითარი კავშირი არ აქვს წინა და მომდევნო სტროფებთანო.

კომისიის შემდეგ სხდომას (1936, II, 16) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე და კ. ჭიჭინაძე. განხილულ და დადგენილ იქნა 1361—1371 სტროფები.

1361-ე სტროფი: თუცა ფრიდონ და ავთანდილ... ძირითადად ცნეს. წინააღმდეგი იყო ი. აბულაძე. მისი აზრით, 1361-ე სტროფი თავისი შინაარსით მოგვაგონებს ნაწილობრივ 945-ე სტროფს (ფრიდონისებრი მოყმენი...), რომელიც აგრეთვე ჩანართია და სრულიად ზედმეტი შინაარსის მხრივ. მესამე ტაეპში: ნათობს, გასწორდა — ნათლად.

1362-ე სტროფი: სამთავე საშად გაიყვეს... ძირითადად მიიჩნის. მესამე ტაეპში: უყვეს, გასწორდა — უქმნეს.

1363-ე სტროფი: პირველ ამოდ მოდიოდეს... ძირითადად მიიჩნის. გასწორდა—პირველ ტაეპში: მოდიოდეს—მიდიოდეს. მეორე ტაეპში: შიჯნითა — შიგანთა. მეოთხე ტაეპში: მიდგესი გარედ — მიდგეს გარე (გარე მიადგეს აზრით). ასეთი წაკითხვის წინააღმდეგნი იყვნენ ი. აბულაძე და ა. შანიძე.

1364-ე სტროფი: ანაზღად ცხენი გაქუსლეს.. ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: ტაბლაქსა, გასწორდა — დაბდაბსა.

1365-ე სტროფი: მაშინ ქაჭეთს შიიწია... ძირითადად მიიჩნის. წინააღმდეგი იყო ი. აბულაძე. მისი აზრით, ეს სტროფი სტილისა და ენის სიახლით წააგავს აღორძინების ხანის პოეტის ნახელავს. სრულიად უადგილოა მეოთხე ტაეპის „ველნი მკვდართა ვერ იტყე-და“. რა უნდოდა იქ ველსა? სტროფში წაქითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1366-ე სტროფი: კაცსა უკრავად დაბნედლის... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: გაცუდდეს, გასწორდა — გაცუდდის. მეოთხე ტაეპში: ციხის წრადისა, გასწორდა — ციხეს სწრადისა.

1367-ე სტროფი: ავთანდილ და ლომი ფრიდონ... ძირითადად ცნეს. წაქითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1367¹-ე სტროფი: ქაჭეთს მიუხდეს საომრად... და 1367²-ე სტროფები: ფრიდონ შეუტყვა, ეს იყო... ჩანართად ცნეს. წაქითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1368-ე სტროფი: ერთმანცა არა იცოდა... ძირითადად მიიჩნის. პირველ ტაეპში: ტარიელისა, გასწორდა — ტარიერისა.

1369-ე სტროფი: ციხისა მცველი ყოველნი... ძირითადად ცნეს. გასწორდა — პირველ ტაეპში: მცველი ყოველნი — მცველნი ყველაი. მესამე ტაეპში: განხულნი, — განხმულნი. მეოთხე ტაეპში: საქმე არს ეს — თქვეს, საქმე არს.

1370-ე სტროფი: გზანი დახვდეს შეკაფულნი... ძირითადად მიიჩნის. წაქითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1371-ე სტროფი: ეხვეოდეს ერთმანერთსა... იწვევს კამათს. ი. აბულაძე აღნიშნავს, რომ ეს კარგი სტროფია, მაგრამ სრულიად ხელოვნურად და უადგილოდ არის ჩართული წინა და მომდევნო (1370 — 1372) სტროფებს შუა. სტროფი წარმოადგენს ამ ორი სტროფის შინაარსის უფრო სრულ გადმოცემას. წინა სტროფი ასე თავდება: მკერდი მკერდსა შეეწება, გარდაეჭლო ყელი-ყელსა. ეს სტროფი კვლავ იმეორებს: ეხვეოდეს ერთმანერთსა, აკოცნეს და სხვ. ვიღაც მელექსე ექსტაზში მოსულა და ჩაურთავს ეს სტროფი. ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ სტროფში მცირეოდენ გამეორებასთან არის ბევრი რამ სრულიად ახალი წინა სტროფთან შედარებით, თუნდაც მეორე და მეოთხე ტაეპები: ამას გვანდეს, ოდეს ერთად მუშთარ, ზუალ შეიყარნეს—ვიღაც მელექსის ექსტაზის ნაყოფი არ უნდა იყოს. აგრეთვე გამეორება არ არის: აქანამდის ჭირნახულთა ამას იქით გაიხარნეს. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ სტროფს ენობრივად გაუმართობა ეტყობა და ამდენად იწვევს ეჭვს. ამოდის რა ენის ანალიზიდან, საჭიროდ მიიჩნევს საერთომო სიტყვე-

ბის ყველგან ნ დაბოლოვებას. კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ რით-
მაში მრავალი ამნაირი მაგალითები გვექონდა, სადაც ზოგი რამ გრა-
მატიკულად გაუმართავი იყო. მაგრამ ამის გამო სტროფი არ ამო-
გვიღია. აქვე ამ სტროფის ამოღება შეუძლებელიაო. კომისიამ
სტროფი ძირითადად მიიჩნია. პირველ ტაეპში: აკოცნეს, გასწორ-
და — აკოცეს. მეორე ტაეპში: ერთად, გასწორდა — ერთვან.

კომისიის შემდეგ სხდომას (17 II) დაესწრნენ: ი. აბულაძე,
ა. ბარამიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე, ა. შანიძე და კ. ჭიჭინაძე.
განხილულ და დადგენილ იქნა 1372 — 1383 — სტროფები.

1372-ე სტროფი: მათ ერთმანერთსა აკოცეს... ძირითადად ცნეს.
მეორე ტაეპში: ვარდი, გასწორდა — ვარდნი. ა. შანიძე მოითხოვდა
მეორე ტაეპში — ბაგეთათ-ს თანი ჩამოვამოროთო. კომისიამ შიილო:
ბაგეთათ.

1373-ე სტროფი: მზე მოეგება პირითა... ძირითადად მიიჩნიეს.
წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა. ი. აბულაძე და ს. იორდა-
ნიშვილი მეოთხე ტაეპის სარიტმო სიტყვას საუბარითა მოითხოვ-
დნენ ნართ: საუბნარითა. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ რაკი თავიდან-
ვე არ იყო გაზიარებული საუბარიას ნაცვლად საუბნარიას ხშარება,
ამიტომ ახლა ნუ შევცვლითო.

1374-ე სტროფი: ტარიელსკა უსალამეს... ძირითადად მიიჩ-
ნიეს. მესამე ტაეპში: — არ ინანდეს, გასწორდა — არ ინანეს. ა. შა-
ნიძე მეოთხე ტაეპის დასასრულს: იშვლეს, ითხეს — ნაცვლად მო-
ითხოვდა — იშველ — ითხეს. კომისიამ ასეთი წაკითხვა არ გაიზიარა.

1375-ე სტროფი: სამასისა კაცისაგან... ძირითადად ცნეს. გას-
წორდა — მეორე ტაეპში: მისთა სპათა — სპათა მისთა. მესამე ტა-
ეპში: რაც მებრძოლი — რაცა მბრძოლი. მეოთხე ტაეპში: პოეს —
პოვენეს.

1376-ე სტროფი: მოკრიფეს ჯორი, აქლემი... ძირითადად მიიჩ-
ნიეს. მეორე ტაეპში: სამი ათასსა, დაიწერა — სამიათასსა; წინააღ-
მდეგნი იყვნენ ი. აბულაძე და ს. კაკაბაძე.

1377-ე სტროფი: სამოცი კაცი დააგდეს... ძირითადად ცნეს.
პირველ ტაეპში; სამოცი კაცი დააგდეს — შემდეგ კომისიამ მძიმე
დატოვა. წინააღმდეგი იყვნენ ა. შანიძე და ა. ბარამიძე. ქაჯეთის ცი-
ხის, გასწორდა — ქაჯეთს ციხისა. მესამე ტაეპში: მიმართეს, გას-
წორდა — დამართეს.

1378-ე სტროფი: ზღვათა მეფისა წინაშე... ძირითადად
მიიჩნიეს. ა. ბარამიძე აღნიშნავს, რომ სტროფი ეჭვს იწვევს შინა-
არსეულად. რად უნდა გაეგზავნა მახარობელი ზღვათა მეფისათვის

ტარიელს? ნესტანი ხომ ზღვათა მეფეს სასძლოთ უნდოდა? ნესტანი ხომ მათ გაეპარა? ახლა იგი თავისთვის იხანა ტარიელმა ქაჯეთის ციხიდან და ზღვათა მეფეს რა უნდა გახარებოდაო. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ მართალია ზღვათა მეფეს თავის სასძლოთ უნდოდა ნესტანი, მაგრამ მან არ იცოდა, რომ ტარიელის სატროფო იყო. ახლა იცის და ურიჯდება ამ გარემოებას, როგორც რაინდიო. მეორე ტაეპში: მოველ, გასწორდა — მოვალ.

1379-ე სტროფი: აწ მე მაქვს ქაჯთა ქვეყანა... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: ამისად ნაცვლად, გასწორდა — მისად მუქაფად.

1380-ე სტროფი: მოდი, გვნახენ, გავიარდეთ... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: ქვეყანასა, გასწორდა — სამეფოსა.

1381-ე სტროფი: თქვენ უბრძანეთ ჩემმაგვირ... ძირითადად ცნეს. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1382-ე სტროფი: რა კაცი ტარიელისა... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: მეფესა, გასწორდა — მფლობელსა.

1383-ე სტროფი: ბარგი აჰკიდა, გააგო... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: არ სიდიადე სათისა, კომისიამ შეასწორა — არს სიდიადესათისა.

1936 წ. 19 თებერვლის სხდომას დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ა. შანიძე (თ-რე) და კ. ჭიჭინაძე. განხილულ და დადგენილ იქნა 1384 — 1393 სტროფები.

1384-ე სტროფი: შორს გაეგებნეს სამნივე... ძირითადად მიიჩნიეს. მეოთხე ტაეპში: შუქთა მას, გასწორდა — შუქსა მას.

1385-ე სტროფი: ფატმან ხათუნს... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: ცხელი, გასწორდა ნელი. მეოთხე ტაეპში: ვსცან, გასწორდა — ვცან.

1386-ე სტროფი: ქალი ფატმანს ეხვეოდა... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: გაცამზრალი, გასწორდა — გაცამწკრალი. ი. აბულაძე და ს. იორდანიშვილი მხარს უჭერდნენ გაცამწკრალი-ს, გაცამწკრალი-ს ნაცვლად. მეოთხე ტაეპში: შუქნი შემამადგა, გასწორდა — შუქნი შემომადგნა.

1387-ე სტროფი: ზღვათა მეფე გარდაიხდის... ძირითადად მიიჩნიეს. მესამე ტაეპში: მარგალიტსა, გასწორდა — საქურტულესა. მეოთხე ტაეპში: ზედან სცვეთდენ, გასწორდა — ზედა სცვეთდეს.

1388-ე სტროფი: მუნ იღვის გორა ლარისა... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: გორა, გასწორდა — გორი. მეოთხე ტაეპში: ტახტი ოქროსი, გასწორდა — ტახტი ოქროსა.

1389-ე სტროფი: ნესტან დარეჯანს ყაბაჩა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: ნესტან დარეჯანს, დაიწერა — ნესტანდარეჯან. მეორე ტაეპში: ბალახშითა, გასწორდა — ბადახშითა.

1390-ე სტროფი: ავთანდილს და ფრიდონს უძღვნა... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: უნაგრითა, გასწორდა — უნაგირი; ა. ბარამიძე და ს. იორდანიშვილი მხარს უჭერდნენ წაკითხვას: უნაგირთა შეკაზმული. შეკაზმული, დაიწერა — უკეთესი.

1391-ე სტროფი: ტარიელ მადლსა გარდინხდის... ძირითადად მიიჩნიეს. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1392-ე სტროფი: ზღვათა შეფე მოახსენებს... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: სალხინო, გასწორდა — სიცოცხლეო; ვერა მკვერეტთა, გასწორდა — ვერ მკვერეტელთა. მეოთხე ტაეპში: ყოველთათვის სასურველო, გასწორდა — საჭვერეტელად სასურველი.

1393-ე სტროფი: ტარიელ ფატმანს უბრძანა... ძირითადად მიიჩნიეს. კამათს იწვევს მეორე ტაეპის წაკითხვა: დავ, ვალი. კ. ჭიჭინაძე მხარს უჭერდა ასეთ წაკითხვას: და გული. ს. იორდანიშვილის აზრით, უმჯობესია ტაეპის უცვლელად დატოვება. ტარიელი ფატმანს ეუბნება: დაო შენი ვალი ჩემზე დიდია და გადაუხდელიო. ა. შანიძეს საექვოდ მიაჩნია წოდებითში ასეთი ფორმის ხმარება, დავ, გული კი შეუძლებელია რომ აქ იყოსო. კომისიამ დატოვა წაკითხვა: დავ, ვალი.

შემდეგ სხლომას (1936, II, 20) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი და ა. შანიძე (თ-რე). წაკითხულ და დამტკიცებულ იქნა 1394 — 1404-ე სტროფები.

1394-ე სტროფი: ფატმან ხათუნ თაყვანი სცა... ძირითადად ცნეს. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1395-ე სტროფი: ზღვათა მეფესა ეტყოდეს... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: სამნივე ერთგან მეფენი, გასწორდა — სამნივე შუქთა მაფენი. ი. აბულაძე და ა. ბარამიძე მოითხოვდნენ: ორნივე შუქთა მაფენი. ა. შანიძე მოითხოვდა სარიტმო სიტყვად მაფენნი, მესამე ტაეპი: უთქვენოდ მყოფსა არ გვინდა ნიშატნი საჩანგდაფენი. იწვევს კამათს. ი. აბულაძე წამოაყენა ტაეპის ასეთი წაკითხვა: უთქვენოდ მყოფთა არ გვინდა ნიშაენი, ნაჩანგ-დაფენი. ა. შანიძე მხარს უჭერდა ასეთ წაკითხვას: უთქვენოდ მყოფთა არ გვინდან ნიშატნი საჩანგ-დაფენი, ე. ო. უთქვენოდ არ გვინდა საჩანგდაფო სიხარულიო. კომისიის წევრთა უმრავლესობამ გაიზიარა ი. აბულაძის წაკითხვა. მესამე ტაეპში: გვინდა, გასწორდა — გვინდან.

1396-ე სტროფი: შენ იყავ ჩვენი მშობელი... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: მამად, გასწორდა — ჩვენი. მეორე ტაეპში: გვიბოძოთ, გასწორდა — გვიბოძო. მესამე ტაეპში: თქვენთვის, გასწორდა — თქვენად.

1397-ე სტროფი: მეფემან ნავი-ხომალდი... ძირითადად ცნეს. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1397¹-ე სტროფი: ფატმან ავთანდილს თვალითა... იწვევს კამათს. კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ ესა და მომდევნო ორი სტროფი მან იმიტომ შეიტანა, რომ არის ისეთ ხელნაწერში, როგორცაა S 4499, რომელიც ღიდ ნდობას იწვევს მასში. სიუჟეტურად სტროფები საჭიროა, როგორც გამოთხოვების დეტალები. ამასთან მეტად საყურადღებოა, რომ გამოთხოვებისას ტარიელი ფატმანს მიმართავს სიტყვებით: შენ გაგვიჩინათ სიბნელე, ვსხედით შეუქ-დაკარგულითა (1397³), აქ აღნიშნულია ფატმანის როლი ნესტანის პოვნის საქმეში. ა. ბარამიძე აღნიშნავს, რომ სტროფები სიუჟეტურად არ არიან საჭირონი. 1397-ე სტროფში ნათქვამია: გამოემართა ტარიელ, გამყრელნი ცრემლსა ღვრიდესა... შემდეგ 1398-ე სტროფში — გამოვლნეს ზღვანი სამთავე... სრულიად ბუნებრივი გადასვლა. ამასთან 1397¹-ე სტროფში გამოთქმული სიტყვები: მუხთალი სოფელი ეგრე მქნელია — არ შეეფერება ავთანდილის ხასიათსა და მსოფლმხედველობასო. ვ. ბერიძე აღნიშნავს, რომ ამ სტროფების დაცვა შეიძლებოდა მხოლოდ სურათის გასაშლელად, მაგრამ ამ მხრივაც სტროფები არაფერს ჰმატებენ და სტილისტურადაც სუსტნი არიან, ამიტომ არ ვუჭერ მხარს სტროფების ძირითად ტექსტში შეტანასო. სტროფები 1397¹-ე, 1397²-ე და 1397³-ე ჩანართებად მიიჩნიეს. წინააღმდეგი იყო კ. ჭიჭინაძე.

1397¹-ე სტროფი: ფატმან ავთანდილს თვალითა... მეოთხე ტაეპში: ფიშვიების, გასწორდა — ფიწირვის.

1397²-ე სტროფი: კვლავ ფატმან ჰკადრა... მესამე ტაეპში: გიყვარდესთ, გასწორდა — გიყვარდეს. მეოთხე ტაეპში გმსახურებთ, გასწორდა — გმსახურეთ; ცოდვბთ, გასწორდა — ცოდვად.

1397³-ე სტროფი: ტარიელ ბრძანა... არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

1398-ე სტროფი: გამოვლნეს ზღვანი სამთავე... ძირითადად მიიჩნიეს. მესამე ტაეპში: შეენისთ, გასწორდა — ჰშვენის; არ უვიცართა, დაიწერა — არ-უვიცართა.

1399-ე სტროფი: მუნით კაცი ასმათ თანა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: ასმათ, დაიწერა — ასმათს. მეორე ტაეპში: თავადთანა, გასწორდა — თავადთასა.

1400-ე სტროფი: იგი მზე შესვეს... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: მართ, გასწორდა — მათ.

1401-ე სტროფი: მუნ მიეგებნეს ყოველნი... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: რომ ველარ გაყრის, გასწორდა — რომე ვერ გაპყრის. ი. აბულაძე იცავდა ასეთ წაკითხვას: რომ ვერ გაპხსნის ცულები.

1402-ე სტროფი: ნესტან-დარეჯან ეხვევის... ძირითადად მიიჩნიეს. მესამე ტაეპში: არ სიძვირითა, დაიწერა — არ სიძვირით ა.

1403-ე სტროფი: ასმათ კადრა... ძირითადად ცნეს. კ. ჭიჭინაძე მეორე ტაეპის (ბოლოდ ასრე გააცხადნა გონებაჲმან დაფარული) ასეთი წაკითხვა წარმოადგინა: ბოლოს ასრე გააცხადნა განგებაჲმან დაფარულმან, — მისი აზრით, აქ გონება თუ დაეტოვეთ, ტაეპი-გა-აზრიანებული არ გამოდის, რადგან გონება ღმრთის მნიშვნელობით არსად არ იხმარებაო. ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ აქ გონება ისეთ კონტექსტშია ხმარებული, რომ ექვემოთხანლად ღმერთს უნდა გულისხმობდეს... მაღლი ღმერთსა, ვარდნი ვნახენ არღაზრულნი, ბოლოდ ასრე გააცხადნა გონებაჲმან დაფარულნი. ასევე დაფარულ გონების სახით ღმერთი უნდა იხსენებოდეს ნესტანის ცნობილ წერილში ქაჯეთის ციხიდან: გაგიცხადა დაშალული გონებაჲმან დაფარულმან. კომისიამ მეორე ტაეპის წაკითხვა ასე მიიღო: ბოლოდ ასრე გააცხადნა გონებაჲმან დაფარულნი. მესამე ტაეპში: მჩანს, გასწორდა — მიჩს; გნახე, გასწორდა — გნახენ. მეოთხე ტაეპში: სჯობს ყოველთა, გასწორდა — სჯობან ყოველთა.

1404-ე სტროფი: დიდებულთა თაყვანი-სუკეს. ძირითადად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

1936. II, 21. სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, ა. შანიძე (თ-რე) და კ. ჭიჭინაძე. განხილულ და დადგენილ იქნა 1405-ე სტროფი.

1405-ე სტროფი: მოვიდეს და პირი ხელსა დასდევს... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: გარდუკოცნეს, გასწორდა — გარდაპკოცნეს. მესამე ტაეპში: პოეს, დაიწერა — პოევს.

კომისიას ესტუმრნენ და მის მუშაობას გაეცნენ სახალხო განათლების კომისარი ა. თათრიშვილი, უნივერსიტეტის რექტორი კ. ორაგველიძე და რუსთაველის სახ. ინსტიტუტის დირექტორი ა. დუდუჩავა. საინფორმაციო მოხსენება კომისიის მუშაობის შესახებ გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ ა. შანიძემ.

მორიგ სხდომას (1936, II, 22) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი და ა. შანიძე (თ-რე); და კ. ჭიჭინაძე. განხილულ და დადგენილ იქნა 1406 — 1413 სტროფები.

1406-ე სტროფი: თუცა მე მათი დახოცა... ძირითადად მიიჩნიეს. მეოთხე ტაეპში: ნარგისთა, გასწორდა — ნარგისთათ.

1407-ე სტროფი: მუნ ატირდეს ყველაქანი... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: რაცა ვის რა, გასწორდა — რაცა ვისცა.

1408-ე სტროფი: ვინ ღირს ა... ძირითადად მიიჩნიეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

1408¹-ე სტროფი: ავთანდილცა მიუმტკივნა... იწვევს კამათს. ი. აბულაძე აღნიშნავს, რომ ეს სტროფი უარყოფილია H 462 ხელნაწერით. ამის გარდა, აზრითაც ზედმეტია, რადგან 1407-ე და 1408-ე სტროფებში უკვე მოცემულია პასუხი იმ სამძიმარზე, რომელიც უთხრა ფრიდონის დიდებულებს ტარიელმა დახოცილ მათ მოძმეთა შესახებ. სტროფი ყურადღებას იქცევს აგრეთვე ენის სიახლით. კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ მასში სტროფი ექვს იწვევს, რადგან ცალკე გამოყოფა ავთანდილის მისამძიმრებისა მას ზედმეტად ეჩვენება მოცემულ კონტექსტში. ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ პირველად ტარიელმა ფრიდონის დიდებულებს მიუსამძიმრა იმის გამო, რომ მათმა ძმებმა თავნი მათთვის დადევს. ამაზე დიდებულები უპასუხებენ, რომ თქვენთვის სიკვდილი სჯობს სიცოცხლესაო. შემდეგ ფრიდონიც ამშვიდებს ტარიელს: „ნურად იქმ გამწარებასა“... ამგვარად მისამძიმრება ამოწურულად ჩანს 1405—1408 სტროფებში. რაც შეეხება 1408¹-ე სტროფს, აქ იმდენად ავთანდილის სამძიმარი არ არის აღნიშნული (არაა ნათქვამი რა მიუსამძიმრა), რამდენად ისევ დიდებულების პასუხი: „მივცეთ თავნი¹⁵ აწ ღიმილსა“ და „აღარა ვსტირთ სატირალსა“, რაც ექვს იწვევს სტილის მხრივაც. სტროფი ძირითადად იქნა ცნობილი. წინააღმდეგნი იყვნენ ი. აბულაძე, ა. ბარამიძე და ს. იორდანიშვილი. მეორე ტაეპში: მივსცეთ, გასწორდა — მივსცნეთ. ეს სტროფი კომისიამ კვლავ განიხილა 1936, V, 7 და იგი ძირითადად სცნო.

1409-ე სტროფი: მივიდეს, სადა ქალაქი... ძირითადად მიიჩნიეს. მესამე ტაეპში: ტკბილად, გასწორდა — ტურფად.

1410-ე სტროფი: შუკათა მოდგეს ვაქარნი... ძირითადად მიიჩნიეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

¹⁵ დნ.: თავნი მივცეთ.

1411-ე სტროფი: გარდახდეს ფრიდონისასა... ძირითადად ცნეს.

1412-ე სტროფი: მათ ქალ-ყმათათვის... ძირითადად მიიჩნიეს.
მეოთხე ტაეპში: მკვრეტელნი ვსცან, გასწორდა — მკვრეტელი
ვცან.

1413-ე სტროფი: მგოსანნი მოდგეს... ძირითადად ცნეს. არსე-
ბითი ცვლილებები არ შეტანილა.

კომისიის მორიგ სხდომას (1936, II, 23) დაესწრნენ: ი. აბუ-
ლაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, ა. შანიძე (თ-რე)
და კ. ჭიჭინაძე. განხილულ და დადგენილ იქნა 1414—1429 სტრო-
ფები:

1414-ე სტროფი: მოიღეს ძღვენი ურიცხვი... ძირითადად მიიჩ-
ნიეს. პირველ ტაეპში: ურიცხვი, გასწორდა — უსაზო.

1415-ე სტროფი: კვლა უძღვნა თვითო ფარლული... და 1416-ე
სტროფი: იგი ტაბაკი სავსეა... ძირითადად მიიჩნიეს. არსებითი
ცვლილებები არ შეტანილა.

1417-ე სტროფი: ფრიდონისგან უსაზომო... ძირითადად ცნეს.
მესამე ტაეპში: გასწყვეტდის, გასწორდა — გასწყვედდის.

1418-ე სტროფი: ტარიელ ფრიდონს უბრძანა... ძირითადად მი-
იჩნიეს. მეორე ტაეპში: საჩემო, გასწორდა — საჩემოდ. მეოთხე ტა-
ეპში: ვპოე, დაიწერა — ვპოვე.

1419-ე სტროფი: ავთანდილისგან შენც იცი... ძირითადად მი-
იჩნიეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

1420-ე სტროფი: უთხარ, ძმაო... ძირითადად ცნეს. მეორე ტა-
ეპში: მისსა, გასწორდა — მისგან.

1421-ე სტროფი: აწ მითხარ... ძირითადად მიიჩნიეს. მესამე
ტაეპში: ხრმალთა, დაიწერა — ხრმლითა. მეოთხე ტაეპში: შენ შენ-
სა, გასწორდა — თუ შენ შენს.

1422-ე სტროფი: რა ფრიდონ უთხრა... ძირითადად ცნეს. არ-
სებითი ცვლილებები არ შეტანილა.

1423-ე სტროფი: ჩემი მზე ტახტსა ზედან ზის... ძირითადად მი-
იჩნიეს. მეორე ტაეპში: ვნებითა, დაიწერა — ვნებით ა. ანის ცალკე
გამოყოფის წინააღმდეგინ იყვნენ ი. აბულაძე, ვ. ბერიძე და კ. ჭი-
ჭინაძე. მესამე ტაეპში: გრძებითა, გასწორდა — გრძებითა. მეოთხე
ტაეპში: მაზედა, დაიწერა — მას ზედა.

1424-ე სტროფი: რა მოვა ჩემთვის განგება... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: მოსარტლი, გასწორდა — მოსარტლნი. მესამე ტაეპში: მამხვდეს, გასწორდა — მომხვდენ.

1425-ე სტროფი: მიდი და ჰკადრე... ძირითადად მიიჩნიეს. მეოთხე ტაეპში: მიწამ, გასწორდა — მიწა.

1426-ე სტროფი: გებრძანა, შეყრა მწადიან... ძირითადად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

1427-ე სტროფი: ესეა ჩემი საწადი... ძირითადად მიიჩნიეს. მესამე ტაეპში: გვერცავე, გასწორდა — გვერდსავე; შენი მზე, გასწორდა — მნათობი, მეოთხე ტაეპში: მებრძოლი, დაიწერა — მებრძოლნი.

1428-ე სტროფი: რა გამისრულდეს... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: გამისრულდეს, გასწორდა გამისრულდენ: ჩემი, დაიწერა — ჩემნი. მეორე ტაეპში: მამხვდეს, გასწორდა — მომხვდენ. მესამე ტაეპში: დამივსოს, გასწორდა — დამივსნეს. მეოთხე ტაეპში: ცუდი-ლა, გასწორდა — ცუდნი ლა.

1429-ე სტროფი: რა ფრიდონ კადრა... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: ნათქვამი, გასწორდა — სიტყვანი. მესამე ტაეპში: პოვა მიზეზი, გასწორდა — პოვნა მიზეზნი. მეოთხე ტაეპში: ნახოს ძალ გული, გასწორდა — ნახნეს ძალგულნი.

კომისიის მორიგ სხდომას (1936. II, 26) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე და კ. ჭიჭინაძე, განხილულ და დადგენილ იქნა 1430 — 1441 სტროფები.

1430-ე სტროფი: მიდი, უთხარ... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: ჩემაგიერ, გასწორდა — ჩემ მაგიერ; წინააღმდეგი იყო ს. კაკაბაძე. მეორე ტაეპში: უნახავი, გასწორდა — უნახავად. მეოთხე ტაეპში: ხოლმე, გასწორდა — ხოლე.

1431-ე სტროფი: ესე უთხარ... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: სიტყვა, გასწორდა — სჯემე. მეოთხე ტაეპში: ვითხოვ, გასწორდა ვსაფხოვო.

1432-ე სტროფი: უამბო ფრიდონ ავთანდილს... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: მალობა, გასწორდა — თქმულობა. მესამე ტაეპში: გულსა ცეცხლისა ალობა, გასწორდა — კვლა გულსა კვამლ-აღმუღობა. მეოთხე ტაეპში: მეფისა და პატრონისა კრძალობა, გასწორდა — მეფეთა ყმათაგან მოკრძალულობა.

1433-ე სტროფი: ავთანდილ მივა მუხლ-მოყრით... და 1434-ე სტროფი: რასაცა ლამი, არ მოგცემს... ძირითადად მიიჩნიეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

1435-ე სტროფი: ეგე საქმე, მე და ჩემსა... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: ვერვინ, გასწორდა — ვერა.

1436-ე სტროფი: ტარიელ უთხრა სიცილით... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: ამართა, დაიწერა — აპმართა. მეოთხე ტაეპში: შენისა, გასწორდა — შენითა.

1437-ე სტროფი: დია მჭულს მეტი... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: გაუწყვეტლად, გასწორდა — გაუწყვედლად. მესამე ტაეპის წაკითხვას კ. კეკელიძე და ა. ბარამიძე ასე მოითხოვდნენ — თუ მოყვარეა, გულისა ქმნას ჩემეე მონაზიდობა. კომისიამ ტაეპი ასე დატოვა: თუ მოყვარეა გულისა, ქმნას ჩემეე მონაზიდობა. მეოთხე ტაეპში: იგ მისად, დაიწერა — იგ მისდა.

1438-ე სტროფი: მე ვიცი გული... და 1439-ე, სტროფი: ამას ლდენ მოვახსენებ... ძირითადად მიიჩნიეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

1440-ე სტროფი: რა ავთანდილ ტარიასგან.. ძირითადად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

1441-ე სტროფი: ამ საქმესა დაფარულსა... იწვევს კამათს. ი. აბულაძე აღნიშნავს, როჭ ეს სტროფი ყალბის შქნელისათვის არის დამახასიათებელი. ასეთი სტროფი გვქონდა მეოთხე თავის დასაწყისში. აქ საკუთარი სახელი დიონოს ყალბის მქნელს „დივნოსად“ შეუცვლია ლექსი რომ გაჭირვებია. სტროფის ჩანართების წინააღმდეგი იყვნენ ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე და კ. ჭიჭინაძე. 1936 წ. V, 7 ეს სტროფი კომისიამ კვლავ განიხილა და იგი ძირითადად სცნო.

კომისიის შემდეგ სხდომას (1936, II, 27) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი და კ. კეკელიძე. განხილულ და დადგენილ იქნა 1442—1453 სტროფები.

1442-ე სტროფი: ფრიდონისით გაემართნეს... ძირითადად მიიჩნიეს. მესამე ტაეპში: ჩაწყობილი, ჩანათხენი, გასწორდა — დაწყობილი, დანათხენი. მეოთხე ტაეპში: ბალახსა, დაიწერა — ბალახსა.

1443-ე სტროფი: იგი მზე უჭდა კუბოსა... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: დაადინებს, გასწორდა — მიადინებს.

1444-ე სტროფი: მას გვანდეს... 1445-ე სტროფი: ტარიელ ბრძანა... და 1446-ე სტროფი: მივიდეს, შიგან... ძირითადად მიიჩნეის. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

1447-ე სტროფი: მოიარეს ქვაბოვანნი... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: ქვაბოვანნი, გასწორდა — ქვაბოვანი. მეორე ტაეპში: პოეს, დაიწერა — პოენეს. მეოთხე ტაეპში: არა თქვეს თუ, დაიწერა — არ იტყვიან; არცა იყვენეს, გასწორდა — იგ ამისთვის.

1448-ე სტროფი: უბოძა ტურფა მრავალი... და 1449-ე სტროფი: ფრიდონს უთხრა... ძირითადად მიიჩნეიეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

1450-ე სტროფი: ფრიდონ მდაბლად თაყვანი სცა... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: ვინმცა იყოს, გასწორდა — ვინმცა იყო. მეოთხე ტაეპში: მუნამდისცა, დაიწერა — მუნამდის ა.

1451-ე სტროფი: ფრიდონ კაცი დააბრუნნა... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: მისატანად, გასწორდა — მისალებად. მესამე ტაეპში: აწ მუნიოსცა, გასწორდა — მუნიოვან; არაბეთად, გასწორდა — არაბეთით. წინააღმდეგნი იყვენენ ვ. ბერიძე და ს. იორდანიშვილი. მეოთხე ტაეპში: ავთანდილ არს, დაიწერა — ავთანდილ ა.

1452-ე სტროფი: მიხვდეს არაბთა სამზღვართა... იწვევეს კამათს. ი. აბულაძე აღნიშნავს, რომ ეს სტროფი თავის ფორმით სრულიად შეუფერებელია რუსთველის კალმისათვის (მრავალი ხანები... ციხები... თანის-თანები). სტროფი სამართლიანად უარყოფილი იყო ა. სარაჯიშვილის მიერ და მეც მის ჩანართობის მომხრე ვარო. კომისიამ სტროფი ძირითადად იცნო. წინააღმდეგი იყო ი. აბულაძე. პირველ ტაეპში: სამზღვართა, გასწორდა — საზღვართა. მეორე ტაეპში: დახვდათ, გასწორდა — დახვდა. მესამე ტაეპში: მას შიგან მყოფთა, გასწორდა — მუნ შიგან მყოფსა.

1452¹-ა სტროფი: ავთანდილ იცნეს... ჩანართად მიიჩნეის. წინააღმდეგი იყო ვ. ბერიძე. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

1453-ე სტროფი: ტარიელ კაცი გაგზავნა... ძირითადად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

შემდეგ სხდომას (1936, II, 28) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე (თ-რე) და კ. ჭიჭინაძე. განხილულ და დადგენილ იქნა 1453¹—1473 სტროფები:

1453¹-ე სტროფი: მე ვით ვიპართლო... იწვევეს კამათს. კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ ეს სტროფი აუცილებელია სიუჟეტურად. 1453²-ე სტროფს, რომ პირდაპირ 1454-ე სტროფი მისდევდეს: მაშინ

თქვენ ჩემი გეწყინათ ნახვა... მეტად მოულოდნელი გადასვლა იქნება. თუ ეს სტროფი ჩაუერთეთ, გადასვლა უკეთესი იქნებაო. ვ. ბერიძე აღნიშნავს, რომ 1453¹-ე სტროფის ჩართვით ახალი არა ემატება რა, ამიტომ საჭიროდ არ მიმაჩნია მისი. ჩამატება მით უმეტეს რომ არც მაღალხარისხოვანი. ლექსიაო. სტროფი ჩანართად იქნა ცნობილი. წინააღმდეგი იყო ჯ. ჭიჭინაძე, არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

1454-ე სტროფი: მაშინ თქვენ ჩემი გეწყინათ... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: გეწყინათ, გასწორდა — გეწყინა.

1455-ე სტროფი: აწ ამდ მოვალ წინაშე... ძირითადად მიიჩნიეს, მეორე ტაეპში: ქნათ, დაიწერა, — ჰქმნეთ. მესამე ტაეპში: მისი გასწორდა — მისნი.

1456-ე სტროფი: რა მოუვიდა მეფესა... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: მოუვიდა, გასწორდა — მიუვიდა.

1457-ე სტროფი: ტაბლასა ჰკრეს... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: ჯოგისა გაღება, გასწორდა — ცხენისა მოღება.

1458-ე სტროფი: მეფე შეჯდა... ძირითადად მიიჩნიეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

1459-ე სტროფი: რა ერთმანერთი... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: ედების, გასწორდა — ეცხელა.

1460-ე სტროფი: ისია ჩემი გამზრდელი... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: ჩემთვის, გასწორდა — თქვენდა. მეოთხე ტაეპში: თქვენთანა, გასწორდა — თქვენდავე.

1461-ე სტროფი: ტარიელ უთხრა, კარგსა იქ... ძირითადად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

1462-ე სტროფი: მუნ დადგა ლომი ავთანდილ... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: იგი მჭკრეტელთა, გასწორდა — იგია მჭკრეტთა. მესამე ტაეპში: არ ავი, დაიწერა — არავი.

1463-ე სტროფი: ფრიღონ წაყვა... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: მეფე, გასწორდა — მეფეს.

1464-ე სტროფი: ტარიელცა თაყვანი სცა... და 1465-ე სტროფი: გაეკვირვა მეფე მისსა... ძირითადად მიიჩნიეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

1466-ე სტროფი: მეფე ტარიას ქებასა... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: რადგან, გასწორდა — რათგან.

1466¹-ე სტროფი: კვლავ მეფე კითხავს¹⁶... ჩანართად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: გახლავსთ, გასწორდა — გახლავს.

¹⁶ დნ.: ჰკადრებს.

1467-ე სტროფი: ნუ გიკვირს მისი... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: მისი და, გასწორდა — მისისა. მეოთხე ტაეპში: ვიაჯი რასმე, გასწორდა — ვიაჯ რასამე.

1468-ე სტროფი: დასხდეს მეფენი... ძირითადად მიიჩნიეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

1469-ე სტროფი: მეფეო, თავი მემკრობის... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: შემამხვეწი, გასწორდა — შემომხვეწლად.

1470-ე სტროფი: აწ ამას გკადრებთ... ძირითადად მიიჩნიეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

1471-ე სტროფი: თქვენთა უყვარს ერთმანერთი... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: ამით, დაიწერა — იმათ. მეოთხე ტაეპში მისცეთ, გასწორდა — მისცე.

1472-ე სტროფი: ამის მეტსა არას გკადრებ... და 1473-ე სტროფი: რა ტარიელ გუხ მოყრილი... ძირითადად მიიჩნიეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

მორიგ სხდომას (1936, II, 29) დაესწრნენ: ი. აბჭლაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე და კ. კეკელიძე. განხილულ და დადგენილ იქნა 1474—1483 სტროფები.

1474-ე სტროფი: ვით ეგების... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: ვაცაფრინდეს, გასწორდა — ალცაფრინდეს.

1475-ე სტროფი: მე სიძესა ავთანდილის... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: იფურჰნების, გასწორდა — იფურჩნების.

1475¹-ე სტროფი: ქალსაცა ჰკითხეთ..., 1475²-ე სტროფი: თინათინს ჰკადრეს... და 1475³-ე სტროფი: ქალმან ჰკადრა... ჩანართად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

1476-ე სტროფი: თუ შეფერთო ერთი მონა... ძირითადად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

1477-ე სტროფი: რა ტარიელ მფფისაგან... ძირითადად მიიჩნიეს. მესამე ტაეპში: როსტენცა, გასწორდა — მეფემან; წარემოვლო, გასწორდა — წამორეველო.

1477¹-ე სტროფი: ტარიელ ფრიდონ გავზავნა... ჩანართად მიიჩნიეს. მესამე ტაეპში: მოგაკლდეს, გასწორდა — მოგაკლდა.

1478-ე სტროფი: ფრიდონ შექდა... ძირითადად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

1479-ე სტროფი: მეფე აღგა, მოეგება... ძირითადად მიიჩნიეს. მესამე ტაეპში: ეფარვოდა, გასწორდა — მოჰვარვოდა.

1480-ე სტროფი: მეფე კოცნასა ჰლამოდა... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: შუქი, დაიწერა — შუქნი.

1481-ე სტროფი: მოეხვია, გარდაკოცნა... ი. აბულაძე აღნიშნავს, რომ ეს სტროფი თავისი ფორმითა და შინაარსით ყალბის მქნელის ჩვეულებრივი მაჯამააა, შინაარსისათვის სრულიად არ არის საკირო. ბუნებრივ გადასვლას 1480-ე სტროფიდან წარმოადგენს 1482-ე სტროფი: მეფე ყელსა ეხვეოდა — ეს 1481-ე სტროფი კი სრულიად ზედმეტია, ამიტომ ა. სარაჯიშვილთან ერთად მეც ჩანართად მიმანჩია. ვ. ბერიძე აღნიშნავს, რომ სტროფი წარმოადგენს წინა სტროფში აღწერილ სურათს, სახელდობრ როსტევეანის და ავთანდილის შეყრის გაგრძელებას. ის გარემოება, რომ სტროფი მაჯამით არის დაწერილი და ჩვენ ყველაფერი ვერ დაგვიძლევია, ამიტომ ნუ გამოვაცხადებთ მას ყალბის მქნელის მიერ დაწერილად და ნუ ჩავიტანთ დაბლა. უნდა გვახსოვდეს, რომ რუსთველი ჩვენს ნორმებს არ ემორჩილებოდა, მას თავისი ნორმები ჰქონდა და ხმარობდაო. სტროფის საბოლოო განხილვა გადაიდო. მის ძირითად ტექსტში დატოვების წინააღმდეგნი იყვნენ ი. აბულაძე, ა. ბარამიძე და კ. კეკელიძე. მესამე ტაეში: არე მარე, დაიწერა — არემა რე. 1936, V, 7 კომისიამ ეს სტროფი კვლავ განიხილა და იგი ძირითადად მიიჩნია.

1482-ე სტროფი: მეფე ყელსა ეხვეოდა... და 1483-ე ყმა მეფესა მოახსენებს... ძირითადად მიიჩნიეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენ კომისიის მორიგ სხდომას (1936, III, 2) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე (თ-რე) და კ. კიკინაძე.

მოსმენილ იქნა კ. კეკელიძის ვრცელი მოხსენება ვეფხისტყაოსნის დაბოლოების შესახებ¹⁷.

მოხსენების დასაწყისში კ. კეკელიძე შეეხო არჩილ მეფის ცნობას, რომელიც თეიმურაზ I-ის პირით რუსთველს ეუბნება „ერთი ამბავი აიწყე, ბოლოც სხვათ შეგითავესა“ და ასკვნის, 1681 წელს, როდესაც არჩილი ამ თხზულებას (იგულისხმება „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“) წერდა, ჩვენში უკვე იცოდნენ, რომ ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებში წარმოდგენილი დაბოლოება რუსთველს არ ეკუთვნოდა. შემდეგ კ. კეკელიძე იხილავს საკითხს, თუ „საიდან, პოემის რომელ ნაწილიდან ან თავიდან უნდა ვივარაუდოთ

¹⁷ ეს მოხსენება დაბეჭდა ა. შანიძემ 1966 წ. კრებ. „თბილისის უნივერსიტეტის შოთა რუსთველს“, გვ. 119—123. შესწორებული სახით დაბეჭდა ავტორმა 1939 წ., თბ. სახ. უნივერსიტეტის შრომების X ტომში, გვ. 95—115.

ეს დამატება ან „შევსება“. ამის შესახებ მან დაიმოწმა ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემა, სადაც „პოემა არსებითად თავდება „ავთანდილისა და თინათინის ქორწილის“ ამბით; ყველა ის თავები, რომელიც ამ ქორწილის ამბავს მისდევს ხელნაწერებში (გარდა 17 სტროფისა), იმაში გამოტოვებულია, იმიტომ კი ჯრა, რომ ეს თავები არ იყო ვითომცდა იმ მოკლე ხელნაწერში, რომელიც თითქოს ვახტანგმა უცვლელად გადმობეჭდა (იმ დროს ასეთი ხელნაწერის არსებობა არსაიდან არ ჩანს), არამედ იმიტომ, რომ ვახტანგისა და ის პირნიც, რომელნიც, უეჭველია, მას ამ გამოცემაში შველოდნენ, ტრადიციით დარწმუნებულნი იყვნენ, რომ სწორედ ეს თავები წარმოადგენენ პოემის „შეთავებულ“ ნაწილს. ამნაირად, ასკენის კ. კეკელიძე, „აღნიშნულ ეპოქაში გავრცელებული და განშტკიცებული ტრადიციით, რომელსაც მეცნიერული, ფილოლოგიური ანალიზიც ამართლებს, ინდო-ზატა ელთა, ზვარაზმელთა და ძმანდაფიც გმირთა გარდაცვალების ამბები ვეფხისტყაოსნის დამატება-გაგრძელებათა სერიას ეკუთვნისო“. ამ დამატებათა სერიას მიაკუთვნა მომხსენებელმა პოემის ერთი თავი, რომელსაც ეწოდება „ქორწილი ავთანდილისა და თინათინისა“ არაბეთს. კ. კეკელიძის აზრით, ქორწილს უეჭველია ადგილი ექნებოდა, „მაგრამ პოეტის აღწერილობაში ეს მომენტი, როგორც შედარებით არამნიშვნელოვანი, ვერ მიიპყრობდა იმდენს ყურადღებას, რომ ის ცალკე თავად გამოეყო მას.“ ამის დასამტკიცებლად მომხსენებელმა მოიყვანა იმ ქორწილთა აღწერილობანი, რომელსაც პოემით იხდიან მელიქსურხავის სამფლობელოში, ფრიდონის სამეფოში და ინდოეთში, რომლებსაც რუსთველი ძალიან მოკლედ აგვიწერს. არაბეთის ქორწილი კი მეტად გაჭიანურებულია სმაპურობის მომენტით, „რაც არ უდგება პოეტის მანერას ქორწილთა აღწერილობის საქმეში“. მომხსენებლის აზრით, „ავთანდილისა და თინათინის ქორწილი“ 1633 (რას ვაგრძელებდე? გარდახდეს დღენი ერთისა თვისანი) და 1650 (ჯაემართნეს და წავიდეს დია სპითა და ბარგიითა) სტროფებს „არ უნდა აღემატებოდეს. პოეტმა საკმაო სისრულით აგვიწერა არაბეთის მომენტები არაბეთის ზემისა (1573—1621) და უშუალოდ მიაყოლა“ 1633, 1650 და 1713 სტროფები, რომლებსაც მისდევს 1715, 1716, 1730, 1731, 1732, 1737 — 1740 და 1742 სტროფები¹⁸.

¹⁸ სტროფების სათვალავი მოცემულია კ. ჭიჭინაძის გამოცემის მიხედვით.

მომხსენებლის დასკვნა ასეთი იყო: „პოემა თავდება ავთანდილისა და თინათინის დალოცვით და ტარიელის განცხადებით თინათინისადმი:

შემიყრიხართ, აღარა გეწევს ცეცხლთა დება,
ქმარი შენი ძმია ჩემი, მწადს აგრეთვე თქვენი დება (1621).

უხადია, პოეტი ტარიელსა და ნესტანს არაბეთში ვერ დასტოვებდა, მაგრამ ინდოეთში მათ დასაბრუნებლად საჭირო არ იყო ყველაფერი ის, რაც ხელნაწერებში ამ დალოცვას მისდევს. ამას პოეტი მოახერხებდა რამდენიმე სტროფითაც, რომელნიც გაფანტულნი არიან და საძიებელნი დამატება-გაგრძელებათა სტროფებში. ძნელია, რასაცვირველია, ექვიმუტანლად აღნიშვნა იმისა, თუ რა ეკუთვნის პოემის ავტორს კერძოდ იმ თავში, რომელშიაც აწერილია „ავთანდილისა და თინათინის ქორწილი“, შეიძლება მხოლოდ ვიფიქროთ, რომ მისი კუთვნილება აქ ორს სტროფს (1633, 1650) არ უნდა აღემატებოდეს. პოეტმა საკმაო სისრულით აგვიწერა არსებითი მომენტი არაბეთის ზეიმისა (1573—1621) და უშუალოდ მიაკვლია:

რას ვაგრძელებდე? გარდახდეს დღენი ერთისა თვისანი (1633)
გაუმართეს და წაიღეს ღია სპიჯა და ბარჯითა (1650)
ტარიელს და ცოლსა მისსა მიხვდა მათი საწაღელი (1713)

ამას მისდევს: 1715, 1716, 1730, 1731, 1732, 1737—1740, 1742 სტროფები“.

წაკითხული მოხსენების შესახებ აზრთა გაცვლა-გამოცვლა გადაიდო. სასურველად იქნა ცნობილი მოხსენების გამრავლება მანქანაზე და წევრებისათვის დარიგება. კომისიის წევრებს წინადადება მიეცათ წერილობით წარმოედგინათ თავიანთი მოსაზრებანი აღნიშნულ საკითხზე.

კომისიის შემდეგ სხდომას (1936, III, 3) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე (მდ), ვ. ბერიძე, ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძე და ა. შანიძე. განხილულ და დადგენილ იქნა 1484—1497 სტროფები.

1484-ე სტროფი: ტარიელსა მოახსენა... ძირითადად მიიჩნიეს. წაკითხვებში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა.

1485-ე სტროფი: მეფემ ქალსა უსალამა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: მეფემ ქალსა, გასწორდა — მეფემან ქალსა. მეოთხე ტაეპში: ვერ მიხდომილმან, გასწორდა — ვერ მიხვდომილმან.

1486-ე სტროფი: ეტყვის, მზეო... ძირითადად მიიჩნიეს. მესამე

ტაეპში: კარგო გვარიანო, გასწორდა — რაო და რიანო¹⁹. ეს სტროფი ი. აბულაძეს და ა. ბარამიძეს ჩანართად მიაჩნიათ, როგორც ფორმით გაუქმართლებელი, ხოლო შინაარსეულად არა აუცილებელი.

1487-ე სტროფზე: გაკვირდეს ყოველნი მხედველნი... ოქმში არაფერია ნათქვამი. იგი დაბეჭდილია ძირითად ტექსტში (1538). შესწორებები შეტანილი არ არის.

1488-ე სტროფი: შინა წავიდეს ყოველნი... ძირითადად მიიჩნეის. პირველი ტაეპი: შინა წავიდეს ყოველნი, შესხდეს თავისა და რებად, გასწორდა — შესხდეს, წავიდეს ყველანი შინა თავისა მარებლად. მეორე ტაეპში: დასადარებლად, გასწორდა — დასადარებად.

1489-ე სტროფი: შევიდეს ნახეს თინათინ... ძირითადად ჩანს ცნობილი. მეორე ტაეპში: შეენოდა ცემა, გასწორდა — ჰშენოდა ცემა. მეოთხე ტაეპში: მგზავსი, გასწორდა — მსგავსი.

1490-ე სტროფი: ტარიელ და ცოლმან მისმან... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: მოეგებეს, გასწორდა — მოეგებნეს. მეოთხე ტაეპში: ბროლ ბალახში გაალაღეს, გასწორდა — ბროლ-ბადახში გალაწვეს.

1491-ე სტროფი: თინათინ ზედა აწვიენა... ძირითადად მიიჩნეის. პირველ ტაეპში: აწვიენა, გასწორდა — აწვივა. მეოთხე ტაეპში: ლომი — ლომსა, გასწორდა — ლომი ლომთა.

1492-ე სტროფი: ორთავე ხელი მოკიდეს... ძირითადად მიიჩნეის. წაკითხვებში არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

1493-ე სტროფი: ქალსა შესწბა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: გვერცა, გასწორდა — გვერდსა, მეორე ტაეპში: გაუფიცხდა, გასწორდა — გაუფიცხა.

1494-ე სტროფი: აწ შეილო ღმერთმა... ძირითადად მიიჩნეის. მესამე ტაეპში: შეგცვლით, გასწორდა — შეგცვლის, მეოთხე ტაეპში: მე შესწრას თქვენი სამარე, გასწორდა — თქვენის ხელითა მელირსოს.

1495-ე სტროფი: მათ მეფემან სპათა ბრძანა... ძირითადად იქნა ცნობილი. წაკითხვათა ცვლილებები არ მომხდარა.

1496-ე სტროფი: ლაშქარნი და დიდებულნი... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: ვინცა წინად, გასწორებულია — ვინცა მიწად. მეოთხე ტაეპში: შეაძუტნეს, გასწორებულია — შეაძუტნეს, აგულოვნეს, გასწორებულია — აგულვანნეს.

¹⁹ დნ.: რას დარიანო — კარგო ვარიანო.

1497-ე სტროფი: ტარიელცა უთხრა ქებით... ძირითადად მიიჩნის. მესამე ტაეპში: ძმა ჩემია, გასწორდა — ძმა ჩემი. მეოთხე ტაეპში: შეშცოდეთა, გასწორდა — შემცილეთა.

ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენი კომისიის მორიგ სხდომას (1936, III, 7) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე (მღ.) ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე და კ. ჭიჭინაძე. ამ სხდომაზე განიხილეს და წაკითხვების მიხედვით დაადგინეს 1498—1508 სტროფები. მათი ძირითადობა-ჩანართობის საკითხი კი განხილულ იქნა 17 მარტის სხდომაზე, რომელსაც, გარდა ზემოდ დასახელებული პირებისა, ესწრებოდნენ პ. ინგოროყვა და ს. იორდანიშვილი.

1498-ე სტროფი: მას ღღე ავთანდილ... ძირითადად ცნეს. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1498¹-ე რომ გენახნეს ოთხივ..., 1498²-ე: აბა ეს არის... და 1498³-ე: ქორწილი ავთანდილისა... სტროფები ჩანართად მიიჩნიეს.

1498³-ე სტროფის მეოთხე ტაეპში: ათასა, გასწორდა — ეთასა. ა, ბარამიძის წინადადების თანახმად.

1499-ე სტროფი: დაიწყეს მორთმა პურისა... ძირითადად ცნეს. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1500-ე სტროფი: იაგუნდისა ჯამები... ძირითადად მიიჩნიეს. მესამე ტაეპში: მაქებრი, გასწორდა — მაქები. მეოთხე ტაეპში: მკვრეტელნო... ეტყოდით, გასწორდა — მკვრეტელნო... ეტყოდი.

1501-ე სტროფი: მუტრიბანი მოდგეს... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: სდის, გასწორდა — დის. ი. აბულაძე და ს. ჭიჭინაძე მომხრენი იყვნენ „სდის“ ფორმისა.

1502-ე სტროფი: არა დარჩა უსაბოძვრო... ძირითადად მიიჩნიეს. ცვლილებები არ შეტანილა.

1503-ე სტროფი: ხვალისად შეფე... ძირითადად ცნეს. კამათს იწვევს მეოთხე ტაეპის გააზრება: ხაშს ყურსა გვეგდოს საყურად ჩვენ თქვენი ნატერფალია — ჭიჭინაძის აზრით, საყურად აქ ნიშნავს საყურებლად (მოსასმენად), იგულისხმება — მიწაზე ყურის დადებით ფეხის ხმის (ნატერფალის) მოსმენა. ი. აბულაძის სიტყვით, აქ გვაქვს განმეორება ცნობილი სპარსული გამოთქმისა: ყურზე საყურედ ფეხის ნალის ანუ ნატერფლის დადება ე. ი. ყურმოჭრილ მონად ქცევა, კომისია იზიარებს ი. აბულაძის შეხედულებას.

1504-ე სტროფი: აწ მეფეო... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: დაუდგეს, გასწორდა — დაუდგა.

1505-ე სტროფი: არაბთა მეფე მასპინძლობს... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: ჩვეული თვით, გასწორდა — ჩვეულა ვით.

1506-ე სტროფი: თინათინს ქმრითურთ პატივი... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: თინათინს, გასწორდა — მეფესა. მეორე ტაეპში: რძალისა, გასწორდა — სძალისა.

1507-ე სტროფი: კელა უძღვნა... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: დედლისა, გასწორდა — დედისა.

ა. აბულაძე აცხადებს, რომ თუმცა მას თავის გამოცემაში დაბეჭდილი იქვს დედლისა, ახლა მხარს უჭერს ფორმას დედისა.

1508-ე სტროფი: ფრიდონს უძღვნა... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: კ. კეკელიძე და ა. ბარამიძე თხოულობდნენ — ცხრა ტაიპი — დაიწეროს დეფიზიტით, როგორც ერთ ცნებად გაგებული სიტყვის კომპლექსი, კომისიამ ასეთი შესწორება არ შეიწყინარა.

1498-ე — 1508-ე სტროფების ძირითადად მიღების წინააღმდეგ იყო კ. კეკელიძე.

მორიგ სხდომას (1936, III, 8) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე (მდ.), ვ. ბერიძე, პ. ინგოროყვა, კ. კეკელიძე, ა. შანიძე და კ. ჭიჭინაძე. განიხილეს და წაკითხვების მხრივ დაადგინეს 1509 — 1519 სტროფები. მათი ძირითადობა ჩანართობის საკითხი კი განხილულ იქნა 17 მარტის სხდომაზე, რომელსაც, გარდა ზემოდასახელებული პირებისა, ესწრებოდა ს. იორდანიშვილი.

1509-ე სტროფი: რას ვაგრძელებდე... ძირითადად მიიჩნიეს. აზრთა სხვაობას იწვევს მესამე ტაეპის სიტყვა: უძღვნა; ხელნაწერთა უმრავლესობაშია: სძღვნიან. ა. შანიძე აცხადებს, რომ უნდა მიღებულ იქნეს ფორმა სძღვნიან (უცხონი თვალნი), თუმცა ასეთი ფორმა არც ერთი ხელნაწერით არ დასტურდებაო. რ. აბულაძეს ასეთი შესწორება თვითნებობად მიაჩნია, ჩვენი გრამატიკით რუსთველის ტექსტს ვერ შევცვლითო. ი. აბულაძეს მხარს უჭერს კ. ჭიჭინაძე. კომისია ღებულობს ფორმას: სძღვნიან.

1510-ე სტროფი: ტარიელ გვანდის ვარდსა... ძირითადად იქნა ცნობილი. ცვლილებები არ შეტანლა.

1511-ე სტროფი: უცებნი მოსრის... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: მცოდნელთა, გასწორდა — მცოდნეთა. მეოთხე ტაეპში: განაზე, გასწორდა — განახნე.

1512-ე სტროფი: როსტევეანს ეთქვა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: როსტევეანს ეთქვა, გასწორდა — როსტევეან ჰკადრას; ხარ, გასწორდა — ხართ.

1513-ე სტროფი: ავთანდილ უთხრა ტარიელს... ძირითადად მიიჩნიეს. მესამე ტაეპში: ახალ, გასწორდა ახლად. პ. ინგოროყვა და ი. აბულაძე მხარს უჭერდნენ ვახტანგის წაკითხვას: ახალ.

1514-ე სტროფი: არ ღია გინდა... ძირითადად ცნეს. მესამე ტა-
ეპში: მე ვაგლახავად, დაიწერა—მევაგლახავად. ა. შანიძეს და ჭი-
ჭინაძეს უფრო მართებულად მიაჩნიათ: მოვაგლახავად. კომისია ამ
გასწორებას არ იზიარებს.

1515-ე სტროფი: ტარიელს უგავს სიცილი... ძირითადად მიიჩ-
ნის. პირველ ტაეპში: ვარდთა, გასწორდა — ვარდთათ, კ. ჭიჭინა-
ძის წინადადების თანახმად, ი. აბულაძე ამჟობინებს ტრადიციულ
წაკითხვას: ვარდით. მეოთხე ტაეპში: ყოლგნით, გასწორდა — ყო-
ველგნით.

1516-ე სტროფი: შეყარნა სპანი არაბეთს... ძირითადად ცნეს.
პირველ ტაეპში: ხან დაზმულია, გასწორდა — ხანსა ზმულია.

1517-ე სტროფი: ერთმანეთისა გაყრილნი... ძირითადად ცნეს.
მეოთხე ტაეპში: წდობილნი — წაკითხვის სანაცვლოდ ა. შანიძე
ითხოვს მიღებულ იქნეს: წთობილნი (რომელსაც იძლევა ოთხი ხელ-
ნაწერი). ეს აზრი არ იქნა გაზიარებული, რადგან დაირღვევოდა
რითმა (დობილნი, საყრდენი დონით).

1518-ე სტროფი: მთვარე ცისკრისა ვარსკვლავსა... ძირითადად
ცნეს. მესამე ტაეპში: მოშორდენ, გასწორდა — მოშორდეს. მეოთხე
ტაეპში: მათდა, გასწორდა — მათად.

1519-ე სტროფი: მათადვე სახედ... ძირითადად მიიჩნის. მე-
სამე ტაეპში: სტირან და ცრემლი ჩადიან, გასწორდა — ტირან და
ცრემლნი ჩადიან. მეოთხე ტაეპში: ყველათა, გასწორდა — ყოველთა.

1510 — 1519-ე სტროფების ძირითადად მიღების წინააღმდეგი
იყო კ. კეკელიძე.

კომისიის შემდეგ სხდომას (III, 9) დაესწრნენ: ი. აბულაძე,
ა. ბარამიძე (მღ.), ვ. ბერიძე, პ. ინგოროყვა, კ. კეკელიძე, ა. შანიძე
და კ. ჭიჭინაძე. განიხილეს და წაკითხვების მიხედვით დაადგინეს
1520—1527 სტროფები. მათი ძირითადობა-ჩანართობის საკითხი
კი განხილულ იქნა 16 მარტის სხდომაზე, რომელსაც, გარდა ზემო-
დასახელებული პირებისა, ესწრებოდნენ ვ. ბერიძე და ს. იორდანი-
შვილი.

1520-ე სტროფი: ნესტან-დარეჯან მას იტყვის... ძირითადად
ცნეს. პირველი ტაეპი: ნესტან დარეჯან მას იტყვის, ნეტამც არ შე-
გემცნებოდი — ხელნაწერთა უმრავლესობაზე დამყარებით, გასწორ-
და: — ნესტანდარეჯან თქვა: „ნეტამც ყოლა არ შემოგცნებოდი“.
მეორე და მეოთხე ტაეპის ბოლო სიტყვები: დავდნებოდი და დნე-
ბოდი, იწვევს კამათს. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ აქ წარყვნილად
უნდა იყოს ნაწმარი ერთი და იგივე სიტყვა, მას მეორე ტაეპის

დავდნებოდი გასწორებული აქვს ასე: დავბნდებოდი. გასწორებას იძლევა S5006 ხელნაწერი. მეოთხე ტაეპში იმართება აზრთა გაცვლა-გამოცვლა. საჭიროა თუ არა ტექსტის შესწორება და თუ საჭიროა, სახელდობრ სად — მეორესა თუ მეოთხე ტაეპში. კ. კეკელიძეს შესწორება საჭიროდ არ მიაჩნია, რადგან — მართალია ერთი სიტყვაა ნახშიარი, მაგრამ სხვადასხვა პირებში. არსებულ წაკითხვას იცავს ი. აბულაძე. გასწორების მომხრენია ვ. ბერიძე, ა. ბარამიძე, პ. ინგოროყვა და კ. ჭიჭინაძე. ამრიგად, კენჭის ყრით საჭიროდ იქნა აღიარებული ტექსტის გასწორება. უმრავლესობა (ვ. ბერიძე, ა. ბარამიძე, ა. შანიძე და პ. ინგოროყვა) მომხრეა ტექსტი გასწორდეს მე-4 ტაეპში. ი. აბულაძე, კ. კეკელიძე და კ. ჭიჭინაძე, მეორე ტაეპზე ჩერდებიან. საბოლოოდ მეოთხე ტაეპში დნებოდი-ს ნაცვლად მიღებულ იქნა S 5006 ხელნაწერის წაკითხვა: ჰბნდებოდი (ხელნაწერში ჰ არ არის).

1521-ე სტროფი: თინათინ უთხრა... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: დავითმინებო, გასწორდა — მოვითმინებო. მეოთხე ტაეპში: რაზომცა გასწორდა — რაზომსა.

1522-ე სტროფი: კვლა აკოცეს ერთმანერთსა... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: მოსწყვიტნა, გასწორდა — მოსწყვიტნა. მესამე ტაეპში: ედებოდა, გასწორდა — ედებოდეს.

1523-ე სტროფი: როსტან მათითა გაყრითა... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: სიტყვა, გასწორდა — სულთქმა.

1524-ე სტროფი: ტარიელს ვარდსა დაუტყლევს... ძირითადად ცნეს. საექვოდ მიიჩნევდნენ ა. შანიძე და ს. იორდანიშვილი. მეორე ტაეპში: მიჩანს აქამდის ოცნებით, გასწორდა — მიჩნს აქამდისაც ოცნებით. მესამე ტაეპში: ზასაოცებით, გასწორდა — გაასოცებით. კ. ჭიჭინაძე მხარს უჭერს წაკითხვას: გასაოცებით — რაგვარი ფორმაც, ა. შანიძის სიტყვით, არ არსებობს.

1525-ე სტროფი: ტარიელ შეჯდა... ჩანართად მიიჩნიეს. წინა-აღმდეგნი იყვნენ ს. კაკაბაძე, კ. ჭიჭინაძე და ვ. ბერიძე. მესამე ტაეპი: მზე შენ გელმისო სალამად და თავი მას ძალამე — ხანგრძლივი აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ასე იქნა დადგენილი ხელნაწერთა მიხედვით: მზე შენ გელმისო საომრად და თავი შენ მას ალაძე. კ. ჭიჭინაძე ითხოვდა მიღებული ყოფილიყო წაკითხვა: მზე, შენ გელმისო ალაძად... ვ. ბერიძე და ა. შანიძე — მზე შენ გლაშისო საომრად...

1526-ე სტროფი: გაემართნეს და წავიდეს... ძირითადად ცნეს. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1527-ე სტროფი: სამთავე ვლეს... ჩანართად მიიჩნის. წინა-აღმდეგნი იყვნენ ი. აბულაძე, ვ. ბერიძე, ს. კაკაბაძე და კ. ჭიჭინაძე. პირველ ტაეჴში: სამთავე ვლეს, ღმერთსა მათებრი სხვა რამცა დაებადოსა, გასწორდა — სამთავე ვლეს, ღმერთმა მათებრ სხვა ნურა ნუ დაბადოსა. კ. ჭიჭინაძე და კ. კეკელიძე იცავდნენ ხელნაწერთა უმრავლესობის წაკითხვას: სამ თვე ვლეს, ღმერთსა მათებრივ სხვა რამცა დაებადოსა. კომისიის უმრავლესობა იზიარებს ამ აზრს ვ. ბერიძის შენიშვნას, რომ საჭიროა — სამთავე ვლეს — რადგან იქვე დახასიათებულია გმირები — მათებრ სხვა არ დაბადებულაო. თუ სამთვე ფორმას მივიღებდით, მაშინ აზრობრივი შეუსაბამობა დაგვრჩებაო.

1520—1523 სტროფების ძირითადად მიღების წინააღმდეგი იყო კ. კეკელიძე.

მორიგ სხდომას (III, 11) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, (მღ.), ვ. ბერიძე, პ. ინგოროყვა, კ. კეკელიძე, ა. შანიძე და კ. ჭიჭინაძე. განიხილეს და წაკითხვის მხრით დაადგინეს 1527¹ — 1527¹¹ სტროფები.

ეს სტროფები ცნობილია მხოლოდ ე. წ. არტანუჯული რედაქციით და აქედან ვადმოწერილი პირებით. კამათს იწვევს ამ სტროფების გამართვის საკითხი. პ. ინგოროყვა, ა. ბარამიძე და ი. აბულაძე მოითხოვენ უცვლელად იქნეს დატოვებული არტანუჯული რედაქციის დედნის (დავით რექტორის გადაწერილი, გიორგი თუმანიშვილის ხელნაწერის H 1079 (ორთოგრაფია) ზედმეტი ასოების გამოკლებით), რადგან არტანუჯული ტექსტი ინდივიდუალური წარმოშობისაა და ჩვენამდე მოღწეულია პირდაპირ ავტოგრაფიდან ვადმონაწერის სახით, კომისიის დანარჩენი წევრები (ვ. ბერიძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე, და კ. ჭიჭინაძე) არ იზიარებენ აღნიშნულ შეხედულებას, მათ საჭიროდ მიაჩნიათ ტექსტის გამართვა საერთოდ მიღებული ორთოგრაფიის მიხედვით (გარდა ხელნაწერის ჰამბურგის ნაცვლად ამბავი და მისთანანი). კენჭის ყრით მიღებულ იქნა მეორე შეხედულება. ტექსტი გამართულ იქნა პეტრე ლარაძის წარმოდგენილი ხელნაწერის S 4732 თანახმად და დაევალა მდივანს მისი შეჯერება დავით რექტორის მიერ გადაწერილ ხელნაწერთან.

კვლევისტყაოსნის ტექსტის დამდგენი კომისიის მორიგ სხდომას (III, 13) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე (მღ.), ვ. ბერიძე, ს. კაკაბაძე; ა. შანიძე, კ. ჭიჭინაძე და კ. კეკელიძე.

მოსმენილ იქნა ვ. ბერიძის, ა. ბარამიძის, ს. კაკაბაძის ი. აბულაძისა და ა. შანიძის წერილობითი მოხსენებანი (რეზუმე) ვეფხისტყაოსნის დაბოლოების შესახებ. ამ მოხსენებათა დასკვნებში ავტორებმა განაცხადეს:

ვ. ბერიძე. „ავთანდილისა და თინათინის ქორწილი“ ძირითადად უნდა იქნეს ცნობილი. ვეფხისტყაოსანში უნდა შევიდეს აგრეთვე... „ინდო-ხატაელთა“ ამბავიც. უამნაკვეთოდ ყველა ჩვენთაგანი გრძნობს რაღაც უხერხულობას და ცდილობს სათანადო კორექტივების შეტანას, მაგრამ უშედეგოდ...

როგორ და რა სახით უნდა შევიტანოთ? საამისოდ დიდი გულდასმით ტექსტუალური გამოძიება იქნება საჭირო, მისი შეჯერება ძირითად უდავო ტექსტთან როგორც შინაარსის, ისე სტილის მხრივ. სათანადო ადგილას აუცილებლად შეტანილ იქნეს შენაშენა დაბოლოების თავის დროზე რესტავრაციის შესახებ. ამ პირობებში მე მომხრე ვარ და მოვითხოვ „ინდო-ხატაელთა ამბის“ შეტანას ვეფხისტყაოსანში:

ა. ბარამიძე. „ინდო-ხატაელთა“ ამბავი თუმცა სიუჟეტურად შეიძლება მიჩნეულ იქნეს პოემის ბუნებრივ ნაწილად, მისი ნაანდერძევი სახე მაინც აბსოლუტურად გამორიცხავს რუსთველისადმი კუთვნილებას. ამიტომ თუ აღნიშნულ ეპიზოდს გამოცემაში შევიტანდით სიუჟეტური სისრულის გულისათვის (რაც მე დასამწებად მიმაჩნია). ტექსტი აუცილებლად განსხვავებული შრიფტით უნდა დაიბეჭდოს. წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა დავტოვოთ ვახტანგის რედაქცია 1525-ე (ტარიელ შეჯდა) და 1527-ე სამთავე ვლეს სტროფების ამოღებითა და 1602-ის (მასცა უბოძა ფარმანი...) ჩართვით. ეპილოგიდან ძირეულად მხოლოდ ერთს მივიჩნევდი (იმასაც ექვით), სახელდობრ: ქართველთა ღმრთისა დავითის...

ს. კაკაბაძე. მე წინააღმდეგი ვარ პოემის ვახტანგისეული დაბოლოების. თუ კომისიის წევრთა უმრავლესობა მხარს დაუჭერს მოკლე დაბოლოებას არაბეთში ქორწილის ამბავის გამოტოვებით, მეც ამ დაბოლოების მდგრად ვიქნებოდი. სხვა შემთხვევაში კი მე მხარს გუჭერ დაბოლოებას მეორე რედაქციით, ე. ი. „ინდო-ხატაელთა ამბავით“ (როგორც ეს არის კ. ჭიჭინაძის გამოცემაში).

ამავე სხდომაზე მოსმენილ იქნა ი. აბულაძისა და ა. შანიძის წერილობითი მოხსენებანი, მაგრამ დასახელებულ პირთა მოხსენებები საქმეში არ ჩანს.

შემდეგ სხდომაზე (III, 14) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, პ. ინგოროჟვა, კ. კეკელიძე, ა. შანიძე (თ-რე) და 8. ს. ყუბანეიშვილი

კ. ჭიჭინაძე. გაგრძელდა წერილობითი მოხსენებების კითხვა ვეფხისტყაოსნის დაბოლოების შესახებ. მოსმენილ იქნა პ. ინგოროყვას, კ. ჭიჭინაძის და კ. კეკელიძის მოხსენებანი.

კ. ჭიჭინაძემ კომისიას წარუდგინა შემდეგი შინაარსის განცხადება: „გირდვენთ ჩემს მიერ იმ აზრის დასაბუთებას, რომ ეგრეთწოდებული „ინდოხატაელთა ამბავი“, რომელიც მე დავუბრუნე ვეფხისტყაოსნის ძირითად ტექსტს პოემის ჩემს გამოცემაში (ტფილისი 1934 წ.) არის რუსთაველის ქმნილების ერთადერთი და აუცილებელი დაბოლოება“.

ამ განცხადებას ერთვის ვეფხისტყაოსნის ჭიჭინაძისეული გამოცემის IX—XXVII გვერდები²⁰.

კ. კეკელიძე. დღესდღეობით ცნობილია სამი ვარიანტი პოემის დაბოლოებისა: 1) ვახტანგის გამოცემის, 2) ს. კაკაბაძის (ძეოტრე გამოცემა) და 3) კ. ჭიჭინაძის.

ჩემი აზრით, არც ერთი ვარიანტი არ უნდა შეიცავდეს ნამდვილ დაბოლოებას.

1. ვახტანგის გამოცემაში ავტორის კუთვნილებად და, მაშასადამე პოემის დაბოლოების ერთ-ერთ რგოლად მიჩნეულია „ქორწილი ტარიელისა და ნესტანდარეჯანისა არაბეთში“; მაგრამ, როგორც მე საგანგებო მოხსენებაში ვცდილობ დავამტკიცო, ეს ეპიზოდი, ეს ქორწილი პოემის ავტორის კუთვნილება არაა. არ უნდა ეკუთვნოდეს ავტორს ყველაფერი, ის, რაც ვახტანგის გამოცემაში იკითხება „ტარიელსა და ცოლსა მისსადგან“ რომელიმე, განსაკუთრებით ასმათის ანაზღაურებისა და არაბეთში ძღვნების გაგზავნის სტროფები, განა თუ „გასრულდა მათი ამბავი“ და „დავითის ქნანი“ და ამ საწყუთროსი შეფასება.

2. ს. კაკაბაძის ვარიანტი ტარიელსა და ნესტანდარეჯანს არაბეთში სტოვებს, ეს კი შეუძლებელია, ისინი პოეტს უეჭველად უნდა დაებრუნებია სამშობლოში, ინდოეთში, მაგრამ არა იმნაირად, როგორც ეს წარმოდგენილია სრული ტიპის ხელნაწერებში.

3. კ. ჭიჭინაძის ვერსია პოეტის კუთვნილებად და პოემის დაბასრულებელ ადგილებად სთვლის არა მარტო იმას, რასაც ვახტანგის გამოცემა, არამედ „ინდო-ხატაელთა ამბავსაც“, ეს უკანასკნელი ამბავი ავტორის კუთვნილებად ვერ ჩაითვლება, როგორც მეც,

²⁰ XXII გვ. მეორე აბზაცის ბოლო ა. ჭიჭინაძის მიერ ფანქრით მიწერილია: „ამგვარავე ჩერდება პოეტი სამი წლის განმავლობაში მოხეტიალე ავთანდილას ერთ იჯრაზე (214 ტაეპი), რომ შესაფერ პირობებში მოაწყოს ტარიელის მიერ დაზიანებული მონადირე ხატაელების შეხვედრა ავთანდილთან“.

სსვათა შორის, ვცდილობდი დამემტკიცებია ეს 1934 წლის დეკემბერში ჩატარებულ დისპუტზე²¹.

4. ჩემი შეხედულებით პოემის დაბოლოება ასეთი უნდა ყოფილიყო:

ს. კაკაბაძის გამოცემით: 1498, 1509, 1526, 1585, 1586, 1587, 1588, 1599, 1605, 1606, 1607, 1608, 1610, 1757.

ი. აბულაძის მეორე გამოცემით: 1380, 1392, 1408, 1410, 1411, 1412, 1413, 1417, 1422, 1423, 1424, 1425, 1426, 02.

კ. ჭიჭინაძის გამოცემით: 1621, 1633, 1650, 1713, 1714, 1715, 1716, 1730, 1736, 1737, 1738, 1739, 1740, 1742.

პ. ინგოროყვას მოხსენება არქივში არ აღმოჩნდა.

მორიგ სხდომას (III, 15) დაესწრნენ: კ. კეკელიძე, ა. შანიძე, ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, პ. ინგოროყვა და კ. ჭიჭინაძე. მდივნობდა ილია აბულაძე.

თავმჯდომარე კ. კეკელიძე აუწყებს სხდომას, რომ კომისიის წევრთა ყველას შეხედულება უკვე წარმოდგენილია ვეფხისტყაოსნის დაბოლოების შესახებ, გარდა ს. იორდანიშვილისა, რომელიც ავადმყოფობის გამო ვერ გვესწრება, მაგრამ რომელიც ალბათ ასეთს წერილობით მოგვაწვდის. ეხლა შესაძლოა მხოლოდ შემოსულ წერილობით მოსაზრებათა შესახებ აზრის გაცვლა-გამოცვლა ვაწარმოოთ.

პ. ინგოროყვა აღნიშნავს, რომ დღევანდელ სხდომას ვერ ესწრება ზოგიერთი ისეთი წევრი, რომელთა აზრი ნათლად იყოს მოცემული მათ წერილობით მოხსენებაში, მაგ. ს. კაკაბაძე, რომელიც ორგვარი დაბოლოების შესაძლებლობას აღიარებს. მხარს უჭერს მოკლე რედაქციას, ე. ი. მისი მეორე გამოცემით, რომ არის ცნობილი (და რომელიც ვახტანგის რედაქციაზე უფრო მოკლეა), და იმავე დროს ინდო-ხატაელთა ამბებით შევსებულსაც (კ. ჭიჭინაძის გამოცემას რომ აქვს), ოღონდ აქ ეს დამატება პოეტს დაუმუშავებელი დაურჩაო, ამისდა მიხედვით, თუ რომელი ამ ორ წინადადებათაგანი გაიმარჯვებს, იძლევა იგი ხმას. ასეთი მიდგომა არაა მართებული. უნდა გაირკვეს თუ რომელს უჭერს იგი საბოლოოდ მხარს.

კ. ჭიჭინაძე აცხადებს, რომ მას უმართებულოდ მიაჩნია პ. ინგოროყვას მონაწილეობა კომისიის მუშაობაში მხოლოდ დაბოლოების გარჩევის დროს და ისიც არა ნამდვილი მისი მოსაზრების წარდგენით. მას, როგორც ცნობილია, ვახტანგისაგან განსხვავებული

²¹ სოლ. ყუბანეიშვილი. ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორია, XXს., ნაკვეთი I, გვ. 72.

(უფრო შემოკლებული) შედგენილობის პროექტი ჰქონდა ვეფხისტყაოსნისა, ახლა კი იგი ვახტანგის რედაქციას უჭერს მხარს.

კ. კეკელიძე უპასუხებს, რომ ინგოროყვას აზრი ნათლად არის მოცემული მის წერილობით განცხადებაში — იგი ვახტანგის რედაქციას უჭერს მხარს. პ. ინგოროყვა — ჭიჭინაძის საპასუხოდ აცხადებს: „მე მხარს ვუჭერ ვახტანგის დაბოლოებას და გარკვევითაც მაქვს ეს აღნიშნული. ნათლად მაქვს მოცემული ჩემი შეხედულებაც ვეფხისტყაოსნის გვიანი დროის დამატებათა შესახებაც, როგორცაც მე მიმაჩნია ვეფხისტყაოსნის აქ წარმოდგენილი ვრცელი დაბოლოებაო (კ. ჭიჭინაძისა).

კ. ჭიჭინაძე გაურკვეველი პასუხის შემცველად აცხადებს ა. ბარამიძის წერილობით მოხსენებასაც, კერძოდ იმ მომენტს, რომ ვრცელი დაბოლოების ბოლო თავები (ინდოხატაელთა) პეტიტით მიიბეჭდოსო. თავმჯდომარე ამის გამო შენიშნავს, რომ ა. ბარამიძის პასუხი გარკვეულია: ვრცელი დაბოლოება მას სიუჟეტურად შესაძლებლად მიაჩნია, მაგრამ მას იგი რუსთველისად არ აცხადებს, რუსთველს იგი აკლია, სხვას აქვს გაგრძელებულიო. ამდენად იგი რუსთველთან ვერ მოდის. სხვა საქმეა როგორ დაიბეჭდება იგი. ის კი ცხადია, რომ იგი ძირითად ტექსტში ვერ შევა. თავმჯდომარე კვლავ აყენებს საკითხს — თუ ვის სურს გამოთქვას თავისი აზრი მოსმენილ წერილობით მოხსენებათა შესახებ. კ. ჭიჭინაძე ხსნის კამათს. იგი იწყებს წარმოდგენილი ყველაზე მოკლე რედაქციის განხილვით (კ. კეკელიძისა). მისი აზრით კ. კეკელიძის შეხედულება დაბოლოებების შესახებ იგივეა, ცოტაოდენი ცვლილების გარდა, რაც ს. კაკაბაძისა, რომელიც მას მოცემული აქვს ვეფხისტყაოსნის თავისი მეორე გამოცემით. კ. კეკელიძის მოსაზრებანი იმის შესახებ, რომ დანარჩენი ნაწილი პოეტის კუთვნილება არ არისო, მას მართებულად არ მიაჩნია და ამტკიცებს, რომ ინდო-ხატაელთა ამბავი სიუჟეტურადაც და კომპოზიციური მხრითაც პოეტის კუთვნილებაა.

კ. კეკელიძე, კ. ჭიჭინაძის შენიშვნების შესახებ, დამატებით უდგენს სხდომას წერილობით შემდეგ ახსნა-განმარტებას:

ზოგიერთის აზრით „ინდო-ხატაელთა ამბავი“ საჭიროა სიუჟეტურად. არ არის სწორი: პოემის სიუჟეტური რკალი იხურება იქ, სადაც ორი შეყვარებული წყვილი, თავდადებული მეგობრების დახმარებით, მიზანს აღწევს და საძიებელს, მიჯნურს, უერთდება, ესე იგი — არაბეთში. ამის შემდეგ არაფერ ომებზე ლაპარაკი საჭირო არაა, საჭიროა მხოლოდ ტარიელისა და ნესტანის ინდოეთში დაბ-

რუნება, რაც პოეტს იმ გზითაც შეეძლო, რა გზითაც მე მაქვს ნაჩვენები.

ორიოდე სიტყვა „არაბეთის ქორწილის“ შესახებ. ჩემს დასაბუთებულ მოხსენებას, ამ ქორწილის შესახებ აქ მხოლოდ რამდენიმე ორატორი შეეხო; არც ერთს მათგანს არავითარი არსებითი კონტრ-საბუთი არ მოუყვანია, გარდა იმისა, რომ ესა თუ ის სტროფი ამ ქორწილის ამბავში „რუსთველური“; ტერმინი „რუსთველური“ — მეტად პირობითი და გაურკვეველი ტერმინია ჭერჯერობით; სანამ ამ ტერმინს სერიოზულ არგუმენტად გამოვიყენებდეთ, საჭიროა ჭერ ვიცოდეთ საბოლოოდ და უყოყმანოდ — რაში მდგომარეობს სპეციფიკური „რუსთველურობა“, თორემ ხომ ვბედავთ რა ხდება ჩვენს კომისიაშიც კი: ერთს რომ „რუსთველურად“ მიაჩნია ესა თუ ის სტროფი, მეორეს ის არ მიაჩნია ასეთად. არც ის შეიძლება ჩემი არგუმენტების წინააღმდეგ წამოვაყენოთ, რომ აღნიშნული ქორწილის ამბავში ესა თუ ის ფრაზა „სპარსული“ ყაიდისაა (ი. აბულაძე); განა სპარსული ყაიდის ფრაზებს მარტო ვეფხისტყაოსნის ავტორი ზმარობს ჩვენს მწერლობაში? მაგრამ დავანებოთ ამას თავი, მივაქცევ თქვენს ყურადღებას შემდეგს გარემოებას. თავსებით ლოღიკურად მსჯელობს კ. ჭიჭინაძე, რომელიც გამოსული „არაბეთის ქორწილის“ შემდეგ ადგილიდან: „მტერთა აქვს ჩემი სამეფო, ვიცი მუნ შიგან მოვველად.. წავიდე, ავი არ მიყოს მე აქა დაყოვნებამან“ (ტარიელის სიტყვები როსტევეანისადმი), ამტკიცებს, რომ ინდო-ხატაელთა ამბავი ნამდვილია და არა შერე შეტანილი პოემაში. ეს სიტყვები აუცილებლად გულისხმობს ინდო-ხატაელთა ამბავს. იცით, რა ლოღიკურ რკალში ებმებით? ერთი მხრით სავსებით სამართლიანად ამტკიცებთ, რომ ინდო-ხატაელთა ამბავი არ არის პოეტის კუთვნილება, მეორე მხრით კი ამტკიცებთ, რომ „არაბეთის ქორწილის“ ამბავი, რომლიდანაც ლოღიკური აუცილებლობით გამომდინარეობს ინდო-ხატაელთა ამბავი, პოეტის კუთვნილებაა. ორში ერთი: ან „არაბეთის ქორწილის“ ამბავი პოეტისაა, და მაშინ ინდო-ხატაელთა ამბავიც მისად უნდა მიიჩნიოთ, ანდა ინდო-ხატაელთა ამბავი პოეტის არაა და მაშინ არც „არაბეთის ქორწილი“ შეიძლება იყოს მისი *tertium non datur!*

მიაქციეთ აგრეთვე ყურადღება მეორე წინააღმდეგობას, რომელსაც ადგილი აქვს „არაბეთის ქორწილის“ ამბავში. არაბეთის ქორწილის ამბის მიხედვით ტარიელი და ნესტანდარეჯანი სულაც არ ჩქარობენ სამშობლოში დაბრუნდნენ, ისინი არაბეთში, სხვებთან ერთად, მთელი თვის განმავლობაში გულდამშვიდებულ-

წი „თამაშობდიან, ყოლა არ იყენენ გაყრანი სმისანი“. ერთი მხრით ესაა ხაზგასმით აღნიშნული არაბეთის ქორწილში, მეორე მხრით კი ხაზგასმულია ისიც, რომ ტარიელმა იცის „მტერთა აქვს მისი სამეფო“, რომ ეს მტერი „მუნ შიგან მძოველია“. განა შესაძლებელია შევარცოთ და შევათანხმოთ ასეთი რამ? თუ ტარიელმა იცოდა რა ცეცხლი ეკიდებოდა ინდოეთს, ის მთელი თვეობით კი არ გააგრძელებდა სმას, არამედ იმწამსვე, დაუყოვნებლივ გაუდგებოდა გზას, ისე, როგორც მოიქცა ის, როდესაც გზაში ვაჭრებისაგან გაიგო მტრების შემოსევა „მეტად ფიცხლად აიყარა, ეჭი სამდღე წარსავალი, ერთსა დღესა წაიარა“. და ყველა ამის შემდეგ, ამბავი, რომელიც ასეთს წინააღმდეგობას შეიცავს, ეკუთვნის პოეტს! დასკვნა, ვფიქრობთ, ნათელი უნდა იყოს. საყურადღებოა ჩემთვის ვ. ბერიძის განცხადება: „არაბეთის ქორწილის“ და ინდო-ხატაელთა ამბავი, სტილის მიხედვით, ერთი პირის დაწერილი არისო. მართალია, ვ. ბერიძე ასეთს დასკვნას არ აკეთებს, მაგრამ ვინც იმ აზრისაა, რომ ინდო-ხატაელთა ამბავი პოეტს არ ეკუთვნის, იმან მასთან ერთად არაბეთის ქორწილის ამბავზედაც უნდა აიღოს ხელი.

მოსმენილი განცხადებების შემდეგ სხდომა კენჭის ყრას დაბოლოების შესახებ შემდეგი სხდომისათვის დებს და ამ სხდომისათვის წარმოდგენილი იქნეს ს. იორდანიშვილის შეხედულება.

1936, III, 16 სხდომას დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, პ. ინგოროყვა, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძე, კ. ჭიჭინაძე და ა. შანიძე. თავმჯდომარე კ. კეკელიძე აცხადებს, რომ დღის წესრიგში დგას ვეფხისტყაოსნის დაბოლოების საკითხი: აღნიშნული საკითხის შესახებ კომისიის წევრებმა წარმოადგინეს თავთავიანთი აზრი. მოსამსმენი დაგვჩა მხოლოდ ს. იორდანიშვილის აზრი ამ საკითხზე და ს. კაკაბაძის საბოლოო აზრი, რადგან მის განცხადებაში წერია, რომ იგი უკერს მზარს ვეფხისტყაოსნის იმ დაბოლოებას, რომელიც მის მეორე გამოცემაშია წარმოდგენილი. ანდა თუ ეს არ გავიდა — კ. ჭიჭინაძის რედაქციას: ინდო-ხატაელთა ამბის ჩართვას. სასურველია ვიცოდეთ გადაჭრით რომელ აზრს იზიარებს სარგისი იმისდა მიუხედავად, თუ რომელი აზრი იქნება გაზიარებული კომისიის უმრავლესობის მიერო.

ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ ავადმყოფობის გამო მან ვერ შესძლო დაბოლოების საკითხის შესახებ მოხსენების წარმოდგენა და ამიტომ კომისიას წარუდგინა თეზისები, სადაც აღნიშნული იყო, რომ მას საჭიროდ მიაჩნია დატოვებულ იქნეს ვახტანგის

მიერ წარმოდგენილი დაბოლოება, თუმცა გრძნობს მის დაბოლოების არაბუნებრიობას.

ს. კაკაბაძე აცხადებს, რომ მისი აზრით, ყოვლად შეუძლებელია ვეფხისტყაოსანში ისეთი დაბოლოების მიღება, როგორც ეს ვახტანგის მიერ დაბეჭდილ ვეფხისტყაოსანშია წარმოდგენილი. ამიტომ პირველ რიგში ის მხარს დაუჭერდა ვეფხისტყაოსნის ისეთ დაბოლოებას, როგორიც არის წარმოდგენილი მის მიერ გამოცემაში, სახელდობრ, პოემა უნდა თავდებოდეს იქ. სადაც იწყება ქორწილი ავთანდილისა და თინათინისა. უკანასკნელი სტროფი უნდა იყოს ჩემი მეორე გამოცემის მიხედვით 1547-ე: „მათ სამთავე ხელმწიფეთა ერთმანეთი არა სძულდეს“. თუ ეს აზრი არ იქნება მიღებული, მაშინ ის მომხრე იქნება პოემის დაბოლოებაში ინდო-ხატაელთა ამბის შეტანისა, როგორც ეს აქვს კ. ჭიჭინაძეს, თუმცა მისი აზრით, ეს ტექსტი რედაქტირებული, ან რესტავირებული უნდა იყოს.

კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ წამოყენებულია ოთხი აზრი. 1. კაკაბაძის შეხედულება: ვეფხისტყაოსანი თავდება იქ, სადაც იწყება ქორწილი ავთანდილისა და თინათინისა. 2. ჩემი შეხედულება, რომლის თანახმად ქორწილიდან დატოვებულია 12 სტროფი, თუ რომელი სახელდობრ, ეს მოგხსენდათ. 3. კ. ჭიჭინაძის ვარიაცია, რომლის თანახმად ვეფხისტყაოსნის დაბოლოებაში შედის ინდო-ხატაელთა ამბავი, როგორც ეს წარმოდგენილია მის გამოცემაში. და დასასრულ მეოთხე შეხედულება: დარჩეს ვახტანგის ტექსტი.

ი. აბულაძე მოითხოვს, რომ კომისიაში წარმოდგენილ ყოველ აზრს ცალ-ცალკე ეყაროს კენჭი. პ. ინგოროყვას შეაქვს წინადადება, რომ რადგან კ. კეკელიძის შეხედულება არსებითად ვახტანგის ტექსტის ფარგალში რჩება, ამიტომ ეს ორი წინადადება გავაერთიანოთ და კენჭი ვუყაროთ დანარჩენ სამ შეხედულებას. კ. ჭიჭინაძეს მიანიშნა, რომ კ. კეკელიძის წინადადება სრულიად დამოუკიდებელი წინადადებაა, მას არაფერი აქვს საერთო ვახტანგის ტექსტის დაბოლოებასთან და ამიტომ ყველა აქ წარმოდგენილ შეხედულებას ცალ-ცალკე ეყაროს კენჭი. კ. კეკელიძე ემზრობა იმ აზრს, რომ მისი შეხედულებისა და ვახტანგის ტექსტის დაბოლოების მომხრეთა შეხედულების გაერთიანება შეიძლება კენჭის ყრის დროს და კენჭს უყრის სამ წინადადებას: ს. კაკაბაძის წინადადებას, კ. ჭიჭინაძის წინადადებას და ვახტანგის ტექსტის დაბოლოებას. ს. კაკაბაძეს მოჰყავს მოტივი, რის თანახმადაც ვეფხისტყაოსნის დაბოლოება მან წარმოადგინა ავთანდილისა და თინათინის ქორწილის წინ.

მისი აზრით 1547-ე სტროფი: მათ სამთავე ხელმწიფეთა ერთმანეთი არა სძულდათ — უღვება ამ დაბოლოებას და არა სხვა დაბოლოებასო. ს. კაკაბაძის წინადადებაში მიიღო ერთი ხმა: მომხრე — ს. კაკაბაძე, წინააღმდეგი იყო 7. მეორე წინადადება: კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ მის რედაქციაში მოცემული დაბოლოება, რომელსაც ის უჭერს მხარს, წარმოადგენს უძველეს ხელნაწერებში მოცემულს დაბოლოებას, რომელსაც არავითარი საერთო არა აქვს ვახტანგის დაბოლოებასთან. იქ სადაც ძველ ხელნაწერებში მოცემულია 1740-ე სტროფი: ყოვლთა სწორად წყალობისა, ვითა თოვლსა მოითოვდა... არის დასასრული ვეფხისტყაოსნისა ინდო-ხატაელთა ამბის ჩართვის, როგორც ეს წარმოდგენილია მის გამოცემაში. ამ წინადადების (კ. ჭიჭინაძის) მომხრენი იყვნენ: ვ. ბერიძე, ს. კაკაბაძე, კ. ჭიჭინაძე. წინააღმდეგნი იყვნენ ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, პ. ინგოროყვა, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე. მესამე წინადადება: ვახტანგის რედაქციის დაბოლოება, მიღებულ იქნა ხმის უმეტესობით. მომხრენი იყვნენ ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, პ. ინგოროყვა, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე და ა. შანიძე. წინააღმდეგნი იყვნენ ვ. ბერიძე, ს. კაკაბაძე და კ. ჭიჭინაძე.

ვ. ბერიძე ამ სხდომას არ ესწრებოდა. საკითხის შესახებ მას წერილობითი მოხსენება ჰქონდა წარმოდგენილი. კომისიის 20 მარტის სხდომაზე მან პროტესტი განაცხადა იმის შესახებ, რომ კომისიას მისი აზრი კ. ჭიჭინაძის აზრთან რომ გაუერთიანებია. ამ ორი აზრის გაერთიანება ყოვლად შეუძლებელიაო, განაცხადა ვ. ბერიძემ, რადგან კ. ჭიჭინაძე ინდო-ხატაელთა ამბავს თვლის ძირითადად, მე კი შემაქვს ძირითადად ტექსტში სათანადო წინასწარ შენიშვნით, დაბოლოების თავის დროზე რესტავრაციის შესახებ. კ. კეკელიძემ აღნიშნა, რომ ვ. ბერიძის განცხადების თანახმად ოქმი შესწორდება და მისი აზრი არ იქნება გაერთიანებული კ. ჭიჭინაძის აზრთან²².

ვეფხისტყაოსნის დაბოლოების მიღების შემდეგ, იმავე (III, 16) სხდომაზე კომისია გადადის წინა სხდომებზე წაკითხვების მხრივ უკვე დადგენილი (1498—1527) სტროფების განხილვაზე და ადგენს მათ ძირითადობა-ჩანართობის საკითხს, რომელთა შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი.

1936, III, 17 სხდომას დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, პ. ინგოროყვა, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძე, ა. შა-

²² ვეფხისტყაოსნის დაბოლოების საკითხზე იხ. სოლ. ჯუბანეიშვილის — ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის რისტორიდან, ტ. II, ნაკვეთი, I, გვ. 69—76.

ნიძე და კ. ჭიჭინაძე. წაკითხულ და დადგენილ იქნა წაკითხვების მხრივ გაგრძელების 1528—1560 სტროფები²³.

1528-ე სტროფი: ქედსა ზედა გარდმოადგა... მეოთხე ტაეპში: მოასხენით, გასწორდა — მოასხითო; კ. ჭიჭინაძე მხარს უქერდა: მოასხენით-ს. 1529-ე სტროფი: მოასხეს იგი ვაჰარნი... პირველ ტაეპში: მოასხეს, გასწორდა — მოასხნეს. მესამე ტაეპში: ესე, დაიწერა — ასრე. 1530-ე სტროფი: გაეხარნეს მათ ვაჰართა... არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.. 1531-ე სტროფი: უბრძანეს, გვითხარ... მეოთხე ტაეპში: ყველასა, გასწორდა — ბრძენსაცა... 1532-ე სტროფი: თვით მათვე მათსა ამბავსა... არსებითი ცვლილებები არ შეტანილა. 1533-ე სტროფი: მას ქალსა და ამილბარსა... პირველ და მეორე ტაეპში: ამილბარსა; გასწორდა — ამირბარსა. 1534-ე სტროფი: მამიდაი ქაჭი იყო... არსებითი ცვლილებები არ შეტანილა. 1535-ე სტროფი: ცნა ამილბარმან... პირველ ტაეპში: ამილბარმან, გასწორდა — ამირბარმან, მესამე ტაეპში კ. ჭიჭინაძე მოითხოვდა „არს ძნელად“ — გასწორებულყო: საეგებნელად. მეოთხე ტაეპში: მამიდებ, დაიწერა — მამიდებ. 1536-ე სტროფი: მეფე გაშმაგდა მათისა... მეორე ტაეპში: შავად შესცვალა, გასწორდა — ვად შეიცვალა. მეოთხე ტაეპში: სრისა, გასწორდა — სრვისა, ტყეპნისა, გასწორდა — ტყეპნისა. 1537-ე სტროფი: რა ვაჰარმან ესე საქმე... პირველ ტაეპში: საქმე, გასწორდა — სიტყვა; სიტყვანი, გასწორდა — საქმენი. კ. ჭიჭინაძე მოითხოვდა: სიტყვანი. მესამე ტაეპში: დაფარული, გასწორდა — დაფარულნი. 1538-ე სტროფი: მამკალ, ქალსა თავშიშველსა... მეოთხე ტაეპში: ტყუბნი მარგალიტნი სხენ, გასწორდა — ტყუბნი მარგალიტი ზის. კ. ჭიჭინაძე მოითხოვდა: ტყუბნი მარგალიტნი სხენ. ზის აქ ტაეპს აუშნოებს, რადგან შემდეგ ბ რ ო ლ ი ს მ ა რ ხ ა ჩ ო ა — საჭიროა იყოს ს ხ ე ნ ო. 1539-ე სტროფი: ქალი საბრალოდ მამასა ტირს... შესწორებულია — პირველ ტაეპში: მგზავსია — მსგავსია. მეორე ტაეპში: თვალნი — დაწვი. მესამე ტაეპში: შექნილა — შექმნილა. 1540-ე სტროფი: იბოქს და იგლეჯს... პირველ ტაეპში: ხმა მადლად, გასწორდა — ზახილით. მეორე ტაეპში: ვერც არა შემოგიარე, გასწორდა — ვერცა რა შეგაგუარე. 1541-ე სტროფი: ჩემთვის ბნელ-ქმნილო... არსებითი ცვლილებები არ შეტანილა. 1542-ე სტროფი: ტარიელ მოსთქვამს... პირველ ტაეპში: აჰა, გასწორდა — ჰა, ჰა. 1543-ე სტროფი: მაშინ გახდეს ყველაქანი... პირველ ტაეპში: ტირილად, გასწორდა — მტირალად, მეოთხე ტაეპში: ქათალიკოზ მანყვერელად, დაიწერა —

²³ ვეფხისტყაოსნის გაგრძელების 1528—1610 სტროფები შეიცავენ ინდო-ხატურულთა ამბავს.

კათალიკოზ-მაწყვერელად. კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ 1825 წ. ამი-
ლანერისეულ ხელნაწერში ეს ტაეპი ასე იკითხება: მაგრა ექმნეს
სულდამღებლად, დამჩუმებელ, არ ცრემლ მყრელად. დ ა მ ჩ უ მ ე -
ბ ე ლ წ ა რ ყ ე ნ ი ლ ი ა, პ ი რ ვ ე ლ ა დ ი ქ ნ ე ბ ო ლ ა დ ა მ დ ლ უ მ ე ბ ე ლ, არ
ცრემლმყრელად-ო. 1544-ე სტროფი: ზე ადგეს და მოახსენეს... არ-
სებნითი ცვლილებები არ შეტანილა. 1545-ე სტროფი: მადლი უბრ-
ძანეს... პირველ ტაეპში: აწვიეს, გასწორდა — აწვივენს; მეოთხე
ტაეპში კ. ჭიჭინაძე და ა. ბარამიძე მხარს უჭერდნენ „წახლომი-
ლის“ ნაცვლად — წარხლომილი-ს.

1546-ე: კვლა უბრძანებდეს..., 1547-ე: ჭერთ დედოფალი...,
1548-ე სტროფი: მუნა მყოფსა ყველაქასა... და 1549-ე: რა ტარიელ
ესე ესმა... სტროფებში არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.
1550-ე სტროფი: ინდოეთს ზედა წაადგა... მეორე ტაეპში: კ. ჭიჭი-
ნაძე მოითხოვდა ჰე დია-ს ნაცვლად ე დ ი ა-ს მიღებას. კომისიამ
მიიღო: ჰე, დია. მეოთხე ტაეპში: თქვენი, გასწორდა — ჩემი. 1551-ე
სტროფი: ამა ლაშქართა... პირველ ტაეპში: ლაშქართა უნახავს, გას-
წორდა — იმა ლაშქართა უნახვან. 1552-ე სტროფი: დაეკაზმნეს სა-
ომარად... მეორე ტაეპში: საბედარი, გასწორდა — საბედარნი.
1553-ე სტროფი: წინ მავალნი დარაჯათა... პირველ ტაეპში:
გარდეკიდნეს, გასწორდა — გარდეკიდეს. 1554-ე სტროფი: მათ
მოახსენეს... პირველ ტაეპში კ. ჭიჭინაძე ჩ ვ ე ნ-ის ნაცვლად მოით-
ხოვდა: ვართ (ვართ ცუდად დაღორებულნი). წინადადება არ იქნა
მიღებული. მესამე ტაეპში: ჩემგან, გასწორდა — ჩვენგან. 1555-ე
სტროფი: უთხარიო, ბრძანებს... მეორე ტაეპში: უკადრი, გასწორ-
და — მაღალი, დამსაჯარია, გასწორდა — მემეჯანია. კ. ჭიჭინაძე მე-
ოთხე ტაეპის შესახებ: შიში ვერ გიხსნის სიკვდილსა, ცუდი ღა და-
ღრეჯანია — შენიშნავს, რომ ცნობილი გავრცელებული თქმა: ში-
ში ვერ იხსნის სიკვდილსა — აქედან მომდინარეობსო. 1556-ე სტრო-
ფი: დია დიდთა დამიჯნება... მეოთხე ტაეპში: გალესილი, გასწორ-
და — მოლესული. 1557-ე: აწ დაემზადე, მოპარვა... და 1558-ე და-
რაჯანი წავიდეს... სტროფებში არსებითი ცვლილებანი არ შეტანი-
ლა. 1559 სტროფი: ინდოთა დროშა ამართეს... პირველ ტაეპში:
ამართეს, გასწორდა — ტარიელს. მეორე ტაეპში: მასსა თანავე
ჰყუღია, გასწორდა — მასთანა შენატყუბია; წინააღმდეგი იყო ა. ბა-
რამიძე. მისი აზრით, H 461, H 2610 ხელნაწერების ჩვენება, საი-
დანაც აიღო კომისიამ მასთანა შენატყუბია, არ არის სანდოო.
1560-ე სტროფი: ცოტაი წავლეს... მეოთხე ტაეპში: მოვიდნენ, გას-
წორდა — მოვიდეს; უაბჯრო, გასწორდა — უაბჯროდ.

კომისიის მორიგ სხდომაჲს (1936, III, 20) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე და ა. შანიძე (თ-რე). განხილულ და დადგენილ იქნა წაკითხვების მხრივ გაგრძელების 1560¹ — 1562 სტროფები.

1560¹-ე: უბრძანა, ერთხელ კვლავც..., 1560²-ე: აწ შეუტოოთ..., 1560³-ე: რამაზ ბრძანა, შევეხვეწნეთ..., 1560⁴-ე: აღარ აცალეს მათ გმირთა..., 1560⁵-ე: მართ ამაზედა შეიქნა..., 1560⁶-ე: აქეთ არაბნი გაუხდეს... და 1560⁷-ე: უბრძანა, თუ სიმუხთალე... სტროფებში არსებითი ცვლილებები არ შეტანილა. 1561-ე სტროფი: ცხენის ფერხთა მოეხვია... მეოთხე ტაეპში: თქვენი გული, გასწორდა გული თქვენი. 1561¹-ე სტროფი: დაიკარგენით, წახვედით... მესამე ტაეპში: შეემართე... ჩემი, გასწორდა — შეემართენ... ჩემნი. მეოთხე ტაეპში: კამათელნია, გასწორდა — კაბათენია. 1561²-ე: შინა წავიდეს, გარდახდეს..., 1561³-ე: ვიაჯი, მამკალ მე ხოლმე..., 1561⁴-ე: ყოველთა მისცეს ზენაარი... 1561⁵-ე: კაცი ცრემლითა შეინდობს... სტროფებში არსებითი ცვლილებები არ შეტანილა. 1562-ე სტროფი: ბრძენმან ვინმე სასწავლეღად... პირველ ტაეპში: ბრძენმან, გასწორდა — ბრძენთა; სასწავლეღად, გასწორდა — მოსწავლეგან.

შემდეგ სხდომას (1936, III, 21) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, ა. შანიძე (თ-რე) და კ. ჭიჭინაძე. განხილულ და დადგენილ იქნა წაკითხვების მხრივ გაგრძელების 1563 — 1573 სტროფები.

1563-ე სტროფი: ტარიელი მოტკბა... მეორე ტაეპში: შიშმანულია, დაიწერა — შიშმან თუ ლია. სიტყვები: ძლეული შიშმან თუ ლია — კომისიამ, ა. შანიძის წინადადების თანახმად, მიიჩნია ავტორის ჩართულ სიტყვებად და ტარიელის სიტყვებიდან ზაზებით გამოჰყო. კ. ჭიჭინაძე ამ სიტყვებს ტარიელის სიტყვებად მიიჩნევს და ზაზებით გამოყოფის წინააღმდეგი იყო. მეოთხე ტაეპში: ჩვენგან, გასწორდა — ჩემგან. 1564-ე სტროფი: თაყვანი-სცეს და დალოცეს... მეოთხე ტაეპში: ხმალი ვერ გაძლა, ჯერთ ხორცი მოიშმიერეს, გასწორდა — ზრმალნი ვერ გაძლეს, ჯერთ ხორცი მოიშმიერეს. კ. ჭიჭინაძე — მხარს უჭერს ტაეპის ასეთ დაბოლოებას: ჯართ ხორცი მოიშმიერეს. 1565-ე სტროფი: ტარიას ნახვად მოსრულნი... პირველ ტაეპში: მოსრულნი, გასწორდა — მოსრული. 1566 სტროფი: ერთი კაცი მახარობლად... არსებითი ცვლილებები არ შეტანილა. 1567-ე სტროფი: მოეგებნიან ტარიელს... მეორე ტაეპში: უსალმიან, გასწორდა — იალამიან. კ. ჭიჭინაძე მხარს უჭერდა: უსალამიან-ს. 1568-ე სტროფი: ტარიელ მიღგა, უყვილა. მესამე ტაეპში...

აწყა ორბისა ფრთენიო, გასწორდა — წყალობა მისი ზენიო; წინა-
 აღმდეგი იყო კ. ჭიჭინაძე. მეოთხე ტაეპში: ჩვენგან, გასწორდა —
 ჩემგან. ვ. ბერიძე მოითხოვდა სტროფის სარითმო სიტყვების ასე
 დაბოლოებას: თქვენია, მფენია, ზენი, მოუთმენია, ნაცვლად თქვე-
 ნიო, მფენიო, ფრთენიო, და მოუთმენიო. 1569-ე სტროფი: მაშინ-
 და იცნეს ტარიელ... მეოთხე ტაეპში: მოგვცა, გასწორდა — მოგვ-
 ცნა. ვ. ბერიძე და ა. ბარამიძე მეოთხე ტაეპის რისხვა-მაღალმან-ის
 დაწერას მოითხოვდნენ დეფიზით — მაჰინათ ერთ სიტყვიდ და ტა-
 ეპში ასეთ აზრს სდებდნენ: აქამდის რისხვამაღალმა (იგულისხმება
 ღმერთი) აწ მოგვცნა წყალობანიო. კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს პირველ-
 სა და მეორე წინადადებაში შესმენილო მოგვცა და აზრი ასეთია:
 მაღალმან (ღმერთმან) აქამდის რისხვა მოგვცა და აწ მოგვცა წყა-
 ლობაო. კომისიამ ეს აზრი გაიზიარა. 1570-ე სტროფი: კარნი გააზ-
 ვნეს, გამოჩნდეს. მეორე ტაეპში: მკვრეტელნია, გასწორდა —
 მკვრეტენია; მეოთხე ტაეპში: თმა ბროლსა ტენია, გასწორდა —
 ფრთა ბროლსა სტენია. კ. ჭიჭინაძე მოითხოვდა — ბროლს ატენია;
 ბროლსა სტენია, რითმას არღვევსო. ვ. ბერიძე მხარს უჭერდა:
 ბროლ-სატენია-ს. 1571-ე სტროფი: ვითა გამზრდელსა... არსებითი
 ცვლილებები არ შეტანილა: 1572-ე სტროფი: რა ნახა ხასნი... პირ-
 ველ ტაეპში: ნახა, გასწორდა — ნახნა. მეორე ტაეპში: უფროსი,
 გასწორდა — უფროსნი. 1573-ე სტროფი: დიდებულნი მოეხვივ-
 ნეს... მესამე ტაეპში: შტონი, გასწორდა — რტონი. მეოთხე ტაეპ-
 ში: კაცსა, გასწორდა — კაცთა.

1936, III, 22 სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ს. იორდანი-
 შვილი. ს. კაკაბაძე და ა. შანიძე (თ-რე). განხილულ და დადგენილ
 იქნა წაკითხვების მხრივ გაგრძელების 1574—1584 სტროფები.

1574-ე სტროფი: დედოფალი გამოჭრილი... მეოთხე ტაეპში:
 ღმერთსა, გასწორდა — რომე; გლოვა აზ ვად, დაიწერა — გლოვა-
 ახვად. 1575-ე სტროფი: ტარიელს ზედა მოეჭდო... პირველ ტაეპში:
 ტარიელს ზედა მოეჭდო, გასწორდა — ტარიელ ზედა მოიჭდო.
 1576-ე სტროფი: ქალმან დედასა შესტირნა... მეოთხე ტაეპში:
 ცრემლი, გასწორდა — ცრემლნი; ბედავო, გასწორდა — ბედაო.
 1577-ე სტროფი: გარდაუკონა პირიო... მესამე ტაეპში: სადლა,
 გასწორდა — რადლა. 1578-ე რა გარდაზხდა... პირველ ტაეპში: ჟამი,
 ხანი, დაიწერა — ხანი, ჟამი. მესამე ტაეპში: მოეგებნეს, გასწორ-
 და — მიეგებნეს. 1579-ე სტროფი: ავთანდილ და ფრიდონ... მესამე
 ტაეპში: მხსნელი ჩვენი, გასწორდა — მხსნელნი ჩვენნი. 1580-ე
 სტროფი: ადგეს და ქალაქს შევიდეს... მეორე ტაეპში: ვითა მათსა,

ა. ბარამიძის წინადადების თანახმად, შესწორდა: ვითამ ათსა. 1581-ე სტროფი: უბრძანა გლოვა გახსენით... მეორე ტაეპში ზეიმი, გასწორდა — ზეიმი; ჩვენის, გასწორდა — ჩვენით. 1582-ე სტროფი: დედოფალმან მათ ცოლ-ქმართა... მეორე ტაეპში: ზედან დასხმა მეფისასა ტახტსა ერთგან გაუპირა, გასწორდა — ზედა ტახტსა მეფისასა ერთგან დასხმა გაუპირა. 1583-ე სტროფში: დედოფალმან შეიმოსა... და 1584-ე სტროფში: ტახტსა ზედან ერთგან მსხდომნი... არსებობის ცვლილებები არ შეტანილა.

კომისიის მორიგ სხდომას (1936, III, 23) დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე და ა. შანიძე (თ-რე). განხილულ და დადგენილ იქნა გაგრძელების 1585—1596 სტროფები.

1585—1588 სტროფები ძირითადად მიიჩნეის. წინააღმდეგი იყო ს. კაკაბაძე.

1585-ე სტროფი: ტარიელს და ცოლსა მისსა... მესამე ტაეპში: პატიჯთა, გასწორდა — პატიჯთა. 1586-ე სტროფი: თვით ორნივე ერთგან მსხდომნი... პირველ ტაეპში: ვნახე, გასწორდა — ჰნახეთ. მეორე ტაეპში: ქოსი, გასწორდა — ქოსნი. 1587-ე სტროფი: ავთანდილ და ფრიდონისთვის... პირველ ტაეპში: ორი ტახტი დაამზადეს, გასწორდა — ორნი ტახტნი დაამზადეს. მეორე ტაეპში: უდიადდეს, გასწორდა — უდიადნეს. მესამე ტაეპში: მათებრი-ლა რად დაბადეს, გასწორდა — მათებრნი-ლა რად დაბადნეს. 1588-ე სტროფი: სმა, ჰურობა, გახარება... პირველ ტაეპში: გაადიდნეს, გასწორდა — გაადიდეს. მესამე ტაეპში: ოთხთავე, გასწორდა — ორთავე. მეოთხე ტაეპში: გლახათათვის, გასწორდა — გლახაკათათვის.

1589 — 1592 სტროფები ჩანართად მიიჩნეის.

1589-ე სტროფი: დედოფალმან ასრე ბრძანა... პირველ ტაეპში: ასრე, გასწორდა — ეგრე. მეორე ტაეპში: ყვალაჯი, გასწორდა — ყველაჯი. 1590-ე სტროფი: ტარიელ თქვა, დედოფალო... არსებითი ცვლილებები არ შეტანილა. 1591-ე სტროფი: დედოფალმან ლმობიერად... პირველ ტაეპში: შეუნდობო, გასწორდა — შეეუნდობო. მესამე ტაეპში: ყოველი, გასწორდა — ყოველით. მეოთხე ტაეპში: მათთა, გასწორდა — მათგან. 1592-ე სტროფი: ოქრო, თვალი, მარგალიტი... მეორე ტაეპში: ყოლგან, გასწორდა — ყოველგან; მოფენილი, გასწორდა — ვითა გოჭი.

1593-ე სტროფი: ავთანდილ და ფრიდონისთა სპათა... ძირითადად იქნა ცნობილი. მეორე ტაეპში: სირცხვილია, გასწორდა სირცხვილი.

1594-ე სტროფი: ავთანდილ და ფრიდონისას... ჩანართად მიიჩნეოს. პირველ ტაეპში: ფრიდონისას, გასწორდა — ფრიდონისთვის. მეოთხე ტაეპში: ხედევდა, გასწორდა — უხმობდა: ღალაფს, გასწორდა — ღალაფს.

1595-ე სტროფი: სრულნი ინდონი. ავთანდილს... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: მხსნელად ხადიან, გასწორდა — მწედ ხადოდან. მეოთხე ტაეპში: სადარბაზებლად, გასწორდა — სადარბაზობლად.

1596-ე სტროფი: ტარიელ რამაზ მეფესა... ჩანართად ცნეს. მეორე ტაეპში: მამკემდი, გასწორდა — მოგვემდი. მეოთხე ტაეპში: მაკეხარია, გასწორდა — მოკეხარია.

კომისიის შემდეგ სხდომას (1936, III, 25) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე და კ. კეკელიძე. განხილულ და დადგენილ იქნა გაგრძელების 1597—1610 სტროფები.

1597-ე სტროფი: ინდოთ მეფე უბრძანებდა... ძირითადად მიიჩნეოს. წინააღმდეგნი იყვნენ კ. კეკელიძე და ს. კაკაბაძე. მეოთხე ტაეპში: ვითა შეილსა, გასწორდა — ტკბილი ტკბილსა.

1598-ე სტროფი: ვინცა გწადდეს ქმრად შეირთე... ძირითადად ცნეს. წინააღმდეგნი იყვნენ ს. კაკაბაძე და კ. კეკელიძე. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ, როგორც ამის წინა, ისე ეს სტროფი ეპეს იწვევს ჭერ ერთი იმის გამო, რომ გაერთიანებულ ინდოეთს ტაროელი აღარავის გაუყოფდა. წინა სტროფში კი ნათქვამია, რომ ინდოეთის მეშვიდე ნაწილს იგი ასმათს აძლევს, მეორეც — სრულიად შეუფერებელია რუსთველისათვის ასეთი აზრი: „მონობისა უკეთესი რამც ვიშოვნე, რამც ვიქონე“. ა. ბარამიძე აღნიშნავს, რომ ზიუეტიურად სტროფები საჭიროა, რადგან ტარიელმა რამე სამაგიერო უნდა გადაუხადოს ასმათს. რაც შეეხება ასმათის მიერ აქ მონობაზე გამოთქმულ აზრს, აქ მონობა ნამდვილ მონობის აზრით არ უნდა გავიგოთ, არამედ მორჩილები აზრით. სტროფში წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

სტროფები: 1598¹: მოახსენა ხელმწიფეო... 1598² კვლაცა უბრძანა... 1598: დამორჩილდა მოახსენა... ჩანართად მიიჩნეოს. ცვლილებები არ შეტანილა.

1599-ე სტროფი: ერთგან სამთავე ძმობილთა... ძირითადად ცნეს. წინააღმდეგი იყო ს. კაკაბაძე. პირველ ტაეპში: დაყვეს ცოტაი ხანია, გასწორდა — დაყვენს ცოტანი დღენია. მეორე ტაეპში: უსახოდ, გასწორდა — უსახო.

1600-ე სტროფი: ტარიელ თქვა, ამა ყმისა... ძირითადად ცნეს. წინააღმდეგნი იყვნენ ს. კაკაბაძე და კ. კეკელიძე. პირველ ტაეპში: თქვა, გასწორდა — ცნა. მესამე ტაეპში: შვილი თუ რვა, გასწორდა — შვილით ურვა, მიღებულ იქნა ი. აბულაძის წინადადების თანახმად. კ. კეკელიძემ წამოაყენა ასეთი წაკითხვა: ქირი შენი გონებან შვილ იურვა.

1601-ე სტროფი: კვლა ფრიდონცა დაეთხოვა... ძირითადად მიიჩნიეს. მესამე ტაეპში: ვით უმრწემსა, გასწორდა — ვითა მრწემსა.

1602-ე სტროფი: მასცა უბოძა ფარმანი... ძირითადად ცნეს. წინააღმდეგნი იყვნენ ი. აბულაძე, ს. კაკაბაძე და კ. კეკელიძე, ი. აბულაძემ წამოაყენა ასეთი თანმიმდევრობა სტროფებისა: 1600 უნდა მისდევდეს 1603, 1604 და ბოლოს 1601. რაც შეეხება 1602-ე სტროფს, მისი მსგავსი სტროფი არის ძირითად ტექსტში და არ შეიძლება მეორე ადგილას გამეორება. ასეთი სტროფია ჩემი გამოცემით 322-ე, სადაც გვხვდება: „რამცა ვით გავიხარეო“ და „მოგელს ლომსა მთვარეო“. კომისიამ ეს აზრი არ გაიზიარა და სტროფი სიუჟეტურად საჭიროდ ღწნო, რადგან უამისოდ შემდეგი სტროფი გაუგებარია. წაკითხვების ცვლილებები არ შეტანილა.

1603-ე სტროფი: როსტენისთვის წაატანა... ძირითადად მიიჩნიეს. წინააღმდეგნი იყვნენ კ. კეკელიძე და ს. კაკაბაძე. კ. კეკელიძე შენიშნავს, რომ „ჩამჩები“ არ შეიძლებოდა ეხმარა რუსთველს, რადგან ეს ისეთი ახალი სიტყვაა, რომ საბასაც კი არ აქვს. ი. აბულაძე აღნიშნავს, რომ ჯამჩა სპარსულ მწერლობაში იხმარება და შესაძლოა აქაც იყოს ხმარებულიო. მესამე ტაეპში: მეუბნები, გასწორდა — მეურჩები.

1604-ე სტროფი: ქალმან ქალსა გაუგზავნა... ძირითადად მიიჩნიეს. წინააღმდეგნი იყვნენ კ. კეკელიძე და ს. კაკაბაძე. პირველ ტაეპში: ქალმან ქალსა, გასწორდა — ქალსა ქალმან. მესამე ტაეპში: წამლებელს, გასწორდა — წამლებელმან. მეოთხე ტაეპში: ჩახედვადე, გასწორდა — შეჰხედვადე.

1605-ე სტროფი: ავთანდილ შეჰდა, წავიდა... ძირითადად ცნეს. წინააღმდეგნი იყვნენ ს. კაკაბაძე და კ. კეკელიძე. მეორე ტაეპში: დაწვა, გასწორდა — დაწვნა.

1606-ე სტროფი: ერთგან ფრიდონ და ავთანდილ... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: იარეს, გასწორდა იარნეს. მეორე ტაეპში: ნახა არ ცუდი, გასწორდა — ნახნა არ ცუდნი. წინააღმდეგი იყო ს. კაკაბაძე.

1607-ე სტროფი: გამოეგებნეს არაბნი... ძირითადად ცნეს. წინააღმდეგი იყო ს. კაკაბაძე. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1608-ე სტროფი: მათ სამთავე ხელმწიფეთა... ძირითადად მიიჩნეს. წინააღმდეგი იყო ს. კაკაბაძე. მესამე ტაეპში: მათის ხრლმითა, გასწორდა — მათთა ხრმალთა.

1609-ე სტროფი: ფრიდონცა ესეა მოყვარედ... ჩანართად ცნეს. მეოთხე ტაეპში: აგულოვნიან, გასწორდა — აგულვანიან.

1610-ე სტროფი: ყოვლთა სწორად წყალობასა... ძირითადად მიიჩნეს. წინააღმდეგი იყო ს. კაკაბაძე. ხელნაწერების მიხედვით კ. კეკელიძემ მესამე ტაეპში კრავნი ცხვართა ვერა სწოვდეს, შეიტანა ასეთი შესწორება: კრავნი კრავთა ვერ უწოვდეს — ესე იგი — ყოველი კრავი თავის დედას სწოვდა და სხვა კრავს ვერ უწოვდაო — შესწორება მიღებულ იქნა.

მორიგ სხლომას (1936, III, 26) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძე და ა. შანიძე. განხილულ და დადგენილ იქნა წაკითხვების მხრივ 1611—1633 დანართი სტროფები.

1611-ე სტროფი: საწუთროო უხანაო... პირველ ტაეპში: უხანაო, გასწორდა — უხანო. 1611¹-ე სტროფი: ესე ამბავი ნარჩოში... ცვლილებები არ შეტანილა. 1612-ე სტროფი: აწ, გონიერო... პირველ ტაეპში: მოსმენით, გასწორდა — თქვენ ჩემნი. მესამე ტაეპში: მას... დავაბარენით, გასწორდა — ჩვენ დავაბარალენით. 1612¹-ე სტროფი: მორკმულია ინდოთ მეფე... ცვლილებები არ შეტანილა. 1612²-ე სტროფი: ბრძანებს, წავალ... მესამე ტაეპში: სუნღული, გასწორდა სონღული. 1612³-ე სტროფი: მათ მოუთხრობს... პირველ ტაეპში: ამფხვრეს, გასწორდა — აფხვრენეს. მეოთხე ტაეპში: მოგონებები. გასწორდა—მუნ მგონებები. 1612⁴-ე სტროფი: ილხენდა და თამაშობდა... მესამე ტაეპში: დაახრჩვეს, გასწორდა—დაახშვეს. 1613-ე: გრძლად ავად გახდა... და 1614-ე: ესმა ხვარაზმშას ამბავი... სტროფებში ცვლილებები არ შეტანილა. 1615-ე სტროფი: მე მასმია, ინდოთ მეფე... მესამე ტაეპში: ამოვსწყვიტნეთ დავარბიენეთ, გასწორდა—ამოვსწყვიტოთ, დავარბიოთ. 1616-ე სტროფი: უტარიელოდ ინდონი... პირველ ტაეპში: ინდონი, გასწორდა—ინდოთა. მეორე ტაეპში: რამაზ, გასწორდა — რამაზს. 1617-ე სტროფი: ჰკადრეს ვაზირთა... ცვლილებები არ შეტანილა. 1618-ე სტროფი: თუ ბრძანოთ, აწვე... პირველ ტაეპში: ლაშქრისა მხმობელი, გასწორდა — ლაშქართა მხმობელნი. მეორე ტაეპში: უხმოთ, გასწორდა — ვეხმნეთ; დამამხობელი, გასწორდა — დამამხობელნი. მესამე ტაეპში: მსწრობე-

ლი, გასწორდა — მსწრობელნი. მეოთხე ტაეპში: ჩვენნი აბჯარნი ზნე სრულნი, გასწორდა — ჩაუქნი, აბჯარ-ზნე-სრულნი; დაუშრობელი, გასწორდა—დაუშრობელნი. 1619-ე სტროფი: აწ მეფე ბრძანებს... მესამე ტაეპში: ნურას, გასწორდა ნუვის. მეოთხე ტაეპში: ვბრწყინვიდეთ, ვართ ვითამც გუნდნია, გასწორდა — გავბრწყინდეთ ვითამცა გუნდია, 1619¹-ე სტროფი: აწ ვუბრძანოთ სპათა... ცვლილებები არ შეტანილა. 1620-ე სტროფი: წავიდა ყველგან ბრძანება... პირველ ტაეპში: ხვარაზმულისად, გასწორდა—ხვარაზმელისად. მეორე ტაეპში: დასაზმულისად, გასწორდა—დასაზმელისად. მეოთხე ტაეპში: სარაზმულისად, გასწორდა — სარაზმელისად. 1620¹-ე სტროფი: ხანი გამოხდა... ცვლილებები არ შეტანილა. 1621-ე სტროფი: აღლუმი ნახა მეფემან... პირველ ტაეპში: ლაშქართა, გასწორდა — ლაშქრისა. 1622-ე სტროფი: ცხენ-კაცისა ანგარიში... მეოთხე ტაეპში: ვაიმე, გასწორდა—რათმე. 1622¹-ე: ხვარაზმით გამოემართა... 1622²-ე: მინდორს ვადგეს ბარგი..., 1623-ე: წავიდეს, მზღვარი დაადგეს..., 1623¹-ე: აპა, სოფელი რათა ჰვავს... და 1624-ე: ესმა ინდოთა მეფესა... სტროფებში ცვლილებები არ შეტანილა. 1625-ე სტროფი: მომკალ, ვინცა ვინ... პირველ ტაეპში: ამა სოფლისგან, გასწორდა — ამ სოფლისგან. 1626-ე სტროფი: მგზავსად იზახდა ტარიელ... პირველ ტაეპში: იზახდა, გასწორდა — იძახდა. 1627-ე წამს შეიყარნეს ინდონი... და 1628-ე: მთა იყო მეტად მალალი... სტროფებში ცვლილებები არ შეტანილა. 1629-ე სტროფი: წინ მოეგებნეს ინდონი... მეორე ტაეპში: სარაკებითა, გასწორდა — სარეკებითა. 1630-ე სტროფი: ცისკრად ჰკრეს ქოსთა... მეოთხე ტაეპში: სიცილით, გასწორდა — ღიმილით. 1630¹-ე: ხვარაზმშ ასრე შეუტივნა., 1631-ე: ხვარაზმმა ვითა შეიბა... 632-ე: მედგრად იბრძოდეს ინდონი... და 1633-ე: ხვარაზმშას სპანი უქანა... სტროფებში ცვლილებები არ შეტანილა.

ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენ კომისიის მორიგ სხდომას (1936, III, 27) დაესწრნენ: ა. ბარამიძე, პ. ინგოროყვა, ს. იორდანი-შვილი, კ. კეკელიძე და კ. ჭიჭინაძე. განხილულ და დადგენილ იქნა გაგრძელების 1633¹—1651⁷ სტროფები.

1633¹-ე: გააქცივნეს, ამოსწყვიტნეს... და 1633²-ე: გაიმარჯვა ხვარაზმელმან... სტროფები ჩანართად მიიჩნიეს. ცვლილებები არ შეტანილა.

1634-ე სტროფი: ტარიელს წინა მივიდეს... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: გარდახვეწილნი, გასწორდა — გაწბილებულნი; გაწბილებულნი, გასწორდა — გარდახვეწილნი.

1635-ე სტროფი: ტარიელ იწვა, სენთაგან... ძირითადად მიიჩნის. ცვლილებები არ შეტანილა.

1636-ე სტროფი: მოვიდეს, გარემოადგეს... კომისიის აზრით არ ჩანს სტროფი ძირითადია თუ ჩანართი. პირველ ტაეპში: გარე, გასწორებულია: ჯარი. მესამე ტაეპში: არბევდეს, გასწორებულია — არლვევდეს.

1637-ე სტროფი: გარეთ ყველანი წააბვნა... ძირითადად ცნეს. ცვლილებები არ შეტანილა.

1637¹-ე სტროფი: რად არ გასინჯავთ სოფელსა... ჩანართად მიიჩნის. მეოთხე ტაეპში: დანა მჭრელობა, დაიწერა — დანამჭრელობა.

1637²-ე სტროფი: ნესტ-დარეჯანის წამწამთათ... ჩანართად მიიჩნის. მეორე ტაეპი: მობრუნდა, ჰკითხა მზემ მორჩმან, ტურფამან ტანად სარომან, გასწორდა — მას ჰკითხა მზემან ტურფამან, მორჩმან და ტანად სარომან. მესამე ტაეპში: დაუყნა, გასწორდა — დაუყვნა.

1637³-ე სტროფი: ჯავრნი ხვარაზმთა ჩვენ ზედა... ჩანართად ცნეს. ცვლილებები არ შეტანილა.

1638-ე სტროფი: ტარიელ ორთა სენთაგან... ძირითადად ცნეს.

1639-ე სტროფი: რაცა პირველ სენი სჯირდა... ძირითადად მიიჩნის. მეორე ტაეპში: შეეწერა, გასწორდა — შეეკერა.

1639¹-ე სტროფი: გვერდსა მიუსვეს მწერალი... ჩანართად მიიჩნის. ცვლილებები არ შეტანილა.

1640-ე სტროფი: კვლა ფრიდონისას გაგზავნეს... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: ქვე ვწევარ, გასწორდა — დამზობით.

1641-ე სტროფი: აწ ვითა გმართებს... ძირითადად მიიჩნის. ცვლილებები არ შეტანილა.

1641¹-1641⁵ სტროფები ჩანართად მიიჩნის.

1641¹-ე სტროფი: არაბთ მეფე მორკმულია... მეორე ტაეპში: მოგოსნები, დაიწერა — მუნ მგოსნები. ა. ბარამიძე მხარს უჭერდა — მოგოსნები-ს დატოვებას. 1641²-ე სტროფი: იბურთის და ითამაშის... მესამე ტაეპში: გარუვარდის, დაიწერა — გარ უარდის. მეოთხე ტაეპში, ბაგეთად, გასწორდა — ბაგეთათ. 1641³-ე სტროფი: სმაჰამა და ნადიმობა... მესამე ტაეპში: მოასვენა, გასწორდა — მოესვენა. 1641⁴-ე სტროფი: რა გარდახდა, გამოვიდა... მეოთხე ტაეპში: უთქვნა, გასწორდა — უქნა. 1641⁵-ე სტროფი: კვლავე ჰკადრეს... ცვლილებები არ შეტანილა.

1642-ე სტროფი: რა ავთანდილ, ფრიდონს... ძირითადად ცნეს, ცვლილებები არ შეტანილა.

1642¹-ე სტროფი: ავთანდილ სულთქვამს... ჩანართად ცნეს. მე-სამე ტაეპში: უსახოთ, გასწორდა — უსახო. მეოთხე ტაეპში: ლახვარი, გასწორდა — ლახვართა.

1642²-ე სტროფი: მართ ავთანდილს ვით ეწყინა... და 1642³-ე სტროფი: თვითო კაცი ერთმანერთსა... ჩანართად მიიჩნიეს. ცვლილებები არ შეტანილა.

1643-ე სტროფი: აწ ავთანდილ ფრიდონს..., 1644-ე სტროფი: მათ ორთავე ზელმწიფეთა უთვალავი..., და 1645-ე სტროფი: მათ ორთავე ზელმწიფეთა, სრულად... ძირითადად მიიჩნიეს. ცვლილებები არ შეტანილა.

1646-ე სტროფი: ინდოეთს მივლენ, ნავითა... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: ზვარაზმშის, გასწორდა — ზვარაზმშას.

1646¹-ე: წავიდეს, რაზმი დააწყევეს..., 1646²-ე: გავიდეს და პირსა დადგეს..., 1646³: გაკრფეს ლაშქარნი ზღვისაგან... და 1646⁴: მივიდა მახარობელი... სტროფები ჩანართად მიიჩნიეს. ცვლილებები არ შეტანილა.

1647—1651 სტროფები ძირითადად ცნეს.

1647-ე სტროფი: გამოვლეს ზღვანი, შოვიდეს... პირველ ტაეპში: ტარიელისსა, გასწორდა — ტარიჭრისა. 1648-ე სტროფი: ნესტან-დარეჯან ტან-სარო... ცვლილებები არ შეტანილა. 1649-ე სტროფი: წინ მოეგება მტირალი... მეოთხე ტაეპში: დარჩეულითა, გასწორდა — დაჩვეულითა. 1650-ე სტროფი: თაყვანი სცეს, უსალამეს... ცვლილებები არ შეტანილა. 1651-ე სტროფი: მოიტირეს მათ ლომ-კაცთა... ცვლილებები არ შეტანილა.

1651¹-ე სტროფი: ნესტან-დარეჯან ტან-სარო... და 1651²-ე სტროფი: სისხლის ცრემლითა მტირალი... ჩანართად მიიჩნიეს. ცვლილებები არ შეტანილა.

1651³-ე სტროფი: გამოვლნეს ზღვანი... ამოღებულ იქნა მთლიანად, (იხ. 1647-ე სტროფი).

1651⁴-ე: ტარიელის ნახვისათვის..., 1651⁵: ტარიელ მათა უჩივის... 1651⁶-ე: ესმა ზვარაზმთა მფლობელსა... და 1651⁷-ე: სოფელო, ვისთა სისხლთა სვამ... სტროფები ჩანართად მიიჩნიეს. ცვლილებები არ შეტანილა.

კომისიის მორიგ სხდომას (1936, III, 28), დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე და პ. ქაქელიძე. განხილულ და დადგენილ იქნა გაგრძელების 1652 — 1679 სტროფები.

1652—1660 სტროფებში ცვლილებები არ შეტანილა.

1652-ე სტროფი: ვით დაწწერო... ძირითადად მიიჩნიეს.

1652¹-ე სტროფი: აწ ასმათი მიეგებვის... და 1652²-ე სტროფი: კვლა მოიკითხეს ასმათი... ჩანართად ცნეს.

1653-ე სტროფი: ხელი ჰყვეს, გვერდსა მიუსხეს... ძირითადად მიიჩნიეს.

1653¹-ე სტროფი: აღლუმი ვნახეთ... ჩანართად ცნეს.

1654-ე სტროფი: სამთა მეფეთა დროშები... ძირითადად მიიჩნიეს.

1654¹-ე სტროფი: ცისკრად შეიქნა ზმა ბუკთა... ჩანართად მიიჩნიეს.

1655-ე სტროფი: გაემართნეს — სამესისხლოდ... ძირითადად ცნეს.

1655¹-ე სტროფი: წავიდა კაცი საცნობლად... ჩანართად ცნეს.

1656-ე სტროფი: ზვარაზმშას ესმა ამბავი... ძირითადად მიიჩნიეს.

1656¹-ე სტროფი: რა ლაშქარნი მოუვიდეს... და 1656²: კვლავ ზვარაზმთა ემთხვივა... ჩანართად მიიჩნიეს.

1657-ე წინ მოეგება ზვარაზმშა..., 1658-ე ამას იზახდა ზვარაზმშა..., 1659-ე: უკან მისდევენ ზვარაზმშას... და 1660-ე: დროშა ინდოთა მეფისა... სტროფები ძირითადად ცნეს.

1661-ე სტროფი: გარეთ ყოველგან ოხრად ქნეს... ძირითადად მიიჩნიეს. მესამე ტაეპში: უთქვამი, გასწორდა — უთქმელი.

1661¹-ე სტროფი: ტარიელ ადგა სენთაგან... და 1661²-ე სტროფი: მკურნალთა მადლი უბრძანა... ჩანართად ცნეს. ცვლილებები არ შეტანილა.

1662-1679 სტროფები ძირითადად მიიჩნიეს.

1662-ე სტროფი: ამა შიგან ტარიელცა... მეოთხე ტაეპში: გაპატიჯულ, გასწორდა — გაპატიჯულ. 1663-ე სტროფი: უბრძანა ზმობა ლაშქართა... ცვლილებები არ შეტანილა. 1664-ე სტროფი: ცისკრად იკრეს ნობ-დაბდაშა... მეოთხე ტაეპში: სისხლსა, გასწორდა — სისხლთა. 1665-ე სტროფი: მოვიდა მახარობელი... მეორე ტაეპში: მისთვის, გასწორდა — მისად. 1666-ე სტროფი: გმირნი ნაომარ მნათობნი... მეოთხე ტაეპში: შანაზარითა, გასწორდა — შენაზარითა. 1667-ე სტროფი: მიეგებნეს, უსალამეს... ცვლილებები არ შეტანილა. 1668-ე სტროფი: ტარიელ ნახა ქალაქი... ცვლილებები არ შეტანილა. 1669-ე სტროფი: ზვარაზმშას ესმა, ტარიელ... მეოთხე ტაეპში: აბჯართა, გასწორდა — აბჯარს. 1670-ე სტროფი: ვაზირსა

ჰრქვა... ცვლილებები არ შეტანილა. 1671-ე სტროფი: ხვარაზმმა თქვა, რად დამიშლი... მეოთხე ტაეპში: თავსა, გასწორდა — ლარნი. 1672-ე სტროფი: აწ ვაზირი თარა... მეოთხე ტაეპში: და სალამოდ, დაიწერა — დასალამოდ. 1673-ე სტროფი: მე დია ვიცი... მეოთხე ტაეპში: ასვია, გასწორდა — გასვია; მორევით, გასწორდა — მორე ვით. 1674-ე სტროფი: თქვენ წაგივლია წინასი... მეორე ტაეპში; ერთი, გასწორდა — თეთრი. 1675-ე სტროფი: რა გათავდა ვაზირობა... ცვლილებები არ შეტანილა. 1676-ე სტროფი: ჰკადრა ვაზირმან, მეფეო... მეორე ტაეპში: ვიცოდი, გასწორდა — ვიცოდე. 1677-ე სტროფი: აწ რადგან აღარ დაიშლი... პირველ ტაეპში: რადგან, გასწორდა რათგან.

1678-ე სტროფი: დაასკენეს ესე თათბირი... ცვლილებები არ შეტანილა. 1679-ე სტროფი: სხვა სპა მრავალი ქვეითი... მეორე ტაეპში: ზღუდეთად, გასწორდა — ზღუდეთათ.

შემდეგ სხლომას. (1936, III, 29) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე და კ. კეკელიძე, განხილულ და დადგენილ იქნა გაგრძელების 1680—1709 სტროფები.

1680-ე სტროფი: რას ვაგრძელებდე, დაესხნეს... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: შემოტევება, გასწორდა — შემოკვივილი. მესამე ტაეპში: მინაწლომითა, გასწორდა — მონაწლომითა.

1681-ე სტროფი: ეტყვის ტარიელს... ძირითადად მიიჩნიეს. ცვლილებები არ შეტანილა...

1682-ე სტროფი: რა ესმა ესე ზახილი... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: ადგეს, ვითამცა, გასწორდა — ადგომილ იყვნეს.

1682¹-ე სტროფი: ფიცხლა მიჰმართა... ჩანართად ცნეს. პირველ ტაეპში: ზვარაზმიშ, გასწორდა — ზვარაზმშამ.

1683-ე სტროფი: კვლა მათნი სპანი... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: კვლა მათნი, გასწორდა — მათ ლომთა. მეორე ტაეპში: ხაფად, გასწორდა — ცქაფად.

1683¹-ე სტროფი: იგ სამნივე ხელმწიფენი... ჩანართად ცნეს. მეოთხე ტაეპში: ვიხმარენით, გასწორდა მოვიხმარნეთ.

1683²-ე სტროფი: აწ უყურეთ თქვენ... ჩანართად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: სწყვეტის, გასწორდა — სწყვეტდის.

1684-ე სტროფი: ერთკენ ავთანდილს და ფრიდონს... და 1685-ე სტროფი: ტარიელ ნახა ზვარაზმშა... ძირითადად ცნეს. ცვლილებები არ შეტანილა.

1685¹-ე სტროფი: ესმა მუქარა მეფისა... ჩანართად მიიჩნიეს.

1685²-ე სტროფი: შეიქნა ომი ფიცხელი... ჩანართად ცნეს. მესამე ტაეპში: კილია, დაიწერა — კი ღია.

1686-ე სტროფი: შუბნი შემოსცნა ხვარაზშმა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: შუბნი შემოსცნა, გასწორდა — შუბი შემოსცა.

1687-ე სტროფი: ტარიელ ცხენი ხვარაზშმას... ძირითადად მიიჩნიეს. ცვლილებები არ შეტანილა.

1687¹-ე სტროფი: მიუხდა, ხმალი გარდაჰკრა... და 1687² — სტროფი: მიკვირს, თუ რად არ გრცხვენიან... ჩანართად მიიჩნიეს. ცვლილებები არ შეტანილა.

1688-1709 სტროფები ძირითადად ცნეს.

1688-ე: დაშვრა, მისკირდა მარტოსა..., 1689-ე: ტარიელ ნახა ხვარაზშმა... და 1690: მოვიდა, გააშეებინა... სტროფებში ცვლილებები არ შეტანილა. 1691-ე სტროფი: მობრუნდეს გამარჯვებულნი... მეორე ტაეპში: ხეთასა, გასწორდა — ტყეთასა. 1692-ე: გამოისვენეს მაშვრალთა..., 1693-ე: დილასა ფრიდონ, ავთანდილ... 1694: ვინათგან ღმერთმან პატივი... და 1695-ე: ტარიელ გასცა პასუხი... სტროფებში ცვლილებები არ შეტანილა. 1696-ე სტროფი: შევიდეს, ნახეს ტარიელ... მეოთხე ტაეპში: დაუსხეს, გასწორდა — დაუსხდეს. 1697-ე: მერმე ჰკადრეს ჰე..., 1698-ე: თუ გასმიოდა ტარიელ... და 1699-ე: ხვარაზშმა წყნარნი სიტყვანი... სტროფებში ცვლილებები არ შეტანილა. 1700-ე სტროფი: ოდეს ძე ჩემი ეთხოვა... პირველ ტაეპში: სასიძოთ, გასწორდა — სასიძოდ. 1701-ე სტროფი: მართებდა, თუმცა ტარიელს... ცვლილებები არ შეტანილა. 1702-ე სტროფი: თუ მაშინ არ დამეშალა... მეორე ტაეპში: ვაბრალობ, გასწორდა — ვაბრალებ. 1703-ე: ეს ასრე იყო..., 1704-ე: თავმან თქვენმან, თუ მოგვისმენ... და 1705-ე: ხვარაზშმა ბრძანებს... სტროფებში ცვლილებები არ შეტანილა. 1706-ე სტროფი: ადგეჲს ფრიდონ და ავთანდილ... მეორე ტაეპში: ყოველი, გასწორდა — ყველი... 1707-ე სტროფი: შიგნით შეჰყვილეს... ცვლილებები არ შეტანილა. 1708-ე სტროფი: გამოვიდა თარა ბრძენი... მეოთხე ტაეპში: თქვა ღმერთო, გასწორდა — თქვა თუ, ღმერთო. 1709-ე სტროფი: თაყვანი სცა, მერმე ყელსა... ცვლილებები არ შეტანილა.

მორიგ სხდომას (1936, IV, 1) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძე და ა. შანიძე (თრე). განხილულ და დადგენილ იქნა გაგრძელების 1710—1721¹⁸.

1710—1719 სტროფები ძირითადად მიიჩნიეს.

1710-ე სტროფი: დასხდეს მეფე და ვაზირი... მეოთხე ტაეპში: მას ძნელსა სააარაკოსა, გასწორდა — შაგ ძნელსა სავაზიროსა.

1711: ვაზირი ჰკადრებს... და 1712-ე მეფემან ბრძანა... სტროფებში ცვლილებები არ შეტანილა.

1713-ე სტროფი: ვაზირმან ჰკადრა.. მეორე ტაეპში: აქამლი, გასწორდა აქამლის.

1714-ე სტროფი: სისხლი გაუშვა ხვარაზმშა... ცვლილებები არ შეტანილა.

1715-ე სტროფი მივა ტარიელ მოყვისითა... მესამე ტაეპში: იტყვის თუ, ვერ გარდავიხდი მე ვალსა თქვენსა დალითა, გასწორდა — იტყვის, გარდავიხდი მე ვალსა მათ ვერას ვერ წადილითა.

1716-ე სტროფი: წამოვიდეს მხიარულნი... ცვლილებები არ შეტანილა.

1717-ე სტროფი: მოვიდეს მოქალაქენი... მეორე ტაეპში: შენაზარითა, გასწორდა — შენათხზარით. მესამე ტაეპში: წყაზარითა, გასწორდა — მწყაზარითა. მეოთხე ტაეპში: ვერცა ზარითა, გასწორდა — ვერც აზარითა. ა. ბარამიძე მხარს უჭერდა „პაზარითა“-ს.

1718-ე სტროფი: რად ვაგრძელებდე... მეოთხე ტაეპში: ველთა, გასწორდა — ხმელთა. 1719-ე სტროფი: აავსნა მისაცემლითა... ცვლილებები არ შეტანილა.

1719¹-ე სტროფი: მოვიდეს, მათი ქვეყანა... ჩანართად ცნეს. ცვლილებები არ შეტანილა.

1720-ე სტროფი: ეს ამბავი დარჩომოდა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: სარგის, გასწორდა — სარგისს. მეორე ტაეპში: ზერზე, გასწორდა — აგრე. მესამე ტაეპში: მე ვნახე და მას ვუჩვენი, გასწორდა — ესე სიტყვა მოაქსენეს.

1721-ე სტროფი: ერთმანეთისა მეშველთა... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: ერთმანეთისა, გასწორდა — ერთმანეთისა; მებრძოლი, გასწორდა — მებრძოლნი. მეოთხე ტაეპში: აგულოვნიან, გასწორდა — აგულვანიან.

1721¹-1721¹⁸ სტროფები ჩანართად ცნეს.

1721¹-ე: ყოვლთა სწორად წყალობასა... მესამე ტაეპში: ვერა სწოვდეს, გასწორდა — ვერ უწოვდეს; შესწორების წინააღმდეგი იყო ი. აბულაძე. 1721²-ე: დავითის ქართველთ მეფისა..., 1721³-ე: მე ვთქვი ქება თამარისა..., 1721¹-ე (იზ): ზანი გარდახდა, მოვიდა..., 1721²-ე (იზ): ღმერთს ერთ ქალყმანი..., 1721³, (იზ): შეიღთა სამეფო თავადნი... და 1721⁴ — (იზ): სოფელი არვის დაინდობს... სტროფებში ცვლილებები არ შეტანილა. 1721⁸-ე (იზ): სტროფი: აწ მე

მივალ... მესამე ტაეპში: აქვითკირე, გასწორდა — აქვითკირე. 1721⁶-ე (იზ): უხვად გაეცი მრავალი..., 1721⁷-ე (იზ): ხუთს დღესა ლხინი..., 1721⁸-ე (იზ): ყოველს კვირასაა ლოცვასა... და 1721⁹-ე (იზ): თუ შორიდან მოგივიდეს... სტროფებში ცვლილებები არ შეტანილა. 1721¹⁰-ე (იზ): მოგილოცონ პატრონობა... მეოთხე ტაეპში: მოგეგცევის, გასწორდა — მოგეგქცევის. 1721¹¹-ე (იზ): ეს ანდერძი გაათავა..., 1721¹²-ე (იზ): სრულ ინდოთა თავადებთა..., 1721¹³-ე (იზ): ანადირებდეთ, ასწავლდეთ..., 1721¹⁴-ე (იზ): მერმე შვილსა მიაბარა..., 1721¹⁵-ე (იზ): ვინ იცის, თუ..., 1721¹⁶-ე (იზ): გახსოვს ყმანო..., 1721¹⁷-ე (იზ): გამოესალმა ჯარსა და შვილსა... და 1721¹⁸-ე (იზ): დაახალვათა მეფემან სადგომი... სტროფებში ცვლილებები არ შეტანილა.

შემდეგ სხდომას (1936, IV, 2) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძე და ა. შანიძე (თ-რე). განხილულ და დადგენილ იქნა გაგრძელების 1722—1729¹ სტროფები.

1722-ე სტროფი: აჰა მოგესმის სოფლისა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: მოგესმის, გასწორდა — მოგესმნეს. მეორე ტაეპში: ძნელი ანდერძი, გასწორდა — ძნელნი ანდერძნი.

1723-ე სტროფი: გხადი, ყოველნო სულდგმულნო... ძირითადად მიიჩნიეს. ცვლილებები არ შეტანილა.

1723¹-ე სტროფი: ეს ერთ გაუშვით... ჩანართად მიიჩნიეს. ცვლილებები არ შეტანილა.

1724-ე სტროფი: შემომერტყენით მიდამო... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: ერდოთა, გასწორდა — ერდოთათ. მესამე ტაეპში: მომეკარენით, დაიწერა — მომეკარ ენით. მეოთხე ტაეპში: მომეკარენით, დაიწერა — მო მეკარენით.

1724¹- სტროფი: გულისხმა ყვენი... ჩანართად მიიჩნიეს. მეოთხე ტაეპში: ცხელებთა, გასწორდა — ცხელებსა.

1725-ე სტროფი. მე ვიყავ მეფე ეგეთი... ძირითადად ცნეს. ცვლილებები არ შეტანილა.

1726-ე სტროფი: ადამის თესლი სხვა ერთი... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: მჯობდეს, გასწორდა — მჯობდა. მესამე ტაეპში: მამიახლა, გასწორდა — მომეახლა.

1727-ე სტროფი: ნუ მიენდობით სოფელსა... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: უთვალთა, დაიწერა — უ თვალთა. მესამე ტაეპში: ნაკუთალთა, გასწორდა — ნაკუთნალთა.

1727¹-ე სტროფი: ესე დღე ყოვლთა ზედა... ჩანართად ცნეს. ცვლილებები არ შეტანილა.

1728-ე სტროფი: ყოველნი დაეხსოვებით... ძირითადად მიიჩნეის. პირველ ტაეპში: და რამად, დაიწერა — დარამად.

1728¹ — 1728⁶ სტროფები ჩანართად მიიჩნეის.

1728¹-ე სტროფი: ვერათ მორჩებით, უწყოდეთ.. ცვლილებები არ შეტანილა.. 1728²-ე სტროფი: აღარას გვარგებს ტირილი... მესამე ტაეპში: აქა არ, გასწორდა — აქ არას. 1728³-ე სტროფი: თქმულ არს, სიკვდილი... ცვლილებები არ შეტანილა. 1728⁴-ე სტროფი: სოფელი ამად გვადორებს... მეორე ტაეპში: ეს რამინისა, გასწორდა — ესრა მინისა. 1728⁵-ე სტროფი: არ ღვაგითავდეს არავის... ცვლილებები არ შეტანილა. 1728⁶-ე სტროფი: თქვენცა ისმინეთ... მესამე ტაეპში: მშვი ნაშნო, ძმაო და მადიდებელნო, გასწორდა — მშვი-ნაშვნო, ძმანო და მდადე-დებულნო (ე. ი. მდადედ მიჩნეულნო); შესწორება წარმოადგინა კ. კეკელიძემ. 1728⁷-ე სტროფი: იყვენით მართლმსაჯულობით... მეორე ტაეპში: მტკიცობით... დამარხველობით, გასწორდა — მტკიცობით... დამმარხველობით. მეოთხე ტაეპში: არა ხველობთ, დაიწერა — არ, ახ, ველობით. 1728⁸-ე სტროფი: მიუნდობელო სოფელო... მესამე ტაეპში: ხანათობ, დაიწერა — ხან ათობ. მეოთხე ტაეპში: მუხანათობ, დაიწერა — მუხა ნათობ.

1729-ე სტროფი: უხვავიშნო, წყეულო... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: მომკალო, დაიწერა — მო, მკალო. მეოთხე ტაეპში: მე დამთმო მკალო, დაიწერა — მე დამთმოზ, კალო; შესწორება წარმოადგინა ს. იორდანიშვილმა.

1729¹-ე სტროფი: მოდით, მომიზღეთ, მიჯნურნო... ჩანართად მიიჩნეის. პირველ ტაეპში: ისეხენითა, გასწორდა — მიისხენითა.

შემდეგ სხდომას (1936, IV, 3) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე და კ. კეკელიძე. განხილულ და დადგენილ იქნა გაგრძელების 1729²—1731³⁴ — სტროფები:

1729²—1729⁵ სტროფები ჩანართად მიიჩნეის.

1729²-ე სტროფი: ველარ ვმლიქვენლობთ... ცვლილებები არ შეტანილა.

1729³-ე სტროფი: აწ მშვიდობითმც არს... პირველ ტაეპში: დამადინაო, დაიწერა — და მადინაო (ე. ი. სჯულმიდვა-დინ-იდან), ასეთი გააზრება წამოაყენა ა. ბარამიძემ. მეორე ტაეპში: დამადინაო, დაიწერა — და მადინაო (მადინა — ქალაქი).

1729⁴-ე: თქვენცა მშვიდობით პატრონნო... და 1729⁵-ე: თქვენცა მშვიდობით, მშობელნო... სტროფებში ცვლილებები არ შეტანილა.

1730-ე სტროფი: ვაიმე დაიხსნეს კავშირნი... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: ვაიმე, დაიწერა — ვამე.

1730¹ — 1730¹³ სტროფები ჩანართად მიიჩნიეს..

1730¹-ე: უჩემოდ დაჰნი...; 1730²-ე: ჩემი გარდახდა, სურვილო...; 1730³-ე: აწ ეს ვითხოვო...; 1730⁴-ე: სული, რომელი აწ ჩემ-ჯან...; 1730⁵-ე: აწ სააჯოსა ღმრთისაგან...; 1730⁶-ე: აწ გაახვენიტ სა-ტირლად...; 1730⁷-ე: ესე წესია სოფლისა... და 1730⁸-ე: ესე ისმი-ნეთ ყოველთა... სტროფებში ცვლილებები არ შეტანილა.

1730⁹-ე სტროფი: ანდერძი სრულყო... მეორე ტაეპში: მოსთქე-ამდა, გასწორდა—მოსთქმიდა. 1730¹⁰-ე სტროფი: ჰვეანდეს, დაბ-ნელდეს თუ მზენი... მეორე ტაეპში: ნილოსა გასწორდა: ნილოსა.

1730¹¹-ე: მტირალთა, პირდახოკილთა...; 1730¹²-ე: მდულრად ტიროდეს შვილნიცა... და 1730¹³-ე: ძე მამას მწარედ მოსთქმიდა... სტროფებში ცვლილებები არ შეტანილა.

1731-ე სტროფი: მალორებლისა, მუხთლისა... ძირითადად ცნეს. ცვლილებები არ შეტანილა.

1731¹—1731³⁴ სტროფები ჩანართად მიიჩნიეს.

1731¹-ე სტროფი: აწ მომისმინეთ ყოველთა... მეორე ტაეპში: თქემისანი, გასწორდა — თქმისანი. მეოთხე ტაეპში: დაიხზნეს, გას-წორდა — დაიხსნეს; ძვრისანი, გასწორდა — ძრვისანი. 1731²-ე სტროფი: სიყმის დროს ველთა... ცვლილებები არ შეტანილა. 1731³-ე სტროფი: რა ვუყავ რამაზ მეფესა... მეორე ტაეპში: გავს-წყვიტე, გასწორდა — გავსწყვიტენ. მესამე ტაეპში: ძალათ, გასწორ-და — ძალად. 1731⁴-ე სტროფი: ლხინი შეეჰნი და ვიშვებდი... ცვლი-ლებები არ შეტანილა.

1731⁵-ე სტროფი: თვალნი დაბნელდეს... მეოთხე ტაეპში: უარ უარდა, დაიწერა — უარ-უარ-და. 1731⁶-ე სტროფი: თქვა თუ, გამწირა სოფელმან... პირველ ტაეპში: სულები, დაიწერა — სულ ები. 1731⁷-ე: რაცა მემართა, მიიწყო...; 1731⁸-ე: სახლო, დაგაგდეკ უმკვიდროდ... და 1731⁹-ე: რაცა მე მიყო მუხთალმან... სტროფებში ცვლილებები არ შეტანილა.

1731¹⁰-ე სტროფი: აღარ დამინდო სოფელმან... მეორე ტაეპში: ნუ მიყოლიხარ, გასწორდა — ნუ მიყოლიხართ. მესამე ტაეპში: საკვლავად, გასწორდა — საკლვად. 1731¹¹-ე სტროფი: ფრიდონ, მტი-როდი პირველ მე... ცვლილებები არ შეტანილა. 1731¹²-ე სტროფი: ძეთა შეგვედრებ... მეორე ტაეპში: ნაწვართა, გასწორდა—ნაწვართ-თა. 1731¹³-ე სტროფი: ამ სოფლისაგან წასვლისთვის... მესამე ტა-ეპში: შამა თქიში, დაიწერა — მამათ ჭიში. 1731¹⁴-ე სტროფი: სულთ

აღმოსვლის დროს... მეოთხე ტაეპში: დაიგლეჯს, გასწორდა — დაიგ-
ლიჯეს. 1731¹⁵-ე სტროფი: რაცა სოფელმან წყულულები... მეოთხე
ტაეპში: დასაღნოდ, დაიწერა — და საღნოდ. 1631¹⁶-ე სტროფი:
მხეცთა-ვსვრიდი... მეორე ტაეპში: განაკრავი, დაიწერა—განა კრავი.
მეოთხე ტაეპში: თვალგუარი, გასწორდა — თვალგოარი. 1731¹⁷-ე
სტროფი: შვილო სარიდან... მეორე ტაეპში: შენამე, დაიწერა —
შენა მე.

1731¹⁸-ე: სიცოცხლესაც ბევრი მსაჯა..., 1731¹⁹-ე: სიკვ-
დილო, რისთვის არ მომკალ..., 1731²⁰-ე: სიკვდილი მწვეს და მპატი-
ვობს..., 1731²¹-ე: ის დღე გიჯობდა..., 1731²²-ე: ნესტან-დარეჯან
ატირდა..., 1731²³-ე: რა დავიბადე..., 1731²⁴-ე: გამარჯვებული მოვი-
და..., 1731²⁵-ე: მეფე გაუწყრა დას დავარს..., 1731²⁶-ე: ქაჯთაგან
ფატმან წამგვარა..., 1731²⁷-ე: წაველ, გზაზე დამიჭირეს..., 1731²⁸-ე:
წამიყვანეს, ქაჯნი ხოცეს..., 1731²⁹-ე: წამოველ, მოველ ინდოეთს...,
1731³⁰-ე: აწ თან მივლევ მე ტარიელს..., 1731³¹-ე: უამმან ჩემმან
უხანომან..., 1731³²-ე: აწ დავმიწლები, წახდების... და 1731³³-ე: სო-
ფელს მივენდევ მეგონა... სტროფებში ცვლილებები არ შეტანილა.

1731³⁴-ე: მივალ და მართლად არ ვიცი... მეორე ტაეპში: გზენ-
ბისა, გასწორდა — გზებისა.

მორიგ სხდომას (IV, 4) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე,
პ. ინგოროყვა, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძე და კ. ჭი-
ჭინაძე.

განხილულ და დადგენილ იქნა გაგრძელების 1732—1742³⁰
სტროფები:

1732—1742 სტროფები ძირითადად მიიჩინეს.

1732-ე სტროფი: რადგან სწორად გარდახდების... პირველ ტა-
ეპში: ვინა, დაიწერა — ვინ ა. მესამე ტაეპში: წასვლა, გასწორდა —
წასვლა.

1733-ე: ამა ჩემსა გაზრახულსა..., 1734-ე: ერთი ყმა და ერთი
ქალი..., 1735-ე: დღენი მათნი წაიარეს..., 1736-ე: სოფელს მყოფსა
ყველაკასა... და 1737-ე: ტარიელ და ცოლმან მისმან... სტროფებში
ცვლილებები არ შეტანილა.

1738-ე სტროფი: ისმინეთ, ძენო კაცთანო... მესამე ტაეპში: ავ-
თანდილისა, დაიწერა — ავთან დილისა. 1739-ე სტროფი: რა მიეაბ-
ლა სიკვდილად.. პირველ ტაეპში: ხდამა, გასწორდა — ხდომა. მე-
ორე ტაეპში: და მა სულითა, დაიწერა — დამასულითა. მესამე ტა-
ეპში: დამან სულითა, გასწორდა — დამასულითა.

1740-ე; რაზომც გამეფდა..., 1741-ე: სიკაბუკისა ყვავილი... და 1742-ე: იგიმცა კაცი კრულია... სტროფებში ცვლილებები არ შეტანილა.

1742¹—1742³⁰ სტროფები ჩანართად მიიჩნიეს.

1742¹-ე სტროფი: შეიწყნარენით, ნაარსნო... მეორე ტაეპში: არ აესა, გასწორდა — არაესა. 1742²-ე სტროფი: მიჯნურობისა სახმილმან... პირველ ტაეპში: ანაგზემანდა, დაიწერა — ანაგზემან და. მეორე ტაეპში: მზემანდა, დაიწერა — მზემან და. მესამე ტაეპში: მონაზემანდა, დაიწერა — მონაზემან და. 1742³-ე სტროფი: მტიროდით თქვენთვის დამწვარსა... და 1742⁴: თინათინ პირველ სურვილი... სტროფებში ცვლილებები არ შეტანილა.

სტროფები 1742⁵—1742¹¹ ჩანართებად მიიჩნიეს და აღინიშნა, რომ ისინი წარმოადგენენ 1730¹—1730⁷ სტროფების გამეორებას.

1742¹²-ე: ავთანდილ გვადრო..., 1742¹³-ე: ჩემსა ნახესა ნატრობენ..., 1742¹⁴-ე: წაველ, ვისთვისცა ხელ იყო... და 1742¹⁵-ე: არაბთ ქვეყანას გამეფდი... სტროფებში ცვლილებები არ შეტანილა. 1742¹⁶-ე სტროფი: სიკვიდისა მივჰყავ სადგომლად... მესამე ტაეპში: ზროება, დაიწერა — ზრო ება. 1742¹⁷-ე სტროფი: ნუ ვის გგონია... მეორე ტაეპში: ნებითა, გასწორდა — ვნებითა. 1742¹⁸-ე: თავზედან, თამანო, აფოლხედით... და 1742¹⁹-ე: ძოწნო და იავ გალურჯდი... სტროფებში ცვლილებები არ შეტანილა. 1742²⁰-ე სტროფი: მკლავნო, რომელსა ადვილ გჩნდა... მესამე ტაეპში: ხო წვევა, დაიწერა—ხოწვევა. 1742²¹-ე სტროფი: მუხლნო, ვით გქონდა... ცვლილებები არ შეტანილა. 1742²²-ე სტროფი: ჯაქვნო, რომელსა ვერ გტეხდა... მეორე ტაეპში: აყენა, გასწორდა—აყენე, 1742²³—სტროფი: რად მოვსთვალო... მეოთხე ტაეპში: დავენგვთქამს, გასწორდა — დვეგვთქამს. 1742²⁴-ე სტროფი: ვინ არ შესჯერდეს... ცვლილებები არ შეტანილა. 1742²⁵-ე სტროფი: ხორცნი დაიხსნეს... მეოთხე ტაეპში: შესამშლელები, გასწორდა — შესამშლელები. 1742²⁶-ე სტროფი: გებრალეზოდე ყოველთა... მეოთხე ტაეპში: შეცენენი, გასწორდა — შემცენენი. 1742²⁷-ე სტროფი: შერმადინ, ჩემო თანზრდილო... მეორე ტაეპში: ცვლია, გასწორდა — მცველია. 1742²⁸-ე სტროფი: გახსოვს, როსტევან... მესამე ტაეპში: მაშინ, გასწორდა — მე შენ; მარტო მოცისა, დაიწერა — მარტომ ოცისა. 1742²⁹-ე: შენცა მსწრებიხარ თანხლებრით... და 1742³⁰-ე: ტარიას ძებნად მოვლახე... სტროფებში ცვლილებები არ შეტანილა.

მორიგ სხდომას (IV, 5) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, პ. ინგოროყვა, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე, ა. შანიძე (თ-რე) და

4. კიპინაძე. განხილულ და დადგენილ იქნა გაგრძელების 1742³¹—1756¹ სტროფები:

1742³¹—1742³⁸ სტროფები ჩანართად მიიჩნის.

1742³¹-ე სტროფი: მოდით, მოყვარნო, მტიროდით... პირველ ტაეპში: ცრემლ დენით, დაიწერა — ცრემლთდენით. 1742³²-ე სტროფი: ფრიდონ, გნახე, მაშინ იციან... მესამე ტაეპში: მოკლა, გასწორდა — მოკლვა. მეოთხე ტაეპში: მოგეწონა, გასწორდა — მოგაშურე. 1742³³-ე სტროფი: დამხვდა კარგა, ბევრი მომეც... ცვლილებები არ შეტანილა. 1742³⁴-ე სტროფი: რაცა ვქენით, ყველა იცი... მეორე ტაეპში: სულნი, გასწორდა — სული. 1742³⁵-ე სტროფი: ოდეს ტარიელ დამარხო... მეორე ტაეპში: თინათინს, გასწორდა — თინათინ. მეოთხე ტაეპში: უნდით, გასწორდა — ვუნდიდ. 1742³⁶-ე სტროფი: ვიცი რომ შენცა დაბერდი... მეორე ტაეპში: ხანია, დაიწერა — ხან ია. 1742³⁷-ე სტროფი: ძეთა შენთა ესე უთხარ... მეორე ტაეპში: ძმისგან, გასწორდა — ძმისგანც. 1742³⁸-ე სტროფი: კარგნი ყოფილხართ სამნივე... პირველ ტაეპში: დევი, გასწორდა — დეენი, მეორე ტაეპში: ძალგული, გასწორდა — ძალგულნი.

1743—1755 სტროფები ძირითადად ცნეს.

1743-ე სტროფი: აზომ არ არის... მეოთხე ტაეპში: ჩანს, გასწორდა — უჩს. 1744-ე სტროფი: ავთანდილ და ცოლმან მისმან... მესამე ტაეპში: ბროლ ბალახშნი, დაიწერა — ბროლ-ბადახშნი. 1745-ე სტროფი: ავთანდილ და ცოლმან მისმან... მესამე ტაეპში: შეიერთნეს, გასწორდა — შეაერთნეს. მეოთხე ტაეპში. მიიახლნეს, გასწორდა — მიეახლნეს; ერთად, გასწორდა — ერთსა. 1746-ე სტროფი: ვინცა კრავნი იგაკრავნა... ცვლილებები არ შეტანილა. 1747-ე სტროფი: მითქვამს და კვლავ ვთქვა... მეორე ტაეპში: ამბავი, გასწორდა — ამბავთა. მესამე ტაეპში: ნათობა, გასწორდა — მნათობა. 1748-ე სტროფი: მოვიდა ფრიდონ ტირილად... და 1749-ე სტროფი: ტაგრუცსა მიჯდა, მოსტქმიდა... ცვლილებები არ შეტანილა. 1750-ე სტროფი: თქვა მეტად კარგნი სიტყვანი... პირველ ტაეპში: თქვა, გასწორდა — თქვნა. 1751-ე სტროფი: რაზმთა მღეწელნო... მეორე ტაეპში დამნაძლეველნო, გასწორდა — დამაძლეველნო. 1752-ე სტროფი: თქვენებრ ტახტსა ვინ დაჯდების... მეოთხე ტაეპში: ცოცხალი მე, გასწორდა — ან ცოცხალი. 1753-ე სტროფი: თინათინს, ნესტან დარეჯანს... მესამე ტაეპში: ბროლ-ბალახში, გასწორდა — ბროლ-ბადახში. 1754-ე სტროფი: ფრიდონ მოსტქმიდა ითხთავე... მეოთხე ტაეპში: გამა, გასწორდა — მგამა. 1755-ე სტრო-

ფი: ნურადინ ფრიდონ მოსთქვმიდა... პირველ ტაეპში: მოსთქვმიდა, გასწორდა — მოსთქვმიდა.

1755¹-ე სტროფი: თინათინს ნესტან-დარეჯანს... ჩანართად ცნეს. ცვლილებები არ შეტანილა.

1756-ე სტროფი: ამის თანითა სიტყვითა... ძირითადად მიიჩნიეს. მესამე ტაეპში: იცვმიდა, გასწორდა — იცმიდა. მეოთხე ტაეპში: ირქვმიდა, გასწორდა — ირქმიდა.

1756¹-ე სტროფი: შინა მივიდა, შინ მოკვდა... ჩანართად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

1936, IV, 13 სხლომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, პ. ინგოროყვა, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე და კ. ჭიჭინაძე. განხილულ და დადგენილ იქნა 1756¹—1761 სტროფები.

1756¹-ე (ბ) სტროფი: ჭასრულდა მათი ამბავი... ძირითადად ჩანს ბიღებული. წაკითხვები იწვევს კამათს. კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ აქ თავდაპირველად, ალბათ, მეოთხე ტაეპის დაბოლოება ასე იკითხებოდა: ვსწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისა თემისა. შემდეგ ეს უსწორო რითმა გასწორებულა. ეს გასწორება: მე რუსთველისად ამისა — კარგი გასწორებაა და მე მას ვუტყერ მხარს. აზრი ის არის, რომ მე ამას რუსთველის კუთვნილებად ვწერო. ს. კაკაბაძე აღნიშნავს, რომ მიუღებელია ასეთი წაკითხვა, „ვსწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისა თემისა“, რადგან თემი უფრო მოზრდილი ერთეული იყო, ვიდრე მესხეთი. აქ უნდა იკითხებოდეს: ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისა დამისა. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ მისი აზრით შეუძლებელია აქ დატოვებულ იქნეს: რუსთველისა და მისა, ან დაბისა, სოფლის მნიშვნელობით, რადგან რუსთავისა, რომ ყოფილიყო, რუსთველისად ვერ გადაკეთდებოდა. ერთადერთ წაკითხვად არსებული ხელნაწერების მიხედვით ჭერჯერობით ისევ ასეთი წაკითხვა უნდა დარჩეს, როგორცაა: „ვსწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისა“ იმ აზრით, რომ ვწერ ამ რუსთველისათვისო. უნდა აღინიშნოს, რომ სინტაქსური დარღვევა (რუსთველისად — მიმართულებითში დასმა და ამისა — ნათესაობითში) გამოწვეულია რითმით, ისე მოსალოდნელი იყო რუსთველისად ამისად. პ. ინგოროყვა აღნიშნავს, რომ მთავარი საკითხი ამ სტროფის გარშემო ის არის, ეკუთვნის თუ არა იგი რუსთველს. რაც შეეხება — ამისა და მისას — ხმარებას, ამგვარად, როგორც აქ არის ხმარებული, ეს შიგნით ტექსტში გვხვდება. ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ ის ემხრობა წაკითხვას — რუსთველისად ამისა. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ „რუსთველისა დამისა“ წაკითხვას შეიძლება

ის გამართლება ჰქონოდა, რომ ბერძნულში მართლაც არის სიტყვა „დამოს“ — (область), მაგრამ მე მეექვსეა, რომ ეს ბერძნული სიტყვა იყოს აქ ხმარებული. მეც ვემხრობი ასეთ წაკითხვას: ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისა. რაც შეეხება გაგებას, თუ როგორ უნდა გვესმოდეს ეს ტაეპი, ამაზე მერე ვილაპარაკებ, როდესაც საერთოდ პროლოგის განხილვა გვექნება²⁴. კომისიის მიერ სტროფის მეოთხე ტაეპი მიღებულ იქნა: ვსწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისა. წინააღმდეგი იყო ს. კაკაბაძე.

ი. აბულაძის აზრით: გასრულდა მათი ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა... თავდება სიტყვებით: ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველი... ამის შემდეგ ან დაღუპულია სიტყვები ან შეწყვეტილია თვით პოეტის მიერ (იხ. ოქმის დანართი).

1757-ე სტროფი: ქართველთა ღმრთისა დავითის... ძირითადად ჩანს მიღებული: პ. ინგოროყვა სტროფის პირველ ტაეპის შესწორებას ასე მოითხოვს: ქართველთა ღმრთისა, ვის — მზესა — დავით მსახურებს მთვარებლად. მეორე ტაეპის სარიტმო სიტყვად მიიჩნევა: საქებარებლად. მესამე ტაეპის: ზარბას — ნაცვლად — შუქთა. კომისიამ სტროფის პირველი სამი ტაეპი ტრადიციული წაკითხვით მიიღო. მეოთხე ტაეპში: დამამაგრებლად, გასწორდა — გამახარებლად; წინააღმდეგნი იყვნენ ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე და კ. კიკინაძე.

1757¹, 1758 და 1758¹ სტროფები ჩანართად ჩანან მიღებულნი.

1757¹-ე სტროფი: ამირან დარეჯანის-ძე... მეოთხე ტაეპში დილარგეთ, გასწორდა — დილარგეთ.

1758-ე: მე ვთქვი ქება თამარისა... და 1758¹-ე: დავითის ქნანი... სტროფებში არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

1759-ე სტროფი: დავითის ქნანი ვითა ვთქვენ... ძირითადად ჩანს მიღებული. მეორე ტაეპში: ამბავი, გასწორდა — ამბავნი. მეოთხე ტაეპში: ვპოვე, გასწორდა — ვპოვენ.

1759¹-ე სტროფი: დასრულდა ესე ამბავი... ჩანართად ჩანს მიღებული, არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

1760-ე სტროფი: ესე ასეთი სოფელი... ძირითადად ჩანს მიღებული. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

1760¹-ე სტროფი: ცუდია ესე სოფელი... ჩანართად ჩანს ცნობილი. მეორე ტაეპში: მამეხმარა, გასწორდა — მომეხმარა.

²⁴ ვ. ბერიძის აზრით ტაეპის საცილობელი წაკითხვის შესახებ იხ. აქვე გვ. 149.

1761-ე სტროფი: ამირან დარეჯანის ძე... ძირითადად ჩანს მიღებული. მეოთხე ტაეპში: ცრემლ შეუშრობელსა, გასწორდა — ცრემლ-შეუშრომელსა.

ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენ კომისიის მორიგ სხდომას (IV, 14) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, პ. ინგოროყვა, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე და კ. ჭიჭინაძე. განხილვისა და წაკითხვების შემდეგ დადგინდა პროლოგის ა, 1—6 სტროფები.

ა: პირველ თავი დასაწყისი... და, 1: რომელმან შექმნა სამყარო... სტროფებში არსებითი ცვლილებები არ შეტანილა. 1ა: შენ შექქევენ დავით მაღალი... Q 261 ხელნაწერში მოსდევს I სტროფს და დაუზიანებელია. იგი დაზიანებულის სახით ქუთ. № 205 ხელნაწერში მოსდევს ა სტროფს. 1ბ: გვირგვინი, ტახტი, პორფირი... Q 261 ხელნაწერში მოსდევს წინა 1ა სტროფს და დაუზიანებელია. 1¹ სტროფი: ჰე, ღმერთო ერთო... პირველ ტაეპში: შექმენ, გასწორდა — შექქემენ. მესამე ტაეპში: მამეც, გასწორდა — მომეც.

1² სტროფი: ვის შეენის, ლომსა... პირველ ტაეპში: შეენის, გასწორდა — ჰშენის. მეორე ტაეპში: მზისა, გასწორდა — მზის; დაწვე ბალახშ, გასწორდა — დაწვე-ბადახშ. მესამე ტაეპში: შევკადრო, გასწორდა — შევკადრო; შერისა, დაიწერა — შე, რისა. ვ. ბერიძე არ იზიარებს ასეთ გასწორებას. მისი აზრით, აქ უნდა დარჩეს შე რ ის ა, რაც ხმარებულია შაირის მნიშვნელობით. ა. ბარამიძე არ იზიარებს ასეთ გაგებას: მას შეუძლებლად მიაჩნია ვახტანგის წაკითხვის (ხშირისა) მიღება. მისი აზრითაც მისაღებია ი. აბულაძის მიერ მის გამოცემაში მიღებული წაკითხვა: შე — რისა. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ ვ. ბერიძის გაგება ამ სიტყვებისა: ხოტბისა შაირისა, საეჭვოა. ერთადერთი მისაღები გასწორება ისევ შე-რისა უნდა დარჩესო. კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ ეს მეტად დაბნეული სტროფია მთელს ვეფხისტყაოსანში. თავდაპირველად მართლაც შეიძლება იყოს: ხოტბისა ხშირისა, როგორც ვახტანგს აქვს, მაგრამ ამით რითმა არის დარღვეული და შემდეგ გაუსწორებიათ, რითმით კი შერისა უნდა იყოს, როგორც ირკვევა, რჩეულის მნიშვნელობით, თუმცა ვეფხისტყაოსანში ეს სიტყვა აღარ გვხვდება. კომისიამ ტაეპი ასე მიიღო: მას არა ვიცი შევკადრო შესხმა ხოტბისა შე-რისა ე. ი. არ ვიცი მას რის ხოტბა შევკადრო, შე(ვკადრო) — წინააღმდეგნი იყვნენ ვ. ბერიძე და კ. ჭიჭინაძე. მეოთხე ტაეპში: მშვიერისა... იწვევს კამათს. ი. აბულაძე აღნიშნავს, რომ ტაეპის გადამახინჯებულ სიტყვაში მ შ ი ე რ ის ა უნდა ვეძიოთ ორი სიტყვა მი, როგორც გამეორება მი რ თ მ ა ზმნისა და შერისა, რაც სპარსულია (შეპერ)

და ნიშნავს ცნობილს, რჩეულს, განთქმულს. ა. ბარამიძე აღნიშნავს, რომ შერი ყანდის ეპითეტად სპარსულ მწერლობაში, რამდენადაც ვიცი, არ იხმარებაო. ს. იორდანიშვილი იზიარებს ი. აბულადის გასწორებას და აღნიშნავს, რომ შერი, რჩეულის აზრით, ნახმარი აქვს საბას (ხბო-შერი) ხბოს მიმართ. საფიქრებელია, ეს სიტყვა იხმარებოდა შემდეგშია. რჩეული ყანდის ჭამა შეშვენით მის მკვრეტელებსო — აზრი ეს იქნება. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ რჩეული ყანდი იქნება, თუ შესანიშნავი ყანდი, ამ ტაეპის ისე გაგება, როგორც ესმით, თითქოს მისმა მკვრეტელებმა უნდა მიირთვან ყანდი, ვულგარული ამბავიაო. იქნებ შესაძლებელი იყოს ტაეპის ასე გააზიანება, რომ მისმა მკვრეტელმა უნდა მიართვან მას ყანდივით, შაქარივით ტკბილი ლექსი. მაშინ შერი აქ უნდა გავიგოთ, როგორც შემოკლებული შეიერიო. ვ. ბერიძე აღნიშნავს რომ შოთას შექების მთავარი საგანი არის თამარი. მას ქმარი ჰყავს. შოთა იწყებს მის ქებას და მოკლედ, დადინჯებულად ამბობს, არ ვიცი რა ხობტა-ლექსი უნდა შევკადროო, მისი მკვრეტელები ისეთ მდგომარეობაში არიან, თითქოს ყანდს, შაქარს მიირთმევდნენ. არაფერი ვულგარული აქ არ არის. აღმოსავლურ პოეზიაში ეს ჩვეულებრივია და ი. აბულადის გასწორება მისაღებიაო. პ. ინგოროყვა სტროფს დაზიანებულად მიიჩნევს. ფორმალურად მ შ ი ე რ ი ს ა უფრო გამართულია და ამიტომ ასეთ წაკითხვას დაუჭერ მხარსო. მიღებულ იქნა მიშერისას ნაცვლად: მი, — შერისა, წინააღმდეგი იყო კ. ჰიჰინაძე. მოითხოვდა ერთად დაწერას — მიშერისა-ს.

13 სტროფი: თამარს ვაქებდეთ... მეორე ტაეპში: ვთქვენით ქებანი ვისნი მე... იწვევს კამათს. ი. აბულაძე მოითხოვდა, რომ: ვთქვენით ქებანი ვისნი მე —გასწორებულიყო შემდეგნაირად: ვთქვენით ქებანი მისნივე (ее же хвалу). ვ. ბერიძე აღნიშნავს, რომ ასეთი გასწორება ერთგვარი თვითნებობა იქნება, როცა არაფერი საჭიროება არ არის, რადგან: ვთქვენი ქებანი ვისნი მე — სრულიად აზრიანია: ვაქოთ თამარი ვისიც ქება ვთქვიო. მიღებულ იქნა: ვთქვენი ქებანი ვისნი მე... მესამე ტაეპში: და კალმად მი ნ ა რხეული — იწვევს კამათს. ი. აბულაძე ადგენს ასეთ წაკითხვას: მე ნა რხეული. კ. ჰიჰინაძე მოითხოვს დარჩეს მი ნ ა რხეული, რადგან მეოთხე ტაეპში: ვინცა ის მი ნ ო ს... ეს მარცვალი გამეორებულია. ამასთან თუ მე ნა მივიღეთ — მე უაზროდ იქნება ჩართულიო. პ. ინგოროყვა აყენებს ტაეპის ასეთ წაკითხვას: და კალმად მე ნაჲ რხეული. ვ. ბერიძე აღნიშნავს, რომ ტაეპის გასწორება პირველად მარმა სცადა, მერმე ი. აბულაძემ შეასწორა. მისი შესწორება: მე ნა რხე-

ული, — სრულიად მისაღებია. მე ნაჲ რხეული, როგორც პ. ინგო-
როყვა მოითხოვს, არსებითად იგივეა, მაგრამ რიტმა ირლვევა და
ამიტომ მას ვერ დაუჭერთ მხარსო. მიღებულ იქნა ი. აბულაძის
შესწორება: მე ნა; წინააღმდეგი იყო პ. ინგოროყვა.

14 სტროფი: მიბრძანეს მათდა საქებრად... პირველ ტაეპში: მათ-
და, გასწორდა — მათად; წინააღმდეგი იყვნენ ი. აბულაძე და ს. იორ-
დანიშვილი. მესამე ტაეპში: ბროლ ბალახშისა, გასწორდა — ბროლ-
ბადახშისა. მეოთხე ტაეპში: გრდემლი ტყუე ისა ლბილისა, გასწორ-
და — გრდემლი ტყვიისა ლბილისა. წინააღმდეგი იყო ი. აბულაძე. 15
სტროფი: აწ ენა მინდა... მეორე ტაეპში: მამეც, გასწორდა — მო-
მეც. მეოთხე ტაეპში: სკირთ, გასწორდა — სკირს. 16 სტროფი: მო,
დავსხდეთ, ტარიელისთვის... პირველ ტაეპში: შეუშრობელი, გას-
წორდა — შეუშრობელი. მეორე ტაეპში: ვინცა, გასწორდა — ვინ-
მცა. მესამე ტაეპში: დავსჯე, გასწორდა — დავჯე.

შემდეგ სხდომას (IV, 15) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე,
პ. ინგოროყვა, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე და კ. ჭი-
ჭინაძე. განხილულ და დადგენილ იქნა პროლოგის 17—11 სტრო-
ფები.

17 სტროფი: ტარიელს კარგსა მოყმესა... მესამე ტაეპში: ტკბილ
საუბარსა, გასწორდა — ტკბილ-მოუბარსა.

მე-2 სტროფი: მე, რუსთველი, ხელობითა... კამათს იწვევს პირ-
ველი ტაეპის სარიტმო სიტყვა: ამაღარი. პ. ინგოროყვა აყენებს ასეთ
წყაითხვას: ამა დარი ე. ი. ამის მსგავსიო. კ. ჭიჭინაძე იზიარებს
პ. ინგოროყვას გაგებას. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ ამ სიტყვის
ასეთი გაყოფა — ამა დარი — მას საეჭვოდ ეჩვენება. ხელნაწერებიც
ახალ წაკითხვას არ იძლევიან. მე მაინც ვრჩები ჩემ ძველ აზრზე,
რომელიც წერილობით მაქვს გამოთქმული. მე ვფიქრობ, რომ აქ
თავდაპირველად იყო: ა ლ ა მ დ ა რ ი და შემდეგ გადაკეთდა: ამადა-
რად. ი. აბულაძე აღნიშნავს, რომ არავითარი ალამდარი აქ არ შეი-
ძლება იყოს. აქ არის ამაღ არი, ამისათვის არის — გაგებით, და ამაღ
არი სრულიად რუსთველურია. ს. იორდანიშვილი მხარს უჭერდა
ი. აბულაძის მიერ წარმოდგენილ შესწორებას: ამაღ არი. საბო-
ლოდ: ამა დარის მომხრენი იყვნენ ა. ბარამიძე, პ. ინგოროყვა და
კ. ჭიჭინაძე. ამაღ არი-ს მომხრენი იყვნენ ი. აბულაძე, ს. იორდანი-
შვილი, ალამდარი-ს მომხრე იყო კ. კეკელიძე. ა. შანიძე მოითხოვდა
ამადარი-ს ერთ სიტყვად მიღებას. მესამე ტაეპში: დაუძღურდი, გას-
წორდა — დავუძღურდი. მეოთხე ტაეპში: მოგვეცეს, გასწორდა —
მომცეს. . .

მე-3 სტროფი: ესე ამბავი სპარსული... მესამე ტაეპში: გამოვთქვი, გასწორდა — გარდავთქვი. მეოთხე ტაეპში: მისმან, გასწორდა — ჩემმან; ლამაზმანები, გასწორდა — ლამაზმა ნები.

მე-4 სტროფი: თვალთა მისგან უნათლოთა... პირველ ტაეპში: ენატროსცა, გასწორდა — ენატრამცა. მეოთხე ტაეპში: ლევნა, დაიწერა — ვლენა; ვლენას — გავლენის მნიშვნელობით მხარს უჭერდნენ ი. აბულაძე, პ. ინგოროყვა, ს. იორდანიშვილი და კ. კეკელიძე. ლევნას — დალევნის მნიშვნელობით მხარს უჭერდნენ ა. ბარამიძე, ა. შანიძე და კ. ჭიჭინაძე.

მე-5 სტროფი: რაცა ვისცა ბედმან მისცეს... მეოთხე ტაეპში: სხვასა, გასწორდა — სხვათა.

მე-5¹ სტროფი: თუ მიჯნურსა მიჯნურობა... არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

მე-6 სტროფი: შაირობა პირველადვე... არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

მე-7 სტროფი ვითა ცხენსა შარა გძელი... მესამე ტაეპში: საუბართა ტკბილთა ფრქვევა, გასწორდა — ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა. წინააღმდეგი იყო ი. აბულაძე, რომელიც აღნიშნავდა, რომ „ლექსთა ხევა“ შეუძლებელია ძველი ქართულის მიხედვით.

მე-8 სტროფი: მაშინდა ნახეთ მელექსე... მე-8¹: მე ვიკადრებ ლექსთა კარგთა... და მე-9: მოშაირე არა ჰქვიან... სტროფებში არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

მე-10 სტროფი: მეორე ლექსი ცოტაი... მეოთხე ტაეპში აქვსთ, გასწორდა — აქვს.

მე-10¹ სტროფი: ამბავი წვრილად უამბოს... არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

მე-11 სტროფი: მესამე ლექსი კარგია... მეორე ტაეპში სარიტმო სიტყვად კომისიამ დატოვა: სათრეველად; ა. შანიძე მხარს უჭერდა ს ა რ თ ე ვ ე ლ ა დ. მესამე ტაეპში: გვიამების, გასწორდა — გვიამების.

კომისიის მორიგ სხდომას (IV, 16) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე და კ. კეკელიძე. განხილულ და დადგენილ იქნა პროლოგის 11¹ — 25 სტროფები.

მე-11¹ სტროფი: მე გვიამობ, ვინცა იყვნეთ... მესამე ტაეპში: სმასა, გასწორდა — სპასა.

მე-12 სტროფი: ხამს მელექსე ნაჭირვებსა... მეოთხე ტაეპში: ყველას მისთვის მუსიკობდეს, გასწორდა — მისთვის ენა მუსიკობდეს.

მე-13 სტროფი: ჩემი აწ სცანით ყველამან... პირველ ტაეპში: სცანით ყველამან, გასწორდა — ცანით ყოველმან. მეორე ტაეპში: ეს მიჩანს, გასწორდა — ესე მიჩს.

მე-14 სტროფი: ვთქვა მიჯნურობა პირველი... მესამე ტაეპში: მამცემი, გასწორდა — მომცემი, მეოთხე ტაეპში: თმობაცა, გასწორდა — თმობამცა. კ. კეკელიძე შენიშნავს ამ სტროფთან დაკავშირებით, რომ პეტრიწის ლექსიკაში ტომი და გვარი ასეთსავე გარკვეულის მნიშვნელობით არის ხმარებული, როგორც ეს აქ გვხვდება.

მე-15 სტროფი: მას ერთსა მიჯნურობასა... მეორე ტაეპში: ყურნიმცა, გასწორდა — ყურნიცა. მეოთხე ტაეპში: ბაძვენ, გასწორდა ჰბაძვენ.

მე-16 სტროფი: მიჯნური შმაგსა გვიქვიან... მეოთხე ტაეპში: ფრენითა, გასწორდა — ფრფენითა.

მე-17 სტროფი: მიჯნურსა თვალად სიტურფე... არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

მე-17¹ სტროფი: ვის ეს ყველა არა სჳირან... მესამე ტაეპში, დანა, დაიწერა — და ნა—.

მე-18 სტროფი: მიჯნურობა არის ტურფა... მეოთხე ტაეპში: ერთმანეთსა, გასწორდა — ერთმანერთსა; გესმის, გასწორდა — გესმას.

მე-19 სტროფი: ხამს მიჯნური ხანიერი... მეოთხე ტაეპში: უგულო, დაიწერა — უგულოდ.

მე-19¹ სტროფი: მას ცოცხალი ნუ ელევის... მეორე ტაეპში: ნურცა, გასწორდა — ნუცა. მეოთხე ტაეპში: გავა, დაიწერა — ჰგავა.

მე-20 სტროფი: ამა საქმესა მიჯნურნი... პირველ ტაეპში; მიჯნურნი, გასწორდა — მიჯნური; უხმობთ, დაიწერა — უხმობს. 21-ე სტროფი: არს პირველი მიჯნურობა... მეორე ტაეპში: ჰქონდეს, გასწორდა — ჰქონდა. მეოთხე ტაეპში: დასთმოს, გასწორდა — დათმოს; ა. ბარამიძე მოითხოვდა პირველ ტაეპში მძიმეს ჳირთას შემდეგ და არა მის წინ, როგორც ეს მიიღო კომისიამ. მესამე ტაეპში: შორით ალვა, შორით დაგვა, გასწორდა — შორით დაგვა, შორით ალვა. მეოთხე ტაეპში: დასთმოს, გასწორდა — დათმოს.

22-ე სტროფი: ხამს თავისსა ხვაშიადსა... პირველ ტაეპში: არა-ვისთან, გასწორდა — არვისთანა. მეორე ტაეპში: ჰაჲ ჰაჲ, დაიწერა — ჰაი, მესამე ტაეპში: ცეცხლთა, გასწორდა — ცეცხლსა.

22¹-ე სტროფი: გაასწავლნე სურვილითა... არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

23-ე სტროფი: მას უშმაგო ვინ მიენდოს... გასწორდა—პირველ ტაეპში: ვინ — ვით. მეორე ტაეპში: ირგოს — ირგო; თვითანც — თვითცა. მესამე ტაეპში: რითამცალა — რათამც ალა; ასახელოს — ასახელა. მეოთხე ტაეპში: კაცმან — კაცმა.

24-ე სტროფში: მიკვირს, კაცი რად იფერებს... და 25-ე სტროფში: თუ მოყვარე მოყვრისათვის... არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

ამით დამთავრდა ვეფხისტყაოსნის პროლოგის ტექსტის დადგენა. მათი ძირითადობა — ჩანართობის საკითხები იჯანხილულ იქნა კომისიის 20 აპრილის სხდომაზე, რომელსაც დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, პ. ინგოროყვა, ს. იორდანიშვილი, ა. შანიძე (თ-რე) და კ. ჭიჭინაძე.

განხილულ და დადგენილ იქნა ეპილოგის სტროფები (ვახტანგის გამოცემის მიხედვით 5 უკანასკნელი სტროფი) და პროლოგის სტროფების დადგენა.

ეპილოგის სტროფების შესახებ ი. აბულაძე მოითხოვდა, რომ ხუთ სტროფს 1. გასრულდა მათი ამბავი..., 2. ქართველთა ღმრთისა..., 3. დავითის ქნანი ვითა ვთქვენ..., 4. ესე ასეთი სოფელი..., 5. ამირან დარეჯანის ძე... გაუკეთდეს საერთო წარწერა: „დასასრული, რომელიც მიეწერება შოთა რუსთველს“ და შეტანილ იქნეს ტექსტის ბოლოში. ვ. ბერიძეს შემოაქვს თავისი აზრი იმის შესახებ თუ როგორ უნდა იკითხებოდეს ეპილოგის პირველი სტროფის (გასრულად მათი ამბავი) მეოთხე ტაეპის დასასრული. იგი არ იზიარებს კომისიის მიერ მიღებულ წაკითხვას და ამ ტაეპის დასასრულს კითხულობს ასე: მე რუსთავისა დამისა. თუ ეს ტაეპი ასე იქნება წაკითხული, მაშინ ის მომხრე იქნება, რომ ეპილოგის სტროფები დარჩეს ძირითად ტექსტის დაბოლოვებად. ა. შანიძე იზიარებს ი. აბულაძის წინადადებას: ეპილოგის სტროფებს გაუკეთდეს წარწერა: მიეწერება რუსთველს. ს. იორდანიშვილი მოითხოვს, რომ ეპილოგის მეხუთე სტროფი გამოიყოს როგორც ბიბლიოგრაფიული მინაწერი, რაც შეეხება დანარჩენ ოთხ სტროფს — დარჩეს, როგორც ვახტანგს აქვს, რადგან ვეფხისტყაოსნის დაბოლოების საკითხი კომისიამ ვახტანგის მიხედვით გადასწვდითა. ამ ოთხ სტროფში მე საეჭვოდ მივიჩინე მესამეს: დავითის ქნანი ვითა ვთქვენ... პ. ინგოროყვა და ა. ბარამიძე ეპილოგის სტროფებში დასატოვებლად მიიჩნევენ მხოლოდ ერთ სტროფს: ქართველთა ღმრთისა დავითის. ს. კაკაბაძე აღნიშნავს, რომ მისი აზრით, ვეფხისტყაოსანი უნდა გათავებულიყო ავთანდილისა და თინათინის ქორწილის წინ. უკანასკნელი სტროფი

იქნებოდა: ყოველთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მოათოვ-
დეს — მაგრამ რადგან ეს აზრი არ იცავდა და დაბოლოვება ვახტან-
გის მიხედვით იქნა მიღებული, ეს სტროფებიც ყველა უნდა შევი-
დეს, არავითარი წარწერა არ უნდა. კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ მას
ეცოტავება კიდევ ამოდენა პოემის ეპილოგი ხუთ სტროფად, არამც
თუ რაიმე მივიჩნით ამოსაღებით. კენჭის ყრით ეპილოგის დატოვე-
ბის მომხრენი იყვნენ: ი. აბულაძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი,
კ. კაკაბაძე და კ. ჭიჭინაძე. მხოლოდ ქართველთა ღმრთისა დავითის...
დატოვების მომხრენი იყვნენ ა. ბარამიძე, პ. ინგოროყვა და კ. კე-
კელიძე (დატოვებულ წერილობითი აზრის მიხედვით). წინადადე-
ბამ — დარჩეს წარწერით: მიეწერება რუსთველს — მიიღო ერთი
ხმა ა. შანიძის.

ეპილოგის დადგენის შემდეგ კომისიამ, პროლოგის დადგენაზე
გადასვლამდის, გაიცინო მისი თანამიმდევრობა სხვადასხვა ხელნა-
წერში. გამოიკვია, რომ პროლოგს ხელნაწერების უმრავლესობა
სხვა რიგით წარმოგვიდგენს, ვიდრე ვახტანგის გამოცემა. ამის გამო,
კომისიამ გადასწყვიტა კენჭი ეყარა თითოეულ სტროფისათვის, ხო-
ლო რიგი შემდეგ დაედგინა. მოსმენილ იქნა კ. კეკელიძის შემდეგ
წერილობითი განცხადება პროლოგის შესახებ:

პროლოგში მე ნამდვილად მიმაჩნია 'ქვემო აღნიშნული სტრო-
ფები იმ რიგით, რა რიგითაც ისინი ნაჩვენებია. სხვა სტროფები, ჩე-
მი აზრით, ვეფხისტყაოსნის ავტორს არ ეკუთვნის, რასაც უნდა ამ-
ჟღავნებდეს ხასიათი მათი ლექსისა, სტილის და რითმებისა, აგრეთ-
ვე ისიც, რომ ისინი, უმეტეს შემთხვევაში, წარმოადგენენ ან გან-
მეორებას ნამდვილი სტროფებისას (ჩემი ნუსხით), ან მათ წინააღმ-
დეგობას. ნამდვილი სტროფებია: 1. რომელმან შექმნა სამყარო,
2. ვის ჰშვენის, — ლომსა, — ხმარება, 3. შაირობა პირველადვე
სიბრძნისაა ერთი დარგი, 4. მეორე ლექსი ცოტაი 5. არს მესამე
ლექსი კარგი, 6. რაცა ვის რა ბედმან მისცეს, 7. ვთქვა მიჯნურობა
პირველი — ტომი და გვარი ზენათა, 8. მას ერთსა მიჯნურობასა
ჭკვიანნი ვერ მიხვდებიან, 9. ესე ამბავი სპარსული, ქართულად
ნათარგმანები.

ეპილოგში შესაძლებელია ნამდვილად მიჩნეულ იქნეს მხო-
ლოდ ერთი სტროფი: ქართველთა ღმრთისა დავითის, ვის მზე მსა-
ხურებს...

ა. ბარამიძე აღნიშნავს, რომ სპარსულ პოეზიაში შოთას თანა-
მედროვე და შემდეგი დროის მწერლები ყველანი ერთ გარკვეულ
წესს მისდევენ პროლოგისა და ეპილოგის დალაგებაში. პროლო-

გი ყველგან სამი ძირითადი ელემენტიდან შედგება 1) ღეთების ქება, 2) მეფე პატრონის ქება 3) (Pro domo sua) თვითონ ავტორი, და სხვა ისტორიული ხასიათის ცნობები, თარიღი და სხვა. ეს ძირითადი სამი ელემენტი მოიპოვება შაჰნამეში, ვისრამიანში, იოსებ ზილიხანთანში, ლეილმეჩუნთანში, ისკანდერნამეში, ბარამჯურიაში და სხვა. ასეთივე გარკვეული წესი პროლოგის წერისა არსებობს არაბულ პოეზიაშიც. ვეფხისტყაოსანშიაც ვხედავთ ამ სამივე ელემენტს. მაგრამ პროლოგშიც, ისევე როგორც ტექსტში, არის ზედმეტი სტროფები. ასეთ ზედმეტ სტროფებად მიმაჩნია: 1) ჰე, ღმერთო, ერთო, 2) ხამს თავისსა ხვაშიადსა, 3) მას უშმაგო ვინ მიენდოს, 4) მიჯნური შმაგსა გვიქვიან, 5) ვთქვა მიჯნურობა პირველი, 6) მას ერთსა მიჯნურობასა, 7) მიკვირს კაცი რად იფერებს, 8) თუ მოყვარე მოყვრისათვის.

საერთოდ პროლოგის გაგებაში ვეთანხმები მარს, ერთის გამოკლებით, მას გამოტოვებული აქვს — მე რუსთველი ხელობითა... მე ამ სტროფს ვტოვებ და მარის მიერ წარმოდგენილ პროლოგის დალაგებასაც არ ვუქერ მხარსო.

ი. აბულაძე აცხადებს, რომ ის, რაც აქ ა. ბარამიძემ აღნიშნა სპარსულ პოეზიაში მიღებული წესის შესახებ, მართალია, რომ ამ საკითხის შესახებ მას დაბეჭდილიც აქვს თავის ნაშრომში, „შესწორებანი და შენიშვნანი“, სადაც შედარებული აქვს ვეფხისტყაოსანი და ვისრამიანი და აღნიშნულია, რომ ამ მხრივ მათ შორის არის მსგავსება. რაც შეეხება პროლოგის მოცულობას, უნდა დარჩეს 31 სტროფი ხელუხლებლად და იმ თანმიმდევრობით, როგორც ეს არის წარმოდგენილი ჩემს გამოცემაშიო. პ. ინგოროყვა ეკითხება ი. აბულაძეს, წარწერა: შესავალი, რომელიც მიეწერება შოთა რუსთველს — უნდა დარჩეს თუ არაო? ი. აბულაძე აცხადებს, რომ უკეთესია გაუკეთდეს, მაგრამ შეიძლება არც გაუკეთდესო. ს. კაკაბაძე აცხადებს, რომ კომისიის მუშაობის იმ სტადიაზე, რომელზედაც ჩვენ ვიმყოფებით, მე ვუქერ მხარს იმ შესავალს, რომელიც წარმოდგენილია ჩემ 1927 წ. გამოცემაშიო (33 სტროფი).

საკითხის გადაწყვეტა გადაიდო შემდეგ სხდომისათვის, რომელიც შედგა 25, IV, დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, პ. ინგოროყვა, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე (თ-რე) და კ. ჭიჭინაძე.

ვ. ბერიძე ადგენს შემდეგ აზრს, თუ როგორ უნდა დალაგდეს ვეფხისტყაოსნის პროლოგის სტროფები. 1. თავდაპირველად პოეტმა ჩვეულებსამებრ უნდა ახსენოს ღმერთი — შემოქმედი, რამ-

დენი სტროფია ამისათვის საჭირო: ერთი, თუ ორი? არაა სავალდებულო ეს თქმა ერთ სტროფში მოთავსდეს. მე არ მიმაჩნია მეორე სტროფი პირველის განმეორებად და ამიტომ ორსავეს ვტოვებ. 3. მესამე სტროფი თამარის ქმრის დავითის შექებაა და უნდა დარჩეს. 4. მეოთხეში ქების მთავარი საგანია დასახელებული თ ა მ ა რ. 5. მეხუთეში შექების საფუძველი: მიბრძანეს (იხ. ჩემი ზუსტველის მსოფლმხედველობისათვის). 6. მეექვსეში: თამარის სათანადოდ შექებისათვის საჭიროა გული და ხელოვნება. 7. მეშვიდე: არ კმარა მარტოოდენ ენა და ხელოვნება, საჭიროა თანაგრძნობა, დახმარება, აქედან: მო, დავსხდეთ და სხვ. 8. ამასვე აგრძელებს მერვე: მე, რუსთველი ხელობითა და სხვ. 9. მაგრამ ყველაფერი ეს რომ რიგზე შესრულდეს, საჭიროა მასალა, აქედან: ესე ამბავი სპარსული 10. პოეტი საჭიროდ ცნობს, ერთხელ კიდევ განმარტოს, რა აიძულებს ერთხელ შექებულ თამარის კვლავ შექებას: თვალთა მისგან უნათლოთა 11. რაცა ვისრა ბედმან მისცეს... ეს სტროფიც ზემოაღნიშნულ მიზანს ემსახურება: აქაც პოეტი ცდილობს დაასაბუთოს თავისი წამოწყება. 12, 13, 14, 15, 16, 17, 18 მთლიანად შაირობას ეხება, ამ სტროფების გაკვეთა არ შეიძლება, არსებული თანამიმდევრობა მთლიანად უნდა დარჩეს 19. ჩემი აწ სცანით ყოველმან (ზემოთქმულის შემდეგ თავის ბუნებრივ ადგილზე) როგორ თავდება ეს სტროფი? მე. უნდა ვაქო, ვინც მიქია, მე კვლავ მისი მიჯნური ვარ. კი მაგრამ რა არის ეს მიჯნურობა? ამის პასუხს იძლევა მიჯნურობის ზოგადი განმარტება: 20. ვთქვა მიჯნურობა პირველი 21. მიჯნურობა არის ტურფა. თუ ამგვარია მიჯნურობა, როგორი უნდა იყოს მიჯნურობის მატარებელი? 22. მიჯნურსა თვალად სიტურფე 23. ხამს მიჯნური ხანიერი და როგორ [ც] მისი განვითარება 24. ამა საქმესა მიჯნურნი... რადგან: 25. არს პირველი მიჯნური... და კვლავ როგორც მისი გაშლა 26: ხამს თავისსა ხვაშიადსა 27 და 28 სტროფები ბუნებრივი გაგრძელება და დასკვნაა წინა სტროფებისა.

ამრიგად, პროლოგის სტროფების დალაგება მე ასე წარმომიდგენია: 1. რომელმან შექმნა 2. ჰე, ღმერთო ერთო 3. ვის შვენის ლომსა 4. თამარს ვაქებდეთ 5. მიბრძანეს მათდა საქებრად 6. აწ ენა მინდა გამოთქმად 7. მო, დავსხდეთ ტარიელისთვის 8. მე, რუსთველი ხელობითა 9. ესე ამბავი სპარსული 10. თვალთა მისგან უნათლოთა 11. რაცა ვის რა ბედმან მისცეს 12. შაირობა პირველადვე 13. ვითა ცხენსა 14. მაშინდა ნახეთ მელექსე 15. მოშაირე არა ჰქვიან 16. მეორე ლექსი ცოტაი 17. მესამე არს ლექსი კარგი 18.

ხამს მელექსე ნაჭირვებსა 19. ჩემი აწ სცანით ყოველმან 20. ვთქვა-
მიჯნურობა პირველი 21. მიჯნურობა არის ტურფა 22. მიჯნურსა
თვალად სიტურფე 23. ხამს მიჯნური ხანიერი 24. ამა საქმესა მიჯ-
ნურნი 25. არს პირველი მიჯნურობა 26. ხამს თავისსა ხვაშიადსა
27. მას უშმაგო ვით მიენდოს 28. მიკვირს კაცი რად იფერებს 29.
თუ მოყვარე მოყვრისათვის.

უფრო დეტალური დასაბუთება იხ. აგრეთვე ჩემს სტატიაში:
„რუსთველის მსოფლმხედველობისათვის“, საბჭოთა ხელოვნება № 4.

კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ მას ვეფხისტყაოსნის პროლოგად
მიაჩნია ის 33 სტროფი, რომელიც შეტანილი აქვს ს. კაკაბაძეს
1927 წლის გამოცემაში. ტრადიციულ პროლოგს ემატება 2 სტრო-
ფი. საფიქრებელია, რომ პროლოგს კიდევ აკლია, მაგრამ მეტის შე-
ტანა შეუძლებელი შეიქნა, რადგან ბევრი ძალიან დამახინჯებულია.
ჩვენ მიერ შეტანილი სტროფიდან ერთი, სახელდობრ 28-ე: მას
ცოცხალი ნუ ელევის... ყველა ხელნაწერშია და სავსებით იმ სიმაღ-
ლეზე დგას სტილის მხრივ, რომელზედაც დანარჩენი სტროფები.
ასევე ითქმის მე-12 სტროფებზე: თუ მიჯნურსა მიჯნურობა... აღსა-
ნიშნავია აგრეთვე ის გარემოება რომ მესამე სტროფის (ვის შეენის,
ლომსა) წინ ქუთ. № 205 ხელნაწერში მოთავსებულია 2 სტროფი:
რომელიც შეეხება დავით მეფეს, თამარის მეუღლეს, რომ ეს
სტროფები უნდა ყოფილიყო აქ, იქიდანაც ჩანს, რომ მესამე ტა-
ეპი იწყება „ვის“ ნაცვალსახელით და არ ჩანს ვის ეკუთვნის ეს
„ვის“. აზრითღა ვხედებით, რომ ეს თამარის მეუღლე უნდა იყოს.
ამ ხელნაწერში კი სტროფი იწყება ასე. „ვით შეენის... წინადადება
უფრო გარკვეულია. ეს სტროფები დამახინჯებულია და ამიტომ ვე-
ლარ შევიტანე ტექსტში. ისე კი პოემის ავტორს უნდა ეკუთვნოდ-
ნენო.

ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ რუსთველოლოგიის თანამედ-
როვე ეტაპზე მას შესაძლებლად მიაჩნია დასტოვოს პროლოგი
მხოლოდ ტრადიციული 31-ე სტროფით, იმ რიგით, რა რიგითაც
ი. აბულაძეს აქვს შეტანილი თავის მეორე გამოცემაში, რაც შეეხე-
ბა კ. ჭიჭინაძის მიერ დამატებულ მე-12 სტროფს: თუ მიჯნურსა
მიჯნურობა ეტლად მომცა რადგან ბედმან... პირველივე ტაეპის.
გაუმართობა უარყოფს მის ძირითადობას. თუ მომცა... რადგან...
ერთმანეთს ეწინააღმდეგება. აღარას ვამბობ ასეთ ტაეპებზე: სიტ-
ყვა უარგი გამოვავო — ლექს მრავალმან, ენა-მეტმან. 28-ე სტრო-
ფი: მას ცოცხალი ნუ ელევის... მეტად მდარე გამეორება წინა 26-ე
და 27-ე სტროფისა და ამიტომ არ არის დასამატებელიო.

3. ინგოროყვას მიუღებლად მიაჩნია წინადადება; რომ პროლოგს გაუკეთდეს წარწერა: „შესავალი, რომელიც მიეწერება რუსთველს“. ჩვენ თუ ეს დავტოვებთ ასე, მაშინ ჩვენ ექვს გამოვთქვამთ მის სინამდვილეში, ვეფხისტყაოსნის პროლოგი კი ნამდვილია. მაგრამ პროლოგის სინამდვილე იმას არ ნიშნავს, რომ მასში არ მოიპოვება ყალბი სტროფები. ვეფხისტყაოსნის პროლოგში არის ძირითადი ფენა, ნამდვილი სტროფები და არის ჩანართი სტროფებიც, როგორც პოემის ტექსტსა და ეპილოგში. პროლოგის საკითხი ყველაზე რთული საკითხია, ყველაზე მარტივი კი — ეპილოგისაა. თუ ჩვენ ეპილოგი მთლიანად მივიღეთ, უცვლელად, მაშინ არა გვაქვს საბუთი რაიმე უარყოფით დამატებებიდან, რადგან თუ მივიღეთ სტროფი: გასრულდა მათი ამბავი ვითა სიზმარი ღამისა... ამით ვადასტურებთ, რომ ვეფხისტყაოსანში ყოფილა საუბარი გმირთა გარდაცვალების შესახებ. ეს კი ასე არ არის. შემდეგ, სტროფი: ესე ისეთი სოფელი... სრულიად არ შეეფერება რუსთველის მსოფლმხედველობას. ამგვარად, ეპილოგში არის მხოლოდ ერთი ნამდვილი სტროფი: ქართველთა ღმრთისა დავითის. დანარჩენი სტროფები რუსთველს არ ეკუთვნის. რაც შეეხება პროლოგის სტროფს: დავითის ქნანი ვითა ვსტქვენ... იგი აშკარად ყალბია, რადგან, რუსთველი, რომელიც შაირობის სიბრძნეს კარგად სთვლის, ვერ იტყოდა ქებანი ვთქვი მეფეთა და ამითა ვილაყფეთანიო.

რაც შეეხება პროლოგს, მასშიაც არის ჩანართი სტროფები. ფორმისა და სტილის ანალიზის შედეგად ამოსაღებად მიაჩნია.

1 ხვაშიადთა გამჟღავნების შემდეგი სტროფები: 1. ხამს თავისსა ხვაშიადსა 2. მას უშმაგო ვაუ მიენდოს 3. მიკვირს კაცი რად იფერებს 4. თუ მოყვარე მოყვრისათვის.

2. სამღვთო მიჯნურობიდან ამოსაღებია: 1. მიჯნური შმაგსა გვიქვიან 2. ვთქვა მიჯნურობა პირველი 3. მას ერთსა მიჯნურობასა.

3. ამბავის შესახები სტროფებიდან ამოსაღებია: 1. აწ ენა მინდა 2. მო, დავსხდეთ, ტარიელისთვის 3. ესე ამბავი სპარსული 4. ამოსაღებია აგრეთვე თანიანი სტროფები, რომლებიც, ჩემის აზრით, თმოგველის მიერ უნდა იყოს დაწერილი. ეს სტროფებია: 1. ამა საქმესა მიჯნურნი 2. მოშაირე არა ჰქვიან...

განსაკუთრებულ შენიშვნას მოითხოვს ამათში სტროფი: ესე ამბავი სპარსული...

ამ სტროფში ყურადღებას იქცევს ორი ტაეპი: „ვით მარგალიტი ობოლი, ხელის-ხელ საგოგმანები“. მარგალიტი ობოლი — ეწინააღმდეგება პოემის ტექსტს. ვეფხისტყაოსანში იხმარება ყველგან

მარგალიტი ღარიბი. ამას გარდა, მე არ მიმაჩნია სამართლიანად ის შეხედულება, რომ თითქოს ვეფხისტყაოსანის სიუჟეტი მომდინარეობდეს სპარსულიდან... ვეფხისტყაოსანის სიუჟეტი სპარსულ ლიტერატურისათვის უცხოა. კიდევ მეტი: სპარსულში არ მოგვეპოვება ვეფხისტყაოსანის ონომასტიკონი: არც სახელი ნესტანდარეჯანი, არც სახელი ავთანდილი, არც თინათინ, არც სახელი ტარიელ სპარსულში არ იხმარება. ყველაფერი ეს მაფიქრებინებს, რომ სტროფი: ესე ამბავი სპარსული... ყალბი უნდა იყოსო.

ა. ბარამიძე აღნიშნავს, რომ ვისრამიანსაც არავეითარი გამოხმაურება არა აქვს სპარსულ პოეზიაში, მაგრამ ნამდვილი სპარსული ნაწარმოები არისო. საკუთარ სახელების წარმოებას (ნესტანდარეჯან და სხვა) სპარსულ ლიტერატურაში (შაჰნამე და სხვა) გავრცელებულია ეპითეტის ნიადაგზე სახელის მიღება. ასევე არის ვეფხისტყაოსანშიო. სტროფის: ესე ამბავი სპარსული — ყალბად მიჩნევა აქ მოყვანილ მოსაზრებებით შეუძლებელიაო.

ა. შანიძე აღნიშნავს, რომ პროლოგის ამოღება მთლიანად არ შეიძლება, პროლოგი რომ სხვისი დაწერილი ყოფილიყო, მეორე რუსთველი გვეყოლებოდა. ამის და მიუხედავად, ზოგი რამ ჩანართი უნდა იყოს და ამოსაღებია, მაგრამ არა იმ მოცულობით, როგორც კ. კეკელიძემ წარმოგვიდგინა. მე ამოსაღებად მიმაჩნია შემდეგი სტროფები: 1) ჰე ღმერთო ერთო... რომელიც ნაწილობრივ გამეორებაა და გრამატიკულადაც არ არის გამართული. 2) აწ ენა მინდა გამოთქმად... 3) მას უშმაგო ვინ მიენდოს... 4) მიკვირს კაცი რად იფერებს... რაც შეეხება სტროფს: ესე ამბავი სპარსული... მე იგი ავტორის დაწერილად მიმაჩნია. სხვა ამას არ დაუწერდა. აქ არის ბიბლიოგრაფიული ცნობა ვეფხისტყაოსანის წარმოშობის შესახებ და თუ ამ სტროფს ამოვოლებთ, ავტორს სიტყვას წავართმევთ.

ბ. ინგოროყვა უბასუხებს, რომ ვისრამიანის ონომასტიკონი მაინც არსებობს. სპარსეთში დღესაც ცოცხალი სახელებია ვისი, რამინი, ვირო როგორც საკუთარი სახელები: ამას გარდა ვისრამიანი რომ დაკარგულიყო, მის შესახებ ბიბლიოგრაფიული ცნობა მაინც გვექნებოდა. ამის მსგავსი არა მოიპოვება რა ვეფხისტყაოსანის მიმართ სპარსულ ლიტერატურაში. ამიტომ არა გვაქვს საბუთი, რომ ვამტიკოთ პოემის სპარსულობა.

გ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ ფილოლოგიურ ნიადაგზე წარმოებული პროლოგის სტროფების განხილვა სულ სხვადასხვა შედეგებს იძლევა. რაც ერთ ფილოლოგს მიაჩნია უეჭველად არა რუსთველურად, მას მეორე უეჭველად რუსთველურად სთვლის. საკითხის სწო-

რად გადაწყვეტისათვის უპირატესობა ხელნაწერებს უნდა მივანიჭოთ.

კომისიამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტა გადასდო შემდეგ სხდომისათვის, რომელიც შედგა 1936 წ. 26 აპრილს. დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი; პ. ინგოროყვა, ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძე და კ. ჭიჭინაძე. სხდომის დასაწყისში თავმჯდომარე კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ კომისიის ყველა წევრმა გამოთქვა თავისი აზრი პროლოგის შესახებ. ახლა დაგვრჩენია საკითხი ხმის უმეტესობით გადაწყვეტით, რადგან აქ გამოთქმული აზრების ნიადაგზე სხვადასხვა წინადადებებია შემოსული. დავიწყოთ პირველი წინადადებიდან და ყველას ცალ-ცალკე ვუყაროთ კენჭიო.

კენჭის ყრის საბოლოო შედეგის მიხედვით, პროლოგი მიღებული იქნა 31 სტროფის მოცულობით და იმ დალაგებით, როგორც წარმოდგენილია ი. აბულაძის 1926 წ. გამოცემაში. ამავე სხდომაზე კომისიამ დაადგინა: გადასინჯულ და შემდეგ კრებაზე წარმოდგენილ იქნეს ყველა გადადებული საკითხი როგორც სტროფულ მოცულობის, ისე წაკითხვების მხრივ, რომ კომისიამ იქონიოს მათზე საბოლოო მსჯელობა და გარკვეული დადგენილება გამოიტანოს. საკითხის გადასინჯვა და შემდეგ კრებაზე წარმოდგენა დაევალა კომისიის მდივანს სოლ. იორდანიშვილს.

უკანასკნელმა შეადგინა გადადებულ და იმ სტროფთა სია, რომელთა განხილვას კომისიის ესა თუ ის წევრი არ დასწრებია. წარმოდგენილი სიის მიხედვით კომისიის წევრებმა წარმოადგინეს თავიანთი აზრი ამა თუ იმ სტროფის ძირითად — ჩანართობის შესახებ²⁵.

კომისიამ საგანგებო მსჯელობის საგნად გახადა შემდეგი 25 სტროფი: 52¹, 136, 157, 161, 173¹, 174, 174¹, 199, 214¹, 276¹, 276²,

²⁵ კ. ჭიჭინაძე ძირითადად ცნობს ყველს ქვემოჩამოთვლილ სტროფს: ა 50¹, ა 50², ბ 52¹, 61, 68, ა 100¹, 107, 108, ა 113¹, 114, ე 137¹, 157, 672, კ 731¹, 866, 981, 1166, 1486. ს. კაკაბაძე ძირითადად მიიჩნევს შემდეგ სტროფებს: ბ 52¹, 61, 68, ე 137¹, 157, 168¹, გ 214¹, კ 236¹, ა 276¹, ა 276², კ 277¹, ა 293¹, 459, 460, 508, 672, 695, კ 731¹, 981, 1102, 1166. ჩანართად თვლის: გ 202¹, გ 308⁵, ი. აბულაძე ჩანართად თვლის: გ 617¹, ს. იორდანიშვილი ჩანართად მიიჩნევს: 214¹, კ. 794¹, კ. კეკელიძე ჩანართად მიიჩნევს: კ. 277¹, ი. 308⁵, 731¹, 981, 1095¹, ძირითადად მიიჩნევს: 1166. ა. შანიძე ჩანართად მიიჩნევს: ბ 52¹, 189¹, 197¹, 199, კ 236¹, კ 794¹, 1481, ძირითადად მიიჩნევს: 107, 108.

277¹, 277², 459, 460, 508, 545¹, 672, 695, 731¹ 866, 1002¹, 1408¹, 441 და 1481²⁶.

ვ. ბერიძე იძლევა წინადადებას, რომ ყველა ეს 25 სტროფი მიღებულ იქნეს ძირითად სტროფებად.

ი. აბულაძე მოითხოვს, რომ კომისიის წევრმა პ. ინგოროყვამაც მისცეს ხმა ამ სტროფებს და ამით უმრავლესობის ბედი გაირკვევას. პ. ინგოროყვა აცხადებს, რომ მას ავადმყოფობის გამო მონაწილეობა არ მიუღია ამ სტროფების განხილვისას და ახლაც ვერ მიიღებს, მითუმეტეს, რომ იგი არ იზიარებს იმ სახელმძღვანელო პრინციპებს, რომლის მიხედვითაც მუშაობდა კომისია ტექსტის დადგენისას. თავმჯდომარე ა. შანიძე მოითხოვს, რომ ან კენჭი ეყაროს ვ. ბერიძის წინადადებას, ან არა და ასეთ სადაო სტროფების ბედი გადაწყდეს თავმჯდომარის ხმის მიხედვით. კომისიამ უკანასკნელი წინადადება არ გაიზიარა.

კენჭის ყრამდის სადავო 25 სტროფი შემოწმდა იმის მიხედვით, თუ რომელ ხელნაწერებშია და რომელი მათგანი ვახტანგის გამოცემით არ არის ცნობილი.

გამოირკვა, რომ ხელნაწერებში დასახელებული 25 სტროფი მეტ-ნაკლები რაოდენობით ყოფილა, ამათგან ვახტანგის გამოცემა არ იცნობს მხოლოდ სამ სტროფს: 276¹, 276² და 545¹; კ. კეკელიძემ შემოიტანა წინადადება, რომ უარყოფილ იქნეს ის ცხრა სტროფი²⁷, რომელიც ვახტანგის გამოცემით არ არის ცნობილი და ყველა ხელნაწერში არ მოიპოვება. ეს წინადადება უარყოფილ იქნა. მიიღეს ვ. ბერიძის წინადადება, რომლის თანახმად, კომისიამ შესაძლებლად სცნო ძირითად ტექსტში შეტანილიყო დასახელებული 25 სტროფი.

კომისიამ ამით დაამთავრა ვეფხისტყაოსნის ტექსტის განხილვა-დადგენაზე მუშაობა. შემდეგ მას უნდა შეესწავლა პოემის სათაურები ყველა ხელნაწერის მიხედვით და შედგომოდა ტექსტის დადგენას. ამ საკითხზე კომისიის მიერ ჩატარებულ მუშაობაზე ცნობები არ შენახულა²⁸. ვეფხისტყაოსნის ს. კაკაბაძის პირველი გამოცემისა და საიუბილეო ტექსტის შედარებიდან ჩანს, რომ უკანასკ-

²⁶ ამ სტროფებზე კომისიის საბოლოო დადგენილება აღნიშნული გვაქვს სტროფების რიგითი განხილვის დროს.

²⁷ იხ. სია აქვე გვ. 162.

²⁸ კომისიის არქივში, რომლის ნაწილი დაკრულია შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, მოიპოვება მხოლოდ ვარიანტები.

ნელი თოთხმეტი სათაურით მეტია, ვიდრე ს. კაკაბაძის პირველი გამოცემა. სათაურებს შორის არის ტექსტოალური სხვაობებიც.

პოემის ტექსტის დამდგენმა კომისიამ მუშაობა დაამთავრა 1936 წ. 10 მაისს. 1 ივნისიდან კი, უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით, კომისია დაშლილად იქნა გამოცხადებული. გამოსაცემად მომზადებული ვეფხისტყაოსნის ტექსტი წარედგინა რუსთველის საიუბილეო კომიტეტს. უკანასკნელმა 20 მაისს მოისმინა ინფორმაცია პოემის ტექსტის დადგენის შესახებ. კომიტეტმა შეცვალა თავისი 1935 წ. 8 აგვისტოს დადგენილება და ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენი კომისიის ახალი შემადგენლობა დაამტკიცა. ახალ კომისიაში შევიდნენ: მ. ტოროშელიძე (მოწვევა), ფ. მახარაძე, ა. თათარიშვილი, გ. ყურულაშვილი, ვ. გოგეშვილი, კ. კეკელიძე, ა. დუდუჩავა, პ. შარია, გ. ქიქოძე, ლ. გუდიაშვილი, ს. კაკაბაძე, ბ. ბიბინეიშვილი, შ. ამირანაშვილი, ლ. აღნიაშვილი, პ. ინგოროყვა, ა. შანიძე, კ. ჭიჭინაძე, კ. ორაგველიძე, ე. ბედია და მირცხულავა. კომისიას წინადადება მიეცა „პოემის ტექსტი მისი დადგენის დროს რაც შეიძლება ნაკლებად შეამციროს და ცალკეული სიტყვები და ნაწყვეტები ამოიღოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სრულიად შეუძლებელი იქნება მათი პოემისათვის მიკუთვნების დადასტურება“.

კომისიის პირველი სხდომა შედგა 1936 წ. 31 მაისს. თავმჯდომარეობდა მ. ტოროშელიძე. სხდომაზე მოსმენილ იქნა ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენი ყოფილი კომისიის თავმჯდომარის კ. კეკელიძის წერილობითი მოხსენება კომისიის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ²⁹. კამათი გამოიწვია პოემიდან ამოღებულ სტროფებისა და ინდო-ხატაელთა ამბის ვეფხისტყაოსნის ძირითად ტექსტში შეტანის საკითხებმა. მ. ტოროშელიძემ გააკრიტიკა კომისიის მუშაობა. მან განაცხადა, რომ უნდა ვუარეყოთ კომისიის შეხედულება ინდო-ხატაელთა ამბის ძირითად ტექსტიდან ამოღების შესახებ და აგრეთვე სტროფების ამოგდებაზე იმ მოტივით, რომ ისინი გამეორებებს წარმოადგენენ ანდა სუსტია. რაც შეეხება წაკითხვების დადგენას, ამასაც კარგად უნდა გაეისინჯოს კბილიო. კომისიის წევრებმა პ. ინგოროყვამ და ა. შანიძემ არ გაიზიარეს ინდო-ხატაელთა ამბის ძირითად ტექსტში შეტანის საკითხი. ინდო-ხატაელთა ამბავი, განაცხადა ა. შანიძემ, არ შეიძლება მიღებულ იქნეს ვეფხისტყაოსნის ორგანულ ნაწილად და მოკვეთილი უნდა იქნეს.

²⁹ ეს მოხსენება ავტორმა დაბეჭდა 1961 წ. თავის ეტიუღებს VII ტომში.

ძირითად ტექსტიდანო. თავისი დებულების დასამტკიცებლად ა. შანიძემ მრავალი არგუმენტი მოიყვანა. დასასრულ ა. შანიძემ ისიც აღნიშნა, რომ თუ ინდო-ხატაელთა ამბავი ძირითად ტექსტად იქნება მიღებული, იქვე აღინიშნოს სია იმ პირთა, ვისი ხმით არის მიღებული და ვის ხმით არა.

მ. ტოროშელიძისადმი საპასუხო სიტყვაში კ. კეკელიძემ განაცხადა, რომ „ინდო-ხატაელთა ამბის ვეფხისტყაოსნის ნაწილად მიღება, ეს იქნება სკანდალი. აქ ისეთი რამეებია, რომ ვისაც ოდნავ წარმოდგენა აქვს ძველ ქართულ ენაზე, იტყვის, რომ ეს სრული პროფანაცია არის რუსთველისა“. კ. კეკელიძემ ისიც აღნიშნა, რომ მას საშუალება არ ჰქონდა ყველაფერი მოეხსენებია, რაც კომისიაში გათვალისწინებული იყო ინდო-ხატაელთა ამბის შესახებ. ოქმებში ყველაფერია აღნიშნული და არ შეიძლებოდა ყველაფრის აქ მოტანაო.

ე. ბედიამ და მ. ტოროშელიძემ მკაცრად გააკრიტიკეს კ. კეკელიძის გამოსვლა და მოითხოვეს ინდო-ხატაელთა ამბისა და ამოღებული სტროფების ძირითად ტექსტში შეტანა, კიდევ მეტი, ისინი მოითხოვდნენ იმ სტროფების შეტანასაც, რომლებიც აკლდა კ. ჭიჭინაძისა და ს. კაკაბაძის გამოცემებს. ამ სხდომაზე საბოლოო დადგენილება კომისიის არ მიუღია, მან საჭიროდ სცნო კ. კეკელიძის მოხსენება და ტექსტის დამდგენი ყოფილი კომისიის მიერ ამოღებული სტროფების სია დარიგებოდა კომისიის წევრებს და საბოლოო დადგენილება გამოეტანათ მორიგ სხდომაზე.

კომისიის მორიგი სხდომა შედგა 10 ივნისს. დაესწრნენ მ. ტოროშელიძე, ე. ბედია, ბ. ბიბინიშვილი, კ. კეკელიძე, კ. ჭიჭინაძე და გ. ქიქოძე. მ. ტოროშელიძემ განაცხადა, რომ კ. კეკელიძის მოხსენება გაეგზავნა ჩვენი კომისიის ყველა წევრს. ახლა კი, საჭიროა მივიღოთ დადგენილება. ე. ბედიას შემოაქვს წინადადება: 1. რუსთველის კომისიის წინადადება (ამხ. კ. კეკელიძის მოხსენება) ვეფხისტყაოსნის ტექსტის შესახებ უარყოფილ იქნეს, 2. საფუძვლად ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემისათვის მიღებულ იქნეს ვეფხისტყაოსნის უკანასკნელი (კ. ჭიჭინაძის) გამოცემა, 3. დასმული იქნეს საკითხი რუსთველის საიუბილეო კომიტეტში იმის შესახებ, რომ დაინიშნოს პასუხისმგებელი კომისია (მცირე შემადგენლობით), რომელიც მიიღებს რა საფუძვლად უკანასკნელ გამოცემას, შეიტანს შესაფერ შესწორებებს და გამოსცემს პოემას როგორც საბოლოოდ დადგენილს. ამ პროექტის წინააღმდეგ წავიდა კ. კეკელიძე. მან განაცხადა: ამხ. ბედიას მხარს ვუჭერ ასეთი შენიშვნის დართვით:

„რადგანაც დღესდღეობით „წმინდა შოთას“ აღდგენა (როგორც ეს სიტყვა ამხ. მ. ტოროშელიძემ წინა სხდომაზე იხმარა) შეუძლებელია, ამისათვის დაიბეჭდოს ვეფხისტყაოსანში ისიც, რაც მიეწერება შოთა რუსთაველს, ე. ი. არ იქნეს გადაწყვეტილი, რომ რაც შევა ახალ გამოცემაში, ყველაფერი შოთას კუთვნილებად არის აღიარებული“. ამაზე ე. ბელიამ შენიშნა, „არც იმის დადგენა შეიძლება, რომ არ არის შოთას კუთვნილება და არც იმის, რომ მისი კუთვნილებაა, მაგრამ დღემდე ხალხში ასეთი ტრადიციაა განმტკიცებული და ხელნაწერებიც იმას ამბობს, რომ მას ეკუთვნის ინდო-ხატაელთა ამბები, ამიტომ ვეფხისტყაოსანში უნდა შევიდეს ინდო-ხატაელთა ამბებიც. კომისიამ დაადგინა: მიღებულ იქნეს ამხ. ბელიას წინადადება. დადგენილება დაეგზავნოს ხელისმოსაწერად კომისიის ყველა წევრს. კ. კეკელიძის აზრი დაერთოს ოქმს.

1936 წ. 11. ოქტომბერს თბილისის უნივერსიტეტის რექტორი კ. ორაგველიძე ცენტრალურ კომიტეტის მდივანს ვ. ბაქრაძეს ატყობინებდა, რომ მოახლოვდა რუსთაველის საიუბილეო დღეები, რომლისთვისაც გამოცემული უნდა იქნეს ვეფხისტყაოსანი ქართულ ენაზე. რუსთაველის სახ. ინსტიტუტმა ერთი წლის განმავლობაში დაამზადა ტექსტი, მაგრამ გამოცემა კიანურდება. საიუბილეო კომიტეტის კომისიამ რამდენიმე სხდომის ჩატარებისა და პრინციპული საკითხების გადაწყვეტის შემდეგ ფაქტიურად შეწყვიტა მუშაობა. ამიტომ ცენტრალურ კომიტეტს სთხოვდა შემდგარი ყოფილიყო ახალი სარედაქციო კომისია შემდეგი შემადგენლობით: გოგეშვილი, ა. დუდუჩავა, კ. კეკელიძე, კ. ჭიჭინაძე, ა. შანიძე, ვ. ბერიძე და კ. ორაგველიძე. ამასთან ერთად კ. ორაგველიძე მოითხოვდა: ნებადართოდა უნივერსიტეტს შედგომოდა პოემის გამოცემას და უზარუნველყოფილიყო იგი მაღალი ხარისხის (ვიზიზის) ქალაქით.

საკითხი შესასწავლად გადაეცა საიუბილეო კომიტეტს. კომიტეტის თავმჯდომარემ გ. მგალობლიშვილმა კ. ორაგველიძეს მისცა მითითება, რათა მას მოეწვია ტექსტის დამდგენი პირველადი და მთავრობის კომისიები და იქ დამუშავებულიყო საკითხი ვეფხისტყაოსნის გამოცემის შესახებ.

1936 წ. 22. ოქტომბერს კ. ორაგველიძე საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარეს ატყობინებდა, რომ მან ჩაატარა თათბირი რუსთაველის ინსტიტუტთან არსებულ ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენი პირველადი და მთავრობის კომისიებისა, სადაც განხილული იყო ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის საკითხი. ამასთან ერთად საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარეს სთხოვდა, რათა შეცვლილიყო ტექსტის

დამდგენი მთავრობის კომისიის 1936 წ. 10 ივნისის დადგენილება, რომ ვეფხისტყაოსნის ახალ გამოცემას საფუძვლად დადებოდა კ. ჭიჭინაძის გამოცემა, რომელიც მიღებული იყო კომისიის იმ სხდომაზე, რომელსაც მცირე ქორუმი ესწრებოდა, თანაც დადგენილება არაა დადასტურებული ხელისმოწერით კომისიის იმ წევრებისაგან, რომლებიც სხდომას არ ესწრებოდნენ. მისაღებია მხედველობაში ის დიდი მუშაობა, რომელიც ჩაატარა რუსთაველის ინსტიტუტთან არსებულმა კომისიამ პოემის ტექსტის დადგენისათვის; აუცილებელიც მიღებულ იქნეს დადგენილება, რომ პოემის საიუბილეო გამოცემას საფუძვლად დაედოს აღნიშნული კომისიის ტექსტი ინდო-ხატაელთა ამბის დამატებით. შედგეს სარედაქციო კომისია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე (პიროვნება არაა დასახელებული ს. ყ.), პროფ. კ. კეკელიძე, პროფ. ა. შანიძე, კ. ჭიჭინაძე და დავვალოს მათ ორი კვირის განმავლობაში საბოლოოდ დაამთავრონ ტექსტის დასაბეჭდად მომზადება.

საიუბილეო კომიტეტმა განიხილა წარდგენილი პროექტი და ძირითადად მოიწონა ის. ამ კომიტეტის დადგენილებით, ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენი მთავრობის კომისიამ გამოყო მცირე სარედაქციო კომისია შემდეგი შემადგენლობით: პროფ. კ. ორაგველიძე (თავმჯდომარე), პროფ. ი. აბულაძე, პროფ. ვ. ბერიძე, პროფ. ა. დუდუჩავა, პროფ. კ. კეკელიძე და პოეტი კ. ჭიჭინაძე. კომისიის პირველი სხდომა შედგა 1937 წ. 5 იანვარს საღ. 7 ს., დაესწრნენ ი. აბულაძე, ვ. ბერიძე, ა. დუდუჩავა, კ. კეკელიძე, კ. ორაგველიძე (თ-რე) და მდივნად მოწვეული ს. იორდანიშვილი. კომისიამ მოისმინა რუსთაველის ინსტიტუტის დირექტორის ა. დუდუჩავას საინფორმაციო მოხსენება ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენ კომისიის მუშაობაზე. თავმჯდომარის წინადადების თანახმად, მცირე კომისიამ ხელახლა განიხილა ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენ კომისიის მიერ ვახტანგის გამოცემიდან ამოღებული შემდეგი სტროფები: 1. ნმ—თავსა ზის პირმზე... 2. ნთ — თქვეს თუ მეფე... 3. რობ-ღმერთო, ლომო, შენდა... 4 სნა — მაშა რადგან მიჯნურობა... 5. სნზ — იმა მოყმისა აშბავი... 6. ტოფ — ასმათი მეუბნებოდა... 7. ქმე — დევთა ყვირილი, ზახილი... 8. შნ — მოვიდიან შესამკობლად... 9. შოთ — ფრიდონისებრი მოყმენი... 10. ჩივ — რად სიცოცხლე გულსა... 11. ჩრლბ — ვთქვი უყამოდ არ წესია... 12. ჩსმე — წადი, უსტარო, ისწრაფე.. 13. ჩსტბ — შენ, საყვარელო, ნუ სკმუნავ... 14. ჩტმგ — აქა მხატვარო დახატე... 15. ჩფმე — ტარიელ

შეჯდა მეფისა... 16. ჩფჯ — სამთა ვლეს ღმერთსა...³⁰ ამ სტროფებიდან მცირე სარედაქციო კომისიამ ძირითად ტექსტში დატოვა ნმ, ნთ და ჩფჯ სტროფები (წინააღმდეგი იყვნენ ი. აბულაძე და კ. კეკელიძე) და დაუმატა შემდეგი 9 სტროფი, რომელიც ვახტანგის გამოცემაში არ არის: ს. კაკაბაძის გამოცემით: 1. 100¹ — აწ ესე მიკვირს... 2. 113¹ — ქალმან უბრძანა... 3. 137¹ — მოუკლივარ თინათინის... 4. 293¹ — წიგნი წიგნსა ეწეოდა, 5. 452¹ — მამართვეს ასი კლიტენი... 6. 518 — მე დავშვერ, ვითა წესია... 7. 545¹ — მან უთხრა, წადით... 8. 549¹ — შეველ, ფიცხლავ შევკაზმე... 9. 1463 — ფრიღონ წაყვა, განალამცა³¹...

სარედაქციო კომისიის თავმჯდომარემ კ. ორაგველიძემ 1937 წ. 23 იანვარს რუსთაველის საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარეს გ. მგალობლიშვილს წარუდგინა კომისიის მიერ ჩატარებული მუშაობის ანგარიში, სადაც ზემომოყვანილი ცნობების შემდეგ აღნიშნულია, რომ „ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენ კომისიის მიერ დადგენილი ტექსტი შეიცავს 1580 სტროფს, ე. ი. 7 სტროფით ნაკლებს ვახტანგის გამოცემასთან შედარებით, რომელშიც 1587 სტროფია. ამას გარდა — წერს კ. ორაგველიძე, — კომისიამ ჩაატარა მეტად საჭირო საპასუხისმგებლო მუშაობა მართლწერის მიზნით, რის შედეგად შეტანილ იქნა ტექსტში მრავალი უდავო შესწორება. სარედაქციო კომისიამ თავის მუშაობისას მხედველობაში მიიღო საიუბილეო კომიტეტის 1936 წლის 20 მაისის დადგენილება, რომლითაც კომისიას ევალებოდა, რომ „პოემის ტექსტის დადგენის დროს რაც შეიძლება ნაკლებად შეამციროს და ცალკეული სტროფები და ნაწყვეტები ამოიღოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სრულიად შეუძლებელი იქნება მათი პოემისათვის მიკუთვნების დადასტურება“. აღნიშნულის გარდა, სარედაქციო კომისიამ მხედველობაში მიიღო აგრეთვე ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენ მთავრობის კომისიის სხდომის (1936 წლის ივნისის 10-ის) დადგენილება „ინდო-ხატაელთა ამბის“ ვეფხისტყაოსანში შეტანის შესახებ. ყოველივე ზემოხსენებულის ნიადაგზე, სარედაქციო კომისიამ იმსჯელა ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენ კომისიის მიერ წარმოდგე-

³⁰ ს. კაკაბაძის გამოცემით დასახელებული სტროფებია: 501, 502, 1581, 231², 236¹, 347¹, 617², 925¹, 945, 982, 1095¹, 1227¹, 1253¹, 1323¹, 1525, 1527 კ. ჰიქინაძის გამოცემით: 59, 60, 189, 279, 285, 422, 699, (არ არის), 1048, 1089, 1205, 1338, 1365, 1438, 1649, 1651.

³¹ კ. ჰიქინაძის გამოცემით ეს სტროფებია: 115, 132, 162, 356, 529, 596 624, 629, 1586.

ნილ ტექსტზე (1937 წ. იანვრის 5-ისა და 19-ის სხდომები) და, მიიღო რა მხედველობაში ვახტანგის გამოცემის ავტორიტეტი და ტრადიცია, ზემოთ მოყვანილი დირექტივის საფუძველზე, კვლავ დაუბრუნდა ვეფხისტყაოსნის ტექსტს ის ზემოთ მოყვანილი 16 სტროფი, რომლებიც ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენმა პირველადმა კომისიამ ამოიღო ვახტანგის გამოცემიდან (ამ საკითხში კომისია გაიყო ორ თანასწორ ნაწილად. დადგენილება მიღებულად ითვლება თავმჯდომარის ხმით). სარედაქციო კომისიამ დაადასტურა ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენ კომისიის მიერ, ხელნაწერების შესწავლისა და შედარების შედეგად, ვეფხისტყაოსნის ტექსტში დამატებული ზემომოყვანილი 9 სტროფი. აღნიშნულ 9 სტროფს სარედაქციო კომისიამ დაუმატა კიდევ ერთი სტროფი, სახელდობრ: 341¹-ე, შეველ დავჯე ტახტსა ზედა... (ქიქინაძის გამოც. 415). რომელიც პირველად ბროსემ შეიტანა 1841 წლის გამოცემაში და შემდეგ ს. კაკაბაძემ 1927 წ. ამგვარად, ვახტანგისეულ ტექსტს სარედაქციო კომისიამ დაუმატა ინდო-ხატაელთა ამბამდის სულ ათი სტროფი, ქიქინაძის გამოცემით: [115, 132], 162, 356, 415, 529, 596, 624, 629, 1586.

რაც შეეხება ინდო-ხატაელთა ამბავს, სარედაქციო კომისიამ იგი სპეციალურ შესწავლის საგნად გაიხადა, მასში ზოგიერთი შესაფერისი შესწორების შეტანის მიზნით, რაც კომისიას დავალებული ჰქონდა იმავე მთავრობის კომისიის სხდომის 1936 წლის ივნისის 10-ის დადგენილების თანახმად. სარედაქციო კომისია იმ დასკვნამდის მივიდა, რომ ინდო-ხატაელთა ამბიდან უნდა ამოღებულ იქნეს (იმ 7 სტროფის დამატებით, რომელიც კ. ქიქინაძემ ამოიღო) შემდეგი 6 სტროფი, როგორც მთლად შეუფერებელი სტილის მსრივ და ძირითად ტექსტთან წინააღმდეგობაში. მყოფი მსოფლმხედველობრივ თვალსაზრისით. ეს სტროფებია კაკაბაძის გამოცემით: 1. 1543—მაშინ გახდეს ყველაკანი... 2. 1544 — ადგეს და მოახსენეს... 3. 1545—მადლი უბრძანეს... 4. 1557—აწ დაემზადე, მოპარვა... 5. 1561³—ვიაჯი, მამკალ, მე ყოლე... 6. 1561⁵—კაცი ცრემლითა შეინდობს³². ამგვარად, ინდო-ხატაელთა ამბიდან დატოვებულ იქნა მხოლოდ 55 სტროფი, ნაცვლად 61 სტროფისა. საბოლოო ანგარიშში, სარედაქციო კომისიის მიერ მიღებულ ვეფხის-

³² კ. ქიქინაძის გამოცემით დასახელებული სტროფებია: 1667, 1668, 1669, 1681, 1687, 1689, ამ ექვსი სტროფის შესახებ მცირე კომისიას (ე. ბერიძე, ა. დუღუჩავა (თ-რე), ს. თორდანიშვილი) მსჯელობა ჰქონდა 1937 წ. 8 იანვარს.

ტყაოსნის დადგენილი ტექსტი შეიცავს ვახტანგის გამოცემის 1587 სტროფს მთლიანად. ამას ემატება ხელნაწერებიდან 10 სტროფი შიგნით ტექსტში სხვადასხვა ადგილას და დასასრულ „ინდო-ხატაელთა“ ამბავის 55 სტროფი, როგორც დაბოლოება. ასე რომ წარმოდგენილი ტექსტი შეიცავს $1587 + 10 + 55 = 1652$ სტროფს, ე. ი. 65 სტროფით მეტს, ვიდრე ვახტანგის გამოცემა“. მოხსენების დასასრულს კ. ორაგველიძე შუამდგომლობდა შ. რუსთაველის საიუბილეო კომიტეტის წინაშე, რომ დამტკიცებულებული კომისიის მუშაობის შედეგები და მისცემოდა მას დასტური ტექსტის დასაბეჭდად გადაცემისათვის³³.

კ. ორაგველიძის მოხსენებაში აღძრული საკითხების გადასაწყვეტად საიუბილეო კომიტეტმა 1937 წ. 10 მაისს გამოყო სპეციალური კომისია. „ამ კომისიამ, — წერს ს. იორდანიშვილი, — განიხილა რა სარედაქციო კომისიის მუშაობა, ძირითადად მოიწონა იგი, მხოლოდ ინდო-ხატაელთა ამბავს კვლავ დაუბრუნა სარედაქციო კომისიის მიერ ამოღებული 1681, 1687 და 1689 სტროფები და უკანასკნელი თავის (ქორწილი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა) სტროფული თანმიმდევრობა, კ. ჭიჭინაძის გამოცემით 1713 სტროფის (ტარიელს და ცოლსა მისსა...) შემდეგ ისე მიიღო, როგორც ეს უკანასკნელ გამოცემაშია წარმოდგენილი“³⁴. ამრიგად, ვეფხისტყაოსნის დადგენილი საიუბილეო ტექსტი საბოლოოდ 1669 სტროფით იქნა მიღებული, რაც ეწინააღმდეგება ტექსტის დამდგენი პირველადი კომისიის გადაწყვეტილებას. კერძოდ აღსანიშნავია ინდო-ხატაელთა ამბავი, რომელიც გამოცემაში შეტანილ იქნა კ. ჭიჭინაძისა და მ. ტოროშელიძის ინიციატივით.

1936 წ. გამოვიდა ვეფხისტყაოსნის კ. ბალმონტისეული რუსული თარგმანი მოსკოვში. ბალმონტის თარგმანში ინდო-ხატაელთა ამბავი არ იყო შეტანილი. მ. ტოროშელიძემ ჩააგონა გამოცემლობას, რომ პოემას აკლია ბოლო ნაწილი, ინდო-ხატაელთა ამბავი, რაც, მისი აზრით, აუცილებელი იყო ვეფხისტყაოსნის მთლიანობისათვის. ეს აზრი გაიზიარეს სადირექტივო ორგანოში და კ. ბალმონტის თარგმანს დაუმატეს ინდო-ხატაელთა ამბავი, რომელიც თარგმნა ე. ტარლოვსკაიამ. ამის შემდეგ ინდო-ხატაელთა ამბავი ქარ-

³³ თბ. უნივერსიტეტის არქივი, ფონდი I, ანაწერი I, შესანახი ერთეული II, საქმე № 55, 56.

³⁴ სოლ. იორდანიშვილი, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 1953, გვ. 94.

თულ გამოცემაშიც გაჩნდა³⁵. ამრიგად, პირველადი კომისიის მიერ დადგენილმა ტექსტმა სტროფულ მოცულობაში დიდი ცვლილება განიცადა. ნაცვლად 1580 სტროფისა, პოემის ტექსტი 1669 სტროფით განისაზღვრა. აღარ ვეხები ცალკეულ წაკითხვებს, რომლებიც კომისიის სანქციის გარეშე სწორდებოდა სტამბაში.

თბილისის სახ. უნივერსიტეტმა საიუბილეო კომიტეტისაგან ვეფხისტყაოსნის ბექდვის სანქცია მიიღო 1937 წლის მაისის მეორე ნახევარში და გასწორებული ხელნაწერი იმავე თვეს ჩაბარდა სტამბას. რუსთაველის იუბილეს დღეებში (დეკემბრის მესამე დეკადა) წიგნი დაბეჭდილი იყო. ჩასმულია იგი მუყაოს ლიდერინგადაკრულ ყდაში. გარშემო ჩაქდობილი აქვს ჩარჩო. წარწერა — ავტორის ვინაობა და პოემის სახელწოდება ჩატვიფრულია ლილისფერი ასობით³⁶. ამათ ქვემოთ მრგვალი ფიგურებიანი ორნამენტია, რომელიც ამოტვიფრულია ყვითლად. იგივე წარწერა (შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი) განმეორებულია ყუაზე ამოტვიფრული და ჩაქდობილი სახით. მის ქვემოთ ამავე სახით დაბეჭდილია წიგნის გამოცემის წელი 1937. ყდის მეოთხე გვ. გაფორმებულია უწარწეროთ ისე, როგორც პირველი გვ. ფორზაცი სუფთა სქელი ქაღალდია, რომელიც მოკეციტ არის ჩაკრული. მისი პირველი გვ. ცარიელია, მეორე გვ. რუსულ-ფრანგულად დაბეჭდილია ავტორისა და პოემის სახელწოდებანი. მესამე გვ. ქართულად დაბეჭდილია ავტორისა და პოემის სახელწოდებები, გამომცემლობა, თარიღი და ადგილი. ყველა წარწერა შესრულებულია მხატვრის მიერ. ყვითელ ფერში მოცემულია ორნამენტები, რომლებიც დასმულია გვ. დასაწყისში პირველი სტრიქონის ქვემოთ, ხოლო გვ. ბოლოს — სტრიქონის ზემოთ. შუა ნაწილში მოთავსებულია პატარა ორნამენტი. ყვითელ ფერში. ავტორის ვინაობა, გამომცემლობა, დრო და ადგილი დაბეჭდილია შავ ფერში, პოემის სახელწოდება — ლურჯ ფერში. მეოთხე გვ. დაბეჭდილია ილუსტრაციების ავტორი და წიგნის გამოცემის მხატვრულად გამფორმებლების ვინაობა. აწყობილია ისინი სტამბურად ჩვეულებრივი კორპუსით. მეხუთე გვ. იწყება პ. ინგოროყვას ნარკვევი, რომლის სათაური დაწეულია 12 სტრიქონით, სიტყვები: შოთა რუსთაველი მისი პოემა, — აწყობილია 16 მთაწმინდურით, მათ შორის კავშირი „და“ — ათი მთავრული შავით. სათაურის ორი სტრიქონის დაშორებით იწყება ტექსტი. აწყობილია ის

³⁵ ა. შ ა ნ ი ძ ე, ვეფხისტყაოსნის საკითხები, 1966, გვ. 220.

³⁶ ზოგ ცალში ოქროსფერით.

10 ვენტურით. V გვ. დასმულია რომაული ციფრი 1, ამავე გვ. იწყება სიგნატურა (O1). ტექსტში გამოყენებულია შავი მთ. და თეთრი დაყოფა. თავებს შორის შუაზე დაბეჭდილია რომაული ციფრები, აწყობილია ისინი კორპუსი მთ. თეთრით. ამავე შრიფტითაა აწყობილი დასათაურებებიც. ქვესათაურებად გამოყენებულია შავი ვარსკვლავი. მაგალითებისათვის მოყვანილი ტაეპები და სტროფები, აგრეთვე სქოლიოები დაბეჭდილია პეტიტით, ქვესათაურები კი — პეტიტი მთავრული თეთრით. XXI გვ. ერთი სტროფი აწყობილია კორპუსით. ხელისმოწერა — კორპუსი მთ. შავით. ამის ქვემოთ გავლებულია მოკლე სტამბური ხაზი. ნარკვევის გვ. დანომრილია რომაული ციფრებით. მთავრდება ის 44 გვ. შემდეგ მიდის სუფთა ფურცელი, მას მიყვება ჩაკრული ჩარჩოიანი ფერადი ქალაღი, რომლის ზემო თავში დაკრულია შ. რუსთველის გავრცელებული ფოტოსურათი. მისი ვინაობა დაბეჭდილია 12 გოგებაშვილით. ჩარჩო დაბეჭდილია ლილისფრად. ტიტულზე ლილსფრად დაბეჭდილია ელიფსისებური ჩუქურთმიანი ჩარჩო, რომლის ლილისფერ ფონში ჩახატულია პოემის სახელწოდება. უკანასკნელის წარწერა თეთრი ქალაღის ფერს იძლევა, რადგანაც ასოები ამოჭრილია და საღებავი არ ესმება.

პოემის სათაურები იწყება ახალი გვერდიდან, მას ახლავს ორნამენტიანი თავსართები. დაბეჭდილია ისინი სხვადასხვა ფერში. ყველა თავის დასაწყისში პირველი ტაეპის პირველი ასო დახატულია მხატვრის მიერ ორნამენტთან ჩარჩოში, რომელიც დაბეჭდილია ორ ფერში — შავ და ლილისფერში. ეს ასოები სიმაღლით ტექსტის ასოებზე ხუთჯერ მეტია, განით კი — სამჯერ. ყველა თავის ბოლოს, იშვიათ გამონაკლისის გარდა, მოთავსებულია მხატვრის მიერ შესრულებული ორნამენტიანი ბოლოსართი, რომლებიც დაბეჭდილია სხვადასხვა ფერში. პოემის სათაურები დახატულია მხატვრის მიერ ნებისმიერი ზომით. ზოგ მათგანს დასაწყისში და ბოლოში დასმული აქვს მხატვრულად შესრულებული სხვადასხვა ნიშანი.

პოემის ტექსტი აწყობილია გოგებაშვილის 16-ით. სტროფები ერთმანეთისაგან დაშორებულია ორი სტრიქონით, მათი ნუმერაცია და მეოთხე ტაეპის დამაკავშირებელი „და“ გამოყოფილია ტექსტიდან მარცხნივ. გვ. პაგინაცია დაბეჭდილია ქვემოთ მარცხნივ და მარჯვნივ კუთხეებში. პოემის ტექსტი მთავრდება 340 გვ. 341 გვ. არის შმუტტიტული სიტყვა „ლექსიკონი“, რომელიც დახატულია მხატვრის მიერ. მის ქვემოთ არის ვარსკვლავისებური ნიშანი. მეო-

რე გვ. ცარიელია. ლექსიკონის ტექსტი იწყება 343 გვ*, თავში დაბეჭდილია თავსართი მხატვრის მიერ შესრულებული, მისგან რვა სტრიქონით დაშორებით იწყება ტექსტი. ლექსიკონის ტექსტის ყოველ ალფავიტს თავში უზის სათანადო ალფავიტის ასო, რომელიც აწყობილია 10 მთ. შავით. ლექსიკონი აწყობილია ორ სექტად, დაშორებულია ერთმანეთს 1/2 კვად. ასახსნელი სიტყვა აწყობილია შავი კორპუსით, ახსნა — თეთრი კორპუსით. ასახსნელი სიტყვები გამოწეულია მარცხნივ, ახსნის ტექსტი კი შეწეულია მარჯვნივ ორი ასოთი. სქოლიო აწყობილია პეტიტით. ბოლოში გავლებულია მოკლე თხელი სტამბური ხაზი. ლექსიკონის მომდევნო გვ. ცარიელია. 395 გვ. იწყება საძიებელი, რომელსაც თავსართი არ აქვს. დაწეულია ის 12 სტრიქონით, სათაური (საძიებელი) აწყობილია 16 მთაწმინდურით, ქვესათაურები — 10 მთ. შავით. საძიებელი სიტყვა — შავი კორპუსით, მითითებანი — თეთრი კორპუსით. აწყობილია ორ სექტად. ბოლოში გავლებულია მოკლე თხელი სტამბური ხაზი. 397 გვ. იწყება პოემის სარჩევი, რომელსაც თავსართი არ აქვს. დაწეულია ის 8 სტრიქონით. სათაური (სარჩევი) აწყობილია 14 მთ. შავით, ტექსტი — ჩვ. პეტიტით. ბოლოს გავლებულია მოკლე თხელი სტამბური ხაზი. 399 გვ. დაბეჭდილია წიგნის გამოცემასთან დაკავშირებული ცნობები. მისი პირველი სამი სტრიქონი დაბეჭდილია 10 მთ. თეთრი კორპუსით, მომდევნო 6 სტრიქონი, სარედაქციო კოლეგიის წევრები და ტექნიკური რედაქტორის ვინაობა, დაბეჭდილია 8 მთ. თეთრით. წიგნის გამფორმებლები. — ჩვ. პეტიტით, ფასი — თეთრი მთ. კორპუსით.

წიგნში მოთავსებულია ირ. თოიძის 18 ილუსტრაცია, რომელთა შორის სამი ფერებშია შესრულებული. ილუსტრაციები დაბეჭდილია თეთრ მუყაოს ქაღალდზე და ჩაწებებულია გვერდებში.

ვეფხისტყაოსანი დაიბეჭდა საქართველოს სახალხო კომისარათა საბჭოსთან არსებულ შოთა რუსთაველის საიუბილეო კომიტეტის დადგენილებით.

გამოცემასთან დაკავშირებული ცნობები წიგნში განზრახული იყო დაბეჭდილიყო შემდეგი სახით: სარედაქციო კოლეგია: გიორგი კიკნაძე, პროფ. კორნელი კეკელიძე, პროფ. იუსტინე აბულაძე, პავლე ინგოროყვა, კანდიდ ჩარკვიანი. ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენაზე მუშაობდნენ კომისიის წევრები: პროფ. კორნელი კეკელიძე (I თავმჯდომარე), პროფ. აკაკი შანიძე (II თავმჯდომარე), პროფ. ალექსანდრე ბარამიძე, პროფ. ვუკოლ ბერიძე, პავლე ინგოროყვა,

* ლექსიკონი შედგენილია იუსტ. აბულაძის მიერ.

დოც. სოლომონ იორდანიშვილი, პროფ. სარგის კაკაბაძე, კონსტანტინე ჭიჭინაძე. ტექსტის ბეჭდვას ხელმძღვანელობდა სოლომონ იორდანიშვილი. გამოცემის ხელმძღვანელი ვარლამ მიქაძე, ტექნიკური ხელმძღვანელი რომან მანდრიცკი, პ/მგებელი კორექტორი გიორგი გამყრელიძე, გამომშვები ვასილ ბოლქვაძე, საამწყობო განყ. ხელმძღვანელი ვასილ ფერაძე. ასოთამწყობები: პლატონ გაჩეჩილაძე, სანდრო მჭედლიშვილი. მბეჭდავი ვასილ თეთრაძე.

სურათები ქვაზე შეასრულა სევერიან კეცხოველმა. ქვაზე გადაყვანი შალვა ფილიპოვი. ლითოგრაფიის მბეჭდავნი: ივანე მეტრეველი და ტიხონ ეფიმიჩინი. წიგნი აიკინძა სახკომსაბჭოს სტამბაში ი. ნაზარაშვილის ხელმძღვანელობით. გადაეცა წარმოებას 20/VII—1937 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/VII—1937 წ., ტირაჟი 10000, მთავლიტის რწმუნებული №, დაკვეთის № 375, ქალ. ზომა, ნაბეჭდრ ფორმა 28×18 ილუსტრაცია.

აღნიშნული ცნობები აიწყო სტამბურად, მაგრამ წიგნში ის შემოკლებული და შესწორებული სახით დაიბეჭდა, ასე მაგ. სარედაქციო კოლეგიას დამატებული აქვს ე. ბურჭულაძე და მოხსნილია სხვა ცნობები. აღნიშნულია მხოლოდ ტექნიკური რედაქტორი სოლომონ იორდანიშვილი და სურათები ქვაზე შეასრულა ს. კეცხოველმა.

წიგნი დაიბეჭდა თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა-ლითოგრაფიაში. წიგნზე დართული ცნობებით, პოემის ხელნაწერი წარმოებას გადაცემულია 20, VII, 1937. წ., დასაბეჭდად კი ხელმოწერილია 23, XII, 1937 წ., მთავლიტის რწმუნებული № 15531—დ, აწყ. 8×12, ქალ. ზომა 58×78, ფასი 22 მან. ყდა 8 მან. დანარჩენი ცნობები იგივეა, რაც ზემოთ არის მოყვანილი.

წიგნი დაბეჭდილია კარგი ხარისხის მოსქო ქალალღზე, ტირაჟის ნაწილი საგანგებოდ შერჩეულ ქალალღზეა დაბეჭდილი და აკინძული.

XV*

1937 წელს სახელგამამაც გამოსცა ვეფხისტყაოსანი, რომელიც საიუბილეო გამოცემის ტექსტის გამეორებას წარმოადგენს. საიუბილეო გამოცემის ტექსტი კი ისე დაიბეჭდა, რომ მას არ განუცდია თანამიმდევრული ორთოგრაფიული და პუნქტუაციური რედაქცია, რისთვისაც აღნიშნულ გამოცემაში ბევრი სხვადასხვა სახის შეცდომა გაიპარა.

სახელგამის გამოცემაში ზოგი მათგანი გასწორდა, როგორცაა:

* აღნიშნულია პოემის გამოცემის რიგი.

12,2 საღრმთოდ, გასწორდა — საღმრთოდ; 206,2 ჩემმა — ჩემმან; 265,2 გარდაჰხდა — გარდახდა; 278,1 ქალმა — ქალმან; 284,3 მოსულხარ — მოსრულხარ; 300,2 ღმერთმა — ღმერთმან; 304,1 პპოს — პოს; 318,1 ძე არა — ძე არ; 346,2 მწარეთ — მწარედ; 364,2 ლამობდა — ლამოდა; 381,2 ვწერდი — ვსწერდი; 414,3 ვქნა — ვქმნა; 418,3 მერე — მერმე; 420,3 მიძრახავს — მიზრახავს; 432.1 თურმე — თურე; 471,3 ყველანი — ყველაი; 484,2 არ—რა; 489,2 მათ — მართ; 513,1 დედოფალმა — დედოფალმან; 554,1 გარდაეჰხე — გარდაეჰხედე; 610,4 სიკვდილადმდის — სიკვდილამდის; 626.1 ამოძერნეს — ამოძერეს; 631,1 მცდარმან — მცთარმან; 729,2 თურმე — თურე; 811,4 შეეწირვიდე — შევსწირვიდე; 841,2 დახედის — დაჰხედის; 1049,4 დავრჩით — დავრჩი; 1104,2 რისთვის — რასთვის; 1186,3 წასულ — წარსულ; 1252,1 ლამეს — ლამე; 1270,4 ოროვე — ორივე; 1283,2 მათ — მან; 1347,4 ორჯერვე — ორჯელვე; 1381,3 ხელ-აპყრობით — ხელ-აღპყრობით; 1404,4. მივსცემთ — მივსცეთ; 1411,4 ფიცხელი — ფიცხელნი; 1471,1 უთხრა — უთხარ; 1531,1 ჰლამობდა — ჰლამოდა; 1567,4 ნაღველ-ჰმულია — ნაღველჰმულია; 1568,3 ყელისა — ყელითა; 1578,1 ღმერთმან — ღმერთსა; 1595,4 მზეო — მზენო.

გასწორდა პუნქტუაციაც, შდ. სტროფები და ტაეპები: 386,3; 400,4; 401,3; 404,4; 405,4; 410,4; 411,4; 424,2; 433,4; 438,4; 476,1; 482,3; 485,4; 520,1; 531,2, 4; 533,4; 534,4; 535,2; 543,2; 574,1; 594,4; 598,3; 609,3; 615,3,4; 627,4; 644,4; 650,4; 652,1, 4; 653,4; 662,4; 672,3; 673,3; 675,2; 681,1; 687,4; 704,4; 716,2 და სხვ. მაგრამ ამ გამოცემაშიც გაიპარა ახალი შეცდომები, რომელთა ნაწილი აღნუსხულია წიგნის 406 გვ.³⁷

საიუბილეო გამოცემის ილუსტრაციები ამ გამოცემაში შეცვლილია მ. ზიჩის ილუსტრაციით³⁸, რომელიც ტექსტთან ერთად არის დაბეჭდილი და შედის გვერდების პაგინაციაში ნუმერაციის აღუნიშვნელად. სახელგამის გამოცემაში დაბეჭდილია 22 შემჩნეული შეცდომათა გასწორება.

უკანასკნელი გამოცემის ყდა კოლენკორგადაკრულია, მის პირველ გვ. ჩატვიფრულია ავტორის ვინაობა, პოემისა და გამოცემლის სახელწოდებანი. ყუაზე ამოტვიფრულია — ვეფხისტყაოსა—

³⁷ იხ. აგრეთვე ა. ბარამიძე კ. აკეკლიძე, ა. შანიძე, ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემის გამო, ლიტერატურული ძიებანი, VIII, გვ. 359, კ. აკეკლიძე რუსთველოლოგიური ნარკვევები, 1971 წ., გვ. 240.

³⁸ მ. ზიჩის ცნობილ ილუსტრაციებიდან აკლია ფატმანის მონაგრძნეული ბართით ხელში ნესტან-დაბეჯანთან რომ მიფრინავს ქაქეთს.

ნი, ჩატვიფრულია წელი 1937. ბოლოებში დართული აქვს ორნამენტები. ყდის მეოთხე გვერდზე ჩატვიფრულია წიგნის ფასი. მეორე-მესამე და ფორზაცის ერთ გვ. მოყვითალო ფონზე დაბეჭდილია ტალღისებური ყავისფერი ხაზები. ფორზაცის მეორე გვ. ცარიელია. მომდევნო გვერდზე დაბეჭდილია გამომცემლობის ემბლემა. შემდეგი გვ. ცარიელია. ტიტული: „შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, სახელგამი 1937“ შესრულებულია მხატვრის მიერ, დაბეჭდილია შავ ფერში. მეორე გვ. ცარიელია. შემდეგ ჩაწებებულია მარცხენა მხრიდან შ. რუსთაველის გავრცელებული პორტრეტი, რომლის წარწერა დაბეჭდილია გაშლით ხომლი 12-ით.

ნარკვევის სათაური აწყობილია 12 მთ. შავით, ტექსტი — 10 ვენურით. სათაურები 10 მთ. თეთრით, ქვესათაურები — კორპუსი მთავრული თეთრით. სქოლიოები — ჩვეულებრივი პეტიტივით. ტექსტში გამოყენებულია შავი და თეთრი კურსივი. ტექსტი ზოგან ვარსკვლავებით არის გამოყოფილი. თავებს უზის რომაული ციფრების ნუმერაცია. ნარკვევში მეორე თავის შემდეგ შეცდომით მეოთხე და მისი მომდევნო თავების ნუმერაციაა დაბეჭდილი. პაგინაცია რომაული ციფრებია, ავტორის ხელისმოწერა დაბეჭდილია კორპუსი მთავრულით. სანიმუშო ლექსები აწყობილია თეთრი პეტიტივით.

ვეფხისტყაოსნის ყოველი თავი იწყება ახალი გვ. და აქვს თავსართი და ბოლოსართი. მათი უმრავლესობა გადმოდებულია ძველი ქართული ხელნაწერებიდან. გამონაკლისს შეადგენს 169 გვ., სადაც, უაღვილობის გამო, ბოლოსართი არაა დაბეჭდილი. აგრეთვე 279 გვ. სათაურისა და ბოლოსართის ადგილას ორი სტროფია (1327—1328) დაბეჭდილი. წიგნში ადგილი აქვს თავსართ-ბოლოსართების გამეორებებს. გვერდებზე მოთავსებულია არა უმეტეს შვიდი სტროფისა. ანაწყობის ზომა $10\frac{1}{2} \times 19$ სმ. სტროფების ნუმერაციები მოთავსებულია თავზე, პირველი ტაეპის გასწვრივ, მეოთხე ტაეპის დამაკავშირებელი „და“ გამოყოფილია ტექსტის გარეთ. სათაურები აწყობილია 16 გოგებაშვილით, ტექსტი — 10 ვენურით. სტროფების დაშორება — ერთი სტრიქონი.

ილუსტრაციების მეორე გვ. ცარიელია, პირველი გვერდის წარწერები კი აწყობილია ვენური პეტიტივით. პოემის ტექსტი თავდება 345 გვერდზე. 346 გვ. ცარიელია. 347 გვ. შმუცტიტული — ლექსიკონი, აწყობილია გოგებაშვილის 24-ით. შემდეგი გვ. ცარიელია.

349-ე გვერიდან იწყება ლექსიკონის ტექსტი (შედგენილია იუს. აბულაძის მიერ), დაბეჭდილია იგი ჩვეულებრივი პეტიტივით. განსამარტავი სიტყვა — შავი კურსივით. ლექსიკონის დასაწყის გვ. თავ-

ში გავლებული აქვს შავი სქელი და თხელი ხაზები. ტექსტი აწყობილია ორ სვეტად, დაშორება — $\frac{1}{2}$ კვ., ანბანთა მაჩვენებლები დაბეჭდილია 8 მთ. შავით და მოთავსებულია შესაფერისი ალფავეიტის სვეტის თავზე.

შენიშვნა (გვ. 349) აწყობილია პეტიტით. გვ. პაგინაცია აღნიშნულია ქვემოთ, მარცხნივ და მარჯვნივ კუთხეებში. ლექსიკონის ტექსტს გვერდების თავზე გავლებული აქვს სტამბური წვრილი ხაზი, მის ზემოთ წყვილ გვ. დაბეჭდილია — ვეფხისტყაოსანი, კენტ გვ. კი — ლექსიკონი. აწყობილია ისინი ვენური პეტიტით. ლექსიკონი თავდება 399 გვ., 400 გვ. ცარიელია.

401—402 გვ. მოთავსებულია პიროვნული, გეოგრაფიული და ეთნოლოგიური სახელების საძიებლები. სათაური — საძიებელი, აწყობილია 14 მთავრული შავით, ქვესათაურები (პიროვნებანი, გეოგრაფიული და ეთნოლოგიური სახელები) აწყობილია. კორპუსი მთ. შავით, საძიებელი სიტყვები — შავი პეტიტით, დანარჩენი — თეთრი პეტიტით. სათაური — სარჩევი (გვ. 403) აწყობილია შავი მთავრული 12-ით, ტექსტი — ჩვეულებრივი პეტიტით. 405 გვ. დაბეჭდილია შემდეგი ცნობები: „დაიბეჭდა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ შოთა რუსთაველის საიუბილეო კომიტეტის დადგენილებით“ და „სარედაქციო კოლეგია“, აწყობილია ისინი 10 მთ. თეთრით. სარედაქციო კოლეგიის წევრები (პროფ. ი. აბულაძე, ე. ბურჭულაძე, პ. ინგოროყვა, პროფ. კ. კეკელიძე, გ. კიკნაძე, კ. ჩარკვიანი) და ტექნიკური რედაქტორი (ს. იორდანიშვილი) დაბეჭდილია 8 მთ. თეთრით. სხვა ცნობები დაბეჭდილია ჩვეულებრივი პეტიტით.

406 გვ. დაბეჭდილია 22 „შემჩნეულ შეცდომათა გასწორება“, სათაური აწყობილია 8 მთ. შავით, ტექსტი კი — პეტიტით, რომელიც ხაზებშია მოთავსებული.

ხელნაწერი წარმოებას გადაეცა 1937 წ. 4 თებერვალს. ხელმოწერილია დასაბეჭდად 23, XII, 1937 წ. ტირაჟი 1500 (40000); მთავლიტის რწმუნებული № 18474. დაკვეთის № 200; ქალაქის ზომა 72×105; ნაბეჭდი ფორმა 29. დაიბეჭდა სახელგამის პოლიგრაფკომბინატში, უორესის (დღევანდელი მარჯანიშვილის) 5, ფასი 7 მან. 50 კაპ. აქედან უდა 1 მან. 50 კაპ.

წიგნი გასაყიდად გამოვიდა 1938 წ. პირველ კვარტალში.

1937 წ. სახელგამის მიერ გამოცემულ ვეფხისტყაოსანს, როგორც აღნიშნეთ, დეფექტები აღმოაჩნდა. აწყობისას თუ გვერდების შეკვრისას 1327—1328 სტროფები გამორჩენიათ და შემდეგ იძულებული გამხდარან 278 გვერდიდან ამოეგდოთ ბოლოსართი, ხოლო 279 გვ. თავსართი და სათაური „წასლვა ავთანდილისა გულანშაროთ და ტარიელის შეყრა“, და მის ადგილას ჩაებეჭდათ აღნიშნული სტროფები. შეცვლილია სათაური „ტარიელისა და ავთანდილისაგან წასვლა ფრიდონისასა“ — „ტარიელისა და ავთანდილისაგან ნახვა ფრიდონისა“. გააბრუნია კორექტურული შეცდომები და სხვ. ყველა ეს და სხვა დაშვებული შეცდომების დიდი რაოდენობა გასწორებულ იქნა სახელგამის მიერ იმავე (1937) წლის სასკოლო ბიბლიოთეკის სერიით გამოცემულ ვეფხისტყაოსანში. უკანასკნელი შეიცავს თავისი გაფორმებით სახელგამის 1937 წ. გამოცემის განმეორებას. ამოღებულია მხოლოდ ნარკვევი „შოთა რუსთაველი და მისი პოემა“.

332 გვ. გასწორებულია ბოლოსართის კლიშე და სახელგამის გამოცემის კორექტურული შეცდომები, 1326 სტროფის შემდეგ აღდგენილია სათაური: „წასლვა ავთანდილისა გულანშაროთ და ტარიელის შეყრა“ (გვ. 279).

სახელგამის 1937 წ. და იმავე წლის სასკოლო გამოცემის გვერდები ერთმანეთს ემთხვევიან, გამონაკლისს შეადგენს სახელგამის გამოცემის 278 გვ. ბოლო ნაწილიდან 287 გვ. ზემო ნაწილში მოთავსებული 1327—1373 სტროფები, რომლებიც სასკოლო გამოცემაში მოთავსებულია 279—288 გვ., მომდევნო გვერდები კი ერთმანეთს ემთხვევიან, ოღონდ სასკოლო ლუწი გვ. უდრის სახელგამის კენტ გვ.

პოემის ტექსტი სახელგამის გამოცემაში თავდება 345 გვ., სასკოლოში 346 გვ.

სასკოლო გამოცემის ყდა მუყაოზე გადაკრული ქაღალდია. მის პირველ გვ. დაბეჭდილია მხატვრის მიერ დახატული ორნამენტი, რომლის შიგნით მოთავსებულია წარწერები — თავში: „სასკოლო ბიბლიოთეკა, მხატვრული ლიტერატურა“, შუა ადგილას ორ სტრიქონად — ვეფხისტყაოსანი, ქვემოთ — სახელგამი. პოემის სახელწოდება დაბეჭდილია ჩარჩოს შუა ადგილას თეთრ ფონზე შავ ფერში. იმავე სახითაა დაბეჭდილი დანარჩენი წარწერებიც ლილის ფერად.

ყდის მეოთხე გვ. დაბეჭდილია თავში: წიგნის ფასი, შუა ადგილას — სახელგამის ემბლემა და ბოლოში რუსულად — ავტორის ვინაობა, პოემის სახელწოდება, გამომცემლობა, ქალაქი და წელი 1938.

ყდის პირველ გვერდზე კლიშეთი დაბეჭდილი პოემის სახელწოდება გამეორებულია ტიტულზე. მხატვრის მიერ არის აგრეთვე შესრულებული ტიტულზე დაბეჭდილი პოემის ავტორისა და გამომცემლის ვინაობა.

წარწერა: სასკოლო ბიბლიოთეკა — აწყობილია გაშლით 10 მთ. თეთრით, რომელსაც ქვემოთ გავლებული აქვს სტამბური თხელი ხაზი. „ტფილისი 1937“ აწყობილია შავი მთავრული 10-ით. ტიტული დაბეჭდილია შავ ფერში. მისი მეორე გვ. ცარიელია. შემდეგ გვ. იწყება პოემის ტექსტი.

წიგნის დანარჩენი ნაწილები: თავსართ-ბოლოსართები, ორიოდ გამონაკლისის გარდა³⁹, აგრეთვე შრიფტები, იგივეა, რაც სახელგამის 1937 წ. გამოცემის. 406 ცარიელ გვ., რაღაც გაუგებრობით, დაბეჭდილია: „შენიშვნები გ. აბზიანიძისა“, რომელიც გამომცემლობას შემდეგ ქალაქის დაწებებით დაუფარავს.

ამ ორ გამოცემათა შორის პირველად დაიბეჭდა სახელგამის გამოცემა (დაკვეთის № 200), რომლის ანაწყობი გამოყენებულია სასკოლო გამოცემისათვის (დაკვეთის № 262). წიგნი დაიბეჭდა 10300 ც. მთავლიტის რწმუნებული № 1909; შეკვეთის № 262, ნაბეჭდი ფორმა 25,5. დანარჩენი ცნობები იგივეა, რაც სახელგამის 1937 წ. გამოცემას ახლავს (გვ. 405).

ფასი 5 მან., აქედან ყდა 50 კაპ.

წიგნი ბაზარზე გამოვიდა 1938 წლის პირველ კვარტალში.

XVII

რუსთაველის 750 წლის იუბილესთან დაკავშირებით უნდა გამოცემულიყო ჯიბის ვეფხისტყაოსანიც. ამ საკითხზე 1937 წ. 22 ივნისის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს ა. თათაროშვილს ატყობინებდა, რომ ჯიბის ვეფხისტყაოსანი მზად არის გამოსაცემადო და სთხოვდა ნებართვას მის გამოცემაზე. ამასთან ერთად აცნობებდა

³⁹ 187-ე გვერდზე რატომღაც არაა დაბეჭდილი ბოლოსართი. ადგილის უქონლობის გამო არაა იგი დაბეჭდილი 49-ე გვერდზეც. არასწორადაა დაბეჭდილი ბოლოსართის კლიშე გვ. 64, 197, შედ. გვ. 82, 129, 206 და სხვ. შებრუნებითაა დაბეჭდილი პაგინაციის ციფრი 333.

გამოცემის გეგმას: იგი აიწყობა პეტიტით, ექნება კარგი ქალაქი და ყდა, ხელმისაწვდომი და მოხერხებული იქნება მასობრივი მკითხველისთვის.

მთავრობის საიუბილეო კომიტეტისაგან ნებართვის მიღების შემდეგ უნივერსიტეტი შეუდგა გამოცემას. ტექსტი გადაბეჭდილია საიუბილეო გამოცემიდან.

როგორც აღვნიშნეთ, საიუბილეო გამოცემა შეცდომებით დაიბეჭდა, რაც წიგნის გამოსვლისთანავე იქნა შემჩნეული. ზოგი მათგანი სარედაქციო კოლეგიამ გაასწორა ვეფხისტყაოსნის ჯიბის გამოცემაში, როგორცაა: 62,2 დავლიე გასწორდა — დავლივენ; 80,4 გვინახავნ — გვინახვან; 81,4 დასრვილი — დასერილი; 83,2 უფროსი — უფროსნი; 98,1 უკვირდათ — უკვირდა; 98,3 აქვთ — აქვს; 125,1 ქალმა — ქალმან; 186,4 ვსცნა — ვცნა; 218,3 დაჰყვეს — დაყვეს; 418,3 ავდექ — ავდეგ; 484,2 არ — რა; 499,4 სისხლი — სისხლნი; 817,1 პოვა — პოვნა; 829,4 მისცეს — მისცენ; 851,1 ვკითხევი — ვკითხევი; 851,4 დავყარი — დავყარი; 856,1 ბურვენ — ჰბურვენ; 865,4 დაამოკლე — დაამოკლენ; 1031,2 გვისვამს — გვისვამან; 1075,4 მოიძულვეს — მოიძულვნეს; 1078,2 თქვენს — თქვეს; 1326,4 დაცავემარხეო — დაცავემარხენო, 1404,3 ფიცხად — ფიცხლად; 1413,4 დაიხურეს — დაიხურნეს; 1416,3 ნახეს — ნახნეს; 1510,4 ამისათვის — ამისთვის; 1511,4 ქვენ — თქვენ; 1563,1 როსტევანს — როსტევან და სხვ. ამას გარდა, ამ გამოცემაშიც გასწორებულია სახელგამის (1937 წ.) გამოცემაში შეტანილი შესწორებები, როგორცაა 12, 2, 125,1; 411,4; 1511,4 და სხვ.

წიგნი ჩასმულია მაგარ მუყაოზე ლიდერინგადაკრულ ყდაში, რომელიც თავში და ბოლოში ორნამენტითაა ჩაჭდობილი. ყდის პირველ გვ. ყვითელი ფერის ლიდერინზე (4,5×5,7 სმ) ორ სტრიქონად, ამოტივფრულია პოემის სახელწოდება და ჩაკრულია ყდის ჩატვიფრულ შუა ადგილას. ყუაზე ჩატვიფრულია პოემის ავტორის ვინაობა, რომელიც თავში და ბოლოში ორნამენტითაა ჩაჭდობილი. ფორზაცი ჩაკერებულია. პირველი გვერდის შუა ადგილას მოთავსებულია პოემის შინაარსიდან შექმნილი ილუსტრაცია. კონტრაქტულზე დაბეჭდილია რუსულად და ფრანგულად ავტორის ვინაობა, პოემის სახელწოდება და ქალაქი თბილისი. იგივეა ტიტულზე ქართულად. ორივე დაბეჭდილია აგურისფერ ორნამენტში, დანარჩენი კი შავ ფერშია.

გამოცემას ერთვის ირ. თოიძის ფერებში დახატული შ. რუსთველის პორტრეტი ქაჯეთის ციხის ფონზე. წარწერა შესრულებუ-

ლია მხატვრის მიერ. პორტრეტი ჩაკერებულია წიგნში. შემდეგ გვ. დაბეჭდილია კვერცხის ფორმისებურ ორნამენტში თეთრად ჩაბეჭდილი პოემის სახელწოდება ისე, როგორც ეს დაბეჭდილია საიუბილეო გამოცემის ტიტულზე. ცალკე ქაღალდებზეა დაბეჭდილი ირ. თოიძის ილუსტრაციები, რომლებიც წიგნში ჩაწებებულია. პოემის სათაურები იწყება ახალი გვ., თითოეულ მათგანს აქვს თავსართი და ბოლოსართი. სათაურები აწყობილია 16 ასომთავრული ჩონჩხით, ტექსტი — აკადემიური 10-ით. სტროფთა ნუმერაციები დაბეჭდილია თავში პეტიტით, მარჯვნივ სამი ასოს შეწევით. მეოთხე ტაეპის დამაკავშირებელი „და“ ამოღებულია. გვ. ნუმერაცია დაბეჭდილია ქვემოთ მარჯვნივ და მარცხნივ კუთხეებში. 428-ე გვ. მოთავსებულია გამომცემლობის განცხადება. მისი სათაური „გამომცემლობისაგან“ დაბეჭდილია 10 მთ. თეთრით, ტექსტი კი — ჩვეულებრივი ვენური თეთრით.

სარჩევი აწყობილია 8 მთ. თეთრით, ტექსტი — აკადემიური 10-ით. ბოლო ფურცელი აწყობილია 10 ვენურით, გვარები დაყოფილია, ფასი — 10 მთ. თეთრით:

წიგნი შეიცავს 434 გვ. თითოეულ გვერდზე მოთავსებულია არა უმეტეს 5 სტროფისა. დაბეჭდილია ჩვეულებრივ ქაღალდზე, რის გამოც გამოცემა სქელი ზომის გამოვიდა, რაც არ შეეფერება საჯიბე გამოცემას. შრიფტი კრის თვალებს და ძნელად იკითხება.

გარეგანი და შინაგანი მხატვრული გაფორმება ეკუთვნის მხატვარ სევ. კეცხოველს.

წიგნი დაიბეჭდა და აიკინძა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბა-ლითოგრაფიაში, მარის ქ. (დღევანდელი ი. ჭავჭავაძის პროსპექტი) № 1. ტექრედაქტორი ვ. ბოლქვაძე, კორექტორი გ. ნადარეიშვილი, ასოთამწყობი დ. სუხიშვილი. გადაეცა წარმოებას 26 I 1938 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 20, VI, 1938 წ. ტირაჟი 10000. წიგნის ზომა $3\frac{1}{2} \times 6$. ქაღალდის ზომა 32×72 . ნაბეჭდი ფორმა $27\frac{1}{16}$, გამომც. შეკვეთა № 8, სტამბის შეკვეთა № 447. მთავლიტის რწმუნებული № 2166. პასუხისმგებელი გამომცემისათვის ვარლამ მიქაძე. ფასი 10 მან. ყდა 2 მან.

ამ გამოცემას უნდა დართოდა წინასიტყვაობა, უკანასკნელის ტექსტი რეცენზენტებს (ი. აბულაძე, ვ. ბერიძე, კ. ჭიჭინაძე) გადაეცათ 1937 წ. 21 მარტს, შემდეგში გეგმა შეიცვალა და წიგნი წინასიტყვაობის გარეშე დაიბეჭდა.

ვეფხისტყაოსნის მორიგი გამოცემა განახორციელა სახელგამმა 1941 წ. წიგნი ჩასმულია მაგარ მუყაოზე ლიდერინგადაკრულ ყდაში. მის პირველ გვერდზე ამობურცულად მოცემულია რუსთველის გამოსახულება. ჩატვიფრით დაბეჭდილია პოემის სახელწოდება, ვანის ტოტები და გამომცემლობა. ყუაზე მოცემულია ორნამენტები და ჩატვიფრით ორ სტრიქონად პოემის სახელწოდება. ჩატვიფრითაა აგრეთვე ყდის მე-4 გვ. დაბეჭდილი წიგნის ფასი. ფორზაცი შესრულებულია მხატვრის მიერ, დაბეჭდილია იგი ყვითელ და მუქ მიხაკის ფერებში.

პირველ გვ. დაბეჭდილია გამომცემლობის ემბლემა. მეორე გვერდი ცარიელია. ტიტული შესრულებულია მხატვრის მიერ, სადაც აღნიშნულია ავტორი, პოემის სახელწოდება, გამომცემლობა და თარიღი. პოემის სახელწოდება დაბეჭდილია მწვანე ფერში, დანარჩენი კი — შავფერში. მომდევნო მეორე გვ. ცარიელია. ამის შემდეგ ჩაკრულია მ. ზიჩის ფერადი ილუსტრაცია — შ. რუსთაველი ვეფხისტყაოსანს აწოდებს თამარ მეფეს.

პოემის ყოველ თავს ერთვის მხატვრის მიერ შესრულებული თავსართი და ბოლოსართი. საამისოდ გამოყენებულია სახელგამის 1937 წლის გამოცემა. დაბეჭდილია ისინი მწვანე ფერში. ვეფხისტყაოსნის სათაურები აწყობილია გოგებაშვილის 16-ით, ტექსტი — ჩვეულებრივი კორპუსით. სტროფების ნუმერაცია დაბეჭდილია სტროფებს შუა მარცხენა მხარეს. მეოთხე ტაეპის დამაკავშირებელი „დ“ გამოყოფილია ტექსტიდან. წიგნში მოთავსებულია მ. ზიჩის ილუსტრაციები. დაბეჭდილია ისინი ცალკე ფურცლებზე და შედის წიგნის საერთო პაგინაციაში ნუმერაციის აღუნიშვნელად. ილუსტრაციების ტექსტი ამოღებულია ვეფხისტყაოსნიდან და დაბეჭდილია თეთრი პეტიტით სტროფის და ტაეპის ჩვენებით.

წიგნის პაგინაციები მოცემულია ქვემოთ მარჯვნივ კენტ გვ. და მარცხნივ ლუწ გვ. კუთხეებში, პოემის ტექსტის შემდეგ დაბეჭდილია შმუტტიტული — ლექსიკონი, რომელიც აწყობილია გოგებაშვილის 16-ით. მომდევნო გვ. ცარიელია. ლექსიკონი შედგენილია იუსტ. აბულაძის მიერ. იწყება იგი 353 გვ., რომელსაც თავში დასმული აქვს მსხვილი შავი სტამბური ხაზი, ხოლო მის ქვემოთ გავლებულია წმინდა სტამბური ხაზი. მათგან, 4 სტრიქონის დაშორებით, იწყება ლექსიკონი, რომლის ტექსტი აწყობილია ორ სვეტად, განსამარტავი სიტყვა — შავი პეტიტით, განმარტება — თეთრი პეტ.

თავში, შუა ადგილას, დასმულია ალფავიტის რიგითი ასოები. აწყობილია ისინი 8 მთ. შ. განსამარტავი სიტყვა გარეთ არის გამოტანილი, განმარტებანი კი შეწეულია 4 ასოთი მარჯვნივ. სვეტები ერთმანეთს დაშორებულია $1/2$ კვ. ლექსიკონის ტექსტს გვ. თავზე გავლებული აქვს წერილი ხაზი, რომლის ზემოთ თეთრი პეტიტით დაბეჭდილია: ვეფხის-ტყაოსანი. ლექსიკონის დასასრულს გავლებულია მოკლე სტამბური ხაზი. 404—405 გვ. დაბეჭდილია საძიებელი: ა) პიროვნებანი, ბ) გეოგრაფიული და ეთნოლოგიური სახელები.

საძიებელი აწყობილია 14 მთ. შავით, მისი ქვესათაურები — კორპუსი მთავრული შავი, ტექსტი — შავი პეტიტით, პოემის მითითებული ადგილები — თეთრი პეტიტით. 406—407 გვ. უჭირავს სარჩევს. სათაური სარჩევი—აწყობილია 10 მთ. შავით, ტექსტი—თეთრი პეტიტით. ტექსტის დასასრულს გავლებულია მოკლე სტამბური ხაზი. წიგნის ბოლო გვ. (408) თავში რუსულად დაბეჭდილია სახელწოდებანი ავტორის, პოემის, გამომცემლობის, ქალაქის (თბილისი) და აღნიშნულია გამომცემის თარიღი.

გვ. შუა ადგილზე მარჯვნივ შეწევით დაბეჭდილია ცნობა, რომ ეს გამოცემა „დაიბეჭდა 1937 წლის საიუბილეო გამოცემის ტექსტის მიხედვით“. მის ქვემოთ დაშორებით მარჯვნივ დაბეჭდილია „პასუხისმგებელი გამომცემისათვის კონსტ. ტიკინაძე. ილუსტრაცია ზიჩისა. გარეგანი გაფორმება ბ. გორდუზიანისა“. ბოლოს მოცემულია გამოცემასთან დაკავშირებული ცნობები. რუსული ტექსტი აწყობილია 12 და 10 ელისაბედისებური შრიფტებით, ქართული ტექსტი კი — თეთრი პეტიტით, გვარები და სახელები — შავი პეტიტით.

ტექსტი აიწყოდა დაიბეჭდა თბილისში, სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატში, ჟორესის (დღევანდელი მარჯანიშვილის) ქ. 5 ხელმოწერილია დასაბეჭდად 11, II—41 წ. უე 5679, ნაბეჭდი ფორმათა რაოდენობა 25,5. ანაწყობის ზომა $6\frac{1}{2} \times 10\frac{1}{2}$ საავტორო ფორმათა რაოდენობა — 18, 84. ნიშანთა რაოდენობა სასტამბო ფორმაში 44352. სტამბის შეკვეთა № 2232, ტირაჟი 10000, ფასი 10 მანეთი, აქედან ყდა — 1 მან 75 კაპ.

როგორც გამომცემლობა იუწყება, ამ გამოცემის ტექსტი გადამობეჭდილია 1937 წ. საიუბილეო გამოცემიდან. მართლაც, ამ ორ გამოცემაში ისეთი წაკითხვები მოიპოვება, რომლებიც სახელგამის 1937 წლის გამოცემებში გასწორებულა, მაგ. 381,2 ვწერდი; 432,1 თურმე; 513,1 დედოფალმა; 811,4 შევწირვიდე; 1252,1 ღამეს; 1283,2 მათ; 1471,1 უთხრა; 1567,4 ნაღველ-კმულია; 1578,1 ღმერთ-

მან; 1595,4 მზეო და სხვ. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ 1941 წ. გამოცემის ტექსტი 1937 წ. საიუბილეო გამოცემასთან სრულ იდენტურობაში იყოს. საიუბილეო გამოცემის ზოგი რამ ამ გამოცემაში გასწორებული ჩანს, მაგ. 471,3 ყველანი, გასწორებულია — ყველაი, 626,1 ამოძვრენს — ამოძვრეს, 729,2 თურმე — თურე, 1186,3 წასულ — წასრულ და სხვ. გააარულია კორექტურული შეცდომები, მაგ. 546,1 დაბეჭდილია: თაბირი; თათბირის ნაცვლად, 963,3 საჯანი, უნდა იყოს: სჯანი, 1365,1 მინახეს, მინახავს ნაცვლად და სხვ.⁴⁰

XIX

1943 წ. დ. ხელაძემ ბერლინში გამოსცა ვეფხისტყაოსანი. იგი შედგება 1600 სტროფისაგან. წიგნს თანდართული ცნობით, ეს გამოცემა დაბეჭდილია 500 ეგზემპლარი — 450 ცალი ჩვეულებრივ ქაღალდზე, ხოლო 50 ცალი უფრო კარგი ხარისხის ქაღალდზე და არის დანომრილი (1—50). განსაკუთრებული გამოცემის მე-15 ნომერი დატულია ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში. წიგნის ზომა არის 10×6¹/₂ სმ. ჩასმულია მუყაოზე ტყავგადაკრულ ყდაში. ყდა და ყუა ჩასმულია ჩარჩოში. ყდის I გვ. ზემო კუთხის მარცხნივ ჩატვიფრულა ოქროსფერი ასოები. S. K. V. ამავე წესით ყუას ძირში დაბეჭდილია EDITEUR D. KELADZE. ყდების არეები და შიდა გვერდები მოტვიფრულია ოქროსფერი საღებავით. ყდის მე-2 და მე-3 გვ. შუა ადგილას დაკრულია ლილისფერი ქსოვილი, რომელიც გარშემოვლებულია ჩატვიფრული წერილი სამი და ორწერტილიანი ხაზებით. წიგნის დასაწყის კენტ გვერდზე გადაკრულია ლილისფერი ქსოვილის კოლენკორი, ლუწ და მომდევნო გვერდებზე — შინდის ფერი ქაღალდი, რომელიც შემკულია ოქროს ფერი წერტილებით და ზიგზაგური ხაზებით. ასეა გაფორმებული წიგნის ბოლო ცარიელი გვერდებიც. წიგნს გარშემო გავლებული აქვს ოქროს ფერი საღებავი, შიგ ჩადებულია ზონარი, ჩასმულია შინდისფერ მაგარ მუყაოს სპეციალურ ყუთში.

ამ გამოცემის მეორე წყების ყდა მოყვითალო ფერის სქელი ქაღალდია. წიგნზე წარწერა — ვეფხისტყაოსანი — აწყობილია გოგებაშვილის 36-ით, დაბეჭდილია წითლად. ტიტულზე ავტორის ვი-

⁴⁰ იხ. ა. ბ ა რ ა მ ი ძ ე, კ. კ ე ქ ე ლ ი ძ ე, ა. შ ა ნ ი ძ ე, ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემის გამო, ლიტერატურული ძიებანი, VIII, გვ. 359. ახალი შესწორებები ამ გამოცემაში შეტანილი უნდა იყოს კ. ქიქინაძის მიერ, თუმცა იგი ამის შესახებ კატეგორიულად აცხადებს, რომ საიუბილეო გამოცემის გასწორების უფლება ჰე არ მქონდაო (იხ. კ. ქ ი ქ ი ნ ა ძ ე, რუსთაველი და მისი პოემა, 1960, გვ. 169).

ნაობა აწყობილია 14 მთ. შავით, პოემის სახელწოდება — 24 გოგებაშვილით. გამოცემის ადგილი: ბერლინი — აწყობილია 10 მთ., თარიღი: 1943—შავი პეტიტი. მეორე გვ. ცარიელია. მე-5 გვ. აღნიშნულია ცნობა ტირაჟზე, აწყობილია იგი შავი კორპუსით, დანარჩენი ცნობები — თეთრი კორპუსით. შემდეგი გვ. ცარიელია. მე-7 გვ. შავი კორპუსით დაბეჭდილია: დ. ხელადის გამოცემა. მის ზემოთ და ქვემოთ გავლებულია სტამბური თხელი ხაზი. გვ. ქვემოთ, პეტიტით დაბეჭდილია: Gedruckt in der Gallus Druckerei KG Berlin, Charlottenburg, 2. მე-8 გვ. ცარიელია. მე-9 გვ. დაბეჭდილია ერთმეორის გვერდით შ. რუსთაველი და თამარ მეფე. მათი ვინაობის წარწერები აწყობილია 10 მთ. შავით: მომდევნო გვ. ცარიელია. მე-11 გვ. პოემის სახელწოდება აწყობილია 14 მთ. შავით. მე-12 გვ. ცარიელია, მე-13 გვ. იწყება პოემის შესავალი. სიტყვა „შესავალი“ აწყობილია 10 მთ. შ. პოემის მთლიანი ტექსტი აწყობილია კორპუსით. ანაწყობის ზომა 5X7 სმ. სტროფები ერთმანეთისაგან დაშორებულია ერთი სტრიქონით. დაბეჭდილია ისინი უნუმერაციოდ და სტროფის მეოთხე ტაეპის დამაკავშირებელი „და“-ს გარეშე. პოემის თავები აღრიცხულია რომაული ციფრებით I—XLVII. ყოველი თავი იწყება ახალი გვერდით, გარდა უკანათქმისა. სათაურები აწყობილია კორპუსი შავი მთავრულით. 575 გვ. გამოყოფილია სათაური ბოლო სიტყვაობა, აწყობილია ის იმ შრიფტით, როგორც დანარჩენი სათაურები. გვ. ნუმერაცია დასმულია ქვემოთ, კენტ გვ. მარჯვნივ და ლუწ გვ. მარცხნივ კუთხეებში. ტაეპი: ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისა — აწყობილია შავი კურსივით. წიგნი მთავრდება 576 გვ., თითო გვერდზე მოთავსებულია არა უმეტეს სამი სტროფისა. ფასი უცნობია.

XX

გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა“ პოეტის ბიბლიოთეკის სერიაში 1949 წელს დაბეჭდა ვეფხისტყაოსანი. იგი მცირე ფორმატისაა (4,5X6,4), ტირაჟის ნაწილი ჩასმულია კოლენკორგადაკრულ მუყაოს ყდაში. ყდის პირველ გვერდზე, ორნამენტთან ჩარჩოში ჩაბეჭდილია: წარწერა: პოეტის ბიბლიოთეკა. ყდის შუა ადგილას ყვითელ ფერში — შოთა რუსთაველი. ქვემოთ, მისგან დაშორებით ჩატვიფრით დაბეჭდილია — საბჭოთა მწერალი და თარიღი 1949. ყუაზე ჩატვიფრულია: ვეფხისტყაოსანი, რომელსაც თავში და ბოლოში უზის ორნამენტები. წარწერები შესრულებულია. მხატვრის

მიერ და დაბეჭდილია ყვითელ საღებავში. ყდის დანარჩენი გვერდები ცარიელია. ტიტულზე: შოთა რუსთაველი — აწყობილია კიროვის 10-ით, ვეფხისტყაოსანი — კიროვი 12-ით, გამომცემლობა: საბჭოთა მწერალი, 1949 თბილისი — წვრილი კორპუსით. მე-3 გვ. იწყება პოემის ტექსტი. სათაურები აწყობილია ქანიშვილი 12-ით, პოემის ტექსტი — ვახტანგისეული კორპუსით. სტროფები დაბეჭდილია უნუმერაციოდ და მე-4 ტაპის დამაკავშირებელი „და“-ს გარეშე. სტროფები ერთმანეთისაგან დაშორებულია ორი სტრიქონით. სათაურები იწყება ახალი ფვერდით, თითოეული მათგანის დასაწყისი ტექსტი მეტ-ნაკლები რაოდენობით არის დაშორებული გვ. ზემოდან. 382 გვ. ცარიელია. 383 გვ. იწყება „სარჩევი“, რომლის სათაური დაბეჭდილია 10 მთ. კიროვით. ტექსტი — ჩვეულებრივი პეტიტით.

წიგნის უკანასკნელ 387 გვ. დაბეჭდილია რუსულად ცნობები პოემის, მისი ავტორის, გამომცემლობის, ადგილისა და თარიღის შესახებ. აწყობილია ისინი ნომპარელით, ავტორის ვინაობა — უფრო მომსხო შრიფტით. შემდეგ მოცემულია პ/მგ გამომშვებისა და გამოცემასთან დაკავშირებული ცნობები, აგრეთვე სტამბის ფირმისა და მისი მისამართის შესახებ. ეს ცნობები ერთიმეორეს ქვემოთ არის დაბეჭდილი და ერთმანეთისაგან გამოყოფილია ორ-ორი ვარსკვლავით. ტექსტი — პ/მგ. გამომშვებისათვის — აწყობილია თეთრი პეტიტით, გამომშვების ვინაობა — შავი პეტიტით. დანარჩენი ნაწილი აწყობილია ვახტანგისეული პეტიტით, წიგნის ფასი — შავი კორპუსით.

პოემის ტექსტი გადმობეჭდილია 1937 წ. საიუბილეო გამოცემიდან, პ/მგ გამომშვებისათვის: დ. შაისურაძე, ტექსტი დაბეჭდილია სადად: არ ახლავს ილუსტრაციები და არც სამკაულები. ხელმოწერილია დასაბეჭდად 9. 4. 49 წ. სასტამბო ფორმათა რაოდენობა — 24. 4 გვ., საავტორო — 13,3. შეკვეთის № 162, უე — 02822. დაბეჭდა გამომცემლობა „საბჭოთა მწერალის“ სტამბაში, თბილისი, პლენანოვის 181, ტირაჟი 10.000, ფასი 13 მანეთი.

XXI

ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემის მზადებას შეუდგა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი. პოემის დასაბეჭდად მომზადება დაევალა ამავე ინსტიტუტის ძველი ქართული ლიტერატურის განყოფილების გამგეს ალ. ბარამიძეს. უკანასკნელმა ასპი-

რანტ მ. ებრალიძის დახმარებით პოემის საიუბილეო ნაბეჭდი ტექსტი შეუდარა 1937 წ. კომისიის მიერ დადგენილ ტექსტს და გამოიკვა, რომ ტექსტი ისე არ ყოფილა დაბეჭდილი, როგორც რუსთველოლოგთა კომისიის მიერ იყო მიღებული. ნაბეჭდ ტექსტში აღმოჩნდა რედაქციული, ორთოგრაფიული, კორექტურული და სხვ. სახის შეცდომები. საქმის ვითარების შესახებ მოხსენდა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს. უკანასკნელმა გამოყო კომისია ა. ბარამიძის, კ. კეკელიძისა და ა. შანიძის შემადგენლობით და დაავალა პოემის ახალი გამოცემის ტექსტის მომზადება.

კომისიამ საიუბილეო გამოცემის ტექსტში შემდეგი შესწორებები შეიტანა: 9,4 ლამაზმა — ლამაზმან; 11,2 მუშაობდეს — მუშაკობდეს; 12,2 საღრმთოდ — საღმრთოდ; 12,3 იამების — ეამების; 31,4 იახლების — ეახლების; 37,4 ვარსკვლავმა — ვარსკვლავმან; 40,3 ჯერ — ჯერთ; 43,3 განათლნეს — განანათლეს; 58,3 რაცა შეგვეცილა — რამცა შეგვეცილა; 62,2 დავლიე — დავლიენ; 71,2 დაცევით — დასცევით; 93,2 ხმალ-კაპარკი — ხრმალ კაპარკი; 94,2 დახადნა — გახადნა; 97,4 ჰპოებდეს — ჰპოვებდეს; 109,2 განათლა — განანათლა; 125,1 ქალმა — ქალმან; 132,2 ჰპოო — ჰპოვო; 132,3 ჰპოებ — ჰპოვებ; 135,3 მოვისმინე — მოვისმინენ; 137,4 ასადაგეს — ა, სა დაგეს; 140,4 დიდი დაიზახის — დიდნი დაიზახნის; 147,2 წართო — წაპართო; 156,2 გაგზავნილი — გაგზავნილი; 163,1 უთხარ — ვუთხარ; 182,3 მაგრამ — მაგრა; 204,4 ჯერ — ჯერთ; 216,4 მოვკლავ — მოვჰკლავ; 218,1 იარეს — იარნეს; 222,2 მივხვდით — მივჰხვდით; 229,3 უთხრა — ვუთხრა; 257,4 შეკვრა — შეკრვა; 261,3 ვსჰამ — ვჰამ; 262,3 შეგამეცნე — შეგამეცნენ; 263,2 ამა — ამას; 265,2 გარდაჰხდა — გარდახდა; 267,3 მაზედა — მას ზედა; 268,2 შეუქნელისა — შეუქმნელისა; 270,1 დაბრუნდი — დაჰბრუნდი; 270,4 დაეფანჩვა — დაეფანჩა; 278,4 ჰფიცე — ფიცე; 284,3 მოსულხარ — მოსრულხარ; 298,4 გეახლე — გეახლო, 302,2 ღმერთმა — ღმერთმან; 304,1 ჰპოოს — პოვოს; 309,1 მოსტქვამს — მოთქვამს; 316,3 მიუმცდარობა — მიუმცთარობა; 326,4 მაგრამ — მაგრა; 338,4 დავმორჩილდი — დავჰმორჩილდი; 344,2 შევხედე — შევხედენ; 345,2 გაძლო — გაძლო; 351,1 გარეშემო მცვიდიან — გარე შემომცვიდიან; 360,3 გარდასწყევტს — გარდა სწყევდს; 368,3 მრავალი — მრავალნი; 387,2 ღმრთულებ — ღმრთულებრ; 395,1 დიდხანს — დიდხან; 412,1 მართებს — ჰმართებს; 412,3 ზეპირ — ზე-პირ; 415,2 მკვლელად — მკლველად;

421,4 თქვენი — თქვენნი; 423,1 შეგვინდე — შეგვინდევ; 427,1 კარ-
 გი — კარგნი; 427,2 დავყარენ — დავყარენ; 428,4 ძღნობა —
 ძღნობა; 430,1 წასული — წასრული; 447,2 შემოვსტყორცე — შე-
 მოვსტყორცი; 447,4 ამოვსწყვიდე — ამოვწყვიდე; 448,1 მრგვლივ—
 მგრგვლივ; 450,2 წამოსულიყენეს — წამოსრულიყენეს; 451,4 მოვ-
 კვლენით — მოკვლენით; 452,1 მოესწრეს — მოესწრნეს; 455,4
 ვპბრძოლე — ვბრძოლე; 459,4 დაგვწვენ — დაგვწვენ; 471,3 ყველა-
 ნი — ყველაი; 471,3 ყველანი — ყველაი; 475,2. საქვრეტად — საქ-
 ვრეტლად; 482,1 მიაებოლა — მიაებოლა; 491,1 მიამა — მემამა;
 491,3 ახლო — ახლოს; 494,3 ვარდ-გიშერნი — ვარდ-გიშერი; 494,4
 მართებს — ჰმართებს; 495,3 შენი მკვრეტნი — შენნი მკვრეტნი;
 496,2 გეამოს — გეამოს; 499,4 ჩემი — ჩემნი; 502,1 მიამა — მემ-
 მამა; 506,2 შევკრთი — შევკრთი; 509,4 ამოვსწყდეთ — ამოვწყდეთ;
 513,1 დედოფალმა — დედოფალმან; 523,3 ზენამცა ცისა — ზენა,
 მი, ცისა; 524,4 დაუწვავ — დაუწვავ; 525,2 რთულა — ჰრთულა;
 526,1 „ჰაი“ ჰშიდი — „ჰაის“ ჰშიდი; 527,1 ვპბრძანებ — ვბრძა-
 ნებ; 527,4 აზრი შენნი — აზრნი შენნი; 530,1 შეევჰხედე — შეევჰხე-
 დენ; 541,3 უჩვენო — უჩვენო; 541,4 აღარა არ-სახმარობა —
 აღარა, არ, სახმარობა; 545,3 შემოკდომა — შემოკვდომა; 552,2
 არ — არს; 558,1 ჩავაქარაბაკე — ჩავაქარაბაკე; 568,1 ქვევითნი —
 ქვევითნი; 571,1 მერე — მერმე; 577,3 მოსთქმიდა — მოთქმიდა;
 578,3 გაქნევინე — გაქმნევინე; 579,4 წყლული — წყლულნი; 581,2
 წმინდისა — წმიდისა; 591,3 მიამის — მემამის; 625,4 მასცა — მასმ-
 ცა; 630,4 თვალთა—თვალთათ; 631,2 ინაღლი — ინაღლი; 641,2
 მცდარვარ — მცთარვარ; 654,1 ვპოვე — ვპოვენ; 659,2 გარდაიქ-
 ცა — გარდაიქცია; 659,4 მერე — მერმე; 661,3 ამისა — ამისი; 671,4
 მივცემივარ — მივსცემივარ; 676,4 კრებული — კლებული; 705,3
 ასე — ასრე; 707,1 შევრთე — შევკრთე; 708,2 მესვრის — მესვრის,
 713,4 მოშორება — მოშორება; 716,1 მოსთქვამს — მოთქვამს;
 716,2 ოხვრა — ოხრვა; 718,2 მდომელი — მნდომელი; 721,4
 ღღეს.— ღღე; 726,1 მოსთქმიდის — მოთქმიდის; 729,2 სიხარული —
 სახარული; 751,4 მზეცა — მზემცა; 757,1 სიხარული — სახარული;
 829,4 მისცეს — მისცნეს; 834,1 ვეჰვდე — მეჰვდე; 838,1 მოსთქმი-
 დის — მოთქმიდის; 840,3 რთვიდის — ჰრთვიდის; 851,1 კვითხე-
 დი — ვჰკითხედი; 851,4 დავყრი — დავყრი; 854,4 მონახავ —
 მოჰნახავ; 856,1 ბურვენ — ჰბურვენ; 865,4 დაამოკლე — დაამოკ-
 ლენ; 900,4 ჯერცა — ჯერთცა; 914,1 ღვრიდა — ჰღვრიდა; 936,1
 მსგეფსა — მსგეფსსა; 937,2 მოვკვდე — მოვკვდი; 967,3 გაჰკვირ-

დიან — გაკვირდიან; 989,2 ახლავს — ახლვან; 990,2 სერასა — სრვასა; 1034,4 წარსულვართ — წასრულვართ; 1056,1 თუმცა — თუცა; 1066,4 ვინა მტერები — ვინ ა მტერები; 1072,2 ოფლი — ოფლნი; 1075,4 მოიძულვეს — მოიძულვენეს; 1078,2 თქვენს — თქვეს; 1104,2 რისთვის — რასთვის; 1217,4 სკამდეს — კამდეს; 1226,2 ახლოსაც — ახლოსმცა; 1240,2 ჯერ—ჯერთ; 1244,2 იამა — ეამა; 1249,4 მიამნეს—მეამნეს; 1251,1 ღამეს—ღამე; 1259,3 საღამო-ეამს — საღამო ეამ; 1281,2 მტკეპნელი — მტკეპნელი; 1283,2 მათ—მან; 1303,3 აქა — აქათ; 1305,2 იახელ — ეახელ; 1308,3 დასაყვიარდა — დასახვიარდა; 1311,4 ხელ-აპყრობით — ხელ-აღპყრობით; 1331,1 იამა — ეამა; 1333,2 სიხარულითა — სახარულითა; 1341,2 მიმართა — მიპმართა; 1347,2 სჩივიან — ჩივიან; 1347,3 მაზედა — მას ზედა; 1347,4 წყლული — წყლულნი; 1356,4 ჯარ — ჯერთ; 1375,3 გაქნევ — გაქმნევ; 1381,3 ხელ-აპყრობით — ხელ-აღპყრობით; 1384,1 ჯერ — ჯერთ; 1387,1 გვინდა — გვინდან; 1411,4 ფიცხელი — ფიცხელნი; 1407,2 ამაზედან — ამას ზედან; 1413,2 დახვდეს — დაპხვდეს; 1413,4 დაიხურეს — დაიხურენეს; 1416,3 ნახეს — ნახნეს; 1416,4 შეპხდეს — შეხდეს; 1420,3 თმისა — თმასა; 1423,4 ორივე — ორნივე; 1435,3 გამინათლდა — გამინათლდა; 1466,2 მრგვლად — მგრგვლად; 1510,4 ამისათვის — ამისთვის; 1511,4 ქვენ — თქვენ. 1523,3 იაჯების — ეაჯების; 1531,1 ჰლამოდა — ლამოდა; 1532,1 არემარე — არე მარე; 1541,3 გაანათლეს — განანათლეს; 1547,4 გული ჩვენი — გულნი ჩვენნი; 1567,4 ნაღველ-ქმულია — ნაღველ-ქმულია; 1568,3 ყელისა — ყელითა; 1578,1 სამთავე ვლეს... მათებრ... ნურა ნუ დაბადოსა — სამ თვე ვლეს... მათებრივ... რამცა დაებადოსა; 1593,1 მოსთქვამს — მოთქვამს; 1595,3 წაუხვამს — წაუხვამან; 1595,4 მზეო — მზენო; 1603,3 თქვენივე — თქვენნივე; 1603,4 ცული ღა — ცულნიღა; 1637,1 მიხვდა — მიპხვდა; 1651,1 ნუ გაწყურები — ნუ გასწყურები; 1656,2 დავსტკეპნიდევ — დასტკეპნიდევ.

კორექტურის დროს დამატებით ჩასწორდა: 471,3 ყველანი, გასწორდა: ყველაი; 484,2 არ — რა; 484,4 საყუარელსა — საყვარელსა; 730,1 ყრმა — ყმა; 745,2 მოსტყუედენ — მოტყუედენ; 748,2 ცრემლი — ცრემლნი; 753,4 გესმათ — მესმას; 760,2 დააცდუნა — დააცდუნა; 783,3 კიდევ — კიდე; 786,4 დავთმობ — დავსთმობ; 789,4 მერე — მერმე; 791,1 სწერენ — წერენ; 796,3 გნახე — გნახნე; 813,2 დღეს — დღე; 814,3 დიდხანს — დიდხან; 817,1 პოვა — პოვნა; 821,2 მოსთქვამს — მოთქვამს; 827,1 მოსთქ-

მიღეს — მოთქმიღეს, 841,1 მოსთქმიღის; — მოთქმიღის; 849,3 გა-
 ცვლების — გაცთვების; 878,1 რამა — რამან; 881,1 ძვრაცა —
 ძვრაცა; 884,1 გარდაწყვეტით — გარდაწყვედით: 892,3 აძვრევი-
 ნა — აძვრევი; 911,1 გავსტყორცე — გავტყორცე 933,4 უამბო —
 ეუამბო; 945,3 ღამეს — ღამე; 949,4 ღიღხანს — ღიღხან; 951,1 გვა-
 ბრუნებ — გვაბრუნებ; 954,4 რადგან — რათგან; 971,1 ამას — ამა;
 977,4 ისერიან — ისრვიან; 982,3 ავთანდილს — ავთანდილ; 988,1
 დარიღონ — დაპრიღონ; 990,3 იქმნენ — იქმენ; 992,3 მე ღიღე-
 ბულთა — ძე ღიღებულთა; 996,3 გავსძელ — გავძელ; 1000,3 დას-
 თმნა — დათმნა; 1005,2 მოსთქმიღეს — მოთქმიღეს; 1006,3 მოს-
 თქვამს — მოთქვამს; 1007,1 მოსთქვამს — მოთქვამს; 1007,1 რა შე-
 გასხათ — რა შეგასხა; 1010,1 დახვდა — დაჰხვდა; 1014,2 გავიღეს —
 გავიღის; 1020,4 მოსთქვამს — მოთქვამს; 1025,2 სალხენად — სალ-
 ხენლად: 1031,1 გარდაჰხდა — გარდახდა; 1035,1 სცთების — ცთე-
 ბის; 1048,1 ენა უნდა — ენაენდა; 1049,4 დავრჩით — დავპრჩით;
 1056,2 ურიცი — ურიცივი; 1067,1 ჰპოებენ — ჰპოებენ; 1074,2
 ქარვასრანი — ქარვანსრანი; 1083,2 გავსძლო — გავძლო; 1088,3 გავ-
 სძლო — გავძლო; 1091,3 რადგან — რათგან; 1091,4 ვპოვებ, — ვპო-
 ვებ, 1092,3 ცეცხლი მწვავს — ცეცხლო მწვავ; 1103,1 მოსთქვამს —
 მოთქვამს; 1106,1 მცდარსა — მცთარსა; 1110,3 იმას კაცსა — იმა კა-
 ცსა; 1113,4 ჰპოებ — ჰპოებ; 1116,3 გასტყორცა ზღვასა — გატყორ-
 ცა ზღვისა; 1122,4 ღრგიალი — ღგრიალი; 1133,4 მდომელნი —
 მნდომელნი; 1140,3 ნარგისთა — ნარგისთათ; 1160,3 ძლივს — ძლივ,
 1165,2 მდომელი — მნდომელი; 1165,4 მსწრობელი — მსწრომელი;
 1167,3 ჰპოებ — ჰპოებ; 1179,2 იჭირებდეს — იჭირვიდეს; 1186,3
 წასულ — წასრულ; 1197,2 ღლე — ღლედ; 1232,2 ამისა — ამისი;
 1239,3 საჭვრეტად — საჭვრეტლად; 1248,2 აღძვრენ — აღძვრენ;
 1280,3 მან — მას; 1285,2 ხედაო — ჰხედაო; 1293,2 ნაღველსა —
 ნავღელსა; 1307,1 მიმართე — მიჰმართე; 1311,1 მიმავალი — მომა-
 ვალი; 1320,2 თუმცა — თუცა; 1326,4 დაცავგმარხეო — და-ცა-
 გვმარხენო; 1331,3 უამბო — ვუამბო; 1333,4 დგას — დგა; 1339,2
 გასძლო — გაძლო; 1340,4 გასძლნეს — გაძლნეს; 1366,2 წმინდად —
 წმიდად; 1367,2 პოეს — პოვეს; 1369,1 . პოეს — პოვეს; 1378,4 და-
 რიღნეს — დაპრიღნეს; 1379,3 დაჰზვრიდა — დაჰზრვიდა; 1387,4
 ვპოებთ—ვპოვებთ; 1396,4 გესმათ—გესმას; 1404,3 ფიცხლად—
 ფიცხლად; 1413,2 დახვდეს — დაჰხვდეს; 1419,1 მცველნი — მცვე-
 ლი; 1427,3 დამართეს — დაჰმართეს; 1447,1 მოჰკაზმა — მოკაზმა;
 1455,1 გარდაჰკოცნეს — გარდაკოცნეს; 1456,4 იძვრის — იძრვის;

1459,3 წახლომისა — წარხლომისა; 1462,1 გადახდეს — გარდახდეს; 1471 უთხრა — უთხარ; 1503,2 დახვდა—დაძხვდა; 1525,6 პოს — პოვოს; 1534,1 რას ბრძანებ — რას ჰბრძანებ; 1546,4 მსახურებდით — ჰმსახურებდით; 1547,2 ვექმნეთ — ვექმნეთ; 1547,3. დაგვამდიდრეს — დაგვამდიდრეს; 1555,3 ქვემოდ — ქვემოთ; 1556,2 უქებს ყოველნი — უქებს ყოველი; 1563,1 როსტეიანს — როსტეიანს; 1578,4 ჰმართებდათ — ჰმართებდა; 1581,2 უმეცარ ჰყვეს — უმეცარ ყვეს; 1584,4 გარდაჰქარდა — გარდაქარდა; 1591,3 მოვჰკვე—მოვკვე; 1599,4 მიხვდეს—მიძხვდეს; 1610,2 ფინეელნი — მფრინეელნი; 1613,3 დაესხნეს—დაეხსნეს; 1616,2 შევედრეს—შეჰვედრეს; 1619,3 ლამიან — ჰლამიან; 1625,4 ნახვიდი — ჰნახვიდი; 1628,3 დასცალა — დაცალა; 1636,3 გამოსთქმიდა — გამოთქმიდა; 1641,4 შევედრენით — შეჰვედრენით; 1646,2 გამოსთქვამს — გამოთქვამს; 1646,3 დამალავს — დაჰმალავს; 1646,4 ლალავს — ჰლალავს; 1652,3 ქმნა — ჰქმნა; 1657,4 მოგელის — მიგელის; 1659,4 გაანათლოს — განანათლოს; 1663,2 ნახვიდიან — ჰნახვიდიან; 1665,4 ვსწერ — ვწერ.

ამრიგად, ახალმა კომისიამ ვეფხისტყაოსნის საიუბილეო გამოცემაში შეიტანა 340-მდე⁴¹ გასწორება-ცვლილება, ხოლო 1470-მდე სასვენი ნიშნების, დეფიზისა და მისთანათა გასწორება. სტროფულ მოცულობის საკითხს კომისია არ შეხებია, იგი იმ სახით დატოვა, როგორც საიუბილეო გამოცემაშია დაბეჭდილი.

